ერიკ ლი

1924 წლის აჯანყება:
საქართველო და დემოკრატიული სოციალიზმის დაბადება

Ziari Press

Eric Lee
The August Uprising 1924
Georgia and the Birth of Democratic Socialism

FRIEDRICH EBERT STIFTUNG

პროექტი განხორციელდა ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით.

პუბლიკაციაში წარმოდგენილია ავტორთა პირადი მოსაზრებები. დაუშვებელია ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ გამოცემული მასალების კომერციული მიზნით გამოყენება ფონდის თანხმობის გარეშე.

Project supported by the Friedrich-Ebert-Stiftung.

The views expressed in this publication belong to the experts. Commercial use of all media published by the FES is not permitted without the written consent of the Friedrich-Ebert-Stiftung.

Ziari Press

თარგმანი: ნინო ბარძიმიშვილი
სამეცნიერო რედაქტორი: ირაკლი ირემაძე
ყდის დიზაინი და დაკაბადონება: გვანცა მახათაძე
ყდაზე გამოყენებულია ლევან ჭოღოშვილის ნამუშევარი.

თბილისი, 2024
© ფრიდრიხ ებერტის ფონდი
ყველა უფლება დაცულია

ISBN: 978-9941-8-6780-4

ერიკ ლი

1924 წლის აჯანყება:
საქართველო და დემოკრატიული სოციალიზმის დაბადება

თარგმანი: ნინო ბარძიმიშვილი

თბილისი
2024

ვუძღვნი ქართველ ხალხს

სარჩევი

ტერმინოლოგიური შენიშვნა 9

შესავალი 11

ნაწილი I. დიქტატურა და დემოკრატია 15

ოქტომბერი და მისი კრიტიკოსები 15

პროლეტარიატის დიქტატურა 25

სხვანაირი რევოლუცია შესაძლებელი იყო 37

ექსპერიმენტი სრულდება 47

სტალინი ტფილისში 55

დამოუკიდებლობის დასასრული 66

ქართული პროფკავშირების განადგურება 79

ომი ეკლესიასთან 83

„ტყვიის ენა“ 90

გლეხობა საბჭოთა მმართველობის პირობებში 94

კოოპერატივების ბოლშევიზაცია 99

ბერლინი 1922 108

ქართული სოციალ-დემოკრატიის დასასრული 136

ნაწილი II. აჯანყება და ჩახშობა 146

წინააღმდეგობა 146

აჯანყება 161

ჭიათურა 174

აჯანყება ფართოვდება 179

პანიკა მოსკოვში 192

სასაკლაო 204

ზამთარი ტფილისში 209

ჩეკას გამარჯვება 211
ინტელექტუალთა ღალატი 217
სად იყვნენ საქართველოს მოკავშირეები? 227
ბრიტანული პროფკავშირების დელეგაცია 233

ნაწილი III. სოციალიზმი და კომუნიზმი 242
წითელი ფაშიზმი 242
დემოკრატიული სოციალიზმის დაბადება 247

შეჯამება 256
რატომ მოახერხა ჩეკამ ასე წარმატებულად აგენტების ჩანერგვა ქვეყნის იატაკქვეშა ოპოზიციაში? 256
რატომ მოხდა აჯანყება? 257
რატომ დაიწყო ჭიათურაში აჯანყება ნაადრევად, დაგეგმილზე ერთი დღით ადრე? 259
ვინ გასცა აჯანყებულები? 260
და ბოლოს, სინამდვილეში რამდენი ხალხი დაიხოცა აჯანყებაში და მის შემდეგ? 261

ეპილოგი: ფრანკფურტი, 1951 წელი 268

ქრონოლოგია 276

მადლობის გადახდა 281

ბოლოსიტყვაობა რედაქტორისაგან 283

ბიბლიოგრაფია 285
დოკუმენტები და არქივები 285
წიგნები და სტატიები 285

შენიშვნები 290

ილუსტრაციები 301

პირთა საძიებელი 303

ტერმინოლოგიური შენიშვნა

იმ პარტიის დასახელებისას, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში (1918-1921) მართავდა, სადაც შესაძლებელია, „მენშევიკების“ ნაცვლად ვხმარობ ტერმინს „სოციალ-დემოკრატიული“. „მენშევიკებს“ მათ ბოლშევიკები უწოდებდნენ დაკნინების მიზნით. დასახელება წამოვიდა იქიდან, რომ ეს ფრაქცია რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის 1903 წლის ყრილობაზე დროებით უმცირესობაში* აღმოჩნდა. შეიძლება ითქვას, რომ 1924 წლისთვის რუსი მენშევიკები და ქართველი სოციალ-დემოკრატები აღარ იყვნენ ერთი და იგივე პარტია, მათ შორის ბზარი გაჩნდა.

ასევე, სინონიმებად ვხმარობ „სოციალ-დემოკრატებს“ და „დემოკრატ სოციალისტებს“. ვიცი, ზოგს მიაჩნია, რომ ამათ შორის უდიდესი განსხვავებაა, მაგრამ იმ საკითხში, რომელსაც ამ წიგნში განვიხილავთ (განხეთქილება სოციალისტურ და კომუნისტურ მოძრაობებს შორის) ეს ორი დასახელება შეიძლება ურთიერთმონაცვლედ გამოვიყენოთ.

---

* 1898 წელს შექმნილი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია 1903 წლის ლონდონის კონფერენციაზე ორ ფრაქციად გაიყო: ვლადიმერ ლენინის მომხრე ე.წ. ბოლშევიკურ (უმრავლესობის) და იული მარტოვის მომხრე მენშევიკურ (უმცირესობის) ფრაქციებად. ბოლშევიკები ემხრობოდნენ პარტიის ცენტრალიზებულ მართვას, გამოყოფდნენ ე.წ. ავანგარდს, რომელიც პარტიის გამწევ ძალად მოიაზრებოდა. ბოლშევიკები ფაქტობრივად უარყოფდნენ პარტიის ლეგალურ საქმიანობას. ამის საპირწონედ მენშევიკები ემხრობოდნენ არალეგალურთან ერთად ლეგალურ საქმიანობას, ხოლო ბოლშევიკური პარტიული ცენტრალიზმი მიუღებლად მიაჩნდათ (რედ. შენიშვნა).

ასევე, „ბოლშევიკსა“ და „კომუნისტს“ ერთი და იმავე ცნების აღსანიშნად ვიყენებ. მართალია, შეგვიძლია ის მოვიყვანოთ არგუმენტად, რომ ლენინის მიერ ცნება „კომუნისტის“ შემოტანა ერთიდან მეორეზე გადასვლას ნიშნავდა, მაგრამ ასე არ არის. პარტიას, რომელსაც ის ხელმძღვანელობდა, ერთხანს საკმაოდ დამაბნევლად ერქვა რკპ (ბ) — რუსეთის კომუნისტური პარტია (ბოლშევიკები).

საბჭოთა კავშირის საიდუმლო პოლიციას მუდამ მოვიხსენიებ „ჩეკად“, მისი თავდაპირველი სახელით. შემდგომში მას ერქვა გეპეუ, ოგეპეუ, ენკავედე, ემვედე და კაგებე, მაგრამ რუსეთის პრეზიდენტი პუტინი საკუთარ თავს სიამოვნებით უწოდებს „ჩეკისტს“; თანაც, ტერმინი „ჩეკა“ ბევრისთვის ცნობილია და აღიქმება, როგორც რუსული და საბჭოთა საიდუმლო პოლიციური ძალების საერთო სახელი 1917 წლიდან.

ასევე, ვერიდები „ოქტომბრის რევოლუციის“ ხსენებას — კომუნისტები ასე უწოდებდნენ 1917 წლის ნოემბერში პეტროგრადში მომხდარ მოვლენებს. ის სახალხო აჯანყება კი არა, სახელმწიფო გადატრიალება უფრო იყო, და მეც ამ ტერმინს ვიყენებ.

და ბოლოს: საქართველოს დედაქალაქს ტფილისი ერქვა, ვიდრე 1936 წელს „თბილისად“ იქცეოდა. 1936 წლამდე აქ მომხდარი მოვლენების აღწერისას ვიყენებ სახელს „ტფილისი“.

შესავალი

1924 წელს მოსკოვში პარტიული ხელმძღვანელობის კრებაზე სტალინის ნდობით აღჭურვილი ამხანაგი სერგო ორჯონიკიძე რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა.

ორჯონიკიძეს იმ წელს საქართველოში სახალხო აჯანყების ჩახშობისას ძალის გადაჭარბებაში სდებდნენ ბრალს. მისი ბრძანებით აჰყავდათ მძევლები, მასობრივად სიკვდილით სჯიდნენ პატიმრებს. ახალი კომუნისტური რეჟიმის ათასობით მოწინააღმდეგე დახოცეს ტყვიამფრქვევის ცეცხლით, მათი ცხედრები საერთო საფლავებში ჩაყარეს.

მსოფლიო ამას ხედავდა, საბჭოთა მთავრობას კი იმჟამად მსგავსი ამბების გავრცელება საერთოდ არ აძლევდა ხელს: ის მონდომებით ცდილობდა, სავაჭრო ხელშეკრულებებსა და დიპლომატიური აღიარების საკითხებზე მოლაპარაკებებში ჩართულიყო. კომუნისტების ზოგი ლიდერი თვლიდა, რომ ორჯონიკიძემ გადაამლაშა.

„იძულებული გაგვხადეს, მასობრივი დახვრეტებისთვის მიგვემართა“, აღიარებდა ორჯონიკიძე, „შეიძლება, ოდნავ გადავამლაშეთ კიდევაც, მაგრამ ახლა ამას ვეღარაფერი ეშველება“.[1]

ეს წიგნი მოგითხრობთ 1924 წლის აჯანყებაზე საქართველოში, ქვეყანაში, რომელიც საბჭოთა კავშირის ნაწილი გახდა 1921 წელს, სამწლიანი დამოუკიდებლობის შემდეგ. ეს აჯანყება, რომელიც სწრაფად და სასტიკად იქნა ჩახშობილი, ნაკლებად შესამჩნევ ისტორიულ მოვლენად დარჩებოდა, რომ არა

ერთი რამ: ის აღმოჩნდა ბოლო წვეთი, რომელმაც ფიალა აავსო და მსოფლიოს სოციალისტური და კომუნისტური პარტიები საბოლოოდ დააშორა ერთმანეთს.

ეს არ არის მსოფლიოში ცნობილი ამბავი, მეტიც, მას საქართველოშიც ნაკლებად იცნობენ. წიგნში აღწერილი მოვლენებიდან ათწლეულების მერე საბჭოთა ისტორიკოსებიც კი აღიარებდნენ, რომ მხოლოდ ამ თემისთვის მიძღვნილი წიგნები სსრკ-ში არ გამოცემულა. დასავლეთში საქართველოს 1924 წლის აჯანყება თითქმის სრულიად დავიწყებას მიეცა.

იმის გასაგებად, რა განსხვავებაა სოციალიზმსა და კომუნიზმს შორის, დაგვჭირდება, უკან, საწყისებისკენ, დავიხიოთ და გავიხსენოთ მნიშვნელოვანი მომენტები, როცა ეს ორი მოძრაობა ერთმანეთს დასცილდა. ჩვენ მხოლოდ მიახლოებით წარმოგვიდგენია, როდის მოხდა ეს, რადგან 1914-ში ყველა მარქსისტული პარტია მეორე ინტერნაციონალის სახელით ცნობილი ერთი ფართო მოძრაობის ნაწილი იყო. მაგრამ, 1920-იანების ბოლოსთვის მათ შორის ნაპრალი ისე გაფართოვდა, რომ, მაგალითად, გერმანიაში ვერ შეძლეს გაერთიანება ჰიტლერისა და ნაცისტების შესაჩერებლად. შესაძლოა, ვერც ხერხდებოდეს ზუსტად განსაზღვრა, ამ მოძრაობათა გზები საბოლოოდ როდის გაიყარა, მაგრამ, ვფიქრობ, ლოგიკურია თარიღად 1924 წლის დასახელება, და თუ რატომ, ამას ჩვენი წიგნი განმარტავს.

საქართველოს აჯანყების მერე საბჭოთა ხელისუფლების ქცევით ყველა როდი დარჩა შეძრწუნებული. იყვნენ მემარცხენეები, რომლებიც, ბოლშევიკური რეჟიმის ერთგულების გამო, საბჭოეთის მადიდებლები იყვნენ და 1924 წლის აჯანყების სისხლში ჩახშობასაც ამართლებდნენ. ისინი იყვნენ იმ ფენომენის ნაწილი, რომელიც ტოტალიტარული მმართველობის განმავლობაში ათწლეულობით არსებობდა და აღიწერება, როგორც „ინტელექტუალთა ღალატი“.

ზოგ ცნობილ მწერალსა და მოაზროვნეს მიაჩნდა, რომ ტოტალიტარული სახელმწიფოს სასარგებლოდ სიცრუის თქმა სწორი საქციელი იყო. ჰიტლერსაც, მუსოლინისაც და სტალინსაც ჰყავდათ მხარდამჭერები დემოკრატიულ ქვეყნებში — ვინც ყოველთვის გაამართლებდა ყველაფერს, რის გამართლებაც შეუძლებელია. ამ ფენომენმა XXI საუკუნემდეც გასტანა: დასავლეთში ზოგი დღესაც ამართლებს რუსეთის აგრესიას მისი მეზობლების, განსაკუთრებით, საქართველოსა და უკრაინის, მიმართ.

1924 წლისთვის სოციალისტურ და კომუნისტურ მოძრაობებს შორის ურთიერთობა უკვე დაძაბული იყო — ორი წლის წინანდელი ბერლინის კონფერენციის წარუმატებლობის მერე, რომელშიც ქართველებმა უაღრესად მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს. 1924 წლის აჯანყების ჩახშობის მერე ევროპული სოციალისტური და ლეიბორისტული პარტიების ლიდერებმა სთხოვეს კარლ კაუცკის*, კომუნისტების ალბათ ყველაზე შეურიგებელ

* კარლ კაუცკი (Karl Kautsky, 1854-1938) — ფილოსოფოსი, მარქსიზმის თეორეტიკოსი, ჟურნალისტი, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის (SPD) და მეორე სოციალისტური ინტერნაციონალის ერთ-ერთი ლიდერი. ეწინააღმდეგებოდა პირველ მსოფლიო ომს. კაუცკი აქტიურად აკრიტიკებდა რუსულ ბოლშევიზმს. 1890-იანი წლებიდან კავშირი ჰქონდა ნოე ჟორდანიასთან, რომელიც კაუცკის თავის მასწავლებლად მიიჩნევდა. 1920 წლის სექტემბერ-დეკემბერში კაუცკი საქართველოში იმყოფებოდა, სადაც დეტალურად გაეცნო რესპუბლიკის მშენებლობის პროცესს. კაუცკი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დემოკრატიულ წყობას საბჭოთა ანტიდემოკრატიული სისტემის ალტერნატივად მიიჩნევდა. 1920-იან წლებში აკრიტიკებდა საბჭოთა რეჟიმს და იცავდა საქართველოს უფლებებს. გერმანიის ხელისუფლებაში ჰიტლერის მოსვლის შემდეგ წავიდა ემიგრაციაში, გარდაიცვალა ამსტერდამში. მისი ცოლი ლუიზა 1944 წელს მოკლეს აუშვიცის საკონცენტრაციო ბანაკში, ხოლო შვილმა ბენედიქტმა 7 წელი გაატარა საკონცენტრაციო ბანაკში (რედ. შენიშვნა).

კრიტიკოსს, რომ ამ საკითხზე რეზოლუცია დაეწერა. შედეგად, სოციალისტებმა პირველად აღიარეს, რომ კომუნისტებთან აღ-არაფერი ჰქონდათ საერთო. განხეთქილება უკვე საბოლოო იყო.

და ამ განხეთქილების მიზეზი ნაწილობრივ საქართველოს 1924 წლის აჯანყება გახლდათ.

ნაწილი I.
დიქტატურა და დემოკრატია

ოქტომბერი და მისი კრიტიკოსები

1917 წლის ბოლშევიკურმა სახელმწიფო გადატრიალებამ, რომელსაც სათავეში ლენინი და ტროცკი ედგნენ, დაამხო დროებითი მთავრობა. გადატრიალება მყისვე დაგმო რუსეთის ყველა სხვა სოციალისტურმა ფრაქციამ, მათ შორის — მენშევიკებმა და სოციალისტ-რევოლუციონერებმაც (ესერები). ამ უკანასკნელთაგან გამოყოფილი ფრაქცია, მემარცხენე ესერები, რამდენიმე თვის განმავლობაში მხარს უჭერდა ლენინის რეჟიმს.

ბოლშევიკური რეჟიმი გასაოცრად სწრაფად დეგრადირდა დიქტატურად. რამდენიმე კვირაში აიკრძალა ოპოზიციური პოლიტიკური ჯგუფების, მათ შორის, სოციალისტური პარტიების, გაზეთები. 1918 წლის 19 იანვარს ბოლშევიკებმა დაითხოვეს დამფუძნებელი კრება — რუსეთის პირველი დემოკრატიულად არჩეული საკანონმდებლო ორგანო — რაც ნიშნავდა, რომ ქვეყანაში დემოკრატიული ექსპერიმენტი დასრულდა. გადატრიალებიდან სულ რაღაც ერთ თვეში შეიქმნა ჩეკა, საიდუმლო პოლიცია, ყველას შიშის ზარს რომ სცემდა, და სულ მალე დაარსდა პირველი შრომითი გამოსასწორებელი ბანაკებიც.

ეს ის რეჟიმი არ იყო, რომელსაც ლენინი ჰპირდებოდა ხალხს 1917 წლის ბროშურაში „სახელმწიფო და რევოლუცია“, სადაც იგი „სახელმწიფოს სრულ კვდომას“ წინასწარმეტყველებდა.

ბოლშევიკების ერთ-ერთი პირველი და უმნიშვნელოვანესი კრიტიკოსი იყო ლენინის ძველი თანამებრძოლი იული მარტო-

ვი*, მენშევიკების მემარცხენე ფრაქციის ხელმძღვანელი. მარტოვმა ბოლშევიკური გადატრიალება შეაფასა, როგორც „მცდელობა, შექმნილიყო სახელმწიფო მანქანა, რომელიც თავისი აგებულებით მსგავსია ყოფილი სამხედრო და ბიუროკრატიული სისტემისა“ — იგულისხმება ცარისტული რეჟიმი — „ოღონდ ამჯერად ის პატარა პარტიას უპყრია ხელში“. ის წერდა, რომ საბჭოთა სახელმწიფოს „შესაძლოა, მასებს ძველი სახელმწიფო მექანიზმის რღვევად, მინიმალურ ძალდატანებასა და დისციპლინაზე დაფუძნებულ უსახელმწიფო საზოგადოების დაბადებად წარმოუჩენდნენ“.[1] მაგრამ სინამდვილეში ამის საპირისპირო რამ ხდებოდა. ბოლშევიკები გამალებით აშენებდნენ უაღრესად ძალადობრივ და დიდი ძალაუფლების მქონე სახელმწიფოს, რომელიც შეუწყნარებელი იყო ნებისმიერი განსხვავებული აზრის მიმართ.

თუმც კი მენშევიკებმა და რუსეთის სხვა პოლიტიკურმა ჯგუფებმა ბოლშევიკების კრიტიკა ადრევე დაიწყეს — რეალურად, მენშევიკები ლენინის დიქტატორული მიდრეკილებების გამო ჯერ კიდევ სახელმწიფო გადატრიალებამდე გამოთქვამდნენ შეშფოთებას — რუსეთის გარეთ ბევრი სოციალისტი თავდაპირველად ბოლშევიკებს უჭერდა მხარს. ის სოციალისტებიც კი, რომლებიც უარს ამბობდნენ, გაერთიანებულიყვნენ ახლად შექმნილ კომუნისტურ პარტიებში — მაგალითად, ამერიკელი იუჯინ ვ. დებსი — თავიდან ლენინის რეჟიმის მხურვალე მომხრეები იყვნენ. „თხემით ტერფამდე ბოლშევიკი ვარ და ვამაყობ ამით“, წერდა დებსი.[2]

მათგან განსხვავდებოდა რამდენიმე ადრეული კრიტიკოსი. ყველაზე ცნობილთა შორისაა როზა ლუქსემბურგი. ლუქსემბურ-

---

* იული მარტოვი (Юлий Мартов/Цедербаум) (1873-1923) — პოლიტიკოსი, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის „მენშევიკური“ ფრაქციის ლიდერი, ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ემიგრანტული ორგანიზაციის ხელმძღვანელი (რედ. შენიშვნა).

გი პოლონეთში დაიბადა 1871 წელს და ერთხანს გერმანიის სოციალისტური პარტიის მემარცხენე ფრთის აქტიური წევრი იყო. მტკიცე ინტერნაციონალისტმა, პირველი მსოფლიო ომის წლები მეტწილად ციხეში გაატარა ომთან შეურიგებელი შეხედულებების გამო. როზა ლუქსემბურგი ლენინს არ ენდობოდა და 1904 წელს გადაჭრით შეეწინააღმდეგა მის შეხედულებებს პარტიაზე. მისი ეს სტატია დაიბეჭდა ლენინის გაზეთ *ისკრაში*, ასევე, კარლ კაუცკის *დი ნოიე ცაიტში* — მეორე ინტერნაციონალის წამყვან თეორიული შინაარსის ჟურნალში (1889 წელს შექმნილი მეორე ინტერნაციონალი სოციალ-დემოკრატიული და მუშათა პარტიების მსოფლიო გაერთიანება იყო).

როგორც ბერტრამ ვულფი წერდა, „ლუქსემბურგს გულის სიღრმემდე შეურაცხყოფდა ლენინისგან ცენტრალიზმის თაყ-

1. როზა ლუქსემბურგი

ვანისცემა, ზოგადად მუშათა კლასისა და მათი მოტივებისა და მიზნების მიმართ შეფარულად აგდებული დამოკიდებულება და მისი უნდობლობა ყოველგვარი თავისთავადი განვითარებისა და ზოგადად თავისთავადობის მიმართ".[3] „რუსული პარტიისთვის ვერ მოვიფიქრებთ იმაზე დიდ საფრთხეს, ვიდრე ორგანიზების ლენინისეული გეგმაა. მუშათა ახალგაზრდა მოძრაობას ისე საიმედოდ არაფერი აქცევს ძალაუფლებაზე დახარბებული ინტელექტუალური ელიტის მონად, როგორც ეს ბიუროკრატიული მარწუხები", წერდა ლუქსემბურგი.[4]

როდესაც ლენინი ლაპარაკობდა სოციალისტთა „გაერთიანებაზე" მუშათა კლასთან, ლუქსემბურგმა უპასუხა, რომ „სოციალ-დემოკრატია არ ერთიანდება პროლეტარულ ორგანიზაციასთან. ის თავად არის პროლეტარიატი".[5]

ლენინის გეგმებმა გამოიწვია ის, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია გაიყო ცენტრალიზაციის მომხრე, ავტორიტარულ ბოლშევიკებად და უფრო ზომიერ, დემოკრატ მენშევიკებად. ლუქსემბურგმა იწინასწარმეტყველა, რომ ლენინის ხედვა სრული ძალაუფლების მქონე ცენტრალურ კომიტეტს გაა-ჩენდა. „ცენტრალური კომიტეტი პარტიის ერთადერთი მოაზროვნე ელემენტი იქნება. ყველა სხვა ჯგუფი მის აღმასრულებელ საცეცად იქცევა".[6]

ლენინსა და ბოლშევიკებზე თავისი შეხედულება მან შეაჯამა სიტყვებით, ხშირად რომ იმეორებენ ციტატად: „ისტორიულად, ჭეშმარიტად რევოლუციური მოძრაობის მიერ დაშვებული შეცდომები შეუდარებლად უფრო ნაყოფიერია, ვიდრე ყველაზე გონიერი ცენტრალური კომიტეტის შეუმცდარობა".[7]

პირველმა მსოფლიო ომმა და მეორე ინტერნაციონალის დაშლამ (მისმა წევრმა წამყვანმა პარტიებმა თავ-თავიანთი მთავრობების მხარდაჭერა არჩიეს), ლუქსემბურგი ლენინთან დააახლოვა. ორივენი ომის წინააღმდეგნი იყვნენ და ორივე იმედგაცრუებული დარჩა იმით, რასაც სოციალ-დემოკრატიული

პარტიების მიერ სოციალისტური ღირებულებების ღალატად აღიქვამდნენ, განსაკუთრებით, გერმანიაში.

როდესაც 1917 წლის ნოემბერში ბოლშევიკებმა ძალაუფლება ჩაიგდეს ხელში, ლუქსემბურგმა მათ მიმართ კრიტიკული მხარდამჭერის პოზიცია აირჩია. მისი კრიტიკა განსხვავდებოდა ბევრი სხვა კრიტიკოსის მიდგომისგან, რომლებსაც შემდგომ გავიცნობთ. გარკვეული თვალსაზრისით, მისი ბროშურა „რუსეთის რევოლუცია“ ბევრად უფრო აკრიტიკებს მენშევიკებს, ვიდრე კაუცკის ან ლენინს. ის თავს ესხმოდა მენშევიკ ლიდერებს აკსელროდსა* და დანს**, რომლებსაც, ლუქსემბურგის თქმით, „სურდათ, ყოველმიზეზგარეშე ეთანამშრომლათ იმ კლასებთან და პარტიებთან, რომლებიც ყველაზე დიდი საფრთხით ემუქრებოდა რევოლუციასა და მის პირველ მონაპოვარს, დემოკრატიას“.[8]

მის ბროშურაში ლენინისა და ბოლშევიკების კრიტიკაცაა, მაგრამ ამას, ძირითადად, კიდევ უფრო მემარცხენე პოზიციიდან აკეთებს. მაგალითად, ის ეწინააღმდეგებოდა ბოლშევიკების მხრიდან ერების თვითგამორკვევის მხარდაჭერას (ისედაც მხოლოდ ქაღალდზე არსებულს). ლუქსემბურგს ეს მოსაზრება საერთოდ არ ხიბლავდა და ის პატარა პარტია, რომლის ხელმძღვანელიც თვითონ იყო პოლონეთში, ამ ქვეყნის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ გამოდიოდა. მისი აზრით, „ერების თვითგამორკვევის უფლება“, რომელსაც ახალი საბჭოთა რეჟი-

---

* პაველ აკსელროდი (Павел Аксельрод) (1850-1928) — რუსი მარქსისტი, რუსეთის იმპერიაში მარქსისტული ორგანიზაციების ერთ-ერთი დამფუძნებელი, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის „მენშევიკური“ ფრაქციის ერთ-ერთი ლიდერი (რედ. შენიშვნა).

** ფიოდორ დანი (Фёдор Дан) (1871-1947) — პოლიტიკოსი, ჟურნალისტი, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის „მენშევიკური“ ფრაქციის ერთ-ერთი ლიდერი, მუშათა საერთაშორისო ინტერნაციონალის ერთ-ერთი დამფუძნებელი (რედ. შენიშვნა).

მი მიემხრო, იყო „წვრილბურჟუაზიული ფუჭი სიტყვების რახარუხი და სისულელე, მეტი არაფერი“.[9]

მაგრამ, როცა ბოლშევიკების მიერ დემოკრატიის დათრგუნვაზე, განსაკუთრებით, არჩეული დამფუძნებელი კრების დათხოვნაზე მიდგა საქმე, კვლავ ლენინის გაკრიტიკებას შეუდგა. „ტროცკისა და ლენინის გამონახული წამალი — დემოკრატიის, როგორც ასეთის, განადგურება — იმ სენზე უარესია, რომელიც თითქოსდა უნდა განკურნონ“, წერდა ის.[10] იგი თავს ესხმოდა ბოლშევიკების სხვა მიდგომებსაც. თავად ქვემოდან ზემოთ წამოსული, საერთო-სახალხო რევოლუციის იდეის ერთგული იყო და მისი კრიტიკა სწორედ ამას ეფუძნებოდა. მტკიცედ სწამდა სპონტანურობისა და თავისთავადობის და უარყოფდა ბოლშევიკთა ზემოდან ქვემოთ მომავალ, ავანგარდისტულ* მიდგომას.

ბოლშევიზმის მემარცხენე კრიტიკა მან ამ შთამბეჭდავი ფრაზით შეაჯამა: „თავისუფლება, რომელიც განკუთვნილია მხოლოდ მთავრობის მხარდამჭერთათვის, მხოლოდ ერთი, რაც გინდ მრავალრიცხოვანი პარტიის წევრებისთვის, საერთოდ არაა თავისუფლება. თავისუფლება, ყოველთვის და მხოლოდ, ნიშნავს თავისუფლებას მისთვისაც, ვისაც განსხვავებული აზრი აქვს“.[11]

საბოლოოდ, ბოლშევიკებთან აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ლუქსემბურგი გერმანიის კომუნისტური პარტიის შექმნას უწყობდა ხელს. ის 1919 წლის იანვარში მოკლეს, ბერლინში

---

* ავანგარდისტული მიდგომა — რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის 1903 წლის კონგრესზე ვ. ლენინის მიერ წარმოდგენილი ხედვა, რომ პარტიაში უნდა შექმნილიყო, ე.წ. ავანგარდი, რომელიც დაგეგმავდა და განახორციელებდა საქმიანობას. ლენინის ხედვა ფაქტობრივად უარყოფდა პარტიულ დემოკრატიას. ლენინის ეს თეზა გახდა პარტიის ე.წ. „ბოლშევიკურ“ და „მენშევიკურ“ ფრაქციებად დაყოფის საწინდარი, რადგანაც „მენშევიკები“ იული მარტოვის მეთაურობით ემხრობოდნენ დემოკრატიზმსა და დეცენტრალიზმს (რედ. შენიშვნა).

სპარტაკისტთა აჯანყების დროს. რომ ეცოცხლა, იქნებ, კვლავაც დარჩენილიყო უშიშარ და დამოუკიდებელ ხმად, რომელიც ბოლშევიკებს გააკრიტიკებდა, ან, შესაძლოა, თავისი მეგობრის, კლარა ცეტკინის* მსგავსად, თანდათან შეჰგუებოდა პარტიულ დისციპლინას და გაჩუმებულიყო.

როზა ლუქსემბურგს საბჭოთა რუსეთში ჩასვლის შესაძლებლობა არ მისცემია. თუმცა, ბოლშევიკების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებიდან 2 წლის მერე ეს მოახერხა 47 წლის ბრიტანელმა ფილოსოფოსმა ბერტრან რასელმა**, ლეიბორისტული პარტიის დელეგაციის წევრის სტატუსით.

რასელი უკვე ცნობილი ფიგურა იყო, რაც აძლევდა არა მხოლოდ საბჭოთა ლიდერებთან შეხვედრის შესაძლებლობას (მას ლენინთან ერთი-ერთზე შეხვედრა ჰქონდა), არამედ მოგზაურობის და უბრალო ხალხის გაცნობის თავისუფლებასაც. ის, რაც მაშინ შეიტყო, შეაჯამა წიგნში „ბოლშევიზმის პრაქტიკა და თეორია“.[12] რასელს არ მოეწონა ის, რაც ნახა, და ამაზე არ გაჩუმდებოდა. „მე არ შემიძლია, შევუერთდე მიჩუმათების შეთქმულებას, რასაც რუსეთში ნამყოფი ბევრი დასავლელი სოციალისტი აუცილებლობად მიიჩნევს“, წერდა ის.[13] აი, როგორ აღწერს ის ბოლშევიკთა მიერ დაარსებულ „მუშათა სახელმწიფოს“: „ოფლით მოპოვებული გასამრჯელო, ზეგანაკვეთური საათები, სავალდებულო სამსახური ინდუსტრიაში, გაფიცვების აკრძალვა, ციხე მუქთახორობისთვის, ისედაც არასაკმარისი ულუფის შემცირება იმ ქარხნებში, რომლებშიც წარმოება მთავ-

* კლარა ცეტკინი (Clara Zetkin) (1857-1933) — გერმანელი მარქსიზმის თეორეტიკოსი, კომუნისტი, ქალთა უფლებებისათვის ბრძოლის ერთ-ერთი ლიდერი, გერმანიის რაიხსტაგის წევრი კომუნისტური პარტიიდან (რედ. შენიშვნა).

** ბერტრან რასელი (Bertrand Arthur William Rusel) (1872-1970) — ბრიტანელი ფილოსოფოსი, ლოგიკოსი და მათემატიკოსი, ლეიბორისტული პარტიის წევრი (რედ. შენიშვნა).

რობის მოლოდინზე ნაკლებია, ჯაშუშთა ლაშქარი, რომლებიც მზად არიან, მოახსენონ პოლიტიკური უკმაყოფილების ყველანაირი გამოვლენის შესახებ და უკმაყოფილოები ციხეში ჩაყარონ“. „ესაა იმ სისტემის რეალური სახე, რომელიც ჯერაც აცხადებს, რომ პროლეტარიატის სახელით მართავს“, ასკვნის ის.[14]

რასელი მოელოდა, რომ ყველაფერი კიდევ უფრო გაუარესდებოდა (ასეც მოხდა). „ჩემი აზრით, აი, რა მოხდება რუსეთში“, წერდა ის, „ჩამოყალიბდება ბიუროკრატიული არისტოკრატია, რომელიც ხელში ჩაიგდებს მთელ ძალაუფლებას და ზუსტად ისეთ მჩაგვრელ და სასტიკ რეჟიმს შექმნის, როგორიც კაპიტალიზმია“.[15] სინამდვილეში ბოლშევიკური სისტემა შეიძლება კაპიტალიზმზე *მეტად* მჩაგვრელი და სასტიკიც კი იყო. რუსეთში ნანახის მიუხედავად, რასელი მხარს უჭერდა ბრიტანეთის ლეიბორისტულ პარტიასა და *დემოკრატიული* სოციალიზმის ახლად გაჩენილ იდეას. „რუსული კომუნიზმი იქნებ დამარცხდა და ჩაიშალა, მაგრამ თავად სოციალიზმი არასოდეს მოკვდება“, წერდა ის.[16]

ახალ ბოლშევიკურ რეჟიმს იმხანად არა მხოლოდ სოციალისტები აკრიტიკებდნენ. ზოგი ყველაზე შეურიგებელი მემარცხენე კრიტიკოსი მას ანარქისტული მოძრაობიდან გამოუჩნდა. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი იყო ამერიკელი ემა გოლდმანი*. ბერტრან რასელის მსგავსად, გოლდმანმა გარკვეული ხანი დაყო საბჭოთა რუსეთში, სადაც ის ამერიკის შეერთებული შტატებიდან გამოძევების მერე გადაასახლეს. „ორწლიანმა გულმოდგინე შესწავლამ და კვლევა-ძიებამ დამარწმუნა, რომ ბოლშევიზმის მიერ რუსი ხალხისთვის მოტანილი უდიდესი სიკეთეები მხოლოდ ქაღალდზე არსებობს“, წერდა ის. ამ ქა-

* ემა გოლდმანი (Emma Goldman) (1869-1940) – ლიეტუვურ-ებრაული წარმოშობის ამერიკელი ანარქისტი რევოლუციონერი, მწერალი (რედ. შენიშვნა).

ღალდს „ეფექტიანი ბოლშევიკური პროპაგანდა ბრჭყვიალა საღებავებით აფერადებდა ევროპისა და ამერიკის ხალხების დასანახად. რეკლამირების ეს ჯადოქრები, ბოლშევიკები, ამეტებენ ყველაფერს, რაც კი აქამდე მსოფლიოს უნახავს. მაგრამ სინამდვილეში რუსმა ხალხმა ბოლშევიკური ექსპერიმენტით *ვერაფერი* ვერ მოიგო“.[17]

ბოლშევიკების მოწინააღმდეგე მორიგი მძლავრი ხმა გახლდათ შრომის ამერიკული ფედერაციის ლიდერი სემუელ გომპერსი*. მართალია, გომპერსი ამერიკის სოციალისტურ პარტიას მხარს არასოდეს უჭერდა, მაგრამ საერთაშორისო ლეიბორისტული მოძრაობის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ფიგურა იყო. ის ბოლშევიკური დიქტატურის ადრეულ და შეურიგებელ მოწინააღმდეგედ მოგვევლინა.

1921 წელს 71 წლის გომპერსმა უილიამ ინგლიშ უოლინგთან ** თანაავტორობით დაწერა წიგნი რუსეთის შესახებ. უოლინგი, [ამერიკის] სოციალისტური პარტიის ერთ-ერთი ყოფილი ლიდერი, რევოლუციამდე ნამყოფი იყო რუსეთში და მასზე ორი წიგნიც დაწერა. უოლინგი სოციალისტური პარტიიდან პირველი მსოფლიო ომის დროს გამოვიდა და, როგორც რუსეთის ახალი რეჟიმის მიმართ კრიტიკულად განწყობილმა ადამიანმა, გომპერსის სახით თანამოაზრე შეიძინა.

---

* სემუელ გომპერსი (Samuel Gompers) (1850-1924) — ბრიტანული წარმოშობის ამერიკელი მემარცხენე აქტივისტი, მუშათა გაერთიანებების ორგანიზატორი, შრომის ამერიკული ფედერაციის დამფუძნებელი და ლიდერი (რედ. შენიშვნა).

** უილიამ ინგლიშ უოლინგი (William English Walling) (1877-1936) — ამერიკული მუშათა მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, მუშა ქალთა პროფესიული გაერთიანების დამფუძნებელი, სოციალისტი რესპუბლიკელი, ადამიანის უფლებების დამცველი, ფერადკანიანთა უფლებების დაცვის ეროვნული ასოციაციის (National Association for the Advancement of Colored People (NAACP)) თავმჯდომარე (რედ. შენიშვნა).

წიგნს ერქვა „რასაც თავადვე ამბობენ: სოვიეტიზმის მხილება და ბრალდება“ და ძირითადად შედგებოდა ინგლისურად გადათარგმნილი საბჭოთა დოკუმენტებისგან. გომპერსისა და უოლინგის დასკვნა იყო: „ბოლშევიზმსა და ორგანიზებულ შრომას შეუძლებელია, რამე საერთო ჰქონდეთ“.[18]

ეს ავტორები იყვნენ ერთ-ერთი პირველები, რომლებმაც ბოლშევიკური რეჟიმის კრიტიკა უშუალოდ დაუკავშირეს ცოტა ხნის წინანდელ შეიარაღებულ შეჭრას საქართველოში და იქ საბჭოთა წყობილების დამყარებას. წიგნს ჰქონდა დანართი სათაურით „თურქულ-ბოლშევიკური შეტევა საქართველოს მშრომელთა მთავრობაზე 1921 წელს“.

გომპერსსა და უოლინგს მოჰყავდათ ციტატები საქართველოს ხელმძღვანელთა მიერ საერთაშორისო მუშათა მოძრაობისთვის გაგზავნილი მოწოდებიდან და წერდნენ, რომ „ევროპის მთელმა ლეიბორისტულმა და სოციალისტურმა პრესამ, როგორც ზომიერმა მემარჯვენეებმა, ასევე ორთოდოქსმა მარქსისტებმა და ცენტრისტულმა რევოლუციონერებმა, მცირე გამონაკლისის გარდა, ეს დაპყრობა უხეში იმპერიალიზმის გამოვლინებად შეაფასეს. მაგალითად, ბერლინური *დი ფრაიჰაიტი*, დამოუკიდებელ სოციალისტთა ორგანო, გმობს საბჭოეთის მოქმედებას საქართველოს წინააღმდეგ, როგორც ‘მხეცურ იმპერიალისტურ სახელმწიფო გადატრიალებას’“.[19]

როგორც ამ წიგნში თანდათან დავინახავთ, 1921 წელს საბჭოეთის შეჭრა დამოუკიდებელ საქართველოში მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა ლეიბორისტული და მემარცხენე მოძრაობების ნაწილისა და კომუნისტური რეჟიმის დაპირისპირებაში.

საბჭოთა რეჟიმის ზოგი ადრეული მემარცხენე კრიტიკოსი არ არის ისე ცნობილი, როგორც მარტოვი, ლუქსემბურგი, გოლდმანი, რასელი ან გომპერსი იყვნენ. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ფრანგი ესპერანტისტი ეჟენ ლანტი, რომელმაც 1921 წლის აგვისტოში დააარსა მემარცხენე ორიენტაციის ორ-

განიზაცია *სენაციეცა ასოციო ტუტმონდა* (SAT). SAT-ის დაარსებიდან ერთი წლის მერე ლანტი, უკვე იმედგაცრუებული იმით, რომ კომუნისტურმა ინტერნაციონალმა გადაწყვიტა, ესპერანტო ოფიციალურ ენად არ მიეღო, პირველად ჩადის საბჭოთა რუსეთში. რაც ნახა, სანუგეშოდ არ მოეჩვენა და საბჭოთა სისტემის შესახებ კრიტიკული სტატიების სერია დაწერა. „ვერავითარი პოლიტიკური მოსაზრება ვერ მაიძულებს, გავჩუმდე იმ უმძიმეს შთაბეჭდილებებზე, რაც რუსეთიდან გამომყვა“, წერდა ის.[20]

ჟურნალისტი მაშა კარპი წერს: „იმის გამოისობით, რაც [რუსეთში] საკუთარი თვალით ნახა, ლანტი იყო იმ მცირერიცხოვან დასავლელ მემარცხენეთაგან ერთ-ერთი, რომელთაც 1920-იანების ბოლოს სრულად ჰქონდათ გაცნობიერებული [რევოლუციის] სავალალო შედეგები“. ლანტიმ თავისი მოსაზრებები გაუზიარა მაშინ პარიზში მცხოვრებ ინგლისელ ახალგაზრდა კაცს და პირველმა დაინახა „ამ ახალგაზრდა კაცის ფიქრებში ეჭვის მარცვლები რუსეთის რევოლუციის წარმატების თაობაზე“.

ეს ახალგაზრდა გახლდათ ერიკ ბლერი, დღეს ის ჯორჯ ორუელის სახელით უფრო არის ცნობილი.

პროლეტარიატის დიქტატურა

1859 წელს, ბოლშევიკების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებამდე ათწლეულებით ადრე, კარლ მარქსი განმარტავდა, თუ რატომ იყო შეუძლებელი რუსეთში სოციალისტური რევოლუცია. 1859 წელს გამოქვეყნებული წიგნიდან „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა“ ხშირად არის ციტირებული მისი ეს მოსაზრება:

> განვითარების გარკვეულ ეტაპზე საზოგადოების მატერიალური წარმოების ძალები უპირისპირდება არსებულ საწარ-

> მოო ურთიერთობებს... წარმოებითი ძალების განვითარების ფორმებიდან ეს ურთიერთობები მათ ბორკილებად გადაიქცევა. მაშინ დგება სოციალური რევოლუციის ჟამი.[21]

„სოციალური რევოლუციის ჟამი“, რომელსაც ყველა სოციალისტი ნატრობდა, მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა დამდგარიყო, როდესაც კაპიტალიზმი იმდენად მომწიფდებოდა, რომ შემდგომ განვითარებას გადაეღობებოდა გზაზე. 1917 წლისთვის მთელი მსოფლიოს მარქსისტებს ესმოდათ, რომ, თუ ისეთი ქვეყნები, როგორიცაა გერმანია ან ბრიტანეთი, შეიძლებოდა XX საუკუნის დასაწყისში მომწიფებული ყოფილიყო სოციალისტური რევოლუციისთვის, რუსეთი, თითქმის დანამდვილებით, არ იყო ამისთვის მზად.



2. კარლ კაუცკი

1917 წლამდე რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში კარლ კაუცკი მსოფლიოში ყველაზე გავლენიანი მარქსისტი მწერალი იყო. 1909 წელს გამოცემულ მის წიგნში „გზა ძალაუფლებისკენ“ შეჯამებული იყო იდეები, რომლებსაც იმ დროს ყველა მარქსისტი ერთსულოვნად იზიარებდა. ამ წიგნში მას მოჰყავდა ციტატა ადრე, 1904 წელს დაწერილი საკუთარი სტატიიდან: „რუსეთში რევოლუცია ჯერჯერობით ვერ შეძლებს სოციალისტური რეჟიმის ჩამოყალიბებას. ამ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა ამისთვის მეტად მოუმწიფებელია“.[22] ეს მოსაზრება არ იყო სადავო 1904 ან 1909 წელს. როგორც კაუცკი მოგვიანებით აღნიშნავდა, ყველა, ვინც მას შემდგომ აკრიტიკებდა — და ის გამორჩევით ასახელებდა ლენინს, ტროცკისა და ლუქსემბურგს — იმ წლებში იზიარებდნენ მის წიგნში „გზა ძალაუფლებისკენ“ გამოთქმულ მოსაზრებებს.

კაუცკი წამყვანი თეორეტიკოსი იყო გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიასა (სპდ) და, შესაბამისად, მეორე ინტერნაციონალში, რომელიც მთელი მსოფლიოს სოციალ-დემოკრატიულ და ლეიბორისტულ პარტიებს აერთიანებდა. იყო *დი ნოიე ცაიტის*, მსოფლიოს მოწინავე სოციალისტური ჟურნალის, დამფუძნებელი რედაქტორი და მარქსიზმის თემაზე მრავალი უმნიშვნელოვანესი წიგნის ავტორი. რუსი მარქსისტები, მათ შორის ლენინი, კაუცკის თავიანთ მასწავლებლად აღიარებდნენ. მისი წიგნები თარგმნილი იყო რუსულად და უამრავი მკითხველი ჰყავდა, ხოლო ბევრი სოციალ-დემოკრატი — ბოლშევიკებიცა და მენშევიკებიც — თავს მის მოწაფეებად მიიჩნევდა.[23]

კაუცკის უაღრესად აინტერესებდა რუსეთი. როგორც ორთოდოქს მარქსისტს — შესაძლოა, იმ დროის *ყველაზე* ორთოდოქს მარქსისტს — კაუცკის ესმოდა, ქვეყანაში სოციალისტური რევოლუცია რომ მოხდეს, მან ჯერ კაპიტალიზმის ფაზა უნდა გაიაროს. თავის ნაწერებში კაუცკი გამოკვეთდა სოციალიზმისთვის აუცილებელ წინაპირობებს, რომელთა შორის ერთ-ერთი

ინდუსტრიაში დასაქმებული მუშათა კლასის (პროლეტარიატის) სიმწიფე იყო. 1920 წელს წიგნის „გზა ძალაუფლებისკენ“ ხელახალი გამოცემის შესავალში ის გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ რუსეთი *არცერთ* ამ კრიტერიუმს არ აკმაყოფილებდა და რომ ბოლშევიკებმა „ყაზარმული სოციალიზმის“ რაღაც ფორმა შექმნეს.

კაუცკი, ყველა სხვა სოციალისტის მსგავსად, გაახარა 1917 წლის თებერვალში რუსეთში ცარისტული რეჟიმის დამხობამ. *დი ნოიე ცაიტში* კაუცკი მიესალმებოდა რევოლუციას — „ფეოდალიზმის“ გადმონაშთის მოსპობას, დემოკრატიული ინსტიტუციების შექმნასა და დემოკრატიული თავისუფლებების შემოღებას, ასევე, ქვეყნის გაცხადებულ სურვილს, სწრაფად დაესრულებინა მსოფლიო ომი. კაუცკიმ გერმანიის მთავრობას მოუწოდა, ამის პასუხად რუსეთისთვის ხელსაყრელი სამშვიდობო პირობები შეეთავაზებინა. ეს თხოვნა უგულებელყოფილი იქნა. თუმცა, მისი აღტაცება რუსეთის მოვლენების გამო მკვეთრად შესუსტდა, როდესაც ნოემბრის სახელმწიფო გადატრიალებით ძალაუფლება ხელში ბოლშევიკებმა ჩაიგდეს.

XX საუკუნის განმავლობაში ბევრი სოციალისტის ცხოვრებაში შეგვიძლია დავასახელოთ ზუსტი თარიღი, როდესაც მათ რუსეთის საბჭოთა რეჟიმზე გული გაუტყდათ. მაგალითად, მთელ მსოფლიოში ათასობით ადამიანმა დატოვა კომუნისტური პარტიები 1956 წელს, უნგრეთში წითელი არმიის შეჭრის მერე. სხვებს ილუზიები კომუნიზმზე მაშინ დაემსხვრათ, როდესაც სტალინმა 1939 ხელი მოაწერა ავადსახსენებელ პაქტს ჰიტლერთან. ტროცკისტები სტალინის რეჟიმს კიდევ უფრო ადრე განუდგნენ.

კაუცკი არ დალოდებია 1930-იანების საჩვენებელ სასამართლო პროცესებს, 1932-33 წლების ჰოლოდომორს უკრაინაში ან 1921 წელს საქართველოს დაპყრობას. ლენინთან და ბოლშევიკებთან მისი დაპირისპირება წინ უსწრებს 1918 წლის იანვარში დამფუძნებელი კრების გარეკვასაც, ჩეკას დაარსებასაც

1917 წლის დეკემბერში და რეპრესიებს იმ რუსი სოციალისტების მიმართ, ვინც ბოლშევიკების რეჟიმს მხარი არ დაუჭირა.

კაუცკიმ თავისი პირველი მოსაზრებები რუსეთში სახელმწიფო გადატრიალებიდან სულ რაღაც ერთ კვირაში გამოაქვეყნა მემარცხენე მიმართულების გაზეთში *ლაიფციგერ ფოლკსცაიტუნგი*, სტატიაში „ბოლშევიკური აჯანყება“. მისი აზრით, რუსეთის ეკონომიკა მეტისმეტად განუვითარებელი, ხოლო მუშათა კლასი მეტისმეტად მცირერიცხოვანი იყო საიმისოდ, რომ სოციალისტური რევოლუცია მომხდარიყო. ქვეყანა ამისთვის მზად არ იყო და შედეგად კარგი არაფერი გამოვიდოდა. სოციალისტებს ეს არ უნდა ახარებდეთო, წერდა კაუცკი. როგორც ჩანდა, სოციალისტური უტოპიის აშენების ნაცვლად, ბოლშევიკური გადატრიალება სოციალურ და პოლიტიკურ ქაოსს გამოიწვევდა და გზას გაუხსნიდა კონტრრევოლუციას, რომელიც თებერვლის რევოლუციის მთელ ნამდვილ მიღწევებს გაანადგურებდა.

იმას, რომ კაუცკი ლენინის რევოლუციას თავიდანვე სკეპტიკურად უყურებდა, ჩვენ ვიგებთ არა მხოლოდ *ლაიფციგერ ფოლკსცაიტუნგისთვის* დაწერილი მისი სტატიიდან, არამედ იმ წერილითაც, რომელიც მან მიიღო ცნობილი ავსტრიელი სოციალ-დემოკრატისგან, ოტო ბაუერისგან*. წერილი დაწერილი იყო 24 ნოემბერს. ბოლშევიკების მიერ ხელისუფლებაში მოსვლიდან ორ კვირაზე ცოტა მეტი იყო გასული.

რუსეთში ცოტა ხნის წინ ნამყოფი ბაუერი კაუცკის უზიარებს შეშფოთებას იმის გამო, რომ ბოლშევიკები ვერ ახერხებდნენ კოალიციის შეკვრას სხვა სოციალისტებთან, ასევე, სხვა პრობლემების თაობაზე. „მე თქვენსავით პესიმისტურად არ ვარ გან-

* ოტო ბაუერი (Otto Bauer) (1881-1938) — ავსტრიელი მარქსისტი, სოციალ-დემოკრატი, თეორეტიკოსი, ავსტრიის პარლამენტის წევრი, ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრი (1918-1929). მის თეორიულ ნაშრომებში დიდი ადგილი უკავია სოციალისტურ სისტემაში მცირე ერების უფლებების დაცვის საკითხს (რედ. შენიშვნა).

წყობილი და ჯერ კიდევ მიმაჩნია, რომ არის რეალური შესაძ-ლებლობა, საბოლოოდ ყველაფერი სასიკეთოდ დამთავრდეს“, წერდა ბაუერი.[24]

როგორც აღმოჩნდა, საბოლოოდ ბოლშევიკური რევოლუ-ციისთვის ყველაფერი სასიკეთოდ არ დამთავრდა და კაუც-კი იყო ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვანი სოციალისტებისგან, რომელიც ამას დასაწყისიდანვე მიხვდა. მომდევნო თვეებში ბოლშევიკების შესახებ ეჭვები სულ უფრო გაუღრმავდა. 1918 წლის აგვისტოში კაუცკიმ *სოციალისტიშე აუსლანდპოლიტიკში* გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც ის სოციალ-დემოკრატებს მო-უწოდებდა, შეჰბრძოლებოდნენ ბოლშევიზმს. ამის შემდეგ კაუც-კის სტატიები *სოციალისტიშე აუსლანდპოლიტიკში* და *ლაიფ-ციგერ ფოლკსცაიტუნგში* შეიკრიბა და გამოიცა წიგნის სახით, პროვოკაციული სათაურით „პროლეტარიატის დიქტატურა“ (Die Diktatur des Proletariats). ეს იყო უცხოელი მარქსისტის მხრი-დან საბჭოთა რეჟიმზე პირველი თავდასხმა, რომელსაც მთელი წიგნი ეძღვნებოდა.

და თავდასხმა მოდიოდა არა ვიღაც უბრალო მარქსისტის-გან — კაუცკი „მარქსიზმის პაპი“ იყო. თუმცა, თავისი ხანგრძლი-ვი მოღვაწეობის ამ ეტაპზე კაუცკის აღარ გააჩნდა ოდინდელი ავტორიტეტი. პირველი მსოფლიო ომის პერიოდში, რომელსაც კაუცკი ეწინააღმდეგებოდა, ის გამოვიდა ომის მხარდამჭერი გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან (სპდ), და და-მოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის (უსპდ) წევრი გახდა. სპდ-ს ხელმძღვანელობამ მას ჩამოართვა ძველი პლატ-ფორმა — ჟურნალი *დი ნოიე ცაიტ*.

შედეგად, კაუცკის სტატიებსა და წიგნს არ გამოუწვევია ის ზემოქმედება, როგორსაც ის მოელოდა. მოირა დონალდი გან-მარტავს: „კაუცკის ეს კრიტიკა ომამდე რომ გამოეთქვა, მთელი სოციალისტური მსოფლიო ყურს დაუგდებდა. მაგრამ... 1917

წლისთვის გავლენის ბალანსი შეიცვალა და კაუცკის შეხედულებებს ძველი წონა აღარ ჰქონდა“.[25] 63 წლის ასაკში ის აღარ იყო მარქსისტული მსოფლმხედველობის შეუვალი ავტორიტეტი — თუმც გავლენიანი მაინც ეთქმოდა. „მას ჯერაც ყურს უგდებდნენ“, განაგრძობს დონალდი, „საიმისო გავლენა კი შერჩენოდა, რომ მისი ნათქვამის იგნორირება შეუძლებელი ყოფილიყო. ის, რომ ლენინმაც და ტროცკიმაც — ბოლშევიკური მთავრობის მეთაურებმა — საჭიროდ ჩათვალეს, ძვირფასი დრო დაეთმოთ კაუცკის მოსაზრებების კრიტიკის დაწერისა და გამოქვეყნებისთვის — საკმარისად მოწმობს იმ დროს თავად კაუცკის ფიგურის მნიშვნელობაზეც და იმაზეც, მისი კრიტიკა როგორ მოხვდა გულზე ახალ ხელისუფლებას“.[26]

როგორც კაუცკის მიმართ კრიტიკულად განწყობილი ავტორი წერს, 1918 წელს გამოცემული ეს წიგნი იქცა „იმ მარქსისტების სახარებად, რომლებიც უარყოფენ ბოლშევიკურ რევოლუციურ პრაქტიკას“, რადგან ის „შეიცავდა ალბათ ყველაზე ამომწურავ, თუმც, ამავე დროს, ყველაზე მოსაწყენ დაცვას იმისა, რაც შეიძლება დემოკრატიულ მარქსისტულ პოზიციად მოვიხსენიოთ“.[27] კაუცკის შვილიშვილმა ჯონ კაუცკიმ, ასევე ცნობილმა მეცნიერმა, „პროლეტარიატის დიქტატურა“ უფრო კეთილგანწყობით შეაჯამა:

> ბოლშევიკების მიერ რუსეთში ძალაუფლების ხელში ჩაგდებისთანავე კარლ კაუცკი ნათლად ხედავდა და უშიშრად აცხადებდა, რომ ეს არ იყო და ვერ იქნებოდა პროლეტარული ან სოციალისტური, ანუ დასავლური კაპიტალიზმის საწინააღმდეგო, რევოლუცია. და, როგორც მისი თაობის ავტორიტეტულ მარქსისტს, შეეძლო, დამაჯერებლად უარეყო პრეტენზიაც, თითქოს ეს რევოლუცია მარქსისტული ყოფილიყო. სწორედ ეს მოსაზრება, რომელიც ემოციებზე კი არ თამაშობს, არამედ მშვიდად და აუღელვებლად მიმართავს საღ გონებას, აქცევს

„პროლეტარიატის დიქტატურას“ მარქსიზმისა და სოციალისტური მოძრაობის ისტორიის მნიშვნელოვან დოკუმენტად, ასევე, იმ გზაჯვარედინის ნიშანსვეტად, სადაც კომუნიზმისა და დემოკრატიული სოციალიზმის გზები გაიყარა.[28]

ამბობენ, რომ ლენინის გარდაცვალებისას 1924 წელს მის ბიბლიოთეკაში დაცულ წიგნებს შორის ყველა რუს თუ უცხოელ ავტორთაგან ყველაზე მეტი წიგნი კაუცკის დაწერილი იყო — თუ არ ჩავთვლით საკუთარ თხზულებებს. როგორც მოირა დონალდი წერს, „იმ დროის უდიდესი მარქსისტი თეორეტიკოსის მიერ ბოლშევიკური რევოლუციის ესოდენ არაორაზროვანი, ესოდენ კატეგორიული და მყისიერი უარყოფა ბოლშევიკების ლიდერებისთვის არასასიამოვნო ელდა უნდა ყოფილიყო“.[29]

ლენინისთვის ეს ნამდვილად აღმოჩნდა ელდა. არსებობს ცნობა, რომ, როდესაც ლენინმა წაიკითხა კაუცკის 1918 წლის აგვისტოს სტატია *სოციალისტიშე აუსლანდპოლიტიკში*, „გაცეცხლდა“. როგორც ვიგებთ, მან ფაქტობრივად ყველაფერი გვერდზე გადადო, რათა კაუცკის პასუხად მთელი წიგნი დაეწერა, და ამისთვის ყოველდღე გვიან ღამემდე მუშაობდა.[30] კაუცკის ხნიერი ასაკისა და შემცირებული გავლენის მიუხედავად, ლენინმა და ბოლშევიკებმა მისი კრიტიკა სერიოზულად მიიღეს. ლენინის წიგნის სათაური „პროლეტარული რევოლუცია და რენეგატი კაუცკი“ იძლეოდა კრიტიკის საერთო ტონს, რომელიც შეფასებული იქნა, როგორც „გულმოსული ლანძღვა“.[31]

ჯონ კაუცკის აზრით, ლენინი „ორთოდოქს მარქსისტობას იჩემებდა იმ იმედით, რომ ამით ევროპული სოციალისტური პარტიების გულს მოიგებდა... და ისინი მის რევოლუციას მხარს დაუჭერდნენ. ამის მისაღწევად საჭირო იყო, გაენადგურებინა კაუცკის, როგორც მარქსისტის, სახელი. უეჭველია, რომ კაუცკისთან პოლემიკისთვის შერჩეული უაღრესად შეურაცხმყოფელი კილო ამ მიზნის მიღწევას ემსახურებოდა, ამასთანავე, მის პირად წყენასაც გამოხატავდა“.[32] ამ კილოს საჩვენებლად მას

ლენინის წიგნიდან რამდენიმე ფრაზა მოჰყავს: „ჩამომჭკნარი გიმნაზიის მასწავლებელი“, „მომაბეზრებლად ცოხნის ერთსა და იმავეს“, „ლაყაფი“, „ეს ყბედი“, „ბურჟუაზიის ლაქია“ და „წარმოუდგენელი სიბრიყვე ან ძალიან ტლანქი ტყუილი“. და ეს მხოლოდ მცირე ნიმუშია. წიგნში ბევრად მეტს იპოვით.[33]

ლენინმა ბოლშევიკების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებიდან ხუთ წელიწადზე ცოტა მეტი იცოცხლა და მთელი ამ ხნის განმავლობაში კაუცკისთვის გაცემულ პასუხზე უფრო ვრცელი აღარაფერი დაუწერია. მან კაუცკის თავდასხმით გამოჩენილი შესაძლებლობა გამოიყენა იმისათვის, რომ დაეწერა ის, რასაც უწოდებენ „ლენინის ერთადერთ სერიოზულ მცდელობას, გაემართლებინა საბჭოთა რეჟიმი მარქსისტული თეორიის თვალსაზრისით“.[34]

კაუცკის წიგნი აუცილებელი ნაწილობრივ იმიტომაც იყო, რომ იმ დროს ძალიან ცოტა მარქსისტი თუ გაბედავდა, ბოლშევიკებს დაჰპირისპირებოდა. როზა ლუქსემბურგის წიგნი, რომელშიც ის ბოლშევიკებს აკრიტიკებდა, მისი სიკვდილიდან სამი წლის მერე გამოქვეყნდა. კაუცკი კი ბოლშევიკებს ღიად და მაშინვე დაუპირისპირდა.

კაუცკიმ ლენინს პასუხი გასცა 1919 წლის ზაფხულში გამოქვეყნებული წიგნით „ტერორიზმი და კომუნიზმი“ (Terrorismus und Kommunismus). მოირა დონალდის თქმით, ეს იყო „ბოლშევიკურ რეჟიმზე უფრო პირდაპირი შეტევა, თუმცა წიგნის პირველი ორი მესამედი ეძღვნება რევოლუციის ბუნების ზოგად განხილვას და პარიზის კომუნის დეტალურ ისტორიულ ანალიზს. თუკი საწყისი ნაწილი ტიპური კაუცკისეული სქოლასტიკის ნიმუში იყო, ბოლშევიკური რეჟიმისთვის მიძღვნილ თავებში მისთვის უჩვეულო დაუნდობლობით უტევდა ბოლშევიკურ ხელმძღვანელობას. თუ ადრე კაუცკი ხაზს უსვამდა ძნელ პირობებს, რომელშიც ბოლშევიკები მუშაობდნენ — ნაადრევად მოწყობილი რევოლუციის გამოისობით — „ტერორიზმსა და კომუნიზმში“

ის მათ უკვე აღარ ინდობდა“.[35] დონალდი ამგვარად აჯამებს კაუცკის მეორე წიგნის მნიშვნელოვნებას:

> ეს ანალიზი, რომლის გამოქვეყნებისას ქვეყნის სათავეში ბოლშევიკების მოსვლიდან ორი წელიწადიც არ იყო გასული, გახლდათ ბოლშევიკური რეჟიმის უშეღავათო ბრალდება და გასაოცრად შორსმჭვრეტელური ახსნა სულ ადრეულ პერიოდში, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ კაუცკის არ ჰქონდა რუსეთის სიტუაციის უშუალო, პირველწყაროდან მიღებული ცოდნა. ახალი კლასობრივი საზოგადოების კაუცკისეული ანალიზი, ტერმინ „სახელმწიფო კაპიტალიზმის“ გამოგონება და მის მიერ ბურჟუაზიის როლის ხაზგასმა – ეს ყველაფერი წინ უსწრებდა მომავალ დებატებს საბჭოთა საზოგადოების ბუნების შესახებ. „ტერორიზმისა და კომუნიზმის“ ეს ასპექტები სულ ცოტა, არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე კაუცკის მიერ ბოლშევიკებისთვის პირდაპირი ბრალის დადება ტერორიზმში.[36]

თუმც ლენინს აღარ შეეძლო, პასუხი გაეცა კაუცკის მეორე წიგნზე „ტერორიზმი და კომუნიზმი“, ორმა მსხვილი კალიბრის ბოლშევიკმა შეადგინა კაუცკის საპასუხო წიგნები. პირველი იყო ლევ ტროცკი, იმჟამად მეთაური წითელი არმიისა, რომელიც სხვადასხვა თეთრ არმიებთან სისხლისმღვრელ სამოქალაქო ომში იყო ჩაბმული. 1931 წლის ინგლისური გამოცემისთვის – სტალინის მერე საბჭოთა კავშირიდან მისი გაძევების მერე – ტროცკი განმარტავდა, თუ როგორ დაწერა ეს წიგნი:

> წიგნი დაიწერა 1920 წელს სამხედრო მატარებლის ვაგონში, სამოქალაქო ომის ქარცეცხლში. მკითხველს ეს გარემოება არ უნდა ავიწყდებოდეს, თუ სურს, სწორად გაიგოს ამ წიგნის არა მარტო ძირითადი მასალა, არამედ მისი პირქუში ალუზიებიც და, განსაკუთრებით, კილო, რომლითაც ის არის დაწერილი.[37]

ეს ლამის მობოდიშებად ჟღერს, თითქოს თავადაც ახალი სტალინისტური რეჟიმის მსხვერპლად ქცეულ ტროცკის ეჭვი შეჰპაროდეს თავის უწინდელ თავდაჯერებაში, რომლითაც ამ რეჟიმს იცავდა მისი პირველი ნაბიჯების გადადგმის დროს. კაუცკის იგი არასოდეს შერიგებია, თუმცა საკუთარმა მწარე გამოცდილებამ შესაძლოა რაღაც ასწავლა. ტროცკიმ თავის წიგნს სათაურად იგივე დაარქვა, რაც კაუცკიმ: „ტერორიზმი და კომუნიზმი“. ის 1920 წელს გამოიცა. როგორც დონალდი აღნიშნავდა, „თავად ფაქტი, რომ ტროცკიმ ამ წიგნის დაწერას დრო შეალია იმ უაღრესად კრიტიკულ ჟამს, გვიჩვენებს, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ბოლშევიკები კაუცკის კრიტიკას“.[38] „ტროცკის პასუხის კილო ნაკლებად ღვარძლიანი და ნაკლებად პირადულია, ვიდრე ლენინისა“, წერდა ის, „მას კაუცკის შეურიგებელი კრიტიკის ნაკლებობას ვერ დავწამებთ, თუმცა ეს უფრო დამაჯერებელი დაცვაა ბოლშევიკური რევოლუციის, ლენინის უსაგნო ლანძღვა-გინებისგან განსხვავებით“.[39]

კიდევ ერთმა, შედარებით ნაკლებად ცნობილმა ბოლშევიკმა, კარლ რადეკმა*, რომელსაც ამ წიგნში ქვემოთაც შევხვდებით, ასევე დაწერა კაუცკის გესლიანი კრიტიკა.

კაუცკიმ, როგორც მანამდე ლენინის, არც ტროცკის პასუხი დატოვა უყურადღებოდ. 1921 წელს მან გამოაქვეყნა წიგნი „დემოკრატიიდან სახელმწიფო მონობამდე: დაპირისპირება ტროცკისთან“ (Von der Demokratie zur Staats-Sklaverei; eine Aus-

---

* კარლ რადეკი (Карл Радек/ Зобельзон) (1885-1939) – დაიბადა დღევანდელ ქ. ლვივში, რომელიც იმ დროს ავსტრია-უნგრეთს მიეკუთვნებოდა. ებრაული წარმოშობის პოლიტიკოსი, ჟურნალისტი, გერმანიის, პოლონეთისა და ლიეტუვის სოციალ-დემოკრატიული პარტიების აქტივისტი, გერმანიის კომუნისტური პარტიის წევრი, საბჭოთა რუსეთის კომუნისტური პარტიის წევრი, კომუნისტური ინტერნაციონალის ერთ-ერთი ორგანიზატორი. 1937 წელს დააპატიმრეს და მიუსაჯეს 10-წლიანი გადასახლება, სადაც გარდაიცვალა (რედ. შენიშვნა).

einandersetzung mit Trotzki). სიცოცხლის ბოლომდე, კიდევ ორი ათეული წლის განმავლობაში, კაუცკი ბევრს წერდა საბჭოთა რუსეთზე კრიტიკული, მარქსისტული თვალთახედვიდან.

კაუცკის მიმართ არაკეთილგანწყობილი ერთი მწერალი მის „პროლეტარიატის დიქტატურაზე“ ასე წერდა: „წიგნის გამოცემიდან ჰოლანდიაში კაუცკის ეულ სიკვდილამდე ოცი წელი გავიდა და ამ ხნის განმავლობაში *დი ნოიე ცაიტის* ყოფილი რედაქტორი შეპყრობილი იყო ლენინისა და მისი მემკვიდრეების მიერ სოციალიზმის „ღალატის“ თემით, რომელსაც უამრავ წიგნსა და გაუთავებელ სტატიებში განიხილავდა... სულ უფრო მეტი მარქსისტი ინტელექტუალისა და რევოლუციონერისთვის ის იყო გერმანელი სოციალ-დემოკრატი, რომელმაც მარქსის მემკვიდრეობას უღალატა“.[40] მაგრამ კაუცკი მარქსს არ ღალატობდა. თავისი შეხედულება რუსეთზე სრულიად მკაფიოდ ჰქონდა გამოთქმული 1909 წელს და იმას, რასაც მაშინ წერდა, ლამის ყველა მარქსისტი იზიარებდა. 1920 წელს მისი წიგნის „გზა ძალაუფლებისკენ“ ახალი გამოცემის წინასიტყვაობაში კაუცკი რუსეთში ახალი ბოლშევიკური რეჟიმის შესახებ წერდა:

> თავის საწყისებთან ანარქო-სინდიკალისტური (პრაქტიკულად, და არა თეორიულად) ის, ვითარების ძალით, ყაზარმული სოციალიზმის უზარმაზარ სისტემად ჩამოყალიბდა. რუსეთის განვითარების დონე სხვა არანაირი სოციალიზმის შესაძლებლობას არ იძლევა.
>
> მე უმცირესობის დიქტატურის იდეას ჯერ კიდევ 1909 წელს ვეწინააღმდეგებოდი. რუსეთისთვის ამგვარი სახის დიქტატურა შესაძლებლად მიმაჩნდა, მაგრამ არა როგორც საშუალება სოციალიზმის მისაღწევად, რომლისთვისაც რუსეთი ნამდვილად არ არის მზად.[41]

ბოლშევიკური სახელმწიფო გადატრიალების პირველ წლებში კაუცკის თვალსაზრისი რუსეთზე პოპულარული არ იყო. უამ-

რავი სოციალისტი გაწევრიანდა თავიანთი ქვეყნების კომუნისტურ პარტიებში და ისინიც კი, ვინც ძველ პარტიებში რჩებოდნენ, თანაუგრძნობდნენ ლენინისა და ტროცკის მცდელობებს.

ეს სიტუაცია თანდათან შეიცვლება და საქართველო, ეს პატარა, რუსეთის იმპერიის განაპირა ქვეყანა, ამ პროცესში გასაკვირად მნიშვნელოვან როლს ითამაშებს. 1920 წელს წამყვანი სოციალისტების და, მათ შორის, კარლ კაუცკის ვიზიტმა საქართველოში სათავე დაუდო სასწორის საბჭოეთის წინააღმდეგ გადახრას.

ამ სოციალისტმა ლიდერებმა აღმოაჩინეს, რომ თურმე სხვა ტიპის რევოლუცია შესაძლებელი იყო.

სხვანაირი რევოლუცია შესაძლებელი იყო

1956 წელს, პოზნანში მუშათა აჯანყების მერე, რომელიც პოლონეთის კომუნისტურ რეჟიმს დამხობით ემუქრებოდა, ვარშავის უნივერსიტეტის ახალგაზრდა პროფესორმა დაწერა ესეი და განცხადებების დაფაზე მიაკრა.

ესეის სათაური იყო „რა არის სოციალიზმი?“ და, პარადოქსულია, მაგრამ შეიცავდა გრძელ ჩამონათვალს იმისა, თუ რა არ არის სოციალიზმი. ხელმძღვანელობამ ფურცელი სასწრაფოდ ჩამოახსნევინა, მაგრამ წერილი წლების განმავლობაში ვრცელდებოდა იატაკქვეშა გზით და ბოლოს და ბოლოს, კომუნისტური რეჟიმის დაცემის მერე, გამოქვეყნდა პოლონეთში. ესეის ავტორი იყო ლეშეკ კოლაკოვსკი, რომელიც XX საუკუნის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფილოსოფოსი და სამტომიანი შრომის „მარქსიზმის მთავარი მიმართულებები“ ავტორი გახდა.

კოლაკოვსკი წერდა, რომ „სოციალიზმი არ არის საზოგადოება, რომელშიც უდანაშაულო ადამიანი სახლში ზის და ელის, პოლიცია როდის მიაკითხავს“. არც „საზოგადოება, რომელშიც

ზოგი უბედურია იმიტომ, რომ ამბობს იმას, რასაც ფიქრობს, დანარჩენები კი — იმიტომ, რომ ამას ვერ აკეთებენ“. ის არ არის „სახელმწიფო, რომელშიც ადამიანები იძულებული არიან, იცრუონ“... და ასე შემდეგ. ჩამონათვალი ძალიან გრძელია. დასასრულ, ის წერდა: „აი, რა არის სოციალიზმი: სოციალიზმი არის სისტემა, რომელიც... მაგრამ რა აზრი აქვს ამ დეტალებში ჩაღრმავებას? ძალიან მარტივია: სოციალიზმი, უბრალოდ, მართლა ჩინებული რამაა“.[42]

კოლაკოვსკის ესეისთან დაკავშირებით დღეს სწორედ ის მაოცებს, რამდენად ადვილი გამოდგა თქმა, რა არ უნდა იყოს სოციალიზმი — და რამდენად რთული ჩანდა ახსნა, მაშ, რა უნდა იყოს ის. დემოკრატიულ სოციალიზმს, რომელსაც კოლაკოვსკი იმხანად ემხრობოდა, ისტორიული მაგალითები არ გააჩნდა. ბევრი დიქტატორული რეჟიმი უწოდებდა თავს სოციალისტურს, მათ შორის, პოლონეთშიც. მაგრამ სად იყო *პოზიტიური* მაგალითები? „ჩინებული რამ“, რაც შეიძლებოდა, სოციალიზმი ყოფილიყო?

ეს მემარცხენეებისთვის დიდხანს რჩებოდა პრობლემად, განსაკუთრებით, 1917 წელს ბოლშევიკების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების მერე. ლენინი და მისი ამხანაგები აცხადებდნენ, რომ მათ პირველი სოციალისტური ქვეყანა შექმნეს. თუმცა, ბოლშევიკთა კრიტიკოსებისთვის, ეს თუ სოციალიზმი იყო, მაშინ მისთვის ბრძოლა არ ღირდა — მეტიც, მის წინააღმდეგ უნდა ებრძოლათ.

1920 წელს რამდენიმე წამყვანი ევროპელი სოციალისტი აღმოჩნდა ქვეყანაში, რომელსაც სოციალისტური პარტია მართავდა და სადაც ადამიანები არ იყვნენ იძულებულნი, ეცრუათ, არც უდანაშაულო ადამიანები ელოდნენ, როდის წაიყვანდა მათ პოლიცია. ეს სოციალისტები მეორე ინტერნაციონალის წევრი პარტიების წარმომადგენელნი იყვნენ. მეორე ინტერნაციონალი პირველი მსოფლიო ომის განმავლობაში დაიშალა და ახლა მის აღდგენას ცდილობდნენ. იმ ინტერნაციონალმა 1920 წელს

ჟენევაში ჩაატარა კონგრესი და ერთ-ერთი მონაწილე, რომელმაც იქ თავისი წარმომადგენლები გაგზავნა, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია იყო. მის ექვსკაციან დელეგაციაში შედიოდა ირაკლი წერეთელიც*, რუსული დროებითი მთავრობის ყოფილი წევრი. წერეთელს ევროპელი სოციალისტები კარგად იცნობდნენ ომამდელი კონგრესებიდან.

1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების მერე მისი მთავრობა დაუღალავად მუშაობდა, რათა აღიარება მოეპოვებინა მსხვილი სახელმწიფოების მხრიდან, როგორიც იყვნენ ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია და ამერიკა. მაგრამ მათ არანაკლებ ეწადათ მეორე ინტერნაციონალში გაწევრიანებული სოციალ-დემოკრატიული და ლეიბორისტული პარტიების მხარდაჭერის მიღება. წერეთელმა განახლებული მეორე ინტერნაციონალის წარმომადგენლები საქართველოში მიიწვია.

ქართველ სოციალ-დემოკრატებს მიაჩნდათ, რომ მათ მსოფლიოსთვის რაღაც ღირებული ჰქონდათ გასაზიარებელი. დიახ, 1917 წლამდე ისინი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრები იყვნენ და ქართული სეპარატიზმის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, მაგრამ ბოლშევიკურმა გადატრიალებამ ისინი აიძულა, გადაეაზრებინათ თავიანთი შეხედულებები. მათ არ სურდათ კომუნისტური მმართველობის ქვეშ ცხოვრება და რუსეთისგან დამოუკიდებლობა არჩიეს.

---

* ირაკლი წერეთელი (1881-1959) — ქართველი პოლიტიკოსი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, რუსეთის მეორე სახელმწიფო სათათბიროს წევრი, რუსეთის დროებითი მთავრობის ფოსტა-ტელეგრაფისა და შინაგან საქმეთა მინისტრი, საქართველოს ეროვნული საბჭოს, ამიერკავკასიის სეიმის წევრი, საქართველოს დამფუძნებელი კრების სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარე, პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციის თანახელმძღვანელი (რედ. შენიშვნა).

საზოგადოება, რომელსაც ისინი აშენებდნენ, იყო დემოკრატიული სოციალიზმის ექსპერიმენტი — ძლიერი პროფკავშირებითა და კოოპერატივებით, მიწის რეფორმის რადიკალური პოლიტიკით და საყოველთაო პოლიტიკური უფლებებით, რაც ქალთა საარჩევნო უფლებებსაც მოიცავდა. თავისუფალ არჩევნებში ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა დიდი უმრავლესობით გაიმარჯვეს, თუმცა მეტოქე პოლიტიკური პარტიები შეუზღუდავად იბრძოდნენ ხმების მოსაპოვებლად. სოციალ-დემოკრატების მიერ მართული საქართველო განასახიერებდა ყველაფერ იმას, რაც საბჭოთა რუსეთი არ იყო.

1920 წლის დელეგაცია იმ დროის პირველი რანგის პოლიტიკოსებისგან შეიკრიბა. ერთ-ერთი, ჯეიმს რემზი მაკდონალდი*, ბრიტანეთის ლეიბორისტულ პარტიას ხელმძღვანელობდა, თუმცა იმ დროს პარლამენტის წევრი აღარ იყო, 1918 წლის არჩევნების შედეგად დაკარგა ეს ადგილი. მაკდონალდი მალე დაბრუნდება პარლამენტში და ოთხი წელიწადიც არ იქნება გასული, რომ ბრიტანეთის პირველ ლეიბორისტულ მთავრობას ჩაუდგება სათავეში.

ლეიბორისტული პარტიის წევრი ტომ შოუ** პარლამენტში პრესტონიდან (ლანკაშირი) იყო არჩეული. ეთელ სნოუდენი***, დელეგაციის ერთადერთი სრულუფლებიანი ქალი წევრი, მაკ-

---

* რემზი მაკდონალდი (James Ramsay MacDonald) (1866-1937) — ბრიტანელი პოლიტიკოსი, დიდი ბრიტანეთის ლეიბორისტული პარტიის ლიდერი, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი (1924, 1929-1935) (რედ. შენიშვნა).

** ტომას შოუ (Thomas Show) (1872-1938) — ბრიტანელი პოლიტიკოსი, დიდი ბრიტანეთის ლეიბორისტული პარტიის წევრი, დიდი ბრიტანეთის სამხედრო და შრომის მდივანი (მინისტრი) (რედ. შენიშვნა).

*** ეთელ სნოუდენი (Ethel Snowden-Annakin) (1881-1951) — ბრიტანელი ფემინისტი, ჟურნალისტი, მწერალი, ლეიბორისტი, ფემინისტური და სუფრაჟისტული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი (რედ. შენიშვნა).

დონალდისა და შოუს მსგავსად, ლეიბორისტული პარტიის ლიდერი იყო და მის ეროვნულ აღმასრულებელ კომიტეტში მუშაობდა. 1920 წლის დასაწყისში ის რუსეთში ჩავიდა. რაც იქ ნახა, არ მოეწონა და გამოსცა უაღრესად კრიტიკული წიგნი „მოგზაურობა ბოლშევიკურ რუსეთში“.

დელეგაციის ფრანგი წევრები იყვნენ პიერ რენოდელი*, ადრიენ მარკე** და ალბერტ ინგელსი***. ბელგიის დელეგაციას შეადგენდნენ ემილ ვანდერველდე**** და მისი ცოლი ლალა, ლუი დე ბრიუკერი***** და კამილ ჰიუსმანსი******, რომელსაც ახლდნენ ცოლი მართა და ასული სარა (მას დელეგაციის მდივნის ფუნქცია ეკისრებოდა). ჰიუსმანსი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბელგიის პრემიერ-მინისტრი გახდა. ვანდერველდე, რომელსაც პირველი მსოფლიო ომის განმავლობაში მთავრობაში

---

* პიერ რენოდელი (Pierre Renaudel) (1871-1935) — ფრანგი პოლიტიკოსი, ჟურნალისტი, გაზეთის *იუმანიტე* რედაქტორი, სოციალისტური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, საფრანგეთის პარლამენტის წევრი (რედ. შენიშვნა).

** ადრიენ მარკე (Adrien Marquet) (1884-1955) — ფრანგი პოლიტიკოსი, ექიმი, საფრანგეთის სოციალისტური პარტიის წევრი, ქალაქ ბორდოს მერი, ვიშის რეჟიმის შინაგან საქმეთა მინისტრი (რედ. შენიშვნა).

*** ალბერტ ინგელსი (Albert Inghels) (1872-1941) — ფრანგი პოლიტიკოსი, საფრანგეთის მუშათა გაერთიანებების ერთ-ერთი ლიდერი, საფრანგეთის პარლამენტის წევრი (რედ. შენიშვნა).

**** ემილ ვანდერველდე (Émile Vandervelde) (1866-1938) — ბელგიელი პოლიტიკოსი, ბელგიის სოციალისტური პარტიის ლიდერი, ბელგიის სამეფოს საგარეო საქმეთა, იუსტიციისა და ჯანმრთელობის მინისტრი, მეორე სოციალისტური ინტერნაციონალის ლიდერი (რედ. შენიშვნა).

***** ლუი დე ბრიუკერი (Louis de Brouckère) (1870-1951) — პოლიტიკოსი, ჟურნალისტი, პროფესორი, ბელგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ბელგიის სოციალისტური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, გაზეთის რედაქტორი (რედ. შენიშვნა).

****** კამილ ჰიუსმანსი (Jean Joseph Camille Huysmans) (1871-1968) — ბელგიელი პოლიტიკოსი, ბელგიის პრემიერ-მინისტრი (1946-1947), მეორე სოციალისტური ინტერნაციონალის გენ. მდივანი (რედ. შენიშვნა).

3. მეორე ინტერნაციონალის დელეგაცია დუშეთში

4. მეორე ინტერნაციონალის დელეგაციის შეხვედრა ნოე ჟორდანიას კაბინეტში

მინისტრის თანამდებობა ეკავა, სიცოცხლის ბოლომდე (გარდ. 1938 წელს) ლეიბორისტული და სოციალისტური ინტერნაციონალის პრეზიდენტი იყო. დელეგაციის ყველაზე გამოჩენილი წევრი იყო კარლ კაუცკი, რომლის არაკეთილგანწყობა ბოლშევიკების მიმართ უკვე საყოველთაოდ იყო ცნობილი.

ევროპაში ხანგრძლივი მოგზაურობის მერე ისინი, ბოლოს და ბოლოს, ტფილისში ჩავიდნენ. „საოცარია“, წერდა მაკდონალდი, „რამდენიმე დღის წინ დავტოვეთ ყველაფერი, რაც დასავლეთს გვაგონებდა, კონსტანტინოპოლში ბაზარი და მეჩეთები უნდა მოგვენახულებინა. გზა აღმოსავლეთისკენ გავაგრძელეთ და ჩვენი მოგზაურობის დასასრულს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი დაგვხვდა ტფილისის სადგურში, რომელიც ერთბაშად თვალისმომჭრელი აღმოსავლური ხალიჩებით, კარლ მარქსისა და მისი ყველაზე ცნობილი შეგირდების პორტრეტებით მოერთოთ*“.[43]

ისინი სულ მალე შეხვდნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. სნოუდენი იხსენებდა: „დელეგაციის „პირველი საქმე ტფილისში გახლდათ, რომ დავესწარით ჩვენს პატივსაცემად მოწვეულ პარლამენტის საგანგებო სხდომას, რათა მოგვესმინა მისალმების სიტყვა პარლამენტში წარმოდგენილი რვავე პოლიტიკური პარტიისგან“.[44]

ამის მერე მაკდონალდი აღწერს, როგორ ჩავიდნენ „შუაგულ მთაში ფარ-ხმლითა და თოფით შეიარაღებული უცნაური და მხიარული ჯამაათით გარშემორტყმულები, სანთლის შუქზე ფეხზე წამომდგრები ვუსმენდით მოხუცი მოძღვრის მისასალმებელ სიტყვას, რომელიც სრულდებოდა შეძახილით ‘გაუმარჯოს ინტერნაციონალს**’“.[45]

---

* ქართული ტექსტი ციტირებულია წიგნიდან *ევროპელი სოციალისტების ვიზიტი საქართველოში: 1920*, თსუ, 2020, ტ.2, გვ. 80 (რედ. შენიშვნა).

** იქვე, გვ. 80 (რედ. შენიშვნა).

საქართველოში ჩასულ სოციალისტთაგან ზოგმა საგანგებოდ აღნიშნა, რომ ადგილობრივი თავადაზნაურობა არ შეწინააღმდეგებია სოციალ-დემოკრატიულ რეფორმებს. სარა ჰიუსმანსი წერდა, რომ „დიდი მემამულეებისთვის სამემკვიდრო მიწების ჩამორთმევას მცირე სიძნელეები ახლდა“. ეთელ სნოუდენმა გაიცნო „მემამულეები, რომლებიც სიამოვნებით დათანხმდნენ ახალი სისტემის შემოღებას, და კეთილშობილი ქალები, რომლებსაც ახარებდათ ახლად მოპოვებული ეკონომიკური თავისუფლებანი“.[46]

„ახალშექმნილი სამოქალაქო თანასწორობით კმაყოფილ თავადებსაც შევხვედრივარ,*“ იგონებდა რემზი მაკდონალდი.[47] მათ აქ არ დახვედრიათ სასტიკი კლასობრივი ბრძოლა, რუსეთს რომ ფლეთდა 1917 წლის ბოლშევიკური გადატრიალების შემდგომ წლებში. რუსეთისგან განსხვავებით, საქართველოში სამოქალაქო ომი არ ყოფილა.

ეთელ სნოუდენს ლონდონში დაბრუნების მერე *თაიმსმა* ინტერვიუ ჩამოართვა. ის საქართველოში ვიზიტს უაღრესად პოზიტიურად აღწერს. მისი თქმით, ქართველები „სავსენი არიან იმედითა და მტკიცე განზრახვით. ის, რაც მათ შექმნეს, ევროპის ყველაზე დახვეწილი სოციალიზმია“.[48] როგორც *თაიმსი* ადრე იუწყებოდა, სნოუდენი საბჭოთა რუსეთში ჩასული დელეგაციის წევრიც იყო და შეეძლო, ეს ორი ქვეყანა შეედარებინა. „მაშინვე თვალში მომხვდა გასაოცარი განსხვავება იმაში, თუ როგორ გამოიყურებოდა საქართველოსა და რუსეთის მოსახლეობა“, ამბობდა ის, „რუსეთში მუდამ აუტანელი სიღატაკე გვედგა თვალწინ. ქართველები რუსებზე ბევრად უკეთეს პირობებში იყვნენ. ეტყობოდათ, რომ კარგად იკვებებოდნენ, კარგად ეცვათ და, რაც მთავარია, გულწრფელად ბედნიერები იყვნენ. სახეზე შიში არ ეწერათ. არ ტარდებოდა სამხედრო ბრძანებით მოწყობილი დემონსტრაციები“.[49]

---

* იქვე, გვ. 81 (რედ. შენიშვნა).

ინგლისში დაბრუნებულ რემზი მაკდონალდთან ასევე ჩაიწერა ინტერვიუ *მანჩესტერ გარდიანმა.*[50] როგორც გაზეთი აღნიშნავდა ინტერვიუს შემაჯამებელ შეფასებაში, ლეიბორისტთა ლიდერი აღწერდა „სოციალისტური რეჟიმის ბედნიერ ქვეყანას". მაკდონალდმა ჟურნალისტს უთხრა, რომ იყო „აღტაცებული საქართველოში სტუმრობით. როგორც თავად ამბობს, დარწმუნებულია, რომ ამ ულამაზეს, თუმც კი პატარა ქვეყანას — რომლის მოსახლეობა დაახლოებით ოთხი მილიონია* — უდიდესი მომავალი აქვს. მან შემახსენა, რომ საქართველოს რესპუბლიკა სოციალისტურია და, როგორც მისი მთავრობის წევრმა უთხრა, ხელისუფლება განიზრახავს, ის დლპ-ის ხედვის შესაბამისად მოაწყოს". დლპ იყო დამოუკიდებელი ლეიბორისტული პარტია (Independent Labour Party), რომელსაც მაკდონალდი ედგა თავში.

მაკდონალდი ჟურნალისტს საქართველოს მიწის რეფორმაზეც ელაპარაკა. ეს ინიციატივა, რომელსაც მიწათმოქმედების მინისტრი ნოე ხომერიკი** უძღვებოდა, წარმოუდგენლად წარმატებული იყო. საბჭოთა რუსეთი ამ პრობლემას წლობით ვერ წყვეტდა და რადიკალურ მიდგომებსაც მიმართავდა. მათ შორის, ქალაქებიდან შეიარაღებულ რაზმებსაც კი აგზავნიდა გლე-

---

* სხვადასხვა შეფასებით ამ პერიოდში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობა დაახლოებით 2,6 მილიონი იყო (რედ. შენიშვნა).

** ნოე ხომერიკი (1883-1924) — ქართველი პოლიტიკოსი, ჟურნალისტი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი, ამიერკავკასიის სეიმის წევრი, ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის მიწათმოქმედების მინისტრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიწათმოქმედებისა და შრომის მინისტრი, ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი, სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარე. 1923 წელს დაბრუნდა ემიგრაციიდან აჯანყების მოსამზადებლად. საბჭოთა ჩეკამ დააპატიმრა და 1924 წლის აგვისტოს ეროვნული აჯანყების შემდეგ დახვრიტა (რედ. შენიშვნა).

ხებისთვის სურსათის წასართმევად, შედეგად კი ხშირად იღებდა შიმშილობას ქალაქებში და სამოქალაქო ომს სოფლად. საქართველოში ასე არ იყო. მაკდონალდი იმასაც აღნიშნავდა, რომ „ქართველები ძლიერად ანტიბოლშევიკები და ანტირუსები არიან, მაგრამ ქვეყანაში არსებობს აქტიური ბოლშევიკური პროპაგანდა, რომელსაც ხელს არ უშლიან, რადგან სიტყვის სრული თავისუფლება აქვთ".[51]

კარლ კაუცკი საქართველოში სხვებზე ცოტა გვიან ჩავიდა და რამდენიმე თვით დარჩა. მან დაწერა მცირე მოცულობის წიგნი, რომელიც ინგლისურ ენაზე გამოქვეყნდა სათაურით „საქართველო: გლეხთა სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკა: შთაბეჭდილებანი და დაკვირვებანი". კაუცკიმ შეაჯამა ქართველი სოციალ-დემოკრატების ყველა წარმატება, რასაც ხელისუფლებაში ყოფნისას მიაღწიეს, მათ შორის – ძლიერი პროფკავშირული მოძრაობა და კოოპერატივების ზრდა. კაუცკი საქართველოს მთავრობის მიმართ კრიტიკასაც გამოთქვამდა, მაგრამ საბოლოო შეფასება ერთმნიშვნელოვანი და მკაფიო იყო. „იმ ჯოჯოხეთთან შედარებით, რადაც დღეს საბჭოთა რუსეთი იქცა, საქართველო ნამდვილი სამოთხეა", წერდა ის.[52]

მეორე ინტერნაციონალი და სოციალ-დემოკრატიული და ლეიბორისტული პარტიები, რომელთაც ის აერთიანებდა, ქართველი სოციალ-დემოკრატების თვალში იყო მსოფლიო ძალა, არანაკლებ მნიშვნელოვანი, ვიდრე იტალია ან ბელგია. ამ მოსაზრებას ყველა არ ეთანხმებოდა და ზოგი ქართველი თვლიდა, რომ მათი მთავრობა ფუჭად კარგავდა დროს სოციალისტ პოლიტიკოსებთან, რომლებსაც რეალური ძალაუფლება არ გააჩნდათ.

თუმცა, ტროცკიმ საქართველოში საერთაშორისო სოციალისტური დელეგაციის ვიზიტს იმდენად დიდი მნიშვნელობა მიანიჭა, რომ მასზე მთელი წიგნი დაწერა. წიგნი გამოქვეყნდა ინგლისურ ენაზე, სათაურით „წითელსა და თეთრს შორის" და

იყო პასუხი წიგნზე, რომელიც კაუცკიმ საქართველოდან გამგზავრების მერე დაწერა.

თუ ჟორდანიასა და მის თანამებრძოლებს ჰქონდათ ილუზია, რომ მეორე ინტერნაციონალის სოციალისტი პოლიტიკოსები ანგარიშში ჩასაგდები ძალა იყო, ამაში ისინი მარტონი არ ყოფილან, რადგან საბჭოთა ხელმძღვანელობასაც ასე ეგონა. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, როდესაც რუსეთმა გადაწყვიტა, რომ დადგა დრო, დაესრულებინა დემოკრატიული სოციალიზმის აშენების ქართული ექსპერიმენტი, ვერც მეორე ინტერნაციონალი, ვერც მოკავშირეთა ძალები საქართველოს დიდად ვერაფრით დაეხმარნენ.

ექსპერიმენტი სრულდება

1920 წლის მაისისთვის ლენინისა და სხვა საბჭოთა ლიდერებისთვის აშკარა გახდა, რომ საქართველოს ერთი ბეწო ბოლშევიკური პარტია ვერ გადააგდებდა ამ ქვეყნის სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას — მის მცდელობებს ამ მიმართულებით სრულიად არასერიოზული შედეგები ჰქონდა. ბოლშევიკებს თითქმის არანაირი მხარდაჭერა არ გააჩნდათ მცირერიცხოვან ქალაქელ მუშათა კლასში და სრულიად არანაირი — გლეხებს შორის.

თუ სურდათ, რომ „საბჭოთა საქართველო“ რეალობად ქცეულიყო, განსხვავებული სტრატეგია უნდა გამოენახათ. რუსებმა ხელი მოაწერეს სამშვიდობო ხელშეკრულებას, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობას აღიარებდა. ქართველები დათანხმდნენ მანამდე აკრძალული კომუნისტური პარტიის ლეგალიზებას და მისი დაპატიმრებული წევრების გათავისუფლებას. ეს პარტია აკრძალული იყო და მისი ზოგი წევრი დაპატიმრებული არა იმიტომ, რომ მათი იდეები არ მოსწონდათ,

არამედ იმიტომ, რომ ისინი უარყოფდნენ წესებს, რომელსაც ქართული დემოკრატია ეყრდნობოდა. ქართველი კომუნისტები სულ ცდილობდნენ შეიარაღებული აჯანყებების მოწყობას, იმის ნაცვლად, რომ თავისუფალ არჩევნებში მიეღოთ მონაწილეობა. ახალი ხელშეკრულების მიხედვით, მათ პირობა დადეს, რომ ეს აღარ გამეორდებოდა.

საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის 1920 წლის მაისის ხელშეკრულებას არანაირი ღირებულება არ გააჩნდა. ეს იყო მხოლოდ ტაქტიკური სვლა კომუნისტების მხრიდან, რადგან მოსკოვში არც არავის გადაუფიქრებია საქართველოს დაბრუნება რუსეთის მმართველობის ქვეშ. და საბჭოთა ხელმძღვანელობაში ეს ორ ქართველზე, სტალინსა და ორჯონიკიძეზე, უკეთ არავის ესმოდა. მათ შეიმუშავეს ახალი სტრატეგია, რომლითაც იგეგმებოდა მთავრობის დამხობა და საბოლოოდ საქართველოში მუშათა და გლეხთა წითელი არმიით შეჭრა.

1921 წლის თებერვლის დასაწყისში ამის დრო მომწიფდა. ლენინი ავადმყოფი და უმოქმედო იყო. წითელი არმიის სარდალი ტროცკი საინსპექციო დათვალიერებაზე გაემგზავრა ურალზე. დადგა დრო, სტალინსა და ორჯონიკიძეს შეტევა წამოეწყოთ.

კვირას, 13 თებერვალს ქართული სოციალ-დემოკრატიული გაზეთი *ბორბა* იუწყებოდა, რომ ბორჩალოს მაზრის ლორეს რაიონში სრულმასშტაბიანი აჯანყება დაიწყო. მისი ცნობით, აჯანყება უცხოური ძალის მიერ იყო პროვოცირებული.

როგორც აღმოჩნდა, ორჯონიკიძემ, რომელიც კავკასიის სამხედრო კომიტეტს* ედგა სათავეში, მოსკოვში პოლიტბიუროს მოახსენა, რომ საქართველოში სახალხო რევოლუცია დაიწყო. მისი თქმით, ის უეჭველად წარმატებული იქნებოდა. წითელი არმიის დახმარება მხოლოდ იმისათვის სჭირდებოდა, რომ ეს

---

* წითელი არმიის კავკასიის ფრონტის მმართველი სამხედრო-პოლიტიკური კომიტეტი (მოიხსენიებდნენ კავბიუროდაც) (რედ. შენიშვნა).

პროცესი რაც შეიძლება მოკლე და უმტკივნეულო ყოფილიყო. რუსი კომუნისტი ლიდერები, მათ შორის ლენინი, ენდნენ ორჯონიკიძის შეფასებას. ბოლოს და ბოლოს, ის ხომ თავადაც ქართველი იყო!

თუმცა, ლენინს გარკვეული ეჭვი მაინც გაუჩნდა და გასცა მითითებები, რომ საქართველოში შეჭრილი რუსები პატივისცემით მოჰპყრობოდნენ ქართველებს, თავად ჟორდანიასაც კი, და მათი მხარდაჭერის მოპოვება ეცადათ. მისი ბრძანებები უგულებელყვეს, როცა წითელი არმია სულ უფრო გაძლიერებულ წინააღმდეგობას წააწყდა და როცა ცხადი გახდა, რომ ქვეყანაში არანაირი სახალხო ამბოხი არ ხდებოდა. ეს ამბავი სტალინისა და ორჯონიკიძის გამონაგონი გამოდგა.

აჯანყების დაწყებიდან რამდენიმე დღეში შულავერში აჯანყებულებმა შექმნეს „რევოლუციური კომიტეტი“. მან რუსეთის საბჭოთა რეჟიმს მიმართა თხოვნით, მენშევიკთა მმართველობისგან საქართველოს გათავისუფლებაში დახმარებოდა. საზღვრის მახლობლად აჯანყებულებს რამდენიმე დღე აცალეს, რომ აჯანყების ფაქტი „დადასტურებულიყო“. ამის მერე რუსეთმა თვალთმაქცობას თავი ანება და საქართველოში ყველა მხრიდან შეიჭრა.

შეტაკების ერთ-ერთი მიზეზი თითქოს სომხეთი იყო. ტრადიციულმა სომხურ-ქართულმა მტრობამ სრულიად „დამაკმაყოფილებელი“ სასაზღვრო ომი გამოიწვია. რუსები აცხადებდნენ, რომ მათი ჩარევის მიზანი სწორედ ამგვარი გაუთავებელი უთანხმოებებისთვის ბოლოს მოღება იყო — ყოველ შემთხვევაში, მერე საბჭოთა ისტორიკოსები ასე აღწერდნენ ამ მოვლენებს. მაგრამ საბჭოთა ძალების გასვლამ სომხეთიდან, როდესაც ისინი ტფილისისკენ დაიძრნენ, საქართველოს მეზობელ ქვეყანაში მძლავრი სახალხო აჯანყების წამოწყება გამოიწვია.

სომხეთში საბჭოთა ხელისუფლება ირყეოდა. 16 თებერვალს სომხეთის დედაქალაქ ერევანში გაზეთები უმნიშვნელო

არეულობას იუწყებოდნენ. საღამოსთვის ქუჩებში უკვე სროლა ისმოდა. საბჭოთა სომხეთი ერთ ღამეში დაეცა. მეორე დღეს საბჭოელებზე წნეხი გაძლიერდა: ჰაიდარ ბამატმა*, საქართველოში მცხოვრები დევნილი ჩრდილოკავკასიელებისა ლიდერმა, საქართველოს მთავრობას შესთავაზა, მისი ხალხის მობილიზებაც მოეხდინა. რომ დასცლოდათ, ქართველებს, სომხებსა და აზერბაიჯანელებს იქნებ კიდევაც მიეღწიათ გამარჯვებისთვის. მაგრამ არ დასცალდათ.

ეს საგულისხმო იქნება 1924 წლის აჯანყების დამგეგმავებისთვის. სომხებისა და საქართველოს სხვა მეზობლების დახმარებით შესაძლებელი იქნებოდა რუსების მოგერიება. ამ დახმარების გარეშე ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკა საბჭოთა ჯარმა იოლად ჩაიგდო ხელში.

ლონდონში მთავრობას, როგორც ჩანს, საქართველოს სიტუაცია უიმედოდ მიაჩნდა. თუმცა კი ბრიტანეთის მთავრობა სულ უფრო მეტი სიმპათიით იყო განწყობილი ქართველების მიმართ და საბოლოოდ ქვეყანამ მათგან მიიღო დიპლომატიური აღიარებაც, რომელსაც ამდენ ხანს ესწრაფოდნენ, მაგრამ პრაქტიკული სამხედრო დახმარების გაწევის იმედი ესოდენ გვიანდელ ეტაპზე არ უნდა ჰქონოდათ. 1921 წლის დასაწყისში ბრიტანელებმა და სხვა მოკავშირეებმა აღიარეს, რომ დამარცხდნენ წითელ არმიასთან და რუსეთის სამოქალაქო ომი წააგეს, და აღარ ჰქონდათ სურვილი, იმავე რეგიონში ახალ ბრძოლებში ჩაბმულიყვნენ.

---

* ჰაიდარ ბამატ (ბამატოვ) (Гайдар Баммат) (1889-1965) — ჩრდილოკავკასიელი (დაღესტნელი) პოლიტიკოსი, მთიელთა რესპუბლიკის ერთ-ერთი დამფუძნებელი, მთიელთა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი. წითელი არმიის მიერ მთიელთა რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ საქართველოში აგრძელებდა პოლიტიკურ საქმიანობას. 1921 წელს საქართველოს ოკუპაციის შემდეგ წავიდა ემიგრაციაში პარიზში (რედ. შენიშვნა).

ამასობაში შავ ზღვაში შემოსულმა ფრანგულმა სამხედრო გემმა ცეცხლი გაუხსნა რუსეთის ჯარებს, რომლებიც ახლა სამხრეთისკენ მიემართებოდნენ, საქართველოს სანაპიროს გაყოლებით. ყველა მოკავშირიდან ომის განმავლობაში მხოლოდ საფრანგეთმა მოიმოქმედა რაღაც და მისი საარტილერიო ცეცხლი იყო ერთადერთი კონკრეტული სამხედრო დახმარება, რომელიც საქართველომ მიიღო.

საქართველოს დევნილი მთავრობისთვის ესეც გაკვეთილი იყო 1924 წლისთვის: კომუნისტური წყობილების წინააღმდეგ აჯანყების წარმატებით დასასრულებლად აუცილებელი პირობა იყო უცხოეთის სამხედრო მხარდაჭერა.

24 თებერვლის საღამოს 9 საათზე, საბჭოეთის თავდასხმიდან („სასაზღვრო ინციდენტი“ ბორჩალოში) ორი კვირის მერე, მთავარსარდლის გენერალ გიორგი კვინიტაძის გადაწყვეტილებით საქართველოს მთავრობამ და ჯარმა დატოვა დედაქალაქი. ტფილისის დაცემა ახლა გარდაუვალი იყო. სწორედ ტფილისის დატოვების წინ საქართველოს მთავრობამ სასწრაფო დეპეშა გაუგზავნა ლენინსა და ტროცკის მოსკოვში, რომლითაც მათ სთხოვდა, შეეწყვიტათ თავდასხმა (იმის მიუხედავად, რომ საბჭოთა მთავრობის ოფიციალური პოზიციით, ის ამ ამბებთან არაფერ შუაში იყო).

ორჯონიკიძემ მოსკოვს უდეპეშა: „ტფილისის თავზე წითელი დროშა ფრიალებს“. პარასკევი, 25 თებერვალი საქართველოს გასაბჭოების დღედ გამოცხადდა და მას შემდეგ მრავალი ათწლეულის განმავლობაში აღინიშნებოდა.

საქართველოს მთავრობა და მისი ჯარი ახლა ზღვისკენ მიემართებოდა, საპორტო ქალაქ ბათუმისკენ, რომელსაც ჩრდილოეთიდან ემუქრებოდა მოახლოებული წითელი არმია და სამხრეთიდან — უკვე თურქებიც. მარტის დასაწყისში რევოლუციურმა კომიტეტმა, რომელიც ახლა ქვეყნის უდიდეს ნაწილს აკონტროლებდა, საქართველოს მთავრობას შესთავაზა, შეეწყვიტა

ყოველგვარი სამხედრო წინააღმდეგობა, ეღიარებინა ახალი რეჟიმი და შეექმნა კოალიციური მთავრობა.

საქართველოს მთავრობა ახლა ბევრად უფრო მცირე ჯარს აკონტროლებდა, ვიდრე რამდენიმე დღის წინ. ამ ვითარების გათვალისწინებით, 11 მარტს ის დათანხმდა, დაეწყო მოლაპარაკებები საბჭოელებთან, რომლებიც ახლა ტფილისში მთავრობად ისხდნენ. 16 მარტს, ოთხშაბათს, ბათუმში ჩატარებულ ბოლო სესიაზე, საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ მთავრობას მანდატი მისცა, გასულიყვნენ ქვეყნიდან, რათა ბრძოლა საზღვარგარეთიდან გაეგრძელებინათ.

1921 წელს საბჭოთა ჯარის შემოჭრა და საქართველოს ოკუპაცია მომავალი თავდასხმებისა და ოკუპაციების მაგალითად იქცა. 1920 წელს მოსკოვის მიერ საქართველოს რესპუბლიკასთან ხელშეკრულების ხელმოწერა წითელი არმიის შეჭრამდე დროის მოსაგებად იყო გამიზნული. საბჭოთა რეჟიმი არ აპირებდა, დაეშვა, მის სამხრეთ საზღვართან დამოუკიდებელ და დემოკრატიულ სოციალისტურ საქართველოს წარმატებული სახელმწიფო აეშენებინა.

ეს მოდელი — ქვეყანაში შეჭრა და მერე იმის უარყოფის მცდელობა, რომ თავს დაესხა დამოუკიდებელ სახელმწიფოს — საბჭოეთისთვის ასევე ნიმუშად იქცევა სხვა შემთხვევებისთვისაც, როდესაც საკუთარი აგრესიის შენიღბვას და უფრო მსუბუქად წარმოჩენას მოინდომებს. მოგვიანებით საბჭოთა ჯარების შესვლა ევროპულ სატელიტ სახელმწიფოებში მართლდებოდა იმით, თითქოს ისინი თავად *იწვევდნენ* წითელ არმიას, ქვეყანაში შესულიყო, რათა ის რაღაც საზარელი უბედურებისგან გადაერჩინა. მაგალითისთვის გავიხსენოთ უნგრეთი 1956 წელს. 1969 წელს გამოქვეყნებულ პროსაბჭოთა ანგარიშს თუ დავუჯერებთ, უნგრელმა კომუნისტებმა, მას მერე, რაც სახალხო რევოლუციამ მათი მმართველობა დაამხო, „გადაწყვიტეს, გამოეყენებინათ ძმური საერთაშორისო დახმარება, რათა უეჭვე-

ლად გაემარჯვათ შეიარაღებულ ბრძოლაში“ ახალი მთავრობის წინააღმდეგ. ბუდაპეშტელმა კომუნისტურმა ხელმძღვანელობამ „მიმართა საბჭოთა ხელისუფლებას და ითხოვა დახმარება ჩვენი ხალხისთვის“. „დახმარებაში“ შეიარაღებული შეჭრა იგულისხმებოდა. „საბჭოთა კავშირის მთავრობამ ყურად იღო უნგრელების თხოვნა. მისმა ჯარებმა გაანადგურეს შეიარაღებული კონტრრევოლუციური ცენტრები“.[53]

საბჭოთა კავშირი კიდევ მრავალი წლის განმავლობაში იყენებდა ამ ილეთს, 1979 წლის დეკემბერში ავღანეთშიც ასე შეიჭრა — ისევ, ადგილობრივი პროსაბჭოთა მთავრობის „მიწვევით“ (რომლის მეთაურიც, ჰაფიზულა ამინი, საბჭოთა სამხედროებმა მოკლეს ათ დღეში მას მერე, რაც ისინი „მიიწვია“). პოსტსაბჭოთა რუსებმაც კი გამოიყენეს ამ ხერხის ვერსია, როცა ცდილობდნენ, გაემართლებინათ 2022 წელს უკრაინაში შეჭრა — ისინი აცხადებდნენ, ასე იმიტომ მოვიქეცით, რომ ქვეყანა, განსაკუთრებით კი, ქვეყნის რუსულენოვანი აღმოსავლეთ ნაწილი გადაგვერჩინა ნეონაცისტებისგან, რომლებმაც კიევში ძალაუფლება ჩაიგდეს ხელშიო.

ქვეყნის სუვერენიტეტის ამგვარი უტიფარი დარღვევა პირდაპირ არის აღებული 1921 წელს არარსებული რევოლუციური მთავრობის მიწვევით საბჭოთა ჯარების საქართველოში შეჭრის მაგალითიდან. როგორც ვნახავთ, საბჭოთა მითი საქართველოში „მუშათა რევოლუციის“ შესახებ, რომელიც მიესალმებოდა წითელი არმიის გაწეულ დახმარებას, ოკუპაციიდან ერთ წელიწადში გაიფანტა.

სომხეთთან სასაზღვრო შემთხვევიდან მთავრობის მიერ ტფილისის დატოვებამდე მხოლოდ ორი კვირა გავიდა. კიდევ სამი კვირაც და, საქართველოს დამოუკიდებელმა რესპუბლიკამ არსებობა შეწყვიტა. ამის მერე მრავალი წლის განმავლობაში ქართველი ლტოლვილები ბჭობდნენ, რა გაკეთდა არასწორად და ვინ იყო პასუხისმგებელი.

უეჭველად, ერთ-ერთი პრობლემა იყო სოლიდარობის ნაკლებობა სამ ამიერკავკასიურ რესპუბლიკას შორის იმ წლებში, რომლებიც 1921 წლის თავდასხმას უძღოდა წინ. თვით სომხეთის აჯანყებაც კი ბოლშევიკური მმართველობის წინააღმდეგ, რომელიც საქართველოზე თავდასხმის განმავლობაში მოხდა, არანაირად არ იყო კოორდინირებული ქართველებთან. ეს გაკვეთილი სწრაფად აითვისეს საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის დევნილმა პოლიტიკოსებმა. 1921 წლის 10 ივნისს, როდესაც ჯერ სამი თვეც არ იყო გასული საბჭოეთთან საქართველოს დამარცხებიდან, დევნილი მთავრობების წარმომადგენლებმა, ჩრდილოეთ კავკასიელების ჩათვლით, ერთობლივი დეკლარაცია გამოსცეს. ამ დეკლარაციით გამოცხადდა სამხედრო და ეკონომიკური კავშირის შექმნა და ის დაეგზავნა ყველა მსხვილი სახელმწიფოს მთავრობებსა და ერთა ლიგას. მაგრამ იმისათვის, რომ ამიერკავკასიაში რაიმე პრაქტიკული ნაყოფი გამოეღო, ეს დეკლარაცია მეტისმეტად დაგვიანებული იყო.

ქართველი ლიდერების ერთ-ერთი ყველაზე სავალალო შეცდომა იყო მათი მიამიტური რწმენა, რომ მოკავშირეთა ძალები, რომლებმაც ცოტა ხნის წინ აღიარეს საქართველო, მის დასახმარებლად მოვიდოდნენ. 1920 წელს ბრიტანეთის ძალების ბათუმიდან გასვლის მერე ძალიან ნაკლებ სავარაუდო იყო მათი ან ვინმე სხვის დაბრუნება. დიდი სახელმწიფოები, რომელთა დახმარების იმედიც ჰქონდა საქართველოს, გამოფიტული იყვნენ ომის წლებით. რუსეთში თეთრი არმიების დამარცხების მერე სულ აღარ უნდოდათ, იარაღით ხელში გაეგრძელებინათ ბრძოლა ბოლშევიკების წინააღმდეგ.

ახლად შექმნილი ერთა ლიგის უსუსურობა 1930-იანებამდე თვალსაჩინო არ გამხდარა. შეიძლება ითქვას, რომ დემოკრატიული საქართველოს ხვედრი წინასწარ მოასწავებდა, შემდგომში რა მოუვიდოდათ ისეთ ქვეყნებს, როგორიც ფაშისტური აგრესიის მსხვერპლი ეთიოპია და ესპანეთი იყვნენ.

ასევე და იქნებ მეტადაც მიამიტური იყო საქართველოს მთავრობის საპროტესტო მიმართვები და მოწოდებები მოსკოვის რეჟიმთან, რომელიც საქართველოს თან არმიას უსევდა, თან გადაჭრით უარყოფდა ყველანაირ მონაწილეობას ამ ომში. შესაძლოა, ტროცკიმ მართლაც არ იცოდა, რომ წითელი არმია საქართველოში შეიჭრა, ხოლო ლენინმა არ იცოდა, რეალურად რა ხდებოდა იქ, მაგრამ ფაქტია, რომ ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა მოსკოვში ვერასოდეს მიაწვდინეს ხმა ვერავის, ვინც თანაგრძნობით მოუსმენდა. სტალინს და ორჯონიკიძეს მტკიცედ ჰქონოდათ გადაწყვეტილი, ბოლო მოეღოთ ტფილისში ჟორდანიასა და მისი თანამოაზრეების მმართველობისთვის.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემას, მის სრულ სამხედრო დამარცხებას თითქოს ერთხელ და სამუდამოდ ბოლო უნდა მოეღო დამოუკიდებლობაზე ოცნებისთვის, მაგრამ ასე არ მოხდა. წინ კიდევ ერთი დიდი ბრძოლა იდო.

სტალინი ტფილისში

ეს ტრიუმფალური დაბრუნება უნდა ყოფილიყო.

43 წლით ადრე საქართველოს პატარა ქალაქ გორში დაბადებულმა სტალინმა წლები, როდესაც ის რევოლუციონერად ყალიბდებოდა, ტფილისში, ბათუმსა და ბაქოში გაატარა. თუმცა, მას მერე, რაც 1917 წლის თებერვლის რევოლუციის წყალობით ციმბირში გადასახლებიდან დაბრუნდა, ის სამშობლოში არ ჩასულა, არამედ პირდაპირ პეტროგრადისკენ გაემართა და ლენინის ბოლშევიკურ პარტიაში ერთ-ერთი ხელმძღვანელი როლი მოირგო. იმავე წელს ბოლშევიკებმა ძალაუფლება ჩაიგდეს ხელში და სტალინი სოვნარკომის — სახალხო კომისრების საბჭოს — წევრად დაასახელეს.

1921 წლის თებერვალში საქართველოში წითელი არმიის შეჭრის შემდეგ კი სტალინმა მოისურვა, სამშობლოში უკვე გამარჯვებული სამხედრო და პოლიტიკური ძალის მეთაურად დაბრუნებულიყო. ორჯონიკიძემ რამდენიმე თვით ადრე უდეპეშა ტფილისის თავზე წითელი დროშის აფრიალება. სტალინს შეეძლო, ჩასულიყო და ეს საკუთარი თვალით ეხილა. როგორც რობერტ თაკერი წერდა:

> სტალინი ტფილისში 1921 წლის ივნისის ბოლოს ჩავიდა, რათა ადგილობრივ ლიდერებთან ერთად მონაწილეობა მიეღო კავბიუროს მნიშვნელოვან პლენარულ სხდომაში, საქართველოსა და ზოგადად ამიერკავკასიასთან დაკავშირებული პოლიტიკური საკითხების განსახილველად. მრავალი წლის მერე პირველი ჩასვლა მშობლიურ ქვეყანაში სრულიად განსხვავებული გამოცდილება აღმოჩნდა, ვიდრე რვა თვის წინ ბაქოში დაბრუნება იყო.[54]

სტალინს სამშობლოში ისე არ დახვდნენ, როგორც თავად ელოდა.ერთ დღეს სტალინი დათანხმდა, სიტყვით გამოსულიყო რკინიგზის მუშათა შეკრების, დაახლოებით 5 ათასი ადამიანის წინაშე. მართალია, სტალინი მაშინ ჯერ კიდევ არ იყო საბჭოთა სახელმწიფოს უდავო ლიდერი, მაგრამ შედიოდა იმ ძალიან ვიწრო წრეში, რომელსაც ლენინი ქვეყნის მართვას ანდობდა, და თუმც ჯერ არ აღმერთებდნენ — ის ავადსახსენებელი „პიროვნების კულტი“ უფრო გვიანდელი მოვლენაა — მიჩვეული იყო, რომ სათანადო პატივისცემით ეპყრობოდნენ, როგორც სახალხო კომისარს. ჩეკას შეიარაღებული აგენტებით გარშემორტყმულმა სტალინმა მიმართვა დაიწყო იმით, რომ მუშებს მენშევიკური უღლის გადაგდება მიულოცა. თაკერი აღწერს, რა მოხდა ამის მერე:

> ტრიბუნასთან მის გამოჩენას სტვენით შეხვდნენ, შეკრებილთა შორის მდგარი მოხუცი ქალები მას „წყეულს“, „გამ-

ყიდველს“, „მოღალატეს“ ეძახდნენ. შეკრებაზე იყვნენ ისიდორე რამიშვილი* და ალექსანდრე დგებუაძე**, ორი ვეტერანი მენშევიკი რევოლუციონერი, რომლებსაც ოვაციებით შეეგებნენ, და დგებუაძემ სტალინს ჰკითხა: „რატომ დააქციე საქართველო? რას გვთავაზობ სანაცვლოდ?[55]

შეკრებილები გაიძახოდნენ: „ტყუილია! არავითარი მენშევიკების უღელი არ გვქონდა აქ! საქართველოში კომუნისტური რევოლუცია სულაც არ მომხდარა! თქვენმა ჯარებმა წაგვართვეს თავისუფლება!“ თაკერი განაგრძობს: „დღევანდელი საბჭოთა ისტორიკოსების ცნობით, რამიშვილი ზოგმა დამსწრემ პლატფორმაზე აიყვანა და შეკრებილებმა სტალინს სიტყვის თქმა არ დაანებეს“.[56] სტალინი, რომელიც ყოველ მხარეს თავისი ყოფილი ამხანაგების განრისხებულ სახეებს ხედავდა, გაფითრდა და ისღა მოახერხა, რამდენიმე თავისგასამართლებელი სიტყვა წაებურტყუნებინა, მერე კი, თავისი რუსი მცველების თანხლებით, დარბაზიდან გავიდა“, წერდა დეივიდ ლენგი.[57] სტალინი გაცეცხლებული იყო და პასუხი თავის ძველ თანამებრძოლს, ფილიპე მახარაძეს მოსთხოვა.

---

* ისიდორე რამიშვილი (1859-1937) — პედაგოგი, პოლიტიკოსი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, რუსეთის პირველი სახელმწიფო სათათბიროს წევრი, ამიერკავკასიის სეიმის წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი. 1921 წლის ზაფხულიდან დაპატიმრებული იყო საბჭოთა რეჟიმის მიერ, დახვრიტეს 1937 წელს (რედ. შენიშვნა).

** ალექსანდრე დგებუაძე (1882-1937) — პოლიტიკოსი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, სახალხო გვარდიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და მეთაური, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს და დამფუძნებელი კრების წევრი. 1921 წლის თებერვალ-მარტში ხელმძღვანელობდა სახალხო გვარდიის ნაწილებს საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლებში. 1921 წლიდან დაპატიმრებული და გადასახლებული იყო. დახვრიტეს 1937 წელს (რედ. შენიშვნა).

5. ისიდორე რამიშვილი



6. ალექსანდრე დგებუაძე

იმავე წელს მახარაძემ მკაფიოდ გამოთქვა თავისი ეჭვები ტფილისში დამყარებული ახალი რეჟიმის თაობაზე, რომელსაც ის ხელმძღვანელობდა. მოსკოვში, რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისთვის გაგზავნილ წერილში მახარაძე წერდა:

> საქართველოში წითელი არმიის შემოსვლა და საბჭოთა წყობილების დამყარება გამოიყურებოდა, როგორც უცხო ქვეყნის ოკუპაცია, რადგან თვითონ ქვეყანაში არავინ იყო მზად, აჯანყებაში ან რევოლუციაში მონაწილეობა მიეღო.

ეს უცხო ქვეყნის ოკუპაციასავით იმიტომ გამოიყურებოდა, რომ *მართლაც* უცხო ქვეყნის ოკუპაცია იყო. მახარაძე განაგრძობს:

> და გასაბჭოების გამოცხადების დროს მთელ საქართველოში არ არსებობდა პარტიის თუნდაც ერთი წევრი, რომელიც შეძლებდა რაიმეს ორგანიზებას ან სათავეში ჩადგომას,

ამიტომაც ეს ძირითადად იკისრეს საეჭვო ან ზოგჯერ კრიმინალურმა ელემენტებმაც კი.[58]

მომდევნო დღეს სტალინი განრისხებული შეიჭრა კომუნისტური პარტიის ტფილისის შტაბში. მან დაგმო „ადგილობრივი შოვინიზმი“ კომუნისტებს შორის და გამოაცხადა, რომ მის სამშობლოში კომუნისტური პარტიის უპირველესი ამოცანა იყო დაუნდობელი ბრძოლა ნაციონალიზმის გადმონაშთებთან.

სტალინი საომარ განწყობაზე იყო და მოითხოვდა, ადგილობრივ კომუნისტურ პარტიას თავისი რიგები გაეწმინდა პატრიოტებისგან და „ყველა მათგანისგან, ვინც არ მოინდომებდა, საქართველოს ინტერესები საერთო საბჭოთა კავშირის ინტერესებისთვის დაექვემდებარებინა.“[59] ლენგი აღნიშნავდა, რომ „ამგვარი ენა, რომელშიც ადვილად იცნობოდა ახლად დაბადებული ველიკორუსული იმპერიალიზმის ნოტები, სავალალო შთაბეჭდილებას ახდენდა, როცა ის განმათავისუფლებელი მოძრაობის ქართველი ვეტერანის პირიდან ისმოდა“.[60]

სტალინი გამძვინვარებული იყო იმ ფაქტის გამო, რომ, როგორც ჩანდა, სოციალ-დემოკრატები ჯერაც არსად გამქრალიყვნენ და არ იყვნენ განადგურებული. მან მოითხოვა, უფრო მკაცრი პოლიტიკა გატარებულიყო და დასრულებულიყო ის ლმობიერება, რომელსაც ლენინი ემხრობოდა 1921 წელს. თუმც სტალინი ჯერ არ იყო ის სრული ძალაუფლების მქონე გენერალური მდივანი, რაც ათიოდ წელიწადში გახდებოდა, მას მაინც ჰქონდა რაღაც-რაღაც ბერკეტები, რომლებიც შეეძლო გამოეყენებინა. მან ვეტერანი ბოლშევიკი მახარაძე საქართველოს რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარეობიდან გადაყენა და მიწათმოქმედების სახალხო კომისრად დანიშნა, რაც აშკარა დაქვეითება იყო.

მახარაძის ადგილზე სტალინმა მოიყვანა სხვა ბოლშევიკი, რომლისთვისაც, მისი აზრით, შეიძლებოდა ადგილობრივი

საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობა მიენდო — ეს იყო ბუდუ მდივანი*. მაგრამ, როგორც ვნახავთ, მდივანი კიდევ უფრო ნაკლებად გამოდგა ქართველ ნაციონალისტებთან მებრძოლად, ვიდრე მისი წინამორბედი.

საქმე მარტო მუქარებით და დაქვეითებებით არ გათავებულა. სტალინმა იცოდა, როგორ გამოეყენებინა მათრახისა და თაფლაკვერის მეთოდი ქართველი კომუნისტების მოსათვინიერებლად. როგორც თაკერი წერდა:

> მან გამოაცხადა გარკვეული შეღავათების შესახებ: მოსკოვი ექვს მილიონ ოქროს რუბლზე მეტ სესხს გასცემდა სამ ამიერკავკასიურ რესპუბლიკაზე, აზერბაიჯანი კი საქართველოსა და სომხეთს უფასოდ მიაწოდებდა ზოგ ნავთობპროდუქტს.[61]

6 ივლისს სტალინი, როგორც აღგვიწერენ, „უფრო თვინიერი აუდიტორიის“ — ტფილისის კომუნისტური პარტიის წინაშე — წარსდგა. მან წარმოთქვა სიტყვა „კომუნიზმის შემდგომი ამოცანები საქართველოსა და ამიერკავკასიაში“. ამჯერად მას არავინ უსტვენდა და სიტყვას არავინ აწყვეტინებდა. როგორც თაკერი წერდა, სტალინის სიტყვის მთავარი არსი იყო

> ქართველებს მკაცრად უნდა ჩავაგონოთ, თუ რამდენად აუცილებელია „ნაციონალიზმის ჰიდრას გასრესა“. სტალინის სიტყვით, წლების მერე ტფილისში დაბრუნებული არასასიამოვნოდ გაოცებული დარჩა, როდესაც აქ ვეღარ ნახა ის სოლიდარობა, 1905-17 წლებში რომ აკავშირებდა ამიერკავკასიის სხვადასხვა ხალხს და მუშათა და გლეხთა შორის ნაციონალიზმი განვითარებულიყო. როგორც ჩანს, ნაციონალისტი

---

* ბუდუ მდივანი (1877-1937) — ბოლშევიკი, რუსეთის საბჭოთა სოციალისტური ფედერალისტური რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენელი ანკარაში, საქართველოს რევკომის თავმჯდომარე, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე. დახვრიტეს 1937 წელს (რედ. შენიშვნა).

> მთავრობის სამწლიან მმართველობას თავისი კვალი დაეტოვებინა. ამგვარად, ქართველი კომუნისტების მორიგი ამოცანა იყო, „დაუნდობელი ბრძოლა ნაციონალიზმთან“ — რეალურად, ნაციონალიზმის გადმონაშთების „გავარვარებული რკინით ამოშანთვა“.[62]

მომდევნო თავებში ვნახავთ, რა ქნა ამ „გავარვარებულმა რკინამ“.

1921 წელს ტფილისში დაბრუნებულ სტალინს გმირივით არ შეხვედრიან. ადამიანებს, რომლებიც მას იცნობდნენ და საქართველოში ცხოვრების დროიდან ახსოვდათ, მასზე გარკვეული ეჭვები ჰქონდათ, რომლებიც ორი ათეული და მეტი წლის წინანდელ მოვლენებთან იყო დაკავშირებული.

სტალინი 1878 წელს დაიბადა გორში. მისი ოჯახი სიღარიბეში ცხოვრობდა და მომავალი არაფერს საიმედოს არ უქადდა, სანამ დედამ არ მოახერხა, შვილი სასულიერო სასწავლებელში მიებარებინა. ეს გორიდან გამოღწევის და უკეთესი ცხოვრების შესაძლებლობას უჩენდა. ბიჭმა ტფილისის სასულიერო აკადემიაში ისწავლა და იმის ნაცვლად, რომ მღვდელი გამხდარიყო, რადიკალური მსოფლმხედველობა შეიძინა — როგორც მრავალმა სხვა მოსწავლემ მასზე ადრე. კითხულობდა აკრძალულ ლიტერატურას, მათ შორის — კაუცკის თხზულებებს, და მარქსისტი გახდა.

რონალდ სუნი მოგვითხრობს, რა მოხდა მერე:

> დაახლოებით 1898 წლის მიწურულს, სემინარიაში ბოლო სასწავლო წლის დასაწყისში, სოსომ [სტალინმა] გადაწყვიტა, მისულიყო ჟორდანიასთან რედაქციაში. ... ჟორდანიას საგულისხმო მოგონებიდან ვიგებთ, რომ ახალგაზრდა სემინარიელმა ვეტერან მარქსისტს უთხრა: „თქვენი ჟურნალისა და თქვენი სტატიების ერთგული მკითხველი ვარ. მათ ჩემზე

> უდიდესი გავლენა მოახდინეს. გადავწყვიტე, სემინარიაში სწავლას თავი დავანებო და ეს იდეები მუშებს შორის გავავრცელო. თქვენი რჩევა მჭირდება“. რადგან კარგი პროპაგანდისტები ჭირდა, ჟორდანია გაახარა ჯუღაშვილის განზრახვამ, მაგრამ გადაწყვიტა, შეემოწმებინა ამ ახალგაზრდის ინტელექტუალური თვალსაწიერი. ისტორიის, სოციოლოგიისა და პოლიტიკური ეკონომიკის თემაზე დასმული რამდენიმე შეკითხვით გაირკვა, რომ სოსოს მეტისმეტად ზედაპირული ცოდნა ჰქონდა, რომელიც ძირითადად *კვალის* სტატიებსა და კარლ კაუცკის ერფურტის პროგრამას ეყრდნობოდა. ჟორდანიამ ჭაბუკ სემინარიელს ურჩია, სასწავლებელში ეს წელიც დარჩენილიყო და თვითგანათლებისთვის მიეხედა. „ვიფიქრებ ამაზე“, თქვა სოსომ და წავიდა ... მარქსიზმის ახალბედა მიმდევარი უწადინოდ დაუბრუნდა სემინარიას, თუმცა უფროსი, თავაზიანი ინტელიგენტის მიერ ჭაბუკი ენთუზიასტისთვის მფარველის პოზიციიდან მიცემულმა რჩევამ იქ დიდხანს ვერ დააკავა.[63]

ხუთი წლის შემდეგ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია ბოლშევიკურ და მენშევიკურ ფრაქციებად გაიყო. პარტიის ქართველმა წევრებმა, ნოე ჟორდანიას მეთაურობით, მენშევიკების მხარე დაიჭირეს. სტალინი, რომელიც უკვე დაშორებოდა ჟორდანიას, მიემხრო ლენინს, რომელიც მის მასწავლებლად და გმირად იქცა. მაშინაც და მერეც ქართველთა შორის ბოლშევიკები ძალიან ცოტანი იყვნენ. სტალინის ამხანაგები თავიდანვე ეჭვის თვალით უყურებდნენ ამ ახალგაზრდას და მისი პრობლემა მხოლოდ „ზედაპირულად გაგებული“ მარქსიზმი როდი იყო. სტალინი სხვა სოციალისტებისგან განსხვავებულად მოქმედებდა და, როგორც ჩანს, რევოლუციური ორგანიზაციის წევრობისთვის აუცილებელი მორალური კომპასი არ გააჩნდა. მაგალითად, დადიოდა ხმები, რომ სემინარიიდან გარიცხვის მერე სტალინმა გასცა სხვა სტუდენტების სახელები, რომლე-

ბიც მის რადიკალურ მოსაზრებებს იზიარებდნენ. როდესაც ამ ბრალდებით პირზე დაადგნენ, სტალინმა თავი თითქოს იმით იმართლა, რომ სემინარიიდან ხალხის გარიცხვით რევოლუციონერთა რიგებს შეემატებოდა წევრები და ეს კარგი ამბავი იყო.

ამას ბევრი სხვა ბრალდებაც მოჰყვა, მათგან ზოგი შემორჩენა იმ ადამიანების მემუარებში, რომლებიც სტალინის თანამებრძოლები იყვნენ 1920-იანებში და შემდგომ. მაგალითად, მას ბრალად სდებდნენ, რომ პოლიციას შეატყობინა ცნობილი სომეხი ბოლშევიკის სტეფან შაუმიანის* საიდუმლო სამალავის ადგილსამყოფელი, რომელიც მხოლოდ მან იცოდა.

მართალია, სტალინის ბიოგრაფთა უმრავლესობა სერიოზულად არ უყურებს მოსაზრებას, რომ ის ცარისტულ პოლიციასთან თანამშრომლობდა, ზოგი მკვლევარს მოჰყავს დამაჯერებელი — თუმცა კი ირიბი — მტკიცებულებები, რომ ამ ქართველი რევოლუციონერის ურთიერთობა ოხრანკასთან იმაზე ჩახლართული იყო, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. ედვარდ ელის სმიტის 1967 წელს გამოცემული საფუძვლიანი კვლევა „ახალგაზრდა სტალინი: მოუხელთებელი რევოლუციონერის ადრეული წლები“, თვალნათლივ გვიდასტურებს, რომ სტალინის იატაკქვეშა ცხოვრება ბევრ პასუხგაუცემელ შეკითხვას აჩენს.

სტალინსა და მეფის პოლიციას შორის ურთიერთობით დაინტერესებამ აშშ-ში მწვერვალს მიაღწია 1956 წელს, როდესაც ჟურნალ *ლაიფში* გამოქვეყნდა ორი სტატია, რომლებიც საბჭოთა ლიდერსა და ოხრანკას ერთმანეთთან აკავშირებდა. ერთის ავტორი იყო ენკავედეს ყოფილი გენერალი ალექსანდრ ორ-

* სტეფანე შაუმიანი (1878-1918) — პოლიტიკოსი, რევოლუციონერი, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბოლშევიკური ფრაქციის წევრი, ბაქოს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს თავმჯდომარე (1917), ბაქოს სახალხო კომისართა საბჭოს (ე.წ. 26 კომისარი) თავმჯდომარე (1918). დახვრიტეს 1918 წელს სხვა კომისრებთან ერთად დღევანდელი თურქმენეთის ტერიტორიაზე (რედ. შენიშვნა).

ლოვი, რომელიც ოცი წლით ადრე გაქცეულიყო დასავლეთში. ორლოვი ამტკიცებდა, რომ „სტალინის საიდუმლო საქმის“ დეტალებს იცნობდა თავისი ბიძაშვილისგან და სწორედ ამ საქმის აღმოჩენას მიიჩნევდა 1930-იანების წმენდებისა და, განსაკუთრებით, სტალინის უმაღლეს სამხედრო ხელმძღვანელობასთან უთანხმოების მიზეზად.

თუმცა, უფრო მნიშვნელოვანი იყო *ლაიფში* გამოქვეყნებული წერილი — თითქოსდა დოკუმენტური დადასტურება იმისა, რომ სტალინი ცარისტული პოლიციის ინფორმატორად მუშაობდა. 1913 წლის 12 ივლისით დათარიღებულ ამ წერილს ხელს აწერდა პოლკოვნიკი ალექსანდრ ერიომინი, პოლიციის დეპარტამენტის საგანგებო დეპარტამენტის უფროსი. ერიომინი სანქტ-პეტერბურგიდან წერდა შორეული ციმბირული ქალაქის ენისეისკის პოლიციის კაპიტანს, რომ ერთ-ერთი რევოლუციონერი, რომელიც ახლახან გადაიყვანეს მის დაქვემდებარებულ ქალაქში, სინამდვილეში პოლიციის ყოფილი ინფორმატორი იყო. აგენტს ერქვა იოსებ ჯუღაშვილი, რომელმაც ცოტა ხნის წინ ფსევდონიმად აიღო „სტალინი“. ერიომინს თუ ვერწმუნებით, სტალინმა პოლიციისთვის ინფორმაციის მიწოდება დაიწყო 1906 წელს ტფილისში დაპატიმრების მერე და მათთან მუშაობას განაგრძობდა ბაქოში და შემდეგ სანქტ-პეტერბურგშიც. წერილის დაწერის დროისთვის სტალინს, ბოლშევიკთა ცენტრალურ კომიტეტში არჩევის მერე, პოლიციასთან თანამშრომლობა გაწყვეტილი ჰქონდა.

ერიომინის წერილის შემთხვევაში პრობლემა ისაა, რომ არავინ იცის, ნამდვილია თუ არა. წერილი პირველად 1930-იანებში გამოჩნდა და არსებობს საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ ის ტროცკიმ ნახა, ან გაიგო მისი არსებობის შესახებ. მაგრამ ტროცკიმ არჩია, უარეყო შეხედულება – მაშინ ფართოდ გავრცელებული — რომ შესაძლოა, სტალინი ორმაგი აგენტი ყოფილიყო. 1940-იანების შუა წლებში წერილი ისევ ამოტივტივდა

ნიუ-იორკში და თეთრ რუს ემიგრანტებს შორის გავრცელდა. საბოლოოდ მის გამოქვეყნებას ჟურნალ *ლაიფში* მოჰყვა ისააკ დონ ლივაინის წიგნი „სტალინის უდიდესი საიდუმლო“ (1956). ლივაინს მეოთხედი საუკუნის წინ დაწერილი ჰქონდა სტალინის პირველი ინგლისურენოვანი ბიოგრაფია და ეს წერილი სარწმუნოდ მიაჩნდა. მეცნიერების უმრავლესობა მას არ დაეთანხმა.

რამდენიმე წელიწადში ეს წერილი დავიწყებას მიეცა. მაგრამ, როდესაც 1980-იანი წლების ბოლოს მიხაილ გორბაჩოვმა საბჭოთა საზოგადოებაში მოულოდნელად დაუშვა გარკვეული დონის თავისუფალი განხილვები, წერილი კვლავ აქტუალური გახდა, რადგან რუსმა ისტორიკოსებმა განაახლეს მსჯელობა სტალინის ადრეულ საქმიანობასა და მის შესაძლო პოლიციის ჯაშუშობაზე.

ისტორიკოსისა და დიპლომატის ჯორჯ ფ. კენანის აზრით, ეს წერილი არის „ისტორიული საბუთის ერთ-ერთი იმგვარი ნიმუში, რომელზეც მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ მისი სიყალბის ნიშნები მეტისმეტად დამაჯერებელია საიმისოდ, ნამდვილად რომ ჩავთვალოთ, და მისი ნამდვილობის ნიშნები მეტისმეტად დამაჯერებელია საიმისოდ, რომ სრულიად ყალბად მივიჩნიოთ“.[64]

იმ ფაქტორებს შორის, რომლებიც წერილის ნამდვილობის სასარგებლოდ მეტყველებს, არის მასში მოთხრობილი უცნაური ამბავი 1906 წელს ტფილისში სტალინის დაკავების შესახებ. სტალინის ცხოვრების აღწერათა უმრავლესობა ამ დაპატიმრებას არ ახსენებს. მაგრამ ის ნახსენებია სტალინის დაუმთავრებელ ბიოგრაფიაში ტროცკის ავტორობით, რომელიც დაახლოებით იმავე დროს გამოქვეყნდა, როდესაც ლივაინმა და თეთრმა რუსებმა ერიომინის წერილის დაბეჭდვაზე დაიწყეს ზრუნვა. ტროცკის წიგნი — რომელიც უარყოფდა სტალინის ინფორმატორობის ალბათობას — ქრონოლოგიას შეიცავს და მასში ნახსენებია 1906 წლის დაპატიმრებაც.

თუ სტალინი 1906 წელს დააპატიმრეს, ეს, სავარაუდოდ, მაშინ უნდა მომხდარიყო, როდესაც პოლიციამ ტფილისის ავლაბრის უბანში მდებარე იატაკქვეშა სტამბაში რეიდი ჩაატარა. როგორც იმ დროს თითქმის ყველაფერს რევოლუციურს საქართველოში, ამ სტამბასაც მენშევიკები აკონტროლებდნენ. რუსეთის იმპერიის ამ რეგიონში ლენინს ცოტა მომხრე ჰყავდა, მათგან ერთ-ერთი სტალინი იყო.

მაგრამ ამ პერიოდში ბოლშევიკები და მენშევიკები იძულებული იყვნენ, ერთად ემუშავათ და, როდესაც სტალინმა ავლაბრის სტამბის ადგილმდებარეობა შეიტყო, ცოტა ხანში პოლიციამ ის დაკეტა და ბევრი ადამიანი დაიჭირა. შესაძლოა, სტალინი იყო ის ადამიანი, ვინც პოლიციას ინფორმაცია მიაწოდა.

ბევრად უფრო ადრე, ვიდრე ის 1921 წელს ტფილისში დაბრუნდებოდა წითელი არმიის შემოჭრის შემდგომ, სტალინი უკვე გაუცხოებული იყო არა მხოლოდ ქართველი სოციალ-დემოკრატებისგან, არამედ თავად საქართველოსგანაც.

დამოუკიდებლობის დასასრული

რუს ბოლშევიკებს უყვარდათ იმის აღნიშვნა, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატები თავიდან ნაციონალისტები არ ყოფილან. როგორც კარლ რადეკი, კომუნისტური ინტერნაციონალის* ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა, მოგვიანებით ჩამოაყალიბებს,

* კომუნისტური ინტერნაციონალი (კომინტერნი) — ე.წ. მესამე ინტერნაციონალი, 1919 წელს ვ. ლენინის მიერ შექმნილი საერთაშორისო გაერთიანება, რომელშიც გაწევრიანებული იყო მსოფლიოში მოქმედი კომუნისტური პარტიები. კომინტერნი შეიქმნა მეორე ინტერნაციონალის რეფორმისტული დემოკრატიული მიმდინარეობის საპირწონედ, მიიჩნეოდა საბჭოთა რუსეთის პოლიტიკური გავლენის გავრცელების მთავარ იარაღად დასავლეთ ევროპაში (რედ. შენიშვნა).

ქართველი სოციალ-დემოკრატიული ხელმძღვანელობა „შედგებოდა ადამიანებისგან, რომელთაგან არცერთი არ ემხრობოდა საქართველოს დამოუკიდებლობას 1917 წლის ოქტომბრამდე, არამედ ყველანი დიდი რუსეთის პატრიოტები იყვნენ“.[65]

რადეკი მთლადაც არ ცდებოდა. 1917 წლის მარტში ცარისტული რეჟიმის დამხობამდე და, განსაკუთრებით, რვა თვეში ბოლშევიკების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებამდე, სოციალ-დემოკრატები ქართულ პოლიტიკურ პარტიათაგან ყველაზე *ნაკლებად* ნაციონალისტები იყვნენ. არსებობდა რამდენიმე პარტია, რომლებიც სოციალ-დემოკრატებს ბევრად აჭარბებდნენ ნაციონალიზმით — ასეთებს შორის იყვნენ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია* და ეროვნულ-დემოკრატები.

თავიანთი რუსი მენშევიკი ამხანაგების მსგავსად, ნოე ჟორდანიას პარტიასაც წარმოედგინა, რომ რევოლუციის მერე დაიბადებოდა ახალი, დემოკრატიული რუსეთის რესპუბლიკა და იმპერიის განაპირა ქვეყნები გარკვეულ ავტონომიას მიიღებდნენ. შესაძლოა დაშვებულიყო რამდენიმე გამონაკლისი, მაგალითად, პოლონეთი და ფინეთი, რომლებიც სრულიად დამოუკიდებლები გახდებოდნენ. მაგრამ სასაზღვრო ქვეყნების უმრავლესობა, მათ შორის, საქართველო, რუსეთის ფედერაციის ნაწილად დარჩებოდა.

---

* 1904 წელს ჟენევაში შექმნილი საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა ბლოკისტური სარევოლუციო პარტია, აერთიანებდა ავტონომისტ სოციალისტებს, ნაციონალისტებსა და ანარქისტებს. შემდგომ წლებში პარტიის ბირთვს ავტონომისტი სოციალისტები შეადგენდნენ, რომლებიც ძირითად აქცენტს საქართველოსათვის ავტონომიის მინიჭებაზე აკეთებდნენ. 1904-1917 წლებში პარტია აკრიტიკებდა სოციალ-დემოკრატთა პოზიციებს და მოითხოვდა მეტ მზრუნველობას ეროვნული საკითხისა და საქართველოს სტატუსის მიმართ. 1918 წლიდან პარტია უკვე დამოუკიდებელ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად მარცხნივ გადაიხარა და სოციალ-დემოკრატების კრიტიკა მემარცხენე სოციალისტური პოზიციიდან გააგრძელა (რედ. შენიშვნა).

ქართველი სოციალ-დემოკრატები არ იყვნენ ამ შეხედულების ერთადერთი მომხრენი. ებრაული მუშათა ბუნდი, რომელიც რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაზე უფრო ადრეც კი იყო დაფუძნებული, ასევე მხარს უჭერდა ებრაელი ხალხისთვის რაღაც სახის ავტონომიას ფედერაციის პრინციპით გაერთიანებულ რუსეთის რესპუბლიკაში. მათი განსაზღვრებით, ეს იქნებოდა „ეროვნულობა სახელმწიფოებრიობის გარეშე“ და ისინი უპირისპირდებოდნენ სიონისტებს, რომლებიც დამოუკიდებელი ებრაული ქვეყნის შექმნას ემხრობოდნენ (საბოლოოდ პალესტინაში რომ შეიქმნა). ბუნდს 1906 წლისთვის „რუსეთის იმპერიაში უდიდეს სოციალისტურ დაჯგუფებად“ მოიხსენიებდნენ, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ამ ტიტულის მინიჭება ქართველი სოციალ-დემოკრატებისთვისაც შეიძლებოდა.[66] თუმცა კი ებრაული მუშათა ბუნდიც და ქართველი სოციალ-დემოკრატებიც წარმატებული სახალხო მოძრაობა იყო და გარკვეული აზრით ორივეს ნაციონალისტური მიმართულება ჰქონდა, ამათგან არცერთი თავისი ხალხის ეროვნულ დამოუკიდებლობას მხარს არ უჭერდა.

ქართველ სოციალ-დემოკრატებს დამოუკიდებლობა იმდენად ნაკლებად აინტერესებდათ, რომ, როდესაც ბოლშევიკებმა ძალაუფლება ჩაიგდეს ხელში, მათი პირველი იმპულსი *არ* ყოფილა მაშინვე დამოუკიდებლობა გამოეცხადებინათ. თავდაპირველად, მათ თავიანთ სამხრეთკავკასიელ მეზობლებთან — სომხეთსა და აზერბაიჯანთან — ერთად შექმნეს ამიერკავკასიის კომისარიატი*.

---

* ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ამიერკავკასია ფაქტობრივად სრულიად ჩამოშორდა რუსეთს. ამიერკავკასიის პოლიტიკური ძალები არ ცნობდნენ ბოლშევიკურ ხელისუფლებას. რეგიონის დროებითი მმართველობითი ორგანოს შესაქმნელად ქართულ-აზერბაიჯანულ-სომხურმა პოლიტიკურმა ძალებმა ჩამოაყალიბეს ამიერკავკასიის კომისარიატი ქართველი სოციალ-დემოკრატის ევგენი გეგეჭკორის მეთაურობით. კომისა-

ამ სამი ქვეყნის პოლიტიკურ ლიდერებს იმედი ჰქონდათ, რომ ცარისტული ავტოკრატია მშვიდობიანად გადავიდოდა დემოკრატიულ, ფედერალურ მმართველობაზე მთელს ყოფილ რუსეთის იმპერიაში. მაგრამ რაც პეტროგრადში ხელისუფლებაში ბოლშევიკები მოვიდნენ, და განსაკუთრებით მას მერე, რაც 1918 წლის იანვარში დამფუძნებელი კრება დაითხოვეს, ცხადი გახდა, რომ რუსეთის დემოკრატიულ, ფედერალურ რესპუბლიკას არსებობა არ ეწერა.

1918 წლის 22 აპრილისთვის, როდესაც რუსეთთან გაერთიანების პერსპექტივა დასამარდა, სამმა ამიერკავკასიურმა რესპუბლიკამ ერთობლივად გამოაცხადა დამოუკიდებლობა. მათ შექმნეს სახელმწიფო, რომელსაც გრძელი სახელი — ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა — ერქვა. თუმცა სულ რამდენიმე კვირაში მისი შემადგენელი რესპუბლიკები თავ-თავიანთ გზებს დაადგნენ. (როგორც ვნახავთ, ეს ფედერაცია ცოტათი განსხვავებული ფორმით კვლავ აღდგება საბჭოეთის მიერ ამ რეგიონის დაპყრობის მერე.)

ვერ უარვყოფთ, რომ 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ და მას მერე, რაც თითქმის სამი წლის განმავლობაში ქვეყნის ახლად მოპოვებულ სუვერენიტეტს თურქი, სომეხი და რუსი თავდამსხმელებისგან დაცვა მოუხდათ, სოციალ-დემოკრატები (და ყველა ქართველიც) უფრო ნაციონალისტები გახდნენ.

რიატის შექმნის შესახებ გადაწყვეტილება 1917 წლის 14 ნოემბერს გამოქვეყნდა. მასში შედიოდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები და სოციალისტ-ფედერალისტები, აზერბაიჯანელი მუსავატელები, სომეხი დაშნაკები და რუსი ესერები. კომისარიატი რეგიონს 1918 წლის მარტამდე მართავდა, სანამ 1918 წლის თებერვალში შეკრებილმა ამიერკავკასიის სეიმმა დროებითი მთავრობა არ შექმნა (ეს მთავრობა, რომელსაც კვლავ გეგეჭკორის მეთაურობდა, ამიერკავკასიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნამდე ფუნქციონირებდა) (რედ. შენიშვნა).

ამ ცვლილებების გათვალისწინებით, საბჭოთა პოლიტიკა საქართველოში 1921 წლის თებერვლის მერე თავიდანვე პრობლემური იყო. ქართველები, რომლებმაც დამოუკიდებლობას გემო გაუსინჯეს, არ იყვნენ მოწადინებულები, ისევ ვიღაცის პროვინცია გამხდარიყვნენ.* ქართველ ბოლშევიკებს ეს ესმოდათ. და მაინც, საბჭოთა ძალებმა არ დააყოვნეს, შებრძოლებოდნენ ამ ახლად მოპოვებულ ნაციონალიზმს იმით, რომ სწრაფად მოეღოთ ბოლო ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის. ეს გადაიქცა ერთ-ერთ ფაქტორად, რომელმაც ქვეყანაში მზარდი მღელვარება და, საბოლოოდ, 1924 წლის აგვისტოს საყოველთაო აჯანყება გამოიწვია.

საქართველოს დამოუკიდებლობაზე შეტევა მაშინ დაიწყო, როდესაც ქვეყანაში შემოჭრილ საბჭოთა ჯარსა და საქართველოს სამხედრო ძალებს შორის ბრძოლები ჯერ კიდევ მიმდინარეობდა. უკვე 1921 წლის მარტში სტალინის წარმომადგენელი სერგო ორჯონიკიძე ბათუმში აფხაზი ბოლშევიკების ლიდერებს შეხვდა. შედგა შეთანხმება, რომ აფხაზეთი „დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკა“** იქნებოდა. მაშინ, ისევე როგორც დღეს,

---

* იხ. *1921: ფილიპე მახარაძის მოხსენება* – https://civil.ge/ka/archives/569180 (ნანახია: 30.05.2023), გამოქვეყნდა ჟურნალში: „თავისუფალი საქართველო“, N24, 1922 წლის 10 ივლისი (რედ. შენიშვნა).

** 1921 წლის 31 მარტს ქართველ ბოლშევიკთა ერთი ნაწილის ხელშეწყობით აფხაზეთი ნაცვლად ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკისა გამოცხადდა აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად. ეს ფორმა არ იყო საბჭოთა რესპუბლიკის ეკვივალენტი, რადგანაც 1921 წლის 16 დეკემბერს თბილისში გაფორმდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასა და აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას შორის სამოკავშირეო ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც აფხაზეთი ფაქტობრივად შედიოდა საქართველოს სსრ-ს შემადგენლობაში. შემდგომ, აფხაზეთი ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის შემადგენლობაში შევიდა როგორც საქართველოს სსრ-ს ნაწილი. 1931 წლის თებერვალში აფხაზეთის სსრ-ს სტატუსი გაუქმდა და

საქართველოს აფხაზეთი თავის განუყოფელ ნაწილად მიაჩნდა. მაგრამ ორჯონიკიძეს აფხაზი ბოლშევიკების მხარდაჭერა სჭირდებოდა და სძულდა ქართული ნაციონალიზმი. (როგორც ვნახავთ, 1924 წელს საბჭოთა რეჟიმისადმი ერთგულმა აფხაზებმა აჯანყების ჩახშობაში თავისი როლი ითამაშეს.)

რაც შეეხება აჭარას — რეგიონს ბათუმის გარშემო — მას 1921 წლის ივლისში მიენიჭა ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკის განსაკუთრებული სტატუსი. ეს თურქების მოთხოვნით მოხდა, რომლებსაც ამ რეგიონზე პრეტენზია ჰქონდათ*.

ეწოდა აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, რომელიც კვლავინდებურად საქართველოს სსრ-ს შემადგენელი სუბიექტი იყო (რედ. შენიშვნა).

* ბათუმის ოლქისათვის ავტონომიური სტატუსის მინიჭების საკითხი 1919 წლიდან აქტიურად განიხილებოდა. ამგვარ სტატუსს ემხრობოდა რეგიონში დიდი პოლიტიკური გავლენის მქონე სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი და მის მიერვე ფორმირებული სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისი. 1920 წლის ივლისში, ბრიტანული საოკუპაციო ჯარის გასვლის შემდეგ, რეგიონის სამართვად დროებითმა მთავრობამ გენერალ-გუბერნატორი დანიშნა, პარალელურად გაგრძელდა მუშაობა ავტონომიის შემოსაღებად. 1921 წლის 21 თებერვალს დამფუძნებელი კრების მიერ მიღებულ კონსტიტუციაში გაცხადებული იყო, რომ ბათუმის ოლქს (სამუსლიმანო საქართველოს) მიენიჭებოდა ავტონომია. 1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთსა და ქემალ ფაშას ე.წ. ანგორას მთავრობას შორის მიმდინარე მოლაპარაკებებში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა კავკასიაში გავლენის ზონებისა და ტერიტორიების განაწილებას. თურქულმა მხარემ 1921 წლის 16 მარტს ფაქტობრივად უარი განაცხადა ბათუმის ოლქის ძირითად ნაწილზე (ქალაქ ბათუმითურთ), ამავე დროს საბჭოთა რუსეთის მხარემ დადო პირობა, რომ რეგიონში შემოღებული იქნებოდა ავტონომიური მმართველობა. მოსკოვის ხელშეკრულება საბოლოოდ დამტკიცდა 1921 წლის 13 ოქტომბერს ყარსში გაფორმებული ახალი ხელშეკრულებით, რომელსაც ხელი მოაწერეს ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებმა და ქემალისტურმა მთავრობამ. საბოლოოდ ყარსის ხელშეკრულებაში აისახა ბათუმის ოლქის ავტონომიის საკითხიც (რედ. შენიშვნა).

საქართველოს დანაწევრება აფხაზეთითა და აჭარით არ დასრულებულა. საბჭოელებმა ავტონომია მიანიჭეს სამხრეთ ოსეთსაც*, სადაც ქართველები და ოსები გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ. რეგიონის დედაქალაქად შერჩეულ ქალაქში – ცხინვალში – მოსახლეობის უმრავლესობას ებრაელები შეადგენდნენ.[67] ამ რეგიონების (აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი) დასახელებები მსოფლიოსთვის დღეს ნაცნობი გახდა იმიტომ, რომ ბოლო წლებში რუსეთის არმიამ ორივე ამ რეგიონის ოკუპაცია მოახდინა. საქართველოს ტერიტორიის დაახლოებით 20% ამჟამად რუსეთის არმიას უკავია.

საბჭოეთი 1921 წელს კვლავ განაგრძობდა საქართველოსთვის ტერიტორიის ჩამოჭრას: დაახლოებით 12 000 კვადრატული კილომეტრი გადასცა თურქებს, ზაქათალის რაიონის დიდი ნაწილი – აზერბაიჯანს და კიდევ 4 000 კვადრატული კილომეტრი – სომხებს, ბორჩალოს რაიონში. ეს განსაკუთრებით მტკივნეული იყო, რადგან 1918 წელს სომხები საქართველოში შეიჭრნენ და ისინი ქართველებმა ხანმოკლე, სისხლისმღვრელ ომში დაამარცხეს**. 1921 წლის დასაწყისში სომხეთიც და აზერ-

---

* სამხრეთ ოსეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური ოლქი შეიქმნა სრულიად საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საბჭოების სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1922 წლის 22 აპრილს მიღებული დეკრეტის საფუძველზე. ოლქი აერთიანებდა ყოფილი გორის მაზრის ცხინვალისა და ჯავის რაიონებს, ასევე დუშეთის, შორაპნისა და რაჭის მაზრის მცირე სასოფლო თემებს (რედ. შენიშვნა).

** დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ამიერკავკასიის სამი ახალი რესპუბლიკა თავიანთი სახელმწიფო საზღვრების სამ განსხვავებულ მონახაზს აღიარებდა. განსაკუთრებით დიდ დავებს წარმოშობდა მრავალეთნიკური შემადგენლობის სასაზღვრო რაიონები. ამ კუთხით გამორჩეული იყო ბორჩალოს მაზრა, სადაც მრავლად სახლობდნენ სომხები, მუსლიმები (აზერბაიჯანელები), ქართველები და რუსები. სომხეთის რესპუბლიკა ამ მაზრაზე მისი იურისდიქციის გავრცელების პრეტენზიას გამოთქვამდა. ად-

ბაიჯანიც საბჭოთა კავშირის დაქვემდებარებაში იყო და მოსკოვი მათ საქართველოსთვის ჩამოჭრილი მიწების გადაცემით აჯილდოებდა.

ქართველები ამაზე გაჩუმებული როდი იყვნენ. მაგალითად, მწერალმა და პოეტმა კონსტანტინე გამსახურდიამ გამოაქვეყნა ღია წერილი ლენინისადმი. შეგვინარჩუნეთ დამოუკიდებლობა, თორემ საქართველო საბჭოთა რუსეთის ირლანდია გახდებაო, აცხადებდა ის. (ჩვენ ვნახავთ, რომ საქართველოსა და ირლანდიას შორის შედარება 1924 წლის აჯანყებასთან დაკავშირებითაც მოხდება.)[68] მაგრამ საბჭოთა ხელისუფლება მათ ყურს არ უგდებდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების ნაცვლად (რასაც მათ 1920 წლის მაისში საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულება ავალდებულებდა), ბოლშევიკებმა საფუძველშივე მოსპეს ყოველგვარი იმედი, რომ შეიძლებოდა, საქართველოს რაიმე სახის დამოუკიდებელი

მინისტრაციულად, მაზრა თბილისის ყოფილ გუბერნიას ექვემდებარებოდა და, შესაბამისად, საქართველოს ახალი რესპუბლიკის საზღვრებში ექცეოდა. 1918 წლის შემოდგომაზე რესპუბლიკათა შორის მოლაპარაკებები ახალი საზღვრების დადგენის შესახებ წარუმატებლად დასრულდა. ამავდროულად, მსოფლიო ომში საქართველოს მფარველისა და მოკავშირის გერმანიის მარცხმა სომხეთს ბიძგი მისცა სასაზღვრო პრეტენზიები სამხედრო გზით გადაეწყვიტა. 1918 წლის დეკემბერში სომხური შეიარაღებული ძალები შეიჭრნენ ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრაში, ბრძოლებმა სამ კვირაზე მეტ ხანს გასტანა, ქართულმა მხარემ შეძლო სომხური ნაწილების დამარცხება. პროცესში ჩაერია რეგიონში ახლად შემოსული დიდი ბრიტანეთი და 1918 წლის 31 დეკემბერს საბრძოლო მოქმედებები შეჩერდა. ბორჩალოს მაზრის ჩრდილოეთის დიდი ნაწილი საქართველოს დარჩა, სამხრეთი ნაწილი ნეიტრალურ ზონად გამოცხადდა, რომლის მართვასა და შემდეგ კონტროლზე ცალკე უნდა გამართულიყო კონფერენციები ბრიტანეთის მონაწილეობით. ასევე უარყოფილი იქნა სომხეთის პრეტენზიები ახალქალაქის მაზრასა და თვით ქალაქ თბილისზე (რედ. შენიშვნა).

სტატუსი ჰქონოდა საბჭოთა იმპერიის შიგნით. ქართველ ბოლშევიკებში, რომლებსაც ახლა სათავეში სტალინის დანიშნული ბუდუ მდივანი ედგა, ამ საკითხის თაობაზე აზრთა სხვადასხვაობა გაჩნდა. ბევრს ესმოდა, რომ ქართველები, რომლებმაც უკვე გაუსინჯეს გემო დამოუკიდებლობას, ნებისმიერი სხვა სტატუსით უკმაყოფილო იქნებოდნენ. დონალდ რეიფილდი მომხდარს ამგვარად აჯამებს:

> საბჭოთა ცენტრალური კომიტეტის კომისია დიდხანს ისმენდა ფედერაციის მომხრეებისა (სერგო ორჯონიკიძე, სტალინი და ძერჟინსკი) და მოწინააღმდეგეების (ბუდუ მდივანი — ქართველს კომუნისტთა იმ უმრავლესობის წარმომადგენელი, რომლებსაც უკვე „ნაციონალ-უკლონისტებს“ უწოდებდნენ) კამათს. ... ლენინმა (იგი სტალინსა და ორჯონიკიძეს ტიპურ გაუთლელ „გარუსებულ აბორიგენებად“ მიიჩნევდა) მხარი მდივანს დაუჭირა, მაგრამ უკვე ისე იყო დასუსტებული, რომ საბოლოო გადაწყვეტილებაზე გავლენა ვერ მოახდინა.[69]

იმის ნაცვლად, რომ საბჭოთა კავშირში ნომინალურად დამოუკიდებელი საქართველო მიეღოთ, ის გააერთიანეს ახალი ამიერკავკასიის რესპუბლიკის შემადგენლობაში, სომხეთსა და აზერბაიჯანთან ერთად. 1918 წლის პირველი ასეთი მცდელობისგან განსხვავებით, ეს რესპუბლიკა ადგილობრივ პოლიტიკოსებს არ შეუქმნიათ. ის მოსკოვის მიერ იყო თავსმოხვეული. დამოუკიდებლობის დაკარგვა ახლა რეალობად იქცა და ქვეყანაში მზარდი უკმაყოფილების ერთ-ერთი მიზეზი გახდა — როგორც ამას გამსახურდია წინასწარმეტყველებდა. ეს არის ერთ-ერთი ფაქტორი, რომელმაც 1924 წლის აგვისტოს საქვეყნო აჯანყება გამოიწვია.

დამოუკიდებლობის შესახებ ეს დავა საქართველოს კომუნისტური პარტიის *შიგნით* თანდათან იქცა მოვლენად, რომელმაც ლენინის სიცოცხლის ბოლო წლებში საბჭოთა პოლიტიკაზე

მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა. როგორც მოშე ლივაინი წერს:

> ქართველი კომუნისტები მოწადინებული იყვნენ, მოეპოვებინათ სახალხო მხარდაჭერა კავკასიაში, სადაც ეროვნული და ნაციონალისტური გრძნობები განსაკუთრებით ღრმად იყო ფესვგამდგარი, ამასთან, ცოტა ხნის წინ ეს გრძნობები გამოეღვიძებინა მენშევიკთა მთავრობის პირობებში გამოცდილ დამოუკიდებლობას, ახლახან ძალადობრივად რომ წაეგლიჯათ მათთვის.[70]

ორჯონიკიძეს ზურგს სულ უფრო მეტი ძალაუფლების მქონე სტალინი უმაგრებდა და მისი ქცევა „პროკონსულურად" იქნა მონათლული. ის ქართველ ბოლშევიკთა შეხედულებებს უგულებელყოფდა. ლენინს ეჭვი შეეპარა, რამდენად მიზანშეწონილი იყო ამიერკავკასიის რესპუბლიკის თავსმოხვეული პროექტი; მას ერჩივნა, ადგილობრივი მოსახლეობის დარწმუნებას პროპაგანდისტული კამპანიით ცდილიყვნენ. ქართველებს საბჭოთა ხელმძღვანელობაში სხვა მოკავშირეებიც ჰყავდათ, რომელთაგან ყველაზე გამორჩეული იყო ფილიპე მახარაძე, მთელი ცხოვრების განმავლობაში უცვლელი ინტერნაციონალისტი, რომელიც, ლენინის მსგავსად, ეჭვით უყურებდა გეგმას, საქართველო რეგიონულ მთავრობას ყოფილიყო დაქვემდებარებული.

ქართველი ბოლშევიკები სტალინისა და ორჯონიკიძის გეგმის წინააღმდეგ მხოლოდ დავას არ სჯერდებოდნენ. ისინი მას აქტიურად ეწინააღმდეგებოდნენ. ლივაინი წერს: „მათ საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებზე შეიარაღებული მესაზღვრეები დააყენეს, ითხოვდნენ ქვეყანაში ცხოვრების უფლების საბუთს, ა.შ."[71] სხვადასხვა სახელისუფლებო ორგანოში გაიტანეს დადგენილებები, რომლებიც აცხადებდნენ „მათი ეროვნული დამოუკიდებლობის ხელშეუხებლობას — დადგენილებები, რომელთა ანტიფედერალური ხასიათი სრულიად აშკარა იყო".[72]

წითელი არმიის მიერ საქართველოს დაპყრობიდან ერთ წელიწადში ორჯონიკიძემ – სომხეთისა და აზერბაიჯანის კომუნისტი ლიდერების მხარდაჭერით – გამოაცხადა ფედერალური მოწყობის გეგმა, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის ფაქტობრივ დასრულებას ნიშნავდა. სტალინის მხარდაჭერით, მან მთელი იმ წლის განმავლობაში ომი აწარმოვა ქართველი ნაციონალ-უკლონისტების წინააღმდეგ.

ქართველი ბოლშევიკები თავგამოდებით იცავდნენ შემორჩენილი ავტონომიის ყველა ნამცეცს. თავიანთი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებულ დადგენილებაში გადაწყვიტეს, „ნაადრევად იქნეს მიჩნეული დამოუკიდებელი რესპუბლიკების გაერთიანება ავტონომიზაციის საფუძველზე, რომელსაც ამხანაგ სტალინის თეზისები გვთავაზობს. ჩვენ აუცილებლობად მიგვაჩნია ეკონომიკური საქმიანობისა და გენერალური პოლიტიკის გაერთიანება, თუმცა დამოუკიდებლობის ყველა ნიშნის შენარჩუნებით“.[73]

ამან გამოიწვია შეხლა-შემოხლა ორჯონიკიძის მიერ მართულ ამიერკავკასიის რეგიონულ კომუნისტურ ორგანიზაციასთან, რომელმაც ფედერალური გეგმის მხარდამჭერი დადგენილება მიიღო. მან „გამოიყენა პარტიულ იერარქიაში უფრო მაღლა მდგომის სტატუსი და საქართველოს ცენტრალურ კომიტეტს უბრძანა, დამორჩილებოდა სტალინის ბრძანებებს და მოსკოვთან შეხედულებათა სხვადასხვაობა საჯარო არ გაეხადა“.[74]

1922 წლის 29 აგვისტოს სტალინმა ბოლშევიკთა ლიდერ მდივანს გაუგზავნა დეპეშა, რომლითაც ატყობინებდა, რომ რუსეთის ფედერაციის უმაღლესი სამთავრობო ორგანოების გადაწყვეტილებები სავალდებულოდ შესასრულებელი იყო ყველა რესპუბლიკისთვის, მათ შორის, საქართველოსთვის. ქართველებმა, რაკი მიხვდნენ, რომ სტალინსა და ორჯონიკიძესთან ვერაფერს გახდებოდნენ, დახმარებისთვის ლენინს მიმართეს – ამაოდ. მაგრამ ლენინის ეს დამოკიდებულება მალე შეიცვლებოდა.

ქართველმა ბოლშევიკმა ლიდერებმა, რომლებსაც სხვა გზა აღარ დარჩათ, სრულიად განსაკუთრებული გადაწყვეტილება მიიღეს: 1922 წლის 22 ოქტომბერს ყველანი ერთად გადადგნენ. როგორც ლივაინი შენიშნავს, „ეს, უეჭველია, სწორედ ის იყო, რასაც ორჯონიკიძე იმედოვნებდა“, და მან „მაშინვე დანიშნა ახალი ცენტრალური კომიტეტი გამოუცდელი, მაგრამ მორჩილი ახალგაზრდა ადამიანებისგან, რომლებმაც წარბშეუხრელად მიიღეს ფედერალური მოწყობა“.[75] ორჯონიკიძის ეს საქციელი უპასუხოდ არ დარჩენილა. ლივაინის თანახმად, „ძველი ცენტრალური კომიტეტის წევრებს ფარ-ხმალი არ დაუყრიათ. ხელმძღვანელობის შეცვლა უბრალოდ ხაზს უსვამდა, რამდენად არაპოპულარული იყო ორჯონიკიძე საკუთარ ქვეყანაში“.[76]

ორჯონიკიძე მოთმინებას კარგავდა. ნოემბერში მან სილა გააწნა პარტიის ერთ წევრს, რომელიც მდივანის მომხრე იყო*. მომდევნო რამდენიმე წელში ასეთი შემთხვევები შეუმჩნეველი გახდება, რადგან სტალინმა და მისმა მოკავშირეებმა ათასობით დაიწყეს კომუნისტების ხოცვა. მაგრამ 1922 წელს ამგვარი საქციელი ბოლშევიკური პარტიის შიგნით მიუღებლად მიიჩნეოდა — და ლენინმა, როგორც იქნა, შეამჩნია. ლივაინი წერს, რომ „ორჯონიკიძე მეფისნაცვალივით მოქმედებდა, ფეხქვეშ თელავდა სამართლებრივ და კანონით დადგენილ ჩარჩოებს და ეროვნული რესპუბლიკების კომუნისტთა წინააღმდეგ უხეშ ძალას იყენებდა“.[77] დეივიდ ლენგის სიტყვებით:

> თბილისიდან მომავალი ამბებისა და საჩივრების ნიაღვრის პასუხად, საქართველოში გაიგზავნა საგამოძიებო კომისია საბჭოთა საიდუმლო პოლიციის უფროსის ფელიქს ძერჟინსკის ხელმძღვანელობით, იქ არსებული სიტუაციის შესასწავლად. გამობრძმედილი ძერჟინსკიც კი შეძრწუნებული

* იგულისხმება აკაკი კობახიძე (1889-1937) (რედ. შენიშვნა).

> დარჩა იმ ძალის გადამეტებით, რასაც ორჯონიკიძე და მისი დამქაშები სჩადიოდნენ სტალინის ბრძანებით.[78]

ლენინმა ჩათვალა, რომ სტალინმა და ორჯონიკიძემ წითელი ხაზი გადაკვეთეს. ლენგი წერს:

> ძერჟინსკის ანგარიშმა ლენინს კიდევ უფრო გაუმძაფრა სტალინის მიმართ სულ უფრო მზარდი უნდობლობა და გაუმყარა გადაწყვეტილება, არ დაეშვა პარტიის ხელმძღვანელობაში მისი დარჩენა. ასევე, გადაწყვიტა, ორჯონიკიძისთვის პარტიის წევრობა შეეჩერებინა. თავის ანდერძში და სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ნაკარნახევ სხვა დოკუმენტებში ლენინი წერდა, რომ ის „თავს ძალიან დამნაშავედ გრძნობდა რუსეთის მუშათა წინაშე იმის გამო, რომ ენერგიულად და საკმარისად რადიკალურად არ ჩაერია ამ სამწუხაროდ ცნობილ მოვლენებში“. ის შეძრწუნებული იყო, თუ რა „ჭაობში“ ჩაეფლო პარტია „ქართულ საკითხში“.[79]

1923 წლის 6 მარტს ლენინმა საქართველოს ბოლშევიკ ლიდერებს წერილი გაუგზავნა. ჰპირდებოდა, რომ მათ საქმეს მოახლოებულ პარტიის ყრილობაზე გაიტანდა. „ამ საკითხში მთელი გულით თქვენთან ვარ“, ეუბნებოდა მათ, „აღშფოთებული ვარ ორჯონიკიძის უტიფრობით და სტალინისა და ძერჟინსკის მიერ ამაზე თვალის დახუჭვით“. მან ტროცკისაც მისწერა და სთხოვა, „თავის თავზე აეღო საქართველოს საქმის დაცვა პარტიის ცენტრალურ კომიტეტში“.[80]

მაგრამ ოთხი დღის მერე მორიგი ინსულტით ლენინს ნახევარი სხეული წაერთვა და ლაპარაკის უნარი დაკარგა. ლენინის პოლიტიკურ ცხოვრებას ბოლო მოეღო. იგი მოკვდა 1924 წლის 21 იანვარს, თითქმის ერთი წლის მერე.

სტალინმა და ორჯონიკიძემ გაიმარჯვეს. საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, ბედი გადაწყვეტილი იყო.

ქართული პროფკავშირების განადგურება

1921 წელს საქართველოში საბჭოეთის გამარჯვების შედეგად ქვეყანა ლიბერალურ-დემოკრატიული რესპუბლიკიდან ტოტალიტარულ სახელმწიფოდ გადაიქცა.

მართალია, მუსოლინი იქნება ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც ტერმინს „ტოტალიტარული“ დადებითი მნიშვნელობით გამოიყენებს, მაგრამ საბჭოთა რუსეთი მსოფლიოში პირველი მართლაც თანამედროვე ტოტალიტარული სახელმწიფო იყო. ეს საქართველოს ხალხის ყოველდღიურ ყოფაში არა მხოლოდ რეჟიმის ცვლილებასა და ძველი ლიდერების დევნილობაში წასვლას ნიშნავდა. ეს ასევე ნიშნავდა სამოქალაქო საზოგადოების სრულ გადაკეთებას, იმგვარად, რომ მმართველი კომუნისტური პარტიის კონტროლის გარეშე მისი არცერთი კუნჭული არ რჩებოდა.

1921 წლიდან მოყოლებული, საქართველოში ტოტალიტარიზმმა ფესვი გაიდგა და ეს ქვეყნის ძლიერ და დამოუკიდებელ პროფკავშირულ მოძრაობასაც შეეხო. მოვლენების ამგვარი განვითარება კიდევ უფრო აღრმავებდა ბრაზს უბრალო ხალხში და ზრდიდა საბჭოეთის წინააღმდეგ სახალხო აჯანყების საფრთხეს.

ცარისტული რეჟიმის პირობებში საქართველოს პროფკავშირები სუსტი და მხოლოდ ნახევრად კანონიერი იყო. 1917 წელს ამ რეჟიმის დარღვევის მერე პროფკავშირულმა მოძრაობამ სწრაფად იწყო გაფართოება. ბევრ სხვადასხვა ადგილას გაფიცვები დაიწყო. ეს იმდენად ხშირად ხდებოდა, რომ გერმანელი ჯარისკაცებიც კი, რომლებიც ერთხანს საქართველოში იდგნენ, ჩიოდნენ ამის თაობაზე — განსაკუთრებით, შავი ზღვის პორტებში გაფიცვების გამო. დონალდ რეიფილდი წერს:

> 1918 წლის 27 ივნისს ფოთის ნავსადგურიდან მარგანეცის პირველი პარტია გავიდა. ფოთის პორტში ცოტა მტვირთავი მუშაობდა. ისინიც, ძირითადად, ან შიმშილობდნენ, ან

> გაფიცულები იყვნენ, ასე რომ ვერფებში უფრო მეტი მარგანეცი დარჩა, ვიდრე დაიტვირთა. იგივე მიზეზით ფერხდებოდა აფხაზური თამბაქოს, მაღალმთიანი ცხვრის მატყლისა და კახური თაფლის გატანაც; ასევე ჭირდა ფქვილის შემოტანაც.[81]

სოციალ-დემოკრატიული მთავრობა, რომელიც 1918 წლიდან დამოუკიდებელ საქართველოს მართავდა, ძლიერ თანაუგრძნობდა პროფკავშირებს და მათ ზრდას ხელს უწყობდა. „სოციალური შერეული ეკონომიკის“ ადრეული ვერსიის შემუშავებისას, რაც გამიზნული იყო ფასების რეგულირებისთვის და იმის უზრუნველსაყოფად, რომ საბაზისო საქონელი ხელმისაწვდომი დარჩენილიყო, სოციალ-დემოკრატებმა იზრუნეს, პროფკავშირებს ამ პროცესში ცენტრალური როლი შეესრულებინათ.

დამფუძნებელი კრება ახალი ქართული დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის შექმნას რომ შეუდგა, პროფკავშირებმა წამოაყენეს ერთი საკვანძო მოთხოვნა: გაფიცვის უფლება. ეს გათვალისწინებული იქნა და საქართველო გახდა მსოფლიოში ძალიან ცოტა ქვეყანათაგან ერთ-ერთი, რომელმაც მუშათა უფლებები ადამიანის უფლებებად აღიარა. თუმცა კი საქართველოს მუშებმა თავიანთი დამოუკიდებელი პროფკავშირების მეშვეობით გაფიცვის ლეგალური უფლება მოიპოვეს, [ეს კავშირები] იმდენად ძლიერი იყო, რომ ამ უფლების გამოყენება ფაქტობრივად არ დასჭირვებიათ.

1921 წლის თებერვალში საბჭოეთის შემოჭრის მერე ახალმა კომუნისტურმა მთავრობამ ზუსტად ისეთივე ტოტალიტარული რეჟიმი დაამყარა, როგორიც რუსეთში ჰქონდათ შექმნილი. ერთ-ერთი პირველი, რამაც ამის შედეგები იწვნია, საქართველოს პროფკავშირული მოძრაობა იყო.

წინა სამი წლის განმავლობაში რუსეთის ბოლშევიკები თავიანთ წრეში მსჯელობდნენ, როგორ გადაეწყვიტათ პროფკავშირების საკითხი. ეს კავშირები რუსეთშიც, საქართველოს

მსგავსად, ცარისტული რეჟიმის დამხობის შემდეგ მოძლიერდა. მაგრამ ლენინსა და მის თანამოაზრე ბოლშევიკებს კარგად ესმოდათ, რომ პროფკავშირები „პროლეტარიატის მესაჭის“ — ანუ, კომუნისტური პარტიის — კონტროლს უნდა დაქვემდებარებოდა. იყო გარკვეული მსჯელობა იმის თაობაზე, კონკრეტულად რას ნიშნავდა ეს და რამდენად მკაცრი უნდა ყოფილიყო ეს კონტროლი, მაგრამ ბოლშევიკების უმრავლესობას არ უნდოდა, მუშებს ჰქონოდათ დამოუკიდებელი კავშირები, რომლებსაც თავად მართავდნენ დემოკრატიულად.

ტროცკი, რომელმაც წითელი არმია სამოქალაქო ომში გამარჯვებამდე მიიყვანა, თავის ამ გამოცდილებაზე დაყრდნობით დაბალპროდუქტიულობის და დაქცეული ეკონომიკის პრობლემის გადაჭრის გზად შრომის მილიტარიზაციას მიიჩნევდა. მაგრამ „შრომითი ჯარის“ მისი იდეა იმდენად არაპოპულარული აღმოჩნდა, რომ სტალინმაც კი მეტისმეტობად ჩათვალა. საბოლოოდ ბოლშევიკები შეჯერდნენ პროფკავშირულ ორგანიზაციებზე, რომლებიც სრულიად მმართველი პარტიის მიერ იქნებოდა კონტროლირებული. გაფიცვებზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. ამ კავშირების მთავარი დანიშნულება გახდა, შეესრულებინა „გადამცემის“ ფუნქცია, რომელიც პარტიის ხელმძღვანელების ბრძანებებს მუშებამდე მიიტანდა. მოგვიანებით ისინი მუშებს სთავაზობდნენ იაფ სანატორიუმებს დასასვენებლად — ამ იდეას გაიმეორებს ნაცისტური გერმანია თავისი დოიჩ არბაიტსფრონტით (გერმანული მუშათა ფრონტი), რომელსაც ავადსახსენებელი რობერტ ლეი უძღვებოდა. დასავლური პროფკავშირები როგორც ფაშისტური, ისე კომუნისტური ტიპის ამ ორგანიზაციებს „სახელმწიფოს კონტროლირებულ მუშათა ფრონტებს“ უწოდებდნენ და ნამდვილ პროფკავშირებად არ მიაჩნდათ.

საქართველოს მუშათა კლასზე ამ ახალი სისტემის თავსმოხვევა კომუნისტური რეჟიმისთვის რთული ამოცანა აღმოჩნდება. სტივენ ჯონსმა აღწერა ქართული ეკონომიკის მძიმე მდგომარე-

ობა, რომელიც საბჭოელებს გადაეცათ მემკვიდრეობით: „ამგვარი მდგომარეობისა და საქართველოს მუშათა კლასში მენშევიკებისთვის მხარდაჭერის ხანგრძლივი ტრადიციის ფონზე გასაკვირი არ არის, რომ ახალ მთავრობას ძალიან გაუჭირდა მუშებს შორის მყარი საყრდენის გამონახვა. მენშევიზმი, რომელიც ქართულ კონტექსტში ეროვნული დამოუკიდებლობის სინონიმად იქცა, 1920-იანების შუა წლებამდე ქართველ მუშათა შორის ყველაზე პოპულარულ ძალად რჩებოდა“.[82]

საქართველოს ნამდვილი, დამოუკიდებელი და დემოკრატიული პროფკავშირები უხმაუროდ როდი დანებდა გაქრობას. „ისინი აღარ არსებობს, როგორც მშრომელი კლასის დაცვის ორგანოები“, განუცხადეს სოციალ-დემოკრატებმა ვიზიტად ჩამოსულ გერმანელ მუშათა დელეგაციას, „პროფკავშირები ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფო, ბიუროკრატიული ინსტიტუციებია და მეტი არაფერი“.[83]

ძლიერი პროფკავშირების გარეშე, რომელიც მათ დაიცავდა, საქართველოს მშრომელთა კლასის მდგომარეობა სწრაფად გაუარესდა. „საქართველოს მუშათა კლასის ექსპლუატაცია საბჭოთა სახელმწიფო კაპიტალიზმის მიერ არაფრით განსხვავდება ჩვეულებრივი კაპიტალისტური ექსპლუატაციისგან“, წერდნენ სოციალ-დემოკრატები, „თუმცა, არის ერთი განსხვავება, რომ მუშათა კლასს ახლა წართმეული აქვს უფლება, მოითხოვოს უკეთესი სამუშაო და ეკონომიკური პირობები და ეცადოს მათ მოპოვებას გაფიცვების მეშვეობით“.[84]

ახლად გაბოლშევიკურებული პროფკავშირები „არა მხოლოდ არ ცდილობენ მუშათა კლასის ხვედრის გაუმჯობესებას, არამედ პირიქით, მთავრობასთან ერთად მუშების ეკონომიკურ მოთხოვნებს უპირისპირდებიან. ისინი, მარტივად, წმინდად მთავრობის ბიუროკრატიულ ორგანოებს წარმოადგენენ. მუშათა კლასისთვის ისინი არაფერია ფინანსური ტვირთის გარდა, რადგან მუშებსა და სამოქალაქო მოსამსახურეებს ევალებათ,

თავიანთი მწირი შემოსავლის 3 პროცენტი და მეტიც პროფკავშირების ბიუროკრატიის შესანახად გაიღოს“.[85]

ეს მართლაც საკითხის არსებითი მხარეა: დამოუკიდებელი პროფკავშირებისა და გაფიცვის უფლების გარეშე მუშათა კლასის მდგომარეობა „საბჭოთა სახელმწიფო კაპიტალიზმის“ პირობებში უფრო უარესი იყო, ვიდრე კაპიტალიზმში. „მუშებისა და სხვა დასაქმებულების ეკონომიკური მდგომარეობა დღითიდღე უარესდება. მათი ახლანდელი გასამრჯელოები თუ ხელფასები ყველაზე აუცილებელსაც კი არ ყოფნის“.[86] რეპრესიების მიუხედავად, პროფკავშირები განაგრძობდა ნახევრად ლეგალურ არსებობას, ცდილობდა, დაჰკავშირებოდა საქართველოში ჩამოსულ დელეგაციებს, თუმცა მათგან ყურადღებას იშვიათად თუ ეღირსებოდა. ეს ქართველ პროფკავშირელებს უჩენდა განცდას, რომ მათ უღალატეს, მათ შორის, უცხოური პროფკავშირების ლიდერებმაც, რომლებიც, წესით, მათი მოკავშირეები უნდა ყოფილიყვნენ.

ის, რომ ბოლშევიკებს ინტელიგენცია და ყოფილი თავადაზნაურობა დაუპირისპირდებოდა, ალბათ, გარდაუვალი იყო, თუმცა, საბჭოთა წყობილებას ემტერებოდა საქართველოს მუშათა კლასიც – რომელიც, თეორიულად, კომუნისტთა საყრდენი უნდა ყოფილიყო.

კომუნისტური რეჟიმის წინაშე მდგარ სხვა პრობლემებთან ერთად, ქვეყნის მუშათა კლასის გაუცხოება თავისი მთავრობისგან ნიშნავდა, რომ საქართველო ახლა საათისმექანიზმიან ბომბად იყო ქცეული.

ომი ეკლესიასთან

ხელისუფლებაში ყოფნის სამი წლის განმავლობაში სოციალ-დემოკრატების მთავრობა რელიგიურ საკითხებს ზოგადად ჩაურევლობის პრინციპით უდგებოდა. ქართველი სოციალ-

დემოკრატებისთვის და საერთოდ სოციალისტებისთვის ბევრ სხვა ქვეყანაში რელიგია ადამიანის პირადი საქმე იყო. ქართველი სოციალ-დემოკრატები თავს არ ესხმოდნენ ეკლესიას, რომლის მრევლადაც უამრავი ქართველი მიიჩნევდა თავს, თუმცა მოახდინეს მისი ქონების ნაწილობრივი ნაციონალიზაცია, რითაც გარკვეული დაპირისპირება გამოიწვიეს.

რელიგიის მიმართ დამოკიდებულებაში ქართველი სოციალ-დემოკრატები მსოფლიოს სოციალურ-დემოკრატიული პარტიების მიცემულ მაგალითს მიჰყვებოდნენ. როგორც ამერიკელი სოციალისტი მწერალი ჯონ სპარგო შენიშნავდა თავის წიგნში „მარქსისეული სოციალიზმი და რელიგია“ (1915), „მსოფლიოში სოციალისტური პარტიების უმეტესობამ ამა თუ იმ დროს ფორმალურად უარყო რელიგიის მიმართ რაიმე სახის მტრული დამოკიდებულება და აიღეს ვალდებულება, შეენარჩუნებინათ სრული რელიგიური თავისუფლება“.[87]

ჯერ კიდევ 1875 წელს, როდესაც მარქსის რამდენიმე მიმდევარმა სხვა სოციალისტებთან ერთად გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გოთას პროგრამა* შეადგინა, მათ გამოაცხადეს, რომ „რელიგია პირადი საკითხია“. სპარგო აღნიშნავდა, რომ მისმა სოციალისტურმა პარტიამ ამერიკაში „1908 წელს ეროვნულ ყრილობაზე პარტიის პლატფორმაში ჩართო დეკლარაცია, რომ რელიგიას უნდა მისდგომოდნენ, როგორც პირად საქმეს — ცალკეული ადამიანის სინდისის საკითხს“.[88]

---

* გერმანელ სოციალ-დემოკრატთა პროგრამა, რომელიც მიღებული იქნა პარტიულ ყრილობაზე ქალაქ გოთაში 1875 წლის 22-27 მაისს. ამ ყრილობაზე ავგუსტ ბებელისა და კარლ ლიბკნეხტის მიერ შექმნილი გერმანიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია (Sozialdemokratische Arbeiterpartie Deutschlands) (SAPD) და ფერდინად ლასალის მიერ ჩამოყალიბებული გერმანიის საერთო მუშათა კავშირი (Allgemeine Deutscher Arbeiterverein) (ADAV) გაერთიანდნენ გერმანიის სოციალისტურ მუშათა პარტიად (Sozialdemokratishche Partie Deutschlands). (მთარგმნ. შენიშვნა).

სპარგო კარლ კაუცკისაც კი ციტირებს თავისი თვალსაზრისის დასაცავად და წერს: „კარლ კაუცკი პირად აზრად გამოთქვამდა შეხედულებას, რომ პიროვნული ღმერთისა და პირადი უკვდავების რწმენა თანამედროვე მეცნიერებასთან შეუთავსებელია, თუმცა აღიარებს, რომ შესაძლებელია, ერთდროულად იყო კარგი ქრისტიანიც და კარგი სოციალისტიც“.[89]

არსებობდა წესიდან გამონაკლისებიც, მათ შორის იყო შეურიგებლად სეკულარული ფრანგული სოციალისტური პარტია ჟან ჟორესის* ხელმძღვანელობით, მაგრამ მთლიანობაში ინტერნაციონალური მოძრაობა — რომლის პრინციპებს იზიარებდა სოციალ-დემოკრატიული პარტია — რელიგიას არასოდეს განიხილავდა თავის მტრად. 1918-21 წლებში დამოუკიდებელ საქართველოში რელიგია მართლაც პირადი საქმე იყო. 1921 წლის თებერვალში საქართველოში საბჭოეთის შეჭრის მერე ყველაფერი შეიცვალა. ბოლშევიკები არ ეთანხმებოდნენ მსოფლიოს სოციალისტური პარტიების ტრადიციულ შეხედულებას და ორგანიზებულ რელიგიას მტრად მიიჩნევდნენ. მათი მიზანი საქართველოში, ისევე, როგორც რუსეთში, რელიგიურ რწმენასთან დაპირისპირება და მისი განადგურება იყო.

ზიგმუნდ ფროიდი, რომელიც სულაც არ სწყალობდა ორგანიზებულ რელიგიას, რამდენიმე წლის მერე შეედავა ბოლშევიკების შეხედულებებს. „უეჭველად, არაგონივრულია, რელიგიის ძალით და ერთი ხელის მოსმით გაუქმებას ეცადო. ძირითადად იმიტომ, რომ ამის წარმატების მცირე შესაძლებლობაც კი არაა. მორწმუნე არ დაუშვებს, რომ რწმენა წარსტაცონ — იქნება ეს დასაბუთებული მსჯელობით თუ აკრძალვებით“.[90]

---

* ჟან ჟორესი (Jean Jaures) (1859-1914) — ფრანგი პოლიტიკოსი, ჟურნალისტი, საფრანგეთის სოციალისტური პარტიის დამფუძნებელი, ფრანგული სოციალისტური გაზეთის L’Humanite რედაქტორი, ევროპის პაციფისტური მოძრაობის ლიდერი (რედ. შენიშვნა).

7. ამბროსი ხელაია

ბოლშევიკები არც ფროიდს და არც კაუცკის ყურს არ უგდებდნენ. მათთვის რელიგია *არ* იყო „ადამიანის პირადი საქმე". და დიახაც, აპირებდნენ, ის, ფროიდის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ძალით და ერთი ხელის მოსმით" გაეუქმებინათ. როგორც დეივიდ ლენგი განმარტავდა, „საქართველოს ეკლესია განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცა სტალინისა და მისი დამქაშების მხრიდან, რომლებიც აქეზებდნენ ხულიგანთა ბანდებს, თავს დასხმოდნენ მღვდლებს და გაეძარცვათ ტაძრები. ამის შედეგად მრავალი ისტორიული რელიკვია და ხელოვნების ნიმუში მოიპარეს ან გაანადგურეს".[91]

საქართველოს ახალმა საბჭოთა მთავრობამ შეუფარავი ომი გამოუცხადა მართლმადიდებელ ეკლესიას, ის კვლავ მოსკოვის მმართველობას დაუქვემდებარა და ძალა არ დაუშურებია სა-

ქართველოში მისი გავლენის შესასუსტებლად, განსაკუთრებით, ახალგაზრდებს შორის.

1922 წლის დასაწყისში კომუნისტების ანტირელიგიურ-მა ქმედებებმა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ახალ მეთაურს, კათოლიკოს ამბროსი ხელაიას უბიძგა, ღია წერილით მიემართა საერთაშორისო კონფერენციისათვის, რომელიც იტალიის ქალაქ გენუაში შეიკრიბა. ეს კონფერენცია 1922 წლის გაზაფხულზე რამდენიმე კვირის განმავლობაში მიმ-დინარეობდა, მასზე ოცდათოთხმეტმა ქვეყანამ გაგზავნა წარ-მომადგენლები. თუმცა ბევრს ვერაფერს მიაღწიეს, ეს ამ სახის უდიდესი კონფერენცია იყო პირველი მსოფლიო ომის შემდგომ გამართული პარიზის სამშვიდობო კონფერენციის მერე და მნიშ-ვნელოვან მოვლენად გამოიყურებოდა, მით უფრო, ქართვე-ლებისთვის, რომლებსაც დასავლეთთან საუბრის პლატფორ-მა სჭირდებოდათ.[92] „ერს ართმევენ მამა-პაპათა სისხლით და ძვლებით გაპოხიერებულ მიწა-ტყეს, რომელსაც უცხოეთიდან შემოხიზნულთ ურიგებენ“, წერდა ამბროსი ხელაია. „მათი წყა-ლობით ისედაც გაღატაკებულ ერს პირიდან ჰგლეჯენ მისი სის-ხლითა და ოფლით მოწეულ სარჩოს და გაუგებარის სიჩქარით იმავ უცხოეთში მიეზიდებიან. ერს უგმობენ და ართმევენ მშობ-ლიურ ენას, მას უბილწავენ მამაპაპურ ეროვნულ კულტურას; დასასრულ, უბღალავენ წმინდათა-წმინდას, სარწმუნოებრივ გრძნობას“ — ამ სიტყვებით ამბროსი ხელაია ბოლშევიკების ანტირელიგიური ქმედებების კრიტიკასთან ერთად მათ უფრო ფართო ანტიეროვნულ დღის წესრიგსაც ამხელდა. „სინდისის თავისუფლების დროშის ქვეშ, ნებას არ აძლევენ თავისუფლად დაიკმაყოფილოს რელიგიური მოთხოვნილება“, წერდა ის; „მისი სამღვდელოება უკიდურესად დევნილია; მისი ეკლესია … დღეს უფლება აყრილია, იმდენად, რომ ნებაც კი არა აქვს თავისი შრომით, გარჯილობით და უნარით მოიპოვოს მუდმივი სახსარი არსებობისა“.

როგორც ღირსი მამა ჰაროლდ ბაქსტონი წერდა 1926 წელს გამოცემულ წიგნში „ამიერკავკასია“ და ამით კათოლიკოსის წერილს ეხმიანებოდა: „მთელ ქვეყანაში ახალგაზრდების რელიგიური სწავლება აკრძალულია. უამრავი სასულიერო პირი ‘გაუჩინარდა’ და ბევრ სოფელში უძველესი ეკლესიები არა მხოლოდ დახურეს ან სამოქალაქო დანიშნულებით გამოიყენეს, არამედ განზრახ დაანგრიეს. იტყობინებიან, რომ ზოგ რეგიონში გლეხებმა შეძლეს ხის შენობების აგება, სადაც ღვთისმსახურებას ჩაატარებდნენ. მაგრამ უმეტესწილად ახალგაზრდა თაობა უღმერთოდ იზრდება — მათი გონება მოწამლულია და ყველანაირი რელიგიური აზროვნებისა და პრაქტიკის წინააღმდეგ არის მიმართული“.[93]

ამბროსი ხელაიას წერილი გენუის კონფერენციისადმი ძლიერი გზავნილი იყო და კათოლიკოსისგან მისი გაგზავნა უდიდეს გამბედაობას მოითხოვდა. მან ტფილისის ახალი საბჭოთა რეჟიმი განარისხა და მათაც არ დააყოვნეს რეაგირება. როგორც დეივიდ ლენგი წერს, ამბროსი ხელაია „კომუნისტებმა მყისვე ციხეში ჩააგდეს და იქ ჰყავდათ, სანამ არ ჩათვალეს, მისი მხნეობა უკვე გავტეხეთო“.[94] მას და „რამდენიმე არქიეპისკოპოსს 1924 წლის მარტში სახელმწიფო ღალატის ბრალდებით დახვრეტა მიუსაჯეს“, წერს დონალდ რეიფილდი, „მაგრამ საზოგადოებრივი აზრი იმავე წლის სექტემბერში ქუთაისში ხუთი სასულიერო პირის სიკვდილით დასჯამ* ისე აღაშფოთა, რომ ოგპუ

* 1921 წლის თებერვალში დამფუძნებელი კრების დადგენილებით რესპუბლიკის ეროვნული განძეულობა, რომლის მნიშვნელოვან ნაწილს ეკლესიებიდან გამოტანილი საგანძური შეადგენდა, ჯერ თბილისიდან დასავლეთ საქართველოში გადაიტანეს, ხოლო შემდეგ ემიგრაციაში წაიღეს ექვთიმე თაყაიშვილის კურატორობით და ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოადგილის, იოსებ ელიგულაშვილის დახმარებით. პატრიარქ ლეონიდეს წინააღმდეგობის გამო ემიგრაციაში ვერ გაიტანეს თბილისის სიონის, სვეტიცხოვლისა და კიდევ რამდენიმე ეკლესია-მო-

იძულებული გახდა, პატრიარქისა და ეპისკოპოსებისათვის გამოტანილი განაჩენი შეემსუბუქებინა“.[95]

ეკლესიის წინამძღვართა საჯარო სასამართლო ბოლშევიკების გეგმის მიხედვით ვერ წარიმართა. „სასამართლო გაიმართა ტფილისში, თეატრის* შენობაში, რათა ის რაც შეიძლება მეტად საჯარო ყოფილიყო“, წერდა ვალტერ კოლარცი, „მის გადამწყვეტ ეტაპზე თეატრის წინ ოთხი ათასმა მუშამ მასობრივი დემონსტრაცია გამართა. მუშებს ეჭირათ ფირნიშები წარწერით „ძირს კათოლიკოსი“ და ითხოვდნენ, რომ პატიმრებისთვის სასიკვდილო განაჩენი გამოეტანათ“.[96]

ეს იყო ზუსტად ის სტრატეგია, რომელსაც სტალინისტური რეჟიმი იყენებდა 1930-იანების საჩვენებელი სასამართლოებისას, როდესაც „მუშათა“ ჯგუფები ითხოვდნენ სასიკვდილო განაჩენის გამოტანას ყოფილი გამოჩენილი კომუნისტური ლიდერებისთვის, ღალატი რომ ჰბრალდებოდათ. ამბროსი ხელაიასა და სხვა ღვთისმსახურებს ბრალად ედებოდათ არა მხოლოდ „მოღალატეობრივი“ წერილის გაგზავნა გენუაში, არამედ საქართველოს ეკლესიის ისტორიული განძის დამალვაც, იმ მიზნით, რომ ის საბჭოთა სახელმწიფოს ხელში არ ჩავარდნილიყო.

„სასამართლო პროცესი შეჩერებული იქნა მუშათა დელეგატების მოსასმენად, ასევე იმისათვის, რომ თავმჯდომარე მოსა-

---

ნასტრის საგანძური. ლეონიდემ განძის ამ ნაწილის მოვლა-პატრონობა ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტ ნაზარს დაავალა. 1924 წელს ბოლშევიკებმა მიაგნეს ბაგრატის ტაძართან დამარხულ განძს, დააპატიმრეს მიტროპოლიტი ნაზარი და მისი ახლო წრე. 1924 წლის აგვისტოს აჯანყების შემდეგ 1 სექტემბერს ქუთაისში საფიჩხიას ტყეში საბჭოთა რეჟიმმა დახვრიტა მიტროპოლიტი ნაზარი, დეკანოზი გერმანე ჯაჯანიძე, დეკანოზი იეროთეო ნიკოლაძე, მღვდელი სიმონ მჭედლიძე და დიაკონი ბესარიონ კუხიანიძე (რედ. შენიშვნა).

* ნაძალადევის სახალხო თატრი (რედ. შენიშვნა).

მართლეს მანიფესტანტებისთვის მიემართა და აღეთქვა, რომ დამნაშავეები სამაგალითოდ დაისჯებოდნენ“, წერს კოლარცი.[97]

საჩვენებელი სასამართლო წარმატებული არ აღმოჩნდა. დეივიდ ლენგის სიტყვით, „საქართველოს ეკლესიის მოხუცმა და პატივსაცემმა საჭეთმპყრობელმა იმგვარი ზნეობრივი სიმტკიცე გამოავლინა, რომ მისი სასამართლო ეკლესიისა და ხალხის დიდ გამარჯვებად იქცა. მისი ბოლო სიტყვები იყო: ‘სული ჩემი ღმერთს ეკუთვნის, გული ჩემი – სამშობლოს, ხოლო მძორი, ჯალათებო, თქვენთვის დამითმია, რაც გინდათ, უყავით’“.[98] „მართლმსაჯულების ამ ათდღიანი პაროდიის დასასრულს კათოლიკოსი და მასთან ერთად სხვა ბრალდებულები დამნაშავედ ცნეს ღალატში და სიკვდილი მიუსაჯეს“, წერს კოლარცი, „თუმცა, განაჩენი ამბობდა, რაკი საბჭოთა რეჟიმი უკვე გაძლიერდა, ამის გათვალისწინებით შესაძლებელია, ბრალდებულებს უფრო რბილი სასჯელი ვაკმაროთო. კათოლიკოსს რვაწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს, ოთხ მღვდელს – ორიდან ხუთ წლამდე სხვადასხვა ვადის პატიმრობა, დანარჩენები კი გაათავისუფლეს“.[99]

კათოლიკოსი არ მოკლეს, მაგრამ ჩეკამ შური მის ეკლესიაზე იძია. ათას ეკლესიაზე მეტი დახურეს, ასობით მღვდელი და ბერი დააპატიმრეს, ბევრი მათგანი დახვრიტეს. საბჭოთა მთავრობის ომმა ეკლესიასთან უფრო გააღრმავა რეჟიმის მიმართ სახალხო უკმაყოფილება – უკმაყოფილება, რომელმაც საბოლოოდ 1924 წლის აგვისტოს ეროვნულ აჯანყებად იფეთქა.

„ტყვიის ენა“

საქართველოში ბოლშევიკების გამარჯვება თავიდან ზოგმა შესაძლებლობად აღიქვა. ასეთებს შორის იყო საქართველოს გამოჩენილ მწერალთა ნაწილი. 1921 წლის 3 მარტს, როდესაც

საქართველოს სოციალ-დემოკრატი ლიდერები დევნილობაში მიდიოდნენ, ბოლშევიკებმა ჭკვიანური სვლა გააკეთეს. მათ თბილისის ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი სახლი — რომელიც კონიაკის მწარმოებელმა დავით სარაჯიშვილმა ააშენა — საქართველოს მწერალთა და ხელოვანთა კავშირს გადასცეს. მაგრამ საქართველოს ახალი ხელისუფლება „ძლიერ ეჭვის თვალით უყურებდა აქაურ ინტელიგენციას, რომელმაც მენშევიკთა მმართველობის პერიოდში აღირა საქართველოს დამოუკიდებლობის კანონიერება“, როგორც სტივენ ჯონსი ამბობს.[100] კომუნისტები მიზნად ისახავდნენ, სახელმწიფო და საჯარო ცხოვრების ყველა სფეროში რადიკალური დღის წესრიგი შეეტანათ და დასაწყისისთვის იყენებდნენ „რბილ ძალას“ ქვეყნის ხელოვანებისა და მწერლების კეთილგანწყობის მოსაპოვებლად.

თუმცა, ბევრი ქართველი გმობდა ბოლშევიკთა მხრიდან ქართული ენისადმი დამოკიდებულებას და აღიქვამდა მას, როგორც მტრულს. 1925 წელს იატაკქვეშეთში გადასული სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ მიღებულ დადგენილებაში ნახსენებია „კომუნისტური პარტიის პოლიტიკა, თავისთავად ანტი-ნაციონალისტურია; მაგალითად, ის ვლინდება ფაქტით, რომ სახელმწიფო ადმინისტრაციაში დღემდე არ აღმდგარა ქართული ენა“.[101] ისინი ქართული ენის მიმართ საბჭოთა პოლიტიკის ერთ-ერთი შედეგად ასახელებდნენ შემდეგს: „ქართული საგამომცემლო საქმიანობა ნელი სიკვდილით კვდება, მისი ბაზარი რუსულმა წიგნებმა წალეკა. ეს რუსიფიკაციის პოლიტიკის ერთ-ერთი შედეგია“.[102]

სარაჯიშვილის სახლი დღესაც მწერალთა სახლად რჩება და ამ შენობაში ახლა საქართველოს რეპრესირებული მწერლებისთვის მიძღვნილი მუზეუმიც არის გახსნილი. მუზეუმის მნახველს თავდაპირველად შეხვდება „შალვა ელიავა*, რევოლუცი-

* შალვა ელიავა (1883-1937) — ბოლშევიკი, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის რევკომის თავმჯდომარის მოადგილე, სსსრ-ს

ური კომიტეტის წარმომადგენელი“. რევოლუციური კომიტეტი საქართველოში პირველი საბჭოთა მთავრობა იყო. ელიავამ „მწერლებს გააცნო ახალი ხელისუფლების დამოკიდებულება — თუკი ისინი რეჟიმთან ითანამშრომლებდნენ, მაქსიმალურ ხელშეწყობას და კომფორტს მიიღებდნენ, მაგრამ წინააღმდეგობას მთავრობა არ მოითმენდა“.[103]

სტალინის უახლოესმა მოკავშირე ორჯონიკიძემ „კიდევ უფრო მკაფიოდ განუმარტა ქართველ ინტელიგენციას, რომ დამოუკიდებელ საქართველოზე აღარ უნდა ეოცნებათ, თორემ საბჭოთა ხელისუფლება მათ ტყვიის ენაზე დაელაპარაკებოდა“.[104] მწერლებისთვის, რომლებიც სოციალ-დემოკრატიული მმართველობის პერიოდში შემოქმედებით თავისუფლებას შესჩვეოდნენ, ამგვარი ფრაზები — „ტყვიის ენა“ — ელდისმომგვრელი უნდა ყოფილიყო. დამოუკიდებელი რესპუბლიკის არსებობის სამი წლის განმავლობაში რუსეთიდან გამოქცეული ბევრი მწერალი და ხელოვანი დალხენილ და თავისუფალ თბილისში ჩამოვიდა. და ცარისტული მმართველობის დროსაც კი, ცენზურის მიუხედავად, შემოქმედებითი თავისუფლების გარკვეული ხარისხი დაშვებული იყო.

როგორც ხსენებული მუზეუმი გვატყობინებს, „1920-იან წლებში ეს ჩარჩო: კომფორტი — თანამშრომლობისთვის და რეპრესია — წინააღმდეგობისთვის, საბჭოთა რეჟიმის მთავარ პოლიტიკად იქცა ხელოვანთა მიმართ“.[105] ამ ტენდენციას თვალსაჩინოდ გვიჩვენებს სამი ქართველი მწერლის ბედი საბჭოთა მმართველობის პირველ წლებში.

თბილისის დაცემიდან რამდენიმე კვირაში ჩატარდა წითელ არმიასთან ბრძოლებში დაღუპულ ქალაქის დამცველთა პანაშვიდი. პანაშვიდის შემდეგ სიტყვით გამომსვლელნი ჩეკამ

სამხედრო და საზღვაო საქმეთა კომისარი, სსსრ-ს და ასფსრ-ს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე. დახვრიტეს 1937 წელს (რედ. შენიშვნა).

დააკავა. „მათ შორის პოეტი იოსებ მჭედლიშვილი, რომელმაც საკუთარი ლექსი წაიკითხა. ეს დაპატიმრება მწერლების პოლიტიკური დევნის დასაწყისად შეიძლება ჩაითვალოს“.[106]

პოეტი დავით კოპალი* 1922 წლის 7 დეკემბერს დააპატიმრეს — მას შემდეგ, რაც ის დაუფარავად დაუპირისპირდა ორჯონიკიძეს, როცა ამ უკანასკნელმა საქართველოს დამოუკიდებლობა და ისტორია „უდიერად“ მოიხსენია. კოპალი რამდენიმე თვეში გამოუშვეს. ის ჩამოსცილდა საჯარო ცხოვრებას და, საბოლოოდ, 1937 წლის დიდი რეპრესიებს შეეწირა.

მწერალი, დრამატურგი და პუბლიცისტი სილიბისტრო რემონიძე** ჩეკამ 1923 წელს დააპატიმრა იატაკქვეშეთში მყოფი სოციალ-დემოკრატების შეფარებისთვის. მას ორწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს, თუმცა ექვს თვეში გამოუშვეს. საბოლოოდ, 1936 წელს ისიც სტალინისტური რეპრესიების პირველმა ტალღამ შეიწირა.

საქართველოში საბჭოთა წყობილების განმავლობაში კიდევ ბევრ მწერალს დაიჭერენ და მოკლავენ. ახალ რეჟიმს არა მარტო მწერლები და ხელოვანები უპირისპირდებოდნენ. როგორც სტივენ ჯონსი წერდა, „თბილისის უნივერსიტეტი ნაციონალიზმის კერად მიიჩნეოდა ... 1928 წელს უნივერსიტეტის 4 685 სტუდენტიდან მხოლოდ 65 იყო პარტიის წევრი. ერთი საბჭოთა ისტორიკოსი აცხადებს, რომ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ‘ბურჟუა სტუდენტების’ დიდ უმრავლესობას ‘ანტისაბჭოთა შეხედულებები’ ჰქონდა. მათ 1922 წლის მაისში საქართველოს დამოუკიდებლობის აღსანიშნი დემონსტრაციები მოაწყვეს და ბევრი მათგანი მენშევიკური ახალგაზრდული ორგანიზაციის, ‘ახალგაზრდა მარქსისტების’ აქტიური წევრი იყო. საქართველოს პარტიული გაზეთი *კომუნისტი* წერდა, რომ 1924

---

* დავით კოპალეიშვილის (1890-1937) ფსევდონიმი (რედ. შენიშვნა).

** სილიბისტრო თავართქილაძის (1890-1937) ფსევდონიმი (რედ. შენიშვნა).

წლის წარუმატებელი აჯანყების მერე დაპატიმრებულთა უმრავლესობა 15-დან 25 წლამდე ასაკისა იყო, თუმც, სავარაუდოდ, ყველა სტუდენტი არ იქნებოდა. უნივერსიტეტის თანამშრომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ პარტიის გავლენას: 1924-25 წლებში 103 პროფესორ-მასწავლებლიდან კომპარტიაში არცერთი არ ირიცხებოდა".[107]

ჯონსი აჯამებს საქართველოს ინტელიგენციის ხვედრს და წერს: „დაპატიმრების უფლებით შეიარაღებულმა ჩეკამ და სხვა სამართლებრივმა ორგანოებმა თავიანთი ადრეული საქმიანობა დიდწილად ადგილობრივი ინტელიგენციის წინააღმდეგ მიმართეს და მათ ხშირად საყვედურობდნენ ამ საქმეში ძალის გადაჭარბების გამო".[108]

გლეხობა საბჭოთა მმართველობის პირობებში

რომანოვების მმართველობის პერიოდში რუსეთის იმპერიის მცხოვრებთა უდიდესი ნაწილი გლეხობა იყო. ეს გლეხები ხშირად უკიდურესი სიღატაკის პირობებში ცხოვრობდნენ, მიწები უსამართლოდ იყო განაწილებული და დროდადრო გლეხთა აჯანყებებიც ხდებოდა. ცარისტული რეჟიმის უკანასკნელ წლებში იმპერიის უდიდეს პოლიტიკურ პარტიად იქცა სოციალისტ-რევოლუციონერთა (ესერები) პარტია, იმის გამოისობით, რომ მათ, როგორც გლეხებისთვის მიწის გადაცემის მომხრეებს, სოფლის მოსახლეობა უჭერდა მხარს.

სოციალისტ-რევოლუციონერთაგან განსხვავებით, სოციალ-დემოკრატებს — როგორც მენშევიკურ, ასევე ბოლშევიკურ ფრთას — გლეხებს შორის მხარდამჭერები ნაკლებად ჰყავდათ. ეს პარტია ძირითადად ქალაქელი მუშებისა და ინტელიგენციისგან შედგებოდა. მასში ხშირად განიხილებოდა, როგორ უნდა გადაეჭრათ გლეხების წინაშე მდგარი პრობლემები, მაგრამ ამ

მსჯელობაში თავად გლეხები არ მონაწილეობდნენ — საქართველოში კი სხვაგვარად იყო.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია მრავალათასწევრიან სახალხო პარტიად მეტწილად სწორედ იმის წყალობით იქცა, რომ გლეხებს წარმატებით აწევრიანებდა თავის რიგებში. პარტიის თავდაპირველი წესი, რომელიც გლეხების წევრობას კრძალავდა, მალევე გააუქმეს. გლეხები ჩაითვალა „მიწათმოქმედ მუშებად“ და, როგორც *მუშებს*, მათ შეეძლოთ, პარტიის სრულფასოვანი წევრები გამხდარიყვნენ.

1905 წლის რევოლუციის საწყის პერიოდში საქართველოს ერთ-ერთი რეგიონის, გურიის გლეხები აჯანყდნენ და რამდენიმე წლის განმავლობაში შეძლეს, თავიანთი მხარე რუსეთის სახელმწიფოს ჩარევის გარეშე ემართათ. მაშინაც და შემდგომაც, თითქმის 20 წლის შემდეგ, როდესაც ბოლშევიკთა მმართველობას მორიგი აჯანყება აღუდგა წინ, გურია სოციალ-დემოკრატთა საყრდენი იყო.

1917 წელს, რუსეთის მეფის გადადგომის შემდეგ, საქართველოში ძალაუფლება ერგო უმსხვილეს პოლიტიკურ პარტიას, იმას, რომლის მხარდაჭერის იმედიც გლეხებსაც შეიძლებოდა ჰქონოდათ — სოციალ-დემოკრატებს. სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიამ, რომელსაც რუსეთის სოფლებში ყველაზე მეტი მხარდამჭერი ჰყავდა, საქართველოს პირველ დემოკრატიულ არჩევნებში 1919 წლის თებერვალში მხოლოდ 21 000 ხმა მიიღო და მეოთხე ადგილზე გავიდა.

საქართველოს სოციალ-დემოკრატებს მკაფიოდ ესმოდათ გლეხების მოლოდინები. ასევე, გარკვეული დასკვნები რუსეთის გამოცდილებიდანაც გამოიტანეს. რუსეთში შეპირებული აგრარული რეფორმა დამფუძნებელი კრების არჩევამდე გადაიდო. ეს არჩევნები კი მხოლოდ ბოლშევიკების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების მერე შედგა. პეტროგრადის დროებითი მთავრობის მხარდაჭერის ნაკლებობა ნაწილობრივ იმით იყო გამოწ-

ვეული, რომ მან ვერ მოახერხა, რამე გაეკეთებინა გლეხების სასიკეთოდ, რომლებსაც მოთმინება გამოელიათ.

საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვების მერე სოციალ-დემოკრატებმა არ დააყოვნეს, გაეტარებინათ აგრარული რეფორმა, რომელიც გლეხებს მყისიერ სარგებელს მისცემდა. ამან ახალ მთავრობას გლეხების მხარდაჭერა შეუნარჩუნა. საქართველოში წარმატებული მიწის რეფორმის ავტორი იყო სოციალ-დემოკრატი ნოე ხომერიკი, მიწათმოქმედების მინისტრი. ის იძულებული გახდა, საბჭოელების შემოჭრის დროს საქართველოს მთავრობის სხვა წევრებთან ერთად წასულიყო ქვეყნიდან, თუმცა მას კვლავ შევხვდებით 1924 წელს, სამშობლოში საიდუმლოდ დაბრუნებულს.

როდესაც ვადარებთ საქართველოს წარმატებული აგრარულ რეფორმას და გლეხობას შორის პოპულარულ მთავრობას იმასთან, რაც რუსეთში ხდებოდა, გასაოცარ კონტრასტს ვხედავთ. ბოლშევიკების მმართველობის პირველი სამი წლის

8. ნოე ხომერიკი

განმავლობაში რეჟიმი სასოფლო რეგიონებთან ომს აწარმოებდა. „ომის კომუნიზმის“ სახელით ცნობილი პოლიტიკას, რომლის დროს ქალაქებიდან შეიარაღებული რაზმები იგზავნებოდა გლეხებისთვის სურსათის წასართმევად, ხშირად შედეგად მოსდევდა შიმშილობა ქალაქებში და მუდმივი ბრძოლა გლეხობასა და საბჭოთა ხელისუფლებას შორის. ლენინმა მხოლოდ 1921 წლის დასაწყისში შემოიღო „ახალი ეკონომიკური პოლიტიკა“, რომლითაც წესები უფრო ლმობიერი გახდა, დაშვებული იქნა კერძო ვაჭრობის ნაწილობრივ განახლება და ამან კრიზისის სიმწვავე შეარბილა. ყველაფერი შეუდარებლად გაუარესდა, როდესაც სტალინმა 1920-იანების ბოლოს წამოიწყო თავისი სწრაფი კოლექტივიზაცია — ამან „ახალი ეკონომიკური პოლიტიკა“ დაასრულა და მთელ საბჭოთა კავშირში მილიონობით უდანაშაულო ადამიანის სიკვდილის მიზეზი გახდა.

1921 წლის დასაწყისში საბჭოეთის საქართველოში შემოჭრა „ომის კომუნიზმის“ პერიოდის დასასრულს დაემთხვა, რამაც გარდაუვალად გამოიწვია საქართველოში ზოგი იგივე შეცდომა, რაც მთელ რუსეთში იყო დაშვებული ბოლშევიკთა მმართველობის პირველ წლებში.

სტივენ ჯონსი ამგვარად აღწერს ახალი საბჭოთა რეჟიმის პოლიტიკას გლეხებთან:

> შემოჭრის მერე დაუყოვნებლივ იქნა მიღებული საგანგებო რეკვიზიციის ზომები ქალაქების გამოსაკვებად, ხოლო სურსათის დამალვისთვის სიკვდილით დასჯა იქნა შემოღებული. (1921 წლის ივნისში თბილისში თითქმის სრულიად გაწყდა პური.) ივლისში შემოიღეს *პროდნალოგი* (სურსათით გადასახადი), რასაც გლეხებისგან სერიოზული წინააღმდეგობა მოჰყვა. 1922 წლის ივლისში ის შეამცირეს და შეცვალეს — მას შემდეგ შესაძლებელი გახდა ფულადი სახით გადახდა. აპრილში გამოქვეყნდა დეკრეტი მიწის შესახებ,

> რომელიც მოიცავდა რუსული მოდელის ყველა მახასიათებელს: ნაციონალიზაციას, გარკვეული რაოდენობის ზემოთ კონფისკაციას ანაზღაურების გარეშე და ყიდვა-გაყიდვის აკრძალვას. დეკრეტში ხაზგასმული იყო, რომ ღარიბ და საშუალო გლეხობას არ შეეხებოდნენ და მენშევიკური რეფორმის პირობებით მიწის საყიდლად დახარჯული ფული უკან დაუბრუნდებოდათ. რეფორმის გასატარებლად დაარსდა თემების სისტემა და გლეხების კომიტეტები მიწის საკითხებზე. მართალია, ქართველ გლეხებს ასცდათ ომის კომუნიზმის გასაჭირი, ნეპის (ახალი ეკონომიკური პოლიტიკა) შემრიგებლურ ზომებს, რაც გულისხმობდა კრედიტის გაცემას, ასევე, მუშახელის დაქირავებისა და იჯარის შეზღუდულ უფლებას, ისინი დიდი ენთუზიაზმით არ შეხვედრიან. დამოუკიდებლობის პერიოდის ეკონომიკური სიძნელეების მიუხედავად, საქართველოში გლეხებს ამ დროის განმავლობაში უკვე გამოეცადათ ეკონომიკური თავისუფლება, იმის მსგავსი, რომელსაც მათ ნეპი სთავაზობდა.[109]

ის, რომ ახალ საბჭოთა მთავრობას „დიდი ენთუზიაზმით არ შეხვედრიან“ ნამდვილად რბილი ნათქვამია. როგორც საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია წერდა 1925 წელს: „გლეხობა გადასახადების ტვირთქვეშ გმინავს — მრავალი საზეიმო დაპირების მიუხედავად, გადასახადები არ შემცირებულა. კომუნისტური მმართველობის თვითნებური ქცევა ძველებურად გრძელდება. სასოფლო საქონლის გაყიდვით ვერ ხერხდება, მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებლად დაიფაროს საქარხნო საქონლის საჭიროება, რომელიც გლეხებს აქვთ“.[110]

დონალდ რეიფილდმა ახალ საბჭოთა რეჟიმის პირობებში გლეხების ხვედრი ამგვარად აღწერა: „ეკონომიკა... სულს ღაფავდა. 1923 წელს მიწები ადგილობრივი პირობებისა და ოჯახის სულადობის გათვალისწინებით გაანაწილეს ... ეკონომიკის

მთლიანმა მოშლამ, 1920 წლის მოუსავლიანობამ, 1921 წლის ომმა, წითელარმიულმა ოკუპაციამ და ჩეკისტურმა რეპრესიებმა ქვეყანაში საყოველთაო შიმშილობა გამოიწვია. მთავრობა მოსახლეობას სურსათ-სანოვაგის მარაგს ართმევდა: თბილისელი მედუქნე რაჟდენ მირიანაშვილი 79 ყველისა და 12 ბარკლის დამალვის გამო დახვრიტეს; თბილისელი ვაჭარი აკოფიანი — იმის გამო, რომ ხელისუფლებას 44 წყვილი წინდა არ გადასცა; რუსი ბაყალი ნოვოსილცევი კი — იმის გამო, რომ შაქარი და საპონი გადამალა".[111]

საქართველო სოციალ-დემოკრატიული მმართველობის პირობებში უტოპია როდი გახლდათ — ის ჯერაც უამრავი გადასაჭრელი პრობლემის წინაშე მდგარი ღარიბი ქვეყანა იყო. მაგრამ საბჭოელთა შემოსვლამ ყველაფერი ბევრად გააუარესა, განსაკუთრებით, გლეხებისთვის.

1924 წლისთვის ბოლშევიკებს უკვე მოეხერხებინათ სოფლის უდიდესი ნაწილის თავიანთ წინააღმდეგ განწყობა.

კოოპერატივების ბოლშევიზაცია

საქართველოს დამოუკიდებლობის სამი წლის განმავლობაში კოოპერატიული მოძრაობა სწრაფად ვითარდებოდა. ეკონომიკის ზოგ სფეროში მას წამყვანი პოზიციებიც კი ეკავა. 1921 წელს საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ კოოპერატივები, რომლებიც მანამდე სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი იყო და დემოკრატიულად იმართებოდა, კომუნისტური პარტიის კონტროლს დაუქვემდებარეს.

მართალია, კოოპერატივის ზოგმა წამყვანმა მოღვაწემ საბჭოთა შემოჭრის მერე ქვეყანა დატოვა, მაგრამ მათ, ვინც დარჩნენ, კოოპერატივების „ბოლშევიზაცია" გულხელდაკრეფილებს როდი მიუღიათ. ისინი წინააღმდეგობას სწევდნენ როგორც

საქართველოში, ასევე საერთაშორისო კოოპერატიულ მოძრაობებშიც, სადაც ბოლშევიკები და სოციალ-დემოკრატი ლიდერები ერთმანეთს აღიარებას ეცილებოდნენ.

ვთქვათ, გასაგებია, გლეხობა, პროფკავშირები, ინტელიგენცია, ეკლესია და სოციალ-დემოკრატიული პარტია რატომ წარმოადგენდა რეჟიმისთვის შესაძლო საფრთხეს, მაგრამ რატომ გადაწყვიტეს ბოლშევიკებმა, რომ საჭირო იყო, არაპოლიტიკურ კოოპერატიულ მოძრაობასთან დაეწყოთ ომი? ამას მხოლოდ იმით თუ ავხსნით, რომ ეს იყო ნაწილი სამოქალაქო საზოგადოებაზე სრული კონტროლის დამყარების პროცესისა, რომელსაც ჩვეულებრივ „ტოტალიტარიზმს“ ვუწოდებთ.

საქართველოში პირველი კოოპერატივები 1867 წელს დაარსდა. ეს კოოპერატივები იყო ქვეყანაში აღმოცენებული მუშათა მოძრაობის სამი დიდი ბურჯიდან პირველი, პროფკავშირებთან და სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან ერთად, რომლებიც ბევრად უფრო გვიან გაჩნდა. საქართველოს კოოპერატივებს მძიმე ჟამი დაუდგა პირველი მსოფლიო ომის წინ და, განსაკუთრებით, მის განმავლობაში, თუმცა 1917 წლის მერე კვლავ გამოცოცხლდა და მას მერე სწრაფად იზრდებოდა. 1919 წელს მათი რეორგანიზაცია მოხდა და ცეკავშირებად ჩამოყალიბდა, ანუ საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალურ კოოპერატიულ კავშირად, რომელშიც წამყვანი იყო მომხმარებელთა კოოპერატივები.

თუმცა მომხმარებელთა კოოპერატივები კვლავ წამყვან ძალად რჩებოდა, 1920 წელს საქართველოში ჩასულმა კარლ კაუცკიმ განსხვავება შენიშნა. მწარმოებელთა კოოპერატივები მეტ ძალას იძენდნენ. „კოოპერატივების გაერთიანებამ საკუთარი წარმოება 1919 წელს დაიწყო“, წერდა ის, „დაარსდა აბრეშუმის ფაბრიკა, სოსისების საწარმო, საინჟინრო ქარხნები, რომელიც შემდგომ სოფლის მეურნეობის იარაღებს ამზადებდა; შემდეგ დაარსდა ხილისა და ბოსტნეულისა საკონსერვო

საწარმოები და ბოლოს კი სტამბები. არც ერთი საწარმო არ არის წამგებიანი და მათი უმრავლესობა ნამატ პროდუქტსაც აწარმოებს“.[112]

მოძრაობა იზრდებოდა და ფართოვდებოდა და არ შემოიფარგლებოდა მომხმარებელთა და მიწათმოქმედთა კოოპერატივებით. ზრდის ეს პროცესი ეკონომიკური კრიზისის პერიოდში მიმდინარეობდა, როდესაც კერძო ბიზნესს მოგების მიღება უჭირდა. შედეგად, კოოპერატივები იზრდებოდა, კერძო ბიზნესმა კი გაქრობა დაიწყო. ერთი კვლევის თანახმად, კერძო სავაჭრო დაწესებულებების რიცხვი საქართველოს სოფლებში 2071-დან 1479-მდე შემცირდა, რაკი კოოპერატივებმა დაიწყო „კერძო კაპიტალის მიერ გათავისუფლებული ადგილების დაკავება“.[113]

1920 წლისთვის ქართველი მუშების მხოლოდ 19% იყო დასაქმებული კერძო სექტორში, უმრავლესობა – 52% – სახელმწიფოს მიერ იყო დაქირავებული, ხოლო 18% მუნიციპალურ ან კოოპერატიულ საწარმოებში მუშაობდა.[114] ქვეყანა მოგების მიღების მიზნით წარმოებაზე დაფუძნებული მოდელიდან თანდათან გარდაიქმნებოდა სახელმწიფოდ, რომელიც კოოპერატიული სახელმწიფოს რობერტ ოუენისეულ* ხედვას მოგვაგონებდა.

საქართველოს ექსპერიმენტის დასასრული მოახლოებული იყო, როდესაც კარლ კაუცკი გაეცნო, თუ რა ჰქონდათ ქართულ კოოპერატივებს გაკეთებული სულ რაღაც სამ წელიწადში. ის აღტაცებული დარჩა არა მხოლოდ იმით, თუ რამდენი რამის

---

* რობერტ ოუენი (Robert Owen) (1771-1858) – უელსელი (ბრიტანელი) მრეწველი, პოლიტიკური აქტივისტი და უტოპიური სოციალიზმის თეორიული მიმდინარეობის ერთ-ერთი მამამთავარი. ის იყო კოოპერატიული მოძრაობის ერთ-ერთი დამფუძნებელი, რამდენჯერმე სცადა ექსპერიმენტების განხორციელება მცირე სოციალისტური საზოგადოებების შექმნის მიზნით, რომლებიც თანასწორობასა და თანადგომაზე იქნებოდა დამყარებული (რედ. შენიშვნა).

9. კონსტანტინე ანდრონიკაშვილი

მიღწევა მოეხერხებინათ მათ, არამედ მათი წინსვლის ტემპი-თაც. „სასიკეთოა ის, რომ კოოპერატიული საზოგადოებები, თა-ვიანთ მწარმოებლურ საქმიანობაზე დაყრდნობით, ნაბიჯ-ნაბიჯ და წინდახედულად განვითარდნენ“, წერდა ის.[115]

1921 წელს საბჭოეთის მიერ დაპყრობის მერე კოოპერატივე-ბი ახალი მთავრობის კონტროლის ქვეშ მოექცა. სულ რამდენიმე თვეში კოოპერატიული მოძრაობის ლიდერები დააპატიმრეს.

ლონდონში რუსეთის სავაჭრო დელეგაციის წევრი და კავკა-სიაში ცენტროსოიუზის* წარმომადგენელი რაბინოვიჩი წერდა: „საქართველოში საბჭოთა მთავრობის მოსვლის მერე პირველი კოოპერატიული ყრილობა 1921 წლის ნოემბერში ჩატარდა. ამ დრომდე მმართველ თანამდებობებზე რჩებოდნენ საქარ-თველოს კოოპერატიული კავშირის ძველი, არჩეული წევრე-ბი — მათ გარდა, რომლებიც კონსტანტინოპოლში გაიქცნენ“. მაგრამ კოოპერატიული მოძრაობის ყოფილ მმართველებთან

* საბჭოთა კოოპერატივების ცენტრალური კავშირი (რედ. შენიშვნა).

ეს შედარებით შემწყნარებლური დამოკიდებულების პერიოდი მალე დასრულდებოდა.

„ბატონი ანდრონიკოვის* დაპატიმრება, რომელიც მმართველი საბჭოს თავმჯდომარე და მენშევიკი გახლდათ, რამდენადაც ვიცი, არაფრით უკავშირდებოდა მის მუშაობას კოოპერატივებში“, განმარტავდა რაბინოვიჩი. ანდრონიკოვის დაჭერა „გამოიწვია მხოლოდ იმ ფაქტმა, რომ ის, სხვა მენშევიკებთან ერთად, ჩართული იყო რკინიგზის მუშათა გაფიცვის მოწყობის მცდელობაში, რომლის დაწყებაც ნოემბრისთვის იგეგმებოდა“.[116] სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სრულიად გასაგები იყო ვინმეს დაპატიმრება „რკინიგზის მუშათა გაფიცვის მოწყობის“ მცდელობის გამო — ოღონდ კი მისი კოოპერატიული საქმიანობა არ ყოფილიყო მიზეზი.

მას მერე, რაც საქართველოს კოოპერატივებს ბოლშევიკებმა სულ უფრო და უფრო მოუჭირეს მარწუხები, დარჩენილმა არაკომუნისტმა აქტივისტებმა სცადეს, გამოეყენებინათ მათ ხელთ არსებული ბერკეტები საერთაშორისო კოოპერატიულ კავშირში** (ICA). ამ მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, ბელგიელი

---

* კონსტანტინე ანდრონიკაშვილი (1876-1937/38) — პოლიტიკოსი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, ამიერკავკასიის სეიმის წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი, კრების სამხედრო კომისიის თავმჯდომარე, რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლის თავმჯდომარის ამხანაგი (მოადგილე). 1921 წელს მუშაობდა ცენტრალური კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარედ. იყო დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარე, 1924 წლის აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი. დახვრიტეს დიდი ტერორის დროს (რედ. შენიშვნა).

** International Cooperative Alliance — 1895 წელს ლონდონში დაარსებული კოოპერატივების კონგრესი, რომელიც შექმნეს არგენტინის, ავსტრალიის, ბელგიის, დანიის, საფრანგეთის, გერმანიის, ნიდერლანდების, ინდოეთის, იტალიის, შვეიცარიის, სერბეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებმა. 1922 წელს ამ კავშირის ბაზაზე შეიქმნა

ვიქტორ სერვი საქართველოში ჩავიდა 1922 წლის პირველ ნახევარში, ქვეყანაში წითელი არმიის შეჭრიდან სულ რაღაც ერთ წელიწადში. საერთაშორისო კოოპერატიული კავშირის 1922 წლის ივლისის ბიულეტენში აღნიშნული იყო, რომ დელეგაცია, რომელშიც შედიოდნენ სერვი და გუგუშვილი* (ლონდონში საქართველოს წარმომადგენელი), ტფილისში ჩავიდა, „სადაც, თავიანთი პროგრამის თანახმად, ცდილობდნენ, ახლო კავშირი დაემყარებინათ ჩვენს ქართველ მეგობრებთან და საკუთარი თვალით ენახათ ამ ხალხის მდგომარეობა, რომლებსაც შიმშილობა დაატყდა თავს და რომელთაც სხვადასხვა ქვეყნის კოოპერატორები საგრძნობ თანხას სწირავდნენ“.

ბოლშევიკები ამ ვიზიტმა გააცეცხლა. რაბინოვიჩი თავის პამფლეტში წერდა: „ბატონ სერვის დანამდვილებით შემიძლია ვუთხრა, რომ ამ სტუმრობის დროს მისი მეგზურები იყვნენ არა იმდენად კოოპერატორები, რამდენადაც მენშევიკები, რომლებიც, რასაკვირველია, ყველანაირად ეცადნენ, მისთვის იმგვარი შთაბეჭდილება შეექმნათ, მათ მიზნებს რომ შეესაბამებოდა“.[117]

1922 წლის სექტემბერში საერთაშორისო კოოპერატიული კავშირის ბიულეტენი ასახავს, როგორ გადიოდა საქართველოს კოოპერატივებში მიმდინარე ბრძოლა საერთაშორისო სცენაზე. გერმანული კოოპერატივების ყრილობის ანგარიშიდან ვიგებთ, რომ ცენტროსოიუზის რუსი წარმომადგენლები „პროტესტის ნიშნად დარბაზიდან გავიდნენ, რადგან თავმჯდომარემ

ბანკი და სადაზღვევო კომიტეტი. კავშირის მიზანი იყო საერთაშორისო ვაჭრობაში კოოპერატივებისა და, შესაბამისად, მუშათა წრეების ჩართულობისა და როლის ზრდა (რედ. შენიშვნა).

* ანდრია გუგუშვილი (1895-1970) — ქართველი ისტორიკოსი, დიპლომატი და პუბლიცისტი. ლონდონში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენლობის მდივანი. ოკუპაციის შემდეგ აგრძელებდა დიპლომატიურ საქმიანობას ლონდონში, მუშაობდა „საქართველოს დამხმარე კომიტეტში“ (რედ. შენიშვნა).

საქართველოს დელეგატებს სიტყვა მისცა“. საბჭოთა კოოპერატივების დელეგატთა აზრით, ქართველები ახლა უკვე ცენტროსოიუზის წევრები იყვნენ (რაკი წითელმა არმიამ მათი ქვეყანა დაიპყრო), შესაბამისად, უფლება არ ჰქონდათ, დამოუკიდებლად დასწრებოდნენ კოოპერატიული მოძრაობის ღონისძიებას, თუნდაც გერმანიაში.

ერთი ანგარიშის მიხედვით, „ყრილობამ ხმამაღალი შეძახილებით მოიწონა პრეზიდენტის განცხადება, რომ მას არანაირი უფლება არ ჰქონდა, სიტყვით გამოსვლა აეკრძალა ICA-ს წევრი რომელიმე ორგანიზაციის დელეგატებისთვის“. იმ დროისთვის საქართველოს კოოპერატივები ჯერაც ICA-ს წევრები იყვნენ. რაბინოვიჩმა, რომელიც საბჭოეთის წარმომადგენელი იყო, პამფლეტით უპასუხა სერვის მონათხრობს საქართველოში კოოპერატიული მოძრაობის მდგომარეობაზე.

„ბრძოლაში, რომელიც საქართველოში მიმდინარეობს ორ პოლიტიკურ პარტიას — ბოლშევიკებსა და მენშევიკებს — შორის, გამარჯვება პირველებს დარჩათ“, განმარტავდა ის, „ბევრი ქართველი კოოპერატორი მენშევიკია და მათი პარტიის დამარცხებამ, ბუნებრივია, მათზეც იმოქმედა, მაგრამ — ამას კარგად უნდა გაესვას ხაზი — მხოლოდ როგორც დამარცხებული და დაპირისპირებული პარტიის წევრებზე და არამც და არამც როგორც კოოპერატორებზე. როდესაც საქართველოს დამარცხებული მენშევიკური მთავრობა გაიქცა, მათ გაჰყვა კარგა ბევრი კოოპერატორიც, რომლებიც მათი მიმდევრები იყვნენ. ... აქვე უნდა ვახსენოთ ფაქტი, რომ ქვეყანაში დარჩენილ კოოპერატორებს შორის ჯერაც ბლომად არიან მენშევიკები, რომლებიც არ შერიგებიან საკუთარი პარტიის დამარცხებას, კვლავ თავიანთი პოლიტიკური მიზნების მიღწევას ლამობენ; ამისათვის განაგრძობენ ფარულ ბრძოლას საქართველოში დამყარებულ საბჭოთა წყობილებასთან და ახლო კავშირს ინარჩუნებენ საზღვარგარეთ მყოფ თავიანთ პოლიტიკურ მეგობრებთან“.

კოოპერატორებს შორის „ბლომად მენშევიკების“ ყოფნის ხსენება საქართველოს ახალ კომუნისტ მმართველთაგან ერთ-ერთის მიერ უჩვეულოდ პირდაპირ ნათქვამად ჟღერს: ისინი ხომ ამტკიცებდნენ, საბჭოთა რეჟიმი ქვეყანაში ძლიერ პოპულარულიაო. იმ დროისთვის, როდესაც „ბლომად მენშევიკებმა“ 1924 წელს იარაღი აიღეს ხელში, საბჭოთა პროპაგანდა დაჟინებით იმეორებდა, რომ ეს ბანდიტების პატარა, განკერძოებული ჯგუფებია და მათ ხალხში მხარდაჭერა არ აქვთო.

რაბინოვიჩის არგუმენტები საკმაოდ ზუსტად იმეორებდა კარლ რადეკის სიტყვას, რომლითაც ამ უკანასკნელმა მიმართა 1922 წელს ბერლინში სამი ინტერნაციონალის შეკრებას. რაბინოვიჩი აცხადებდა, რომ „საბჭოთა მთავრობა საქართველოში ფლობს დოკუმენტურ მტკიცებულებას, რომლითაც ყოველგვარი ეჭვის გარეშე მტკიცდება, რომ საქართველოში მენშევიკური კოოპერატივები ბრძანებებს იღებდნენ თავიანთი საზღვარგარეთული შტაბებიდან, მაქსიმალურად გამოიყენონ თავიანთი გავლენა კოოპერატიულ მოძრაობაში, რათა ისინი პოლიტიკური ძალაუფლების მოსაპოვებელი ბრძოლის საყრდენად აქციონ“.[118]

ქართული კოოპერატიული მოძრაობის სათავეში მდგარ სოციალ-დემოკრატებს ბრალად ედებოდათ, რომ იყვნენ... სოციალ-დემოკრატები. რაც შეეხება საქართველოს ახალი საბჭოთა მმართველობის წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებას, რაბინოვიჩს ამას გადაჭრით უარყოფდა.

„მენშევიკური მთავრობის გაქცევის მერე საქართველოში კოოპერატივებთან დაკავშირებით პოზიცია გახლდათ ის, რომ კოოპერატიულ ორგანიზაციებს იოლად შეეძლოთ, ქვეყნის ეკონომიკურ საქმიანობაში წამყვანი როლი ეკისრათ“, არწმუნებდა ის თავის უცხოელ აუდიტორიას, რომელიც კოოპერატიული მოძრაობის ლიდერებისგან შედგებოდა. მას არ უხსენებია, რომ სოციალ-დემოკრატების მმართველობის პირობებში კოოპერატივებს უკვე ჰქონდათ აღებული მის მიერ ნახსენები „წამყვანი

როლი“. საქართველო სოციალურ შერეულ ეკონომიკაზე გადადიოდა ბევრად უფრო ადრე, ვიდრე წითელი არმია შეიჭრებოდა ქვეყანაში.

„საქართველოს საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ მიმართულ ბრალდებას, თითქოს მან კოოპერატივების ნაციონალიზაცია მოახდინა, არანაირი ფაქტობრივი საფუძველი არ გააჩნია“, განაცხადა მან, „პოლიტიკა, რომელიც 1922 წლის პირველი თვეებიდან ამოქმედდა საქართველოში კოოპერატივებთან დაკავშირებით, გახლავთ რუსეთში მიღებული ახალი ეკონომიკური პოლიტიკა“ — იგი გულისხმობდა საბჭოთა ეკონომიკის ზოგი ასპექტის ლიბერალიზაციას, რომელიც ლენინმა შემოიღო „ომის კომუნიზმის“ სრული მარცხის მერე.[119] „უეჭველია, საქართველოს კოოპერატიული კავშირის მმართველობას შესაძლებლობათა გამოყენების და აქტიურ მუშაობაში ჩაბმის გულწრფელი სურვილი რომ გამოევლინა, ის შეძლებდა, ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში წამყვანი როლი შეენარჩუნებინა“, განაგრძობს რაბინოვიჩი.[120]

საქართველოს საბჭოთა მთავრობა კოოპერატივების მიმართ სრულიად დადებითად იყო განწყობილიო, წერს ის. „კოოპერატივების მიმართ საქართველოს საბჭოთა მთავრობის ნამდვილი დამოკიდებულების საჩვენებლად შემიძლია გავიხსენო, რომ, როცა საქართველოში ყველა ბანკი დახურეს, მთავრობამ 1 ივნისს გამოსცა დადგენილება, კვლავ გახსნილიყო საქართველოს კოოპერატიული ბანკი, რომლის ხელმძღვანელობასაც ნება ეძლეოდა, განეგრძოთ მუშაობა ბანკის ძველი წესდების შესაბამისად. ბანკი მართლაც გაიხსნა და მას საბუღალტრო დავთრებიც სრულად დაუბრუნეს. მთავრობამ, თავის მხრივ, ხელშესაწყობად და მუშაობაში დასახმარებლად ბანკს კრედიტები მისცა“.

რაბინოვიჩი წერდა, როგორც პროფესიონალი, რომელიც იმ დროს საქართველოში იმყოფებოდა და ამის მოწმე გახდა. „1921 წლის ზაფხულის განმავლობაში, როგორც ცენტროსოიუზის წარმომადგენელს კავკასიაში, ორი ხანგრძლივი შეხვედრა

მქონდა ზემოთნახსენები კოოპერატიული ბანკის ხელმძღვანელობასთან“, წერდა ის, „მაინტერესებდა გამეგო, ბანკი რატომ არ ამჟღავნებდა მოქმედების რაიმე ნიშანწყალს და ამის ახსნას ვითხოვდი“.

მას სჯეროდა: ბანკი უმოქმედო იმიტომ იყო, რომ საქართველოში დარჩენილი სოციალ-დემოკრატები, რომლებიც ჯერაც აქტიურად ერეოდნენ კოოპერატივების მუშაობაში, მუშათა და გლეხთა მთავრობის მუშაობას „აფერხებდნენ“. ეს ხდებოდა იმის მიუხედავად, რომ ახალი მთავრობა „ყველანაირად ხელს უწყობდა კოოპერატივებს მათი მუშაობის აწყობაში“.[121] საბჭოთა პროპაგანდაში იკვეთებოდა შაბლონი, განსაკუთრებით, საქართველოსთან მიმართებაში. არსებობდა „დოკუმენტები“, რომლებიც ამტკიცებდა, რომ ყველაფერი ცუდი, რაც კი ეკონომიკაში, მათ შორის, კოოპერატიულ მოძრაობაში, ხდებოდა, განზრახ აკეთებდნენ სოციალ-დემოკრატების მომხრეები, საფრანგეთში წასული მთავრობის ბრძანებით.

ისეთი ქმედებებით, როგორიც იყო კოოპერატივებზე გავლენის გამკაცრება, სოციალ-დემოკრატებისა და დამოუკიდებელი მოქმედი პირების ჩანაცვლება ახალი საბჭოთა რეჟიმის ერთგული ადამიანებით, სამოქალაქო საზოგადოების ყველა ნაწილი თანდათან კომუნისტური კონტროლის ქვეშ ექცეოდა.

ბერლინი 1922

ბოლშევიკების მიერ პეტროგრადში ძალაუფლების ხელში ჩაგდებიდან ოთხ წელზე მეტი იყო გასული, სოციალ-დემოკრატიულ და მუშათა პარტიებსა და ახლად ჩამოყალიბებულ კომუნისტურ პარტიას შორის კი ნაპრალი ფართოვდებოდა. ამ პარტიებმა დაინახეს, რომ მათ სულ უფრო ნაკლები რამ ჰქონდათ საერთო და ორივე მხარე ერთმანეთს აბრალებდა მოძრაობის

ღირებულებათა ღალატს. თუმცა, ბევრი მემარცხენე იტოვებდა იმედს, რომ მიუხედავად ყველაფრისა, გაერთიანება ჯერაც შესაძლებელი იყო.

1922 წლის 2 აპრილს სამი საერთაშორისო სოციალისტური ორგანიზაციის წარმომადგენლები შეიკრიბნენ ბერლინის რაიხსტაგში, რათა რამდენიმე დღის განმავლობაში ემსჯელათ და ეკამათათ. შეხვედრა 25-ე ოთახში მოიწვია ე.წ. „ვენის“ ინტერნაციონალმა (მისი ოფიციალური სახელი იყო „სოციალისტური პარტიების საერთაშორისო მუშათა კავშირი“). ამ ჯგუფს უწოდებდნენ „ორნახევარ ინტერნაციონალსაც“, რადგან პოლიტიკურად ის 1889 წელს დაარსებულ მეორე ინტერნაციონალსა და 1919 წელს ლენინის მიერ შექმნილ მესამე ინტერნაციონალს (რომელსაც „კომინტერნსაც“ უწოდებდნენ) შორის იყო მოთავსებული. ვენის ინტერნაციონალი სოციალ-დემოკრატიული და კომუნისტური მოძრაობების შერიგების უძლიერესი მხარდამჭერი იყო, ხოლო ეს მოძრაობები, თითოეული თავის მხრივ, ლამობდნენ, „არც აქეთ, არც იქით“ პოზიციის მქონე ვენის ინტერნაციონალის წევრი პარტიები თავისკენ გადაებირებინათ. ვენის ინტერნაციონალის დღის წესრიგი შედგებოდა მხოლოდ ორი პუნქტისგან: „(1) ეკონომიკური სიტუაცია ევროპაში და მუშათა კლასის მოქმედება; და (2) მუშათა თავდაცვითი ბრძოლა რეაქციის წინააღმდეგ“.[122] დაგეგმილ დღის წესრიგში საქართველო საერთოდ არ ფიგურირებდა.

ვენის ინტერნაციონალის ლიდერი იყო ფრიდრიხ ადლერი*, მაშინ 42 წლისა, ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან. ადლერს სოციალისტების წრეში მნიშვნელოვანი მორა-

* ფრიდრიხ ადლერი (Friedrich Wolfgang “Fritz” Adler) (1879-1960) — ავსტრიელი პოლიტიკოსი, ფიზიკოსი, ფილოსოფოსი, ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის დამაარსებლის ვიქტორ ადლერის შვილი, სოციალისტური პარტიების მუშათა საერთაშორისო კავშირის მდივანი (რედ. შენიშვნა).

10. ფრიდრიხ ადლერი

ლური ავტორიტეტი ჰქონდა. პირველი მსოფლიო ომის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად მან 1916 წლის ოქტომბერში ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა ავსტრიელი მინისტრი-პრეზიდენტი გრაფი კარლ ფონ შტიურგკი ვენაში, სასტუმროს სასადილო დარბაზში. ადლერს სიკვდილი მიუსაჯეს, მაგრამ ომის დასრულების მერე გაათავისუფლეს.

ბერლინში ადლერს დიდი სამუშაო ელოდა — კომუნისტებმა დააარსეს საკუთარი ინტერნაციონალი მეორე ინტერნაციონალთან გასაჯიბრებლად, რომელმაც, მათი თვალსაზრისით, მუშათა კლასს უღალატა იმით, რომ მსოფლიო ომს მხარი დაუჭირა. თუმცა, ბზარებმა თავი იჩინა ომის დაწყებისთანავე, 1914 წლის ზაფხულში — შეიძლება ვამტკიცოთ, რომ უფრო ადრეც. იმ დროისთვის, როდესაც დელეგატები ბერლინში შეიკრიბნენ, მთელი რვა წელი იყო გასული მას მერე, რაც ისინი უკანასკნელად ისხდნენ ერთად, როგორც თანამებრძოლები.

ადლერმა კონფერენცია გახსნა მისი ისტორიული მნიშვნელობის აღნიშვნით — მეორე და მესამე ინტერნაციონალების სოციალისტები წინა წლებში ხშირად აღმოჩნდებოდნენ ხოლმე ბარიკადების საპირისპირო მხარეებზე. ამათგან ორივეს მიაჩნდა, რომ „იქითებს“ სისხლში ჰქონდათ ხელები გასვრილი. ძნელი იქნებოდა დალაპარაკებაც კი, რომ არაფერი ითქვას მოძრაობათა გაერთიანებაზე.

ვენის ინტერნაციონალის დელეგატებს შორის იყო ცნობილი ავსტრიელი სოციალისტი მოაზროვნე ოტო ბაუერი. შეკრებას ესწრებოდა რუსი მენშევიკების ლიდერი იული მარტოვიც, თუმცა იგი უკვე ავად იყო და ერთ წელიწადში გარდაიცვალა კიდევაც. სხვა ოფიციალური დელეგატები ჩამოსული იყვნენ ჩეხოსლოვაკიიდან, ინგლისიდან, საფრანგეთიდან, გერმანიიდან და ლატვიიდან. ვენის ინტერნაციონალის დელეგაციასთან ერთად მსხდარ „სტუმრებს“ შორის იყვნენ რუსი მენშევიკი რაფაელ აბრამოვიჩი და სხვა პირები საფრანგეთიდან და გერმანიიდან. პოალეი ციონის — პალესტინური სოციალისტ სიონისტთა პარტიის — ორი წარმომადგენელიც ამ დელეგაციის წევრი იყო.

მესამე ინტერნაციონალს წარმოადგენდნენ გამოჩენილი გერმანელი სოციალისტი კლარა ცეტკინი; რევოლუციონერი სინდიკალისტი ალფრედ როსმერი, რომელიც საფრანგეთის კომუნისტური პარტიის დაარსებაში მონაწილეობდა; სენ კატაიამა — იაპონიაში სოციალისტური მოძრაობისა და მოგვიანებით იაპონიის კომუნისტური პარტიის დამაარსებელი მამა; და სხვანი ჩეხოსლოვაკიიდან, პოლონეთიდან და იუგოსლავიიდან. დელეგაციაში შედიოდა ორი რუსი: ნიკოლაი ბუხარინი* და კარლ

* ნიკოლაი ბუხარინი (Николай Бухарин) (1888-1938) — მარქსიზმის თეორეტიკოსი, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ბოლშევიკური ფრაქციის ერთ-ერთი ლიდერი, კომუნისტური ინტერნაციონალის გენერალური მდივანი (1926-1929), გაზეთ *პრავდას* რედაქტორი, სსრკ-ს კომპარტიის პოლიტბიუროს წევრი. დახვრიტეს 1938 წელს (რედ. შენიშვნა).

11. ირაკლი წერეთელი

12. კარლ რადეკი

რადეკი. იტალიის სოციალისტური პარტიის ლიდერი ჯაჩინტო მენოტი სერატი კომუნისტებთან ერთად იჯდა, თუმცა მის პარტიას ფორმალურად ჯერ მხარე არ აერჩია.

მეორე ინტერნაციონალის ათ დელეგატს შორის ოთხი იყო ისეთი, რომლებმაც სულ რაღაც წელიწადნახევრის წინ მოინახულეს საქართველო: ემილ ვანდერველდე და კამილ ჰიუსმანსი ბელგიიდან და ტომ შოუ და რემზი მაკდონალდი ბრიტანეთიდან. ისინი დამოუკიდებელ საქართველოში ჩავიდნენ საერთაშორისო სოციალისტური დელეგაციის შემადგენლობაში, როგორც მისი სოციალ-დემოკრატი მთავრობის სტუმრები. დელეგატებს შორის აგრეთვე იყვნენ ერნესტ ბევინი ბრიტანეთის ლეიბორისტული პარტიიდან (მომავალი საგარეო საქმეთა მინისტრი), ასევე სხვები დანიიდან, გერმანიიდან, ჰოლანდიიდან და შვედეთიდან. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და კერენსკის მთავრობის ყოფილი

მინისტრი ირაკლი წერეთელი ასევე მეორე ინტერნაციონალის დელეგატი იყო. 1924 წელს წერეთელი საკვანძო როლს ითამაშებს იმაში, რომ მეორე ინტერნაციონალი ზურგს შეაქცევს კომუნისტებს საქართველოში აჯანყების შემდეგ.

აქ საერთაშორისო მემარცხენე მოძრაობის ყველაზე გამოჩენილი ადამიანები იყვნენ შეკრებილი — ბუხარინის, ბაუერის, ცეტკინისა და მაკდონალდის სახელები საქვეყნოდ იყო ცნობილი, ყოველ შემთხვევაში, მემარცხენე წრეებში. დამსწრეთაგან ზოგი შემდგომ თავის ქვეყანაში მინისტრი და პრემიერ-მინისტრიც კი გახდა.

ათი წლის წინ ისინი ყველანი ერთი ვრცელი გაერთიანების, მეორე ინტერნაციონალის, წევრები იყვნენ. მაგრამ 1922 წლისთვის ყველაფერი შეცვლილიყო და ახლა ისიც გასაოცარი იყო, ერთად რომ ისხდნენ ერთსა და იმავე დარბაზში.

მემარცხენე მოძრაობის ზოგი წამყვანი ფიგურა, მაგალითად, ლენინი და ტროცკი საბჭოთა რუსეთიდან და კარლ კაუცკი გერმანიიდან, ღონისძიებას არ ესწრებოდა. თუმცა, მათ გარეშეც კი, ამ დაპირისპირებას გარდაუვალად ეწერა ისტორიაში შესვლა.

საოცარი კი ის იყო, დაპირისპირება რამდენად სწრაფად გადავიდა საქართველოს თაობაზე ჩხუბამდე. ეს ნამდვილად განსხვავდებოდა იმისგან, რასაც ყველანი მოელოდნენ, ყოველ შემთხვევაში, ნამდვილად არ იყო ის, რის მოლოდინიც ღონისძიების მომწყობ ავსტრიელებს ჰქონდათ. როდესაც ფრიდრიხ ადლერმა შეხვედრა გახსნა, მას „ექსპერიმენტი“ უწოდა და დაასკვნა: „თავად ის ფაქტი, რომ კონფერენცია შეიკრიბა, რაც ცოტა ხნის წინ შეუძლებელი ჩანდა, უკვე გარკვეული წარმატებაა“. როგორც ვნახავთ, მისი ხედვა ზედმეტად ოპტიმისტური იყო. სამი ინტერნაციონალი დიდი ხანია, ვერ თანხმდებოდა სხვადასხვა საკითხზე, რომელთაგან ზოგი ამ კონფერენციაზეც განიხილებოდა. მეორე ინტერნაციონალიც და ვენის ინტერნაციონალიც არ იწონებდნენ, როგორ ეპყრობოდა ბოლშევიკუ-

რი მთავრობა მათ თანამოაზრეებს რუსეთში – მათ აკრძალეს სოციალისტური პარტიები, დახურეს სოციალისტური გაზეთები, მათი ლიდერები ციხეში ჩასვეს და ასე შემდეგ. წერეთლის, მარტოვისა და აბრამოვიჩის იქ ყოფნა ნიშნავდა, რომ ბრალდების სამიზნე გახდებოდნენ იმ რეჟიმის წარმომადგენლები, რომელსაც რუსეთში და 1921 წლიდან უკვე საქართველოშიც მათი პარტია აკრძალული ჰქონდა.

პირველი სიტყვა წარმოთქვა ადლერმა, მის შემდეგ ილაპარაკა ცეტკინმა. მათ გადააჭარბეს გამოყოფილ დროს, დელეგატები სადილად გავიდნენ და ამის მერე განაგრძეს განხილვა. მომდევნო სხდომას თავმჯდომარეობდა ტომ შოუ ბრიტანეთის ლეიბორისტული პარტიიდან და მან მეორე ინტერნაციონალის პირველ გამომსვლელად დაასახელა ბელგიელი სოციალ-დემოკრატი ემილ ვანდერველდე. ალბათ, გარდაუვალი იყო, რომ ვანდერველდეს გამოსვლა პირველი სიტყვებიდანვე ფეთქებადსაშიში აღმოჩნდა. ვანდერველდეს არ დაუმალავს, რომ სკეპტიკური თვალით უყურებდა შესაძლებლობას, მოწყობილიყო დიდი საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც სამივე ინტერნაციონალი მიიღებდა მონაწილეობას – რაც იყო მიმდინარე დღის წესრიგი – შემდეგ კი ივარაუდა, როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო ამგვარი ღონისძიების მიმდინარეობა.

„წამოდგებიან სოციალისტთა წარმომადგენლები რუსეთის ყველა მოსაზღვრე სახელმწიფოდან – უკრაინიდან, სომხეთიდან ... [და] საქართველოდან, სადაც ჩვენი ამხანაგები, ჩვენი ინტერნაციონალის სექციის წარმომადგენლები, უჩივიან იმას, რასაც თავად ბოლშევიკურ იმპერიალიზმს უწოდებენ – და, ჩემი აზრით, მართებულადაც. ეს იქნება პირველი საკითხი, რაზეც ვიმსჯელებთ კონფერენციის გახსნის დღეს“.[123]

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ: სოციალ-დემოკრატთა წამყვან წარმომადგენელს, რომელიც ევროპელ მემარცხენეთა ყველა ძირითადი პარტიის, მათ შორის, ბრიტანეთის ლეიბორისტუ-

ლი პარტიის, სახელით ლაპარაკობდა, მიაჩნდა, რომ „პირველი საკითხი, რაზეც იმსჯელებდნენ“ კომუნისტურ მოძრაობასთან, საქართველოს, სომხეთისა და უკრაინის ხვედრი უნდა ყოფილიყო. არა სოციალისტური პოლიტიკური პარტიების აკრძალვა საბჭოთა რუსეთში, არც ბოლშევიკთა მემარცხენე ოპონენტების ციხეში ჩაყრა, არც ავადსახსენებელი ჩეკას და შრომითი ბანაკების დაარსება, ერთი წლის წინ კრონშტადტის მეზღვაურების ჯანყის სასტიკი ჩახშობაც კი არა — თუმცა ამათგან უმრავლესობაც მერე ნახსენები იქნება.

უპირველეს ყოვლისა, ვანდერველდეს საქართველოსა და „ბოლშევიკური იმპერიალიზმის“ სხვა მსხვერპლებზე სურდა ლაპარაკი. მან განაგრძო იმით, რომ დარბაზში მყოფ კომუნისტ ლიდერებს რამდენიმე შეკითხვა დაუსვა. „თუ კონფერენცია შეიკრიბება“, წამოიწყო მან, „მაშინ ის ხალხები, რომლებსაც ამჟამად წართმეული აქვთ საკუთარი ბედის განსაზღვრის ყველანაირი უფლება — უკრაინელები, სომხები, ქართველები — შეძლებენ, თავისუფლად აირჩიონ საერთო კონფერენციის დელეგატები?“[124]

„მე განსაკუთრებით გამოვყოფ საქართველოს შემთხვევას“, განაგრძო მან და უკრაინა და სომხეთი გვერდზე გადადო, „და ძირითადად მასზე იმიტომ ვლაპარაკობ, რომ ის ჩემი თვალით მაქვს ნანახი. მე მოწმე ვარ, ჩვენ მოწმეები ვართ, თავად ვნახეთ იმ კვირების განმავლობაში, რომელიც არასოდეს დაგვავიწყდება, როგორ ერთსულოვნად — ან თითქმის ერთსულოვნად — იკრიბებოდა ხალხი წითელი დროშის ქვეშ, თავისუფალი საარჩევნო უფლების პირობებში, და უდიდესი უმრავლესობით ირჩევდა სოციალისტებს; ხალხი, რომელსაც უნდა, იცხოვროს, უფლება აქვს, იცხოვროს და რომელსაც, მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი, დავეხმაროთ, რომ იცხოვროს“.[125]

მან მგზნებარედ ილაპარაკა ჰიუსმანსის, მაკდონალდისა და შოუს სახელით, ვისთან ერთადაც იყო საქართველოში ჩასული

1920 წელს. ამ სამმა ზუსტად იცოდა, რას გრძნობდა ვანდერველდე. ოთხივენი 1921 წლის თებერვალში წითელი არმიის შეჭრამდე რამდენიმე თვით ადრე გამოემგზავრნენ საქართველოდან. ყველამ დაწერა სტატიები და მისცა ინტერვიუები, რომლებშიც ჰყვებოდნენ, რა შესანიშნავი იყო სოციალ-დემოკრატიული საქართველო. მათ პირადი ურთიერთობები ჩამოუყალიბდათ ქართველ სოციალ-დემოკრატ ლიდერებთან, მათ შორის, წერეთელთან და ნოე ჟორდანიასთან. ვანდერველდემ დამაჯერებლად თქვა თავისი სათქმელი. საქართველოს საკითხის ამგვარად დასმით მან გარანტირებულად მიაღწია, რომ ბერლინის შეხვედრას ორი რამ მოჰყვებოდა შედეგად.

ერთი, რომ არ შედგებოდა სამი ინტერნაციონალის არავითარი ერთობლივი კონფერენცია და სოციალისტები და კომუნისტები არ გაერთიანდებოდნენ. და მეორე: ვენის ინტერნაციონალი, მემარცხენეთა გაერთიანების საქმეში ხელის მოცარვის



13. ემილ ვანდერველდე



14. რემზი მაკდონალდი

შემდეგ, საბოლოოდ ისევ ვანდერველდეს მეორე ინტერნაციონალის შემადგენლობაში ჩაბრუნდებოდა.

ვანდერველდესთვის პასუხის გაცემა საბჭოთა რუსეთისა და კომუნისტური ინტერნაციონალის სახელით კარლ რადეკს დაეკისრა. რადეკს, რომელიც მაშინ 36 წლის იყო, მთელი ცხოვრება სოციალისტური მოძრაობის უკიდურეს მარცხენა მიმდინარეობაში გაეტარებინა. დაიბადა უკრაინაში, ქალაქში, რომელიც დღეს ლვივის სახელითაა ცნობილი. ოცი წელიც არ შესრულებოდა, როდესაც მონაწილეობა მიიღო 1905 წლის რევოლუციაში პოლონეთში, სადაც ის როზა ლუქსემბურგის პარტიის წევრი იყო. ამის მერე გერმანელ სოციალ-დემოკრატებს შეუერთდა და მოგვიანებით რუსეთის პარტიაში შიდა ფრაქციულ დაპირისპირებაში ლენინის მხარე დაიჭირა. ის ბოლშევიკთა საქმის უაღრესად ეფექტიანი პროპაგანდისტი იყო. ტროცკის მსგავსად, მანაც წიგნი დაწერა, რომლითაც შეეწინააღმდეგა კაუცკის ნაშრომს „ტერორიზმი და კომუნიზმი“.

რადეკმა გააფთრებით შეუტია ვანდერველდესა და სოციალისტებს.

„რაც შეეხება საქართველოს“, თქვა მან, „არ ვიცი, *მოქალაქე* ვანდერველდე“ — მან არ მოისურვა, ბელგიელი სოციალისტი ლიდერი „ამხანაგად“ მოეხსენიებინა — „ასე რად უნდა წუხდეს“ — იმის გამო, რომ ტფილისში სოციალ-დემოკრატი ლიდერების, მათ შორის, ჟორდანიას, ნაცვლად ბოლშევიკი ბუდუ მდივანი „გამოჩნდა თუ იმიტომ, რომ ბაქო, თავდასხმის კარიბჭე, ინგლისელების ხელში აღარ არის?*“.

---

* ამ პერიოდის სამხედრო დოქტრინები აქცენტს ბაქო-ბათუმის ხაზზე აკეთებდნენ, ნავთობის მოპოვებისა და ტრანსპორტირების გამო. სწორედ ამ მიზნით დაიკავა დიდმა ბრიტანეთმა ბაქო 1918 წელს. 1919 წელს დიდმა ბრიტანეთმა დატოვა ბაქო, ხოლო 1920 წლის აპრილის მიწურულს ქალაქი საბჭოთა რუსეთის წითელმა არმიამ დაიკავა (რედ. შენიშვნა).

„მე ვეუბნები მეორე ინტერნაციონალის წარმომადგენლებს, განსაკუთრებით კი ინგლისელ დელეგატებს: ‘ხელები შორს საქართველოსგან!’ თქვენ არ გაგიპროტესტებიათ, როდესაც ინგლისის ზარბაზნებს ამოფარებული საქართველოს მთავრობა საქართველოს გლეხებსა და მუშებს ჟლეტდა“. კონფერენციის ოქმის თანახმად, ამას „პროტესტის შეძახილები და აპლოდისმენტები“ მოჰყვა. რადეკმა სარკასტულად შენიშნა: საბჭოთა საიდუმლო პოლიციელები „ნიჭიერი მწერლები არ არიანო“. მაგრამ ქართველები მათგან განსხვავდებოდნენ. მათ „საკმაოდ გაუფრთხილებლად, ბატონი ჯუღელის* ხელით ... დატოვეს წიგნი, და ამ წიგნში ქართული დემოკრატია იმგვარად არის წარმოდგენილი, რომ შემდეგ კონფერენციაზე ჩვენ ამ წიგნს მოვიტანთ და ყველანი გაიგებთ: საქართველოს სახელმწიფოც სისხლითა და მახვილით იყო ნაშენები“. რადეკი ამტკიცებდა, ქართველებმაც ჩაიდინეს ყველაფერი, რაზეც თქვენ ამბობთ, რომ ჩვენც ვაკეთეთო. და ჩადენილს წიგნებშიც კი აღწერდნენ.

წიგნი, რომელსაც რადეკი გულისხმობდა, იყო საქართველოს სახალხო გვარდიის მეთაურის, ვალიკო ჯუღელის დღიური**. ჯუღელის დღიურიდან ციტატები ტროცკისაც მოჰყავდა

---

* ვალიკო ჯუღელი (1887-1924) — სახალხო გვარდიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და მეთაური, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, ამიერკავკასიის სეიმის წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი. 1924 წელს დაბრუნდა საქართველოში ანტისაბჭოთა აჯანყების ორგანიზებისათვის. დახვრიტეს აჯანყების შემდეგ (რედ. შენიშვნა).

** სახალხო გვარდიის მეთაურის ვ. ჯუღელის დღიური „მძიმე ჯვარი“ რუსულ ენაზე გამოქვეყნდა 1920 წლის ბოლოს. ციტატებს ამ წიგნიდან, რომელშიც აღწერილია სახალხო გვარდიის წარმოებული ბრძოლები, კონტექსტიდან ამოგლეჯილად ხშირად იყენებდნენ ბოლშევიკი პროპაგანდისტები. წიგნი ქართულად პირველად გამოქვეყნდა 2022 წელს (გამომცემლობა „ზიარი“, მთარგმნელი ნინო შარვაშიძე, რედაქტორები ირაკლი და დავით ხვადაგიანები). (რედ. შენიშვნა).

15. ვალიკო ჯუღელი

1921 წლის დაპყრობის მერე გამოცემულ წიგნში, რომლითაც ის საქართველოს რესპუბლიკას ესხმოდა თავს. ბოლშევიკებს უყვარდათ ჯუღელის დღიურის ხსენება, რომელსაც ერთგვარ „მენშევიკურ დანაშაულთა“ აღიარებად წარმოაჩენდნენ. ჩვენ ვნახავთ, რომ ჯუღელი კვლავ შეასრულებს მნიშვნელოვან — და ტრაგიკულ — როლს 1924 წლის აჯანყების წინა პერიოდში.

რადეკი განაგრძობდა საქართველოს სოციალ-დემოკრატი მთავრობის შედარებას იმასთან, რაც კომუნისტთა მმართველობას მოჰყვა. და ამასობაში წამოროშა ისეთი რამ, რაც მანამდე არ თქმულიყო, ყოველ შემთხვევაში, საჯაროდ: „და თუ გვკითხავთ, რატომ — *და ახლა ამას დაუფარავად ვამბობთ* — შევუწყვეთ ხელი საქართველოს მთავრობის დამხობას, ჩვენ პასუხს გაგცემთ იმ დოკუმენტიდან, რომელიც საქართველოს მთავრობამ ესოდენ გაუფრთხილებლად დაბეჭდა“. აქამდე საბჭოთა რუსეთის მთავრობა გაცხარებით ამტკიცებდა, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მთავრობა ქართველი მუშებისა და გლეხების მიერ იყო დამხობილი.

საქართველოს მთავრობის მეთაური ნოე ჟორდანია თავისი პარტიის ცენტრალური კომიტეტისთვის დევნილობიდან გამოგზავნილ პირველ წერილში წერდა: „ჩვენ აქ დაგვხვდა მოსკოვის მთავრობის მიერ გავრცელებული ამბავი — საქართველოში რუსის ჯარი არ არის, არავითარი ომი არ ყოფილა, აჯანყებულმა ხალხმა განდევნა მენშევიკური მთავრობა და აირჩია ბოლშევიკებისო“.[126]

რა თქმა უნდა, საბჭოთა ლიდერებმა, მათ შორის, რადეკმა, მშვენივრად იცოდნენ, რომ ისინი თავს დაესხნენ საქართველოს და რომ აქ მომხდარი მუშათა რევოლუცია სოციალ-დემოკრატიული მთავრობის წინააღმდეგ მათი გამოგონილი ზღაპარი იყო. როდესაც რუსეთი უტიფრად შეიჭრა საქართველოში 1921 წელს, რეჟიმის რუპორები, მათ შორის, ტროცკი, ამტკიცებდნენ, რომ, მართალია, წითელი არმია რაღაცაში წაეხმარა აჯანყებულებს, მაგრამ მართლაც არსებობდა ნამდვილად ქვემოდან მომავალი, სახალხო რევოლუცია საძულველი რეჟიმის წინააღმდეგ. ახლა კი, ერთი წლის მერე, ბერლინში საბჭოეთის რუპორმა რადეკმა გაამხილა ფაქტი, საქართველოს არჩეული მთავრობა „ჩვენ“ ჩამოვაგდეთო, და დაურთო, ახლა ამას დაუფარავად ვამბობთო.

რის მიღწევას ლამობდა რადეკი? ისე ჩანს, თითქოს საბჭოთა სპიკერი, როგორც მანამდე ვანდერველდე, ყველანაირად ცდილობდა, რომ სამი ინტერნაციონალის მომდევნო შეხვედრები არ გამართულიყო. ეტყობა, ეს იყო ერთადერთი რამ, რაზეც სოციალ-დემოკრატებსა და კომუნისტებს შეთანხმება შეეძლოთ.

და რა იყო ის ქართული დოკუმენტები, რომლებსაც რადეკი ახსენებდა? მან მოიყვანა ერთი „მამხილებელი“ ფრაზა, ქართველ მაღალი თანამდებობის პირს* რომ ეკუთვნოდა: „ჩვენ ვეხმარებოდით თეთრებს; ჩვენ არა მხოლოდ დავჯაბნეთ ბოლ-

* იგულისხმება ევგენი გეგეჭკორი (რედ. შენიშვნა).

შევიკები ჩვენს ქვეყანაში, არამედ გამოვკვებეთ თქვენი თეთრი ოფიცრები და თქვენთან გამოვგზავნეთ“. რადეკმა დასძინა: „თუ კონფერენცია ინებებს, ამ დოკუმენტის ნამდვილობის დასამტკიცებლად პატარა კომისია შექმნას, ჩვენ სიამოვნებით გადავცემდით მათ ამ მასალას“.

რადეკის ეს შეთავაზება: შექმნილიყო „პატარა“ კომისია საქართველოს მთავრობის (რომელიც მუდამ აცხადებდა რუსეთის სამოქალაქო ომში თავის ნეიტრალურ პოზიციას) ბრალეულობის დამამტკიცებელი დოკუმენტის სინამდვილის დასადასტურებლად, სერიოზულად არავის მიუღია. ის მეორედ აღარავის უხსენებია.

კონფერენცია მომდევნო დილით განახლდა, სხდომას კლარა ცეტკინი თავმჯდომარეობდა. 1924 წლის აგვისტოს აჯანყების შემდგომი პერიოდის მოვლენათა განვითარებაში ცეტკინიც შეასრულებს თავის როლს — ჩვენ მას ისევ შევხვდებით. პირველი გამომსვლელი მეორე ინტერნაციონალის მხრიდან იყო ბრიტანელი ლეიბორისტთა ლიდერი რემზი მაკდონალდი, რომელიც, როგორც წინა დღეს სიტყვით გამოსული ვანდერველდე, 1920 წელს საქართველოში ჩასული საერთაშორისო სოციალისტური დელეგაციის წევრი იყო. „რაც შეეხება საქართველოს“, თქვა მან, „აქ ერთი რამ არის არსებითი: მეწამულიც რომ იყოს მისი ცოდვები, სულაც არ ვარ დარწმუნებული, მიუკერძოებელ კომისიას თუ დავნიშნავთ, ადვილი გამოდგეს, დაამტკიცოთ თქვენი პრეტენზია, წმინდანები ვართო“. „მეწამული ცოდვების“ ხსენებისას მაკდონალდი ძველ აღთქმას ციტირებდა (ესაია 1:18), თუმცა გამოტოვა სიტყვები, რომლებიც იმავე მუხლში უძღოდა ამ ფრაზას: „აწ კი მოდით და ერთად ვიმსჯელოთ“.

ბერლინში იმ კვირაში არც „ერთად“ გამოვიდა და არც „მსჯელობა“.

„მთავარია ფაქტი, რომ საქართველოს სოციალისტური მთავრობა ჰყავდა“, განაგრძობდა მაკდონალდი, „საქართველოს

პარტია, რომელმაც ჩამოაყალიბა ის მთავრობა, ჩვენთანაა დაკავშირებული. საქართველოს პარტიას, რომელმაც ჩამოაყალიბა ის მთავრობა, ამ მაგიდასთან მჯდომი დელეგატი წარმოადგენს“ – აქ ირაკლი წერეთელი იგულისხმებოდა. „თქვენ ის მთავრობა სამხედრო ძალით დაამხეთ. დღეს იქ თქვენს მდგომარეობას სამხედრო ძალით ინარჩუნებთ. ჩვენ ვამბობთ: როგორ არის შესაძლებელი, ერთად ვიმოქმედოთ მანამდე, სანამ არ აღდგება მთავრობა, რომელთანაც ვთანამშრომლობთ – ან მანამდე მაინც, ვიდრე ქვეყანას არ მოშორდება სამხედრო ოკუპაცია, რომელმაც ის მთავრობა გაყარა და საქართველოს მოსახლეობას არ მიეცემა შესაძლებლობა, თქვას, თქვენ უნდიხართ, თუ ჩვენ“.

მაკდონალდს კომუნისტებთან „ერთად მსჯელობის“ კიდევ ერთ, თუმცა იმთავითვე მარცხისთვის განწირულ მცდელობად შეიძლება ჩავუთვალოთ ნათქვამი: „მე გეკითხებით: განა ჩვენი პოზიცია არ არის ერთადერთი, რომელსაც შეიძლება დაეთანხმოს საღი აზრის მქონე ადამიანი მომავალ შესაძლო ქმედებებზე მსჯელობისას? ჩვენ გთავაზობთ: გაგზავნეთ კომისია, რომელშიც წარმომადგენლობა ექნებათ სოციალისტურ მიმდინარეობებს; მიეცით მას გამოძიებისა და ანგარიშის წარმოდგენის შესაძლებლობა. ჩვენ მიგვაჩნია და გარწმუნებთ, თუ ამგვარი კომისია შეიქმნება, ის მიუკერძოებლად იმუშავებს, მხოლოდ სიმართლის გარკვევის მოტივით. ჩვენ ვითხოვთ პირუთვნელ გამოძიებას“.

იტალიელი დელეგატი ჯაჩინტო მენოტი სერატი უცნაურ მდგომარეობაში ჩავარდნილიყო: ის წარმოადგენდა პარტიას, რომელიც სამი ინტერნაციონალიდან არცერთში არ იყო გაწევრიანებული. ზოგს მიაჩნდა, რომ შესაძლებელი იყო, მის ნეიტრალურ პარტიას გაეწია ხსენებული დიდი კონფერენციის მასპინძლობა, თუ მის ჩატარებაზე შეთანხმდებოდნენ. სიტყვით გამოსვლის ჯერმა რომ მოუწია, მანაც წამოჭრა საქართველოს საკითხი. „მოდით, განვიხილოთ მეორე პირობა“, თქვა მან,

„ის საქართველოს თავისუფლებას ეხება“. სავარაუდოდ, სიტყვა „თავისუფლება“ სარკასტულად იყო ნათქვამი, რადგან, რაც ამას მოაყოლა, იყო დაუზოგავი თავდასხმა სოციალ-დემოკრატებზე, განსაკუთრებით, ვანდერველდეზე. სერატიმ ბელგიელ სოციალისტს დასწამა, რომ ის ფარისეველი იყო და არაფრად ენაღვლებოდა ხალხების თვითგამორკვევა არც მსოფლიო ომამდე და არც მის განმავლობაში. „ახლა გვაქვს საქართველოს საკითხი, იმ ხალხის საკითხი, რომლის სოციალისტური პარტიაც ლონდონის [მეორე] ინტერნაციონალს მიეკუთვნება. და თქვენ ამბობთ: ‘მივცეთ ხალხებს საკუთარი ბედის განსაზღვრის თავისუფლება!’“ სერატის აზრით, ქართველი ხალხი იმპერიალისტთა ხელში იარაღად იყო ქცეული და მეტი არაფერი. „საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, სპარსეთისა და ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების პრობლემებს ადრეც შევჯახებივართ“, თქვა მან, „ვფიქრობ, სოციალისტები უკვე დიდი ხანია მათ იცნობენ“ — და უკვე იციან, რომ „საერთაშორისო იმპერიალისტური პოლიტიკის კონკრეტულ მომენტში პატარა ხალხები შეიძლება უბრალოდ იარაღად იქცნენ საერთაშორისო კაპიტალისტების ხელში და მოქმედებდნენ არა პროლეტარიატის, არამედ კაპიტალისტების სარგოდ“.

მოსაზრება, რომ „პატარა ხალხები შეიძლება უბრალოდ იარაღად იქცნენ საერთაშორისო კაპიტალისტების ხელში“ საბჭოთა რეჟიმმა აიტაცა და ის დღემდე ცოცხლობს რუსეთის დამოკიდებულებაში სხვა ქვეყნებთან, მაგალითად, უკრაინასთან, რომელსაც ხატავენ იარაღად დასავლეთის ხელში.

სერატიმ მხარი არ დაუჭირა რემზი მაკდონალდის შემოთავაზებულ იდეას საგამოძიებო კომისიის შექმნაზე. „როგორ გგონიათ“, იკითხა მან, „შესაძლებელი იქნება საუკუნოვანი პრობლემის გადაჭრა საგამოძიებო კომისიით, რომელიც ხელოვნურ პირობებში შეიკრიბება და არ ექნება სამართლიანად განსჯის შესაძლებლობა, როგორც ეს მოუვიდა ყველა საგამოძიებო კო-

მისიას?“ ამას სერატიმ მოაყოლა ფრაზა, რომელსაც ეწერა, გამხდარიყო ყველაზე ადრინდელი და უკიდურესად თვალსაჩინო მაგალითი იმისა, რაც შემდგომ ცნობილი გახდება, როგორც *„ვოთებაუთიზმი“*.* „ან რატომ უნდა შევუქმნათ საგამოძიებო კომისია საქართველოს და არა, მაგალითად, ზემო სილეზიას, ტუნისს, ალჟირს, ტრიპოლის, კონგოსა და ასე შემდეგ?“

რასაკვირველია, სერატი არ სთავაზობდათ, სამ ინტერნაციონალს გამოეძიებინა, რა ხდებოდა კონგოში; და გაუგებარია, სერატის თავად ჰქონდა რამე თვალსაზრისი ამ საკითხთან დაკავშირებით თუ უბრალოდ ალალბედზე ისროდა სხვა „პატარა ხალხების“ სახელებს, რომლებიც ქართველებზე არანაკლებ იმსახურებდნენ მსოფლიოს ყურადღებას. იგი სოციალ-დემოკრატ ლიდერებს ეკითხებოდა, მხოლოდ ის ხომ არ აღგიძრავთ ინტერესს სამხრეთ კავკასიის ამ ქვეყნის მიმართ, რომ თქვენს ლონდონის ინტერნაციონალში ქართველ სოციალისტთა წარმომადგენელი გყავთო?

ის ყველაფერში როდი ტყუოდა. დიახ, ვანდერველდესა და მაკდონალდის მსგავსი გამოჩენილი ლიდერები საქართველოს ვითარებაში უკეთ ჩახედული *მართლაც* იმიტომ აღმოჩნდნენ, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატები საერთაშორისო სოციალისტურ პოლიტიკაში დიდი ხნის განმავლობაში თამაშობდნენ თვალსაჩინო როლს. ქართველ სოციალ-დემოკრატთა გამორჩეული მდგომარეობა იყო მიზეზი, რატომაც ჩავიდნენ 18 თვის წინ საქართველოში ევროპელი სოციალისტი ლიდერები — მათ შორის, კარლ კაუცკი.

---

* დისკუსიის მანიპულაციური ხერხი, როცა ბრალდებას კონტრბრალდებებით პასუხობენ. ამ ხერხს ხშირად იყენებდნენ ცივი ომის დროს, დღეს კი არადემოკრატიული რეჟიმები მიმართავენ მათთვის წაყენებული ბრალდებების საპასუხოდ. მისი ძირითადი მიზანი კრიტიკის მოწინააღმდეგეზე გადატანაა. ეს ტაქტიკა გამოიყენება პროპაგანდისტულ კამპანიებშიც (რედ. შენიშვნა).

სერატის არგუმენტები შეიძლებოდა მოეყვანა ნებისმიერ კომუნისტ დელეგატს – რაც გასაკვირი არ არის, რაკი ის თავის დროზე კომუნისტი იყო, მერე იტალიელი სოციალისტების ლიდერი გახდა და მოგვიანებით ისევ კომუნისტთა რიგებს დაუბრუნდა. მაგრამ აქ მან შეწყვიტა სოციალ-დემოკრატების კრიტიკა და კვლავ „დამოუკიდებელი" იტალიელი სოციალისტის როლი მოირგო.

„უეჭველია, უდიდესი პრობლემები არსებობს ქვეყანაში, რომელსაც მართავდა სოციალისტი მთავრობა ან ისეთი მთავრობა, თავის თავს სოციალისტს რომ უწოდებდა, და რომელშიც შეიჭრა სხვა სოციალისტური მთავრობის ჯარი ან ისეთი მთავრობის, თავის თავს სოციალისტურს რომ უწოდებს", განაცხადა მან.

მეორე ინტერნაციონალის შედარებით მოკრძალებულ წინადადებას, შექმნილიყო საგამოძიებო კომისია (რაც იმაზე ბევრად უფრო ზომიერი წინადადება იყო, ვიდრე შეიძლებოდა მოეთხოვათ; მაგალითად, საბჭოთა რუსეთის ძალების დაუყოვნებლივ გაყვანა საქართველოს ტერიტორიიდან) – სერატიმ უკეთესი იდეა დაუპირისპირა.

მან სამივე ინტერნაციონალის გაერთიანების წინადადება წამოაყენა. „თუ ... ჩვენ ერთად დავრჩებით, თუ დავიწყებთ ერთიანი ფრონტის შექმნას, ეს ერთიანობა შეგვაძლებინებს, გადავჭრათ არა მხოლოდ საქართველოს პრობლემა, არამედ ყველა სხვა პრობლემაც, რომლებიც შესაძლებელია გადაიჭრას კაპიტალისტური რეჟიმის პირობებშიც", თქვა მან.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არ უნდა ყოფილიყო არანაირი წინასწარი პირობები საერთო კონფერენციამდე, არანაირი დაბრკოლებები ინტერნაციონალების გასაერთიანებლად და საერთოდ არავითარი საგამოძიებო კომისია საქართველოს შესახებ.

იმავე დღეს ავსტრიელი სოციალისტის, ოტო ბაუერის სიტყვით გამოსვლის ჯერი იყო. ეს კონფერენცია ვენის ინტერნაციონალის მოწვეული იყო და იგი თავდაუზოგავად ცდილობდა,

როგორმე შეენარჩუნებინა მისთვის ფორმა, თუმცა ყველაფერი თვალსა და ხელს შუა ენგრეოდა. „ამოცანა, რომელიც ამ კონფერენციას დავუსახეთ“, შეახსენა მან დელეგატებს, „გახლავთ იმ სამი არმიის ერთ მუშტად შეკვრა, რომლებადაც, სამწუხაროდ, პროლეტარიატი დაიყო; რათა მათ კვლავ ერთად გაილაშქრონ საერთო მტერზე და ერთიანი ძალებით დაამარცხონ იგი“.

საქმეს სასიკეთო პირი არ უჩანდა, რასაც ბაუერი შესანიშნავად ხვდებოდა. მართალია, მას და მის ავსტრიელ ამხანაგებს გულით უნდოდათ ინტერნაციონალების გაერთიანება, საქართველოს საკითხის წამოჭრა მტკივნეულ ჭრილობას შეეხო. „აქ შეკრებილი ყველა ორგანიზაცია პატივს უნდა სცემდეს ხალხების თვითგამორკვევის უფლებას, ხოლო ... თვითგამორკვევის უფლება საქართველოს შემთხვევაში დარღვეული იქნა“. ამის მერე ის დაუბრუნდა წინა გამომსვლელს, იტალიელ სერატის, რომელმაც, ბაუერის თქმით, „ცოტა არ იყოს, სკეპტიკურად ილაპარაკა ხალხების თვითგამორკვევის უფლებაზე“. ბაუერმა აქ გარკვევით განაცხადა: „ამ საკითხში მას ვერ დავეთანხმები“, და გააგრძელა: „ჩვენ, გერმანელი ავსტრიელები, რომლებმაც თავად ვიწვნიეთ ის, რომ ჩვენი ბურჟუაზია ლამობდა, ებატონა სხვა ერებზე და მათი თვითგამორკვევის უფლება დაერღვია, სავსებით მხარს ვუჭერთ ამ პრინციპს და იქამდეც მივდივართ, რომ ხალხთა განთავისუფლების მიმართულებით ნაწილობრივი წარმატებაც კი ისტორიულ წინ გადადგმულ ნაბიჯად მიგვაჩნია“. ის *უპირობოდ* უჭერდა მხარს ხალხთა თვითგამორკვევას და რადეკისა და სერატისთვის გაცემულ პასუხში ხაზს უსვამდა ამ მხარდაჭერას, „თუმცა კი მოცემულ მომენტში ის შეიძლება ან ერთმა, ან მეორე იმპერიალიზმმა საკუთარი მიზნებისთვის გამოიყენოს“.

მას მერე, რაც ბაუერმა დაადასტურა იმ პრინციპის ერთგულება, რომელსაც ავსტრიელი სოციალ-დემოკრატები, მრავალეთნიკურ იმპერიაში ცხოვრების საკუთარი გამოცდილებიდან

გამომდინარე, უკვე დიდი ხანია იცავდნენ, ის მიუბრუნდა უშუალოდ საკითხს, რომელიც განიხილებოდა. „მხოლოდ აქედან გამომდინარეც კი ჩანს, რომ ჩვენსა და მეორე ინტერნაციონალს შორის საქართველოს საკითხზე არანაირი აზრთა სხვადასხვაობა არ არსებობს“.

ბერლინის კონფერენციის დასრულებიდან მალევე ვენის ინტერნაციონალსა და ლონდონში დაფუძნებული მეორე ინტერნაციონალს შორის შეთანხმება დაჩქარდება და საბოლოოდ ისინი გაერთიანდებიან „მუშათა სოციალისტურ ინტერნაციონალად — კომუნისტების გარეშე. შეიძლება ითქვას, რომ ბაუერის მიერ საქართველოზე წარმოთქმულ სიტყვებში უკვე ჩანს ამ პროცესის დასაწყისი.

„თუმცა, ვაღიარებთ, რომ საქართველოს შემთხვევა განსხვავდება [თვითგამორკვევის უფლების დარღვევის] ყველა დანარჩენი შემთხვევისგან, რადგან აქ ორივე მხარეს პროლეტარული და სოციალისტური პარტიები არიან პასუხისმგებელნი იმაზე, რაც მოხდა; რადგან ამ შემთხვევაში სწორედ წითელი დროშის ქვეშ დარაზმულმა არმიამ მოახდინა სამხედრო ოკუპაცია; რადგან ახლა, როცა კი პროლეტარიატი პროტესტს გამოთქვამს იმპერიალიზმის ძალადობრივ მოქმედებათა გამო, მას დაცინვით შეახსენებენ საქართველოს ამბებს“.

ბაუერის ამ ფრაზას სოციალისტთა ორივე დელეგაციის მხრიდან მიაგებეს წამოძახილები „მართალია!“. მან განაგრძო: „მაშინ მე აზრი განვავრცე და ვთქვი, რომ საქართველოს შემთხვევა განსხვავებულია ხალხთა თვითგამორკვევის უფლების დარღვევის სხვა შემთხვევებისგან“. მაგრამ ახლა, კომუნისტების მკაცრად გაკრიტიკების შემდეგ, ვენის ინტერნაციონალის სულისკვეთების ერთგულმა ბაუერმა სოციალ-დემოკრატებს შეუტია.

„მაგრამ, რაც გინდ მართალი იყოს ეს, ამხანაგებო მეორე ინტერნაციონალიდან, შეგიძლიათ დარწმუნებით თქვათ, რომ

16. ოტო ბაუერი

ხალხთა თვითგამორკვევის უფლების დარღვევის ყველა შემთხვევაზე, რაც კი 1918 წლის მერე გვინახავს, პასუხისმგებლობას არ იზიარებენ სოციალისტური პარტიებიც, რომელთა წევრებიც იყავით და შესაძლოა, ახლაც ხართ? თუ ხალხების თვითგამორკვევის უფლების დაცვა არის მორალური პირობა — და მე მას ასეთად ვაღიარებ — პროლეტარიატის ერთიანი ფრონტის შექმნისთვის და ყველა პროლეტარული პარტიისთვის, ეს ნამდვილად ეხება საქართველოსაც“.

„მაგრამ“, დაურთო მან, „ეს ასევე ეხება რიგ სხვა შემთხვევებსაც, როდესაც ეს პრინციპი დარღვეული იქნა იმ მთავრობების მიერ, რომელთა წევრებიც თქვენთან დაკავშირებული სოციალისტური პარტიები არიან, მეორე ინტერნაციონალის წარმომადგენელო ამხანაგებო“.

ახლა კარლ რადეკს დაუდგა პასუხის გაცემის ჯერი. საქართველოს საკითხი აქაც ძალიან მალე დადგა. მან რემზი მაკდონალდს უპასუხა: „მისთვის მხოლოდ ინგლისი არსებობს. ინგლისი ყოველთვის პატარა ხალხების მხარეზეა, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ისინი დაპყრობილი ჰყავს. მაგრამ, მეორე მხრივ, არის სხვა სახელმწიფო, და ამ სხვა სახელმწიფომ საბრალო უცოდველი საქართველო ჩაყლაპა. და მაინც, არაერთი სხვა სახელმწიფოც გვინახავს ჩაყლაპული“. „საბრალო უცოდველი საქართველოს“ დამცინავი ხსენება შეუმჩნეველი არ დარჩენილა.

რადეკმა განაგრძო მაკდონალდისთვის კითხვების დასმა: „თქვენ ომამდე მეორე ინტერნაციონალის წევრი იყავით: მეორე ინტერნაციონალს რატომ არასოდეს მოუთხოვია საქართველოს დამოუკიდებლობა ომამდე, ცარიზმის დღეებში?“

რადეკი აქ უბრალოდ გაიძვერობდა — მას მშვენივრად მოეხსენებოდა, საქართველო როგორ გადაიქცა რუსეთის იმპერიის პროვინციიდან დამოუკიდებელ რესპუბლიკად. 1918 წლის მაისში ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა დამოუკიდებლობის გამოცხადება მხოლოდ მას მერე გადაწყვიტეს, რაც ლენინმა და ბოლშევიკებმა რუსეთში ძალაუფლება მიიტაცეს და სრულიად რუსეთის არჩეული დამფუძნებელი კრება დაშალეს*.

* 1917 წლის 12-25 ნოემბერს რუსეთის ყოფილ იმპერიაში სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნები ჩატარდა. ამ პერიოდისათვის პეტერბურგში ბოლშევიკური გადატრიალება უკვე მომხდარი იყო, თუმცა ბოლშევიკებს ჯერ კიდევ შეზღუდული ძალაუფლება ჰქონდათ. არჩევნებში წარმატებას მიაღწია რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიამ უკრაინის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიასთან ერთად, რომლებმაც ჯამში 767 მანდატიდან 434 მოიპოვეს. ბოლშევიკებს მხოლოდ 183 მანდატი ერგოთ, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის „მენშევიკურ“ ფრაქციას — 18 (ძირითადად ამიერკავკასიიდან). რუსეთის დამფუძნებელი კრების ახალი შემადგენლობა 1918 წლის 5-6 (ახ. სტილით 18-19) იანვარს შეიკრიბა თავრიდის სასახლეში. ბოლშევიკებმა ეს კრება პირველივე სხდომაზე ძალის გამოყენებით დაშალეს (რედ. შენიშვნა).

მათი თავდაპირველი განზრახვა ასეთი არ იყო, მაგრამ შემდეგ ერთადერთ გამოსავლად ესღა ჩანდა. რადეკმა ისიც იცოდა, როგორი იყო ლენინისა და საბჭოთა სახელმწიფოს შეხედულება ერთა თვითგამორკვევაზე, გამოყოფის ჩათვლით, თუმც ეს ვალდებულება, როგორც წესი, ირღვეოდა.

რადეკმა საქართველოს შესახებ ისტორიის გაკვეთილის ჩატარებით განაგრძო. „როგორც იცით, ამ თავისუფლების ფალავნებად ამჟამად გვევლინება საქართველოს მენშევიკური მთავრობა, *რომელიც ჩვენ დავამხვეთ*“ — მან კვლავ გაიმეორა ეს — უკვე თავსაც აღარ იკატუნებდა, იქ ადგილობრივი აჯანყება იყო და ხალხმა საბჭოთა რუსეთს დახმარება სთხოვაო. „ჩვენ“ — რუსეთის არმიამ — დაამხო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მთავრობა და ძალადობრივად დაიპყრო მათი ქვეყანა.

რადეკი განაგრძობდა: ეს სოციალ-დემოკრატიული მთავრობა, რომელიც ახლა დევნილობაშია, „შედგება ადამიანებისგან, რომელთაგან არცერთი არ ემხრობოდა საქართველოს დამოუკიდებლობას 1917 წლის ოქტომბრამდე, არამედ დიდი რუსეთის პატრიოტები იყვნენ“, შემდეგ მიუბრუნდა ოთახში მყოფ ერთადერთ ქართველს, წერეთელს, და ილაპარაკა მის როლზე 1917 წელს — მინისტრად ყოფნისას კერენსკის დროებით მთავრობაში. მისი თქმით, ეს ქართველი „ისე თავგამოდებით იბრძოდა დიდი რუსეთისთვის, რომ მონაწილეობა მიიღო 1917 წლის იერიშში*“ გერმანელების წინააღმდეგ. გარდა ამისა, აცხადებდა რადეკი, წერეთელი „რუსული საბჭოს [სრულიად რუსეთის საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტი] ერთადერთი წევრი იყო, რომელმაც ხმა მისცა ჯარისკაცების სიკვდილით

* ე.წ. „ივნისის იერიში“ (კერენსკის იერიში) — კერენსკის დროებითი მთავრობის ბოლო მცდელობა, გარდატეხა შეეტანა მსოფლიო ომის მსვლელობაში. წერეთელი, როგორც მთავრობის წევრი, მხარს უჭერდა ამ შეტევას, რომელიც წარუმატებლად დასრულდა. ჩავარდნის ძირითადი მიზეზი ჯარის უდისციპლინობა იყო (რედ. შენიშვნა).

დასჯის დაწესებას, რადგან ეს დიდი რუსეთის დაცვის აუცილებელ ზომად მიაჩნდა“.

რადეკი ამტკიცებდა, რაკი წერეთელი მხარს უჭერდა დეზერტირი ჯარისკაცების სიკვდილით დასჯას ომის განმავლობაში, ამიტომ მას არ ჰქონდა უფლება, ხმა ამოეღო საბჭოთა რუსეთის მიერ მშვიდობიან დროს უიარაღო მოქალაქეების დახოცვაზე.

ეს სრულიად არ იყო კავშირში საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის საკითხთან. რადეკმა ისიც სცადა, კონფერენციაზე დამსწრე ორ „მენშევიკ“ ჯგუფს შორის ნაპრალი გაეჩინა, აღნიშნა რა, რომ რუს მარტოვს და ქართველ წერეთელს ამ საკითხზე სხვადასხვა შეხედულება ჰქონდათ. მარტოვი რუს მენშევიკთა იმ ფრთას წინამძღოლობდა, რომელიც ომის მოწინააღმდეგე იყო, წერეთელი კი დროებითი მთავრობის შემადგენლობაში შედიოდა, რომელიც ომს აგრძელებდა.

განხეთქილებას, რომლის გაჩენასაც რადეკი ცდილობდა ქართველ და რუს სოციალ-დემოკრატებს შორის, გარკვეული საფუძველი ჰქონდა, რაც შემდგომში თვალსაჩინოდ გამოვლინდა, როცა საქართველოში 1924 წლის აჯანყების მერე ამ ორ პარტიას შორის საჯარო უთანხმოება წამოიჭრა საკითხზე, როგორი რეაგირება უნდა ჰქონოდათ სოციალისტებს ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ შეიარაღებულ აჯანყებაზე — რასაც შემდგომში ვნახავთ.

წერეთელს, და უფრო ზოგადად, ქართველ სოციალ-დემოკრატებს, რადეკმა ეს ბრალდება მიახალა: „თქვენ, ვინც საქართველოს დამოუკიდებლობას ემხრობოდით, რაში გამოიყენეთ თქვენი დამოუკიდებლობა, როდესაც [რუსეთის] მუშათა რესპუბლიკაზე თავდასხმის საკითხი დადგა?“

და მერე თავად უპასუხა ამ კითხვას: ქართველები თავიანთ დამოუკიდებელ რესპუბლიკას იყენებდნენ ადგილობრივი (არც ისე ბევრი) ბოლშევიკების რეპრესიებისთვის და თეთრების დასახმარებლად რუსეთის სამოქალაქო ომში (რაც სიმართლე არ

იყო — საქართველო ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდა). რადეკი განაგრძობდა: „თქვენ სცადეთ, სისხლითა და მახვილით ამოგეძირკვათ ბოლშევიკები. მე შემიძლია, წაგიკითხოთ, რა უთხრა თქვენმა საგარეო საქმეთა მინისტრმა გეგეჭკორმა* [რუსეთის თეთრ] გენერალ ალექსეევს შეხვედრაზე**, რომელსაც სამხრეთის თეთრი არმიების წარმომადგენლები ესწრებოდნენ: 'ჩვენ ჩვენს ქვეყანაში ბოლშევიკები დავთრგუნეთ, ჩვენ თავშესაფარი მივეცით თქვენს თეთრ ოფიცრებს'".

ის იმეორებდა წინა დღეს თავისსავე ნათქვამს და ლამობდა, დაემტკიცებინა, რომ საქართველო იარაღი იყო მათ ხელში, ვინც რუსეთის საბჭოთა მთავრობის დასამხობად იბრძოდა. „თუ [გეგეჭკორის] ეს განცხადება გეეჭვებათ", განაგრძო რადეკმა, „ჩვენ გვაქვს თქვენი მთავრობის დოკუმენტური ანგარიშების კრებული, რომელიც ხელში მაშინ ჩაგვივარდა, *ტფილისი რომ ავიღეთ*".

---

* ევგენი გეგეჭკორი (1882-1954) — პოლიტიკოსი, დიპლომატი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, რუსეთის მესამე სახელმწიფო სათათბიროს წევრი, ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა და იუსტიციის მინისტრი, საქართველოს ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი. 1921 წლის მარტიდან იმყოფებოდა ემიგრაციაში (რედ. შენიშვნა).

** 1918 წლის ზაფხულ-შემოდგომაზე ქართულმა საჯარისო ნაწილებმა დაიკავეს შავი ზღვის სანაპირო ზოლის სოჭი-ტუაფსეს მონაკვეთი. ამ პერიოდში ამ რეგიონში რუსეთის თეთრი არმიის ინტერესები იკვეთებოდა. თეთრი არმიის მეთაური გენერალი ალექსეევი ითხოვდა, ქართულ მხარეს დაეტოვებინა რეგიონი. 1918 წლის 25 სექტემბერს ქალაქ ეკატერინოდარში (დღევანდელი კრასნოდარი) გაიმართა შეხვედრა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებს (ეროვნული საბჭოს წევრი ევგენი გეგეჭკორი, გენერალი გიორგი მაზნიაშვილი) და თეთრი არმიის მეთაურებს (ანტონ დენიკინი და მიხეილ ალექსეევი) შორის. რუსული მხარე საქართველოს თხოვდა დახმარებას ბოლშევიკების წინააღმდეგ. ეს მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა (რედ. შენიშვნა).

„ტფილისი რომ ავიღეთ“ — მორიგი აღიარება, რომ წითელი არმია შეიჭრა საქართველოში და დაიპყრო ის. ამას საბჭოთა რუსეთის მთავრობა აქამდე თავგამოდებით უარყოფდა. რადეკს კიდევ ბევრი რამ ჰქონდა სათქმელი — და არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ხდებოდა კონფერენციაზე, რომლის მიზანიც გახლდათ ინტერნაციონალის გამთლიანება რეაქციონერთა წინააღმდეგ საბრძოლველად და მემარჯვენე მთავრობებისთვის მუშათა წინააღმდეგობის შესაქმნელად.

რადეკს ეს სულ არ აინტერესებდა. მას *უნდოდა*, ისევ საქართველოზე ელაპარაკა. „მაშ, რა შეიძლება ვთქვათ ამ დამოუკიდებლობაზე?“ წამოიწყო მან, „საქართველოს მთავრობის მოწვევით მათთან ჩავიდა გენერალი ფონ კრესი, ეს სახელოვანი ‘ბებიაქალი’ საქართველოსი. მე მესმის თქვენი მდგომარეობის ტრაგიკულობა თურქების ბანდებთან დაკავშირებით“ — რადეკი გულისხმობდა საქართველოს მთავრობის მიერ 1918 წლის მაისში მიღებულ გადაწყვეტილებას, გერმანია მოეწვიათ პროტექტორად თურქეთის მოსალოდნელი თავდასხმის თავიდან ასაცილებლად, „მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საქართველო დამოუკიდებელი იყო“, განაგრძობდა ის, „როდესაც თქვენ გერმანული ჯარები მოიწვიეთ, ამით თქვით: ‘ჩვენ არ შეგვიძლია, მსოფლიოში მარტოებმა გავძლოთ’ — და კოალიცია შეკარით გერმანიის მთავრობასთან. თქვენ გამოეფინეთ გერმანული ჯარების შესახვედრად და, გერმანელ ოფიცრებთან ერთად, ‘ვაშა’ იძახეთ მხსნელების პატივსაცემად, გერმანული იმპერიალიზმის პატივსაცემად“.

ეს კი ზედმეტი მოუვიდა, იმის გათვალისწინებით, რომ იმავე წელს ცოტა ხნით ადრე საბჭოთა რუსეთმა ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობებით ვრცელი ტერიტორიები დაუთმო გერმანიას. ეს ტერიტორიები — მთელი უკრაინის ჩათვლით — გერმანელებს გადაეცა ისე, რომ საბჭოთა მხარემ იქ ყოველგვარი ძალაუფლება დაკარგა, განსხვავებით საქართველოსგან, რომელმაც

დამოუკიდებლობა შეინარჩუნა ქვეყანაში გერმანული ჯარების ყოფნის მიუხედავად.

„მერე გერმანელები გაქრნენ“, განაგრძობდა რადეკი, „და გამოჩნდა გენერალი თომსონი და, მასთან ერთად, ბევრად უფრო ჭკვიანური, უფრო დახვეწილი ინგლისური ოკუპაცია. მათ თავიანთი ზარბაზნები და ჯარი ბათუმში დატოვეს“.

შემდეგ რადეკმა წაიკითხა საქართველოს მთავრობის მეთაურის, ნოე ჟორდანიას სიტყვა, რომელშიც ის აცხადებდა: „ჩვენ ნეიტრალურნი ვერ დავრჩებით, და თუ არჩევანი გვაქვს აღმოსავლურ ფანატიზმსა და დასავლურ ცივილიზაციას შორის, ჩვენ დასავლურ ცივილიზაციას ვირჩევთ*“.

ბოლოს რადეკი დაუბრუნდა კითხვებს, რომლებიც დასაწყისშივე დასვეს ვანდერველდემ და სოციალ-დემოკრატებმა. ამათგან პირველი შემოთავაზებულ საგამოძიებო კომისიას ეხებოდა. „ჩვენ თანახმა ვართ ამ პირობაზე, რომელიც არ [არის] პირობა ... ვიდრე მე მას არ წავიკითხავ“, თქვა მან, „მე ჩემს სიტყვაში შევეხე კომისიის მიერ დოკუმენტაციის შესწავლას“.

მაგრამ, რასაკვირველია, კომუნისტებს არ შეეძლოთ, ასე უბრალოდ დათანხმებოდნენ შემოთავაზებული საერთაშორისო საგამოძიებო კომისიის შექმნას. ეს გასაგები გახდა, როდესაც რადეკმა თქვა: „ნება მიბოძეთ ვიკითხო, „ანალოგიურ სიტუ-

---

* სავარაუდოდ, კარლ რადეკს მოაქვს ციტატა ნოე ჟორდანიას სიტყვიდან (1920 წლის იანვარი): „დასავლეთი და აღმოსავლეთი — აი ეს კითხვაა ჩვენს წინაშე დასმული და აქ ყოყმანი შეუძლებელია. ჩვენ მუდამ ვირჩევდით და ვირჩევთ დასავლეთს და თუ ბალშევიკები აღმოსავლეთს ებღაუჭებიან, ეს იმიტომ, რომ დასავლეთმა მათ უარი უთხრა კავშირზე და ცნობაზე. როგორც ხედავთ, საქართველოს და რუსეთის გზები აქაც გაიყარენ. ჩვენი გზა მიდის ევროპისაკენ, რუსეთის კი აზიისაკენ. ვიცი, მტრები აყვირდებიან — იმპერიალისტებს ემხრობითო. ამიტომ აქ გადაჭრით უნდა ვსთქვა: მირჩევნია დასავლეთის იმპერიალისტები აღმოსავლეთის ფანატიკოსებს“ (რედ. შენიშვნა).

აციებში“ ეგვიპტის საკითხთან, ირლანდიის საკითხთან და ინდოეთის საკითხთან ლეიბორისტული პარტიის დამოკიდებულების კვლევა ალბათ მიზანშეწონილი არ არის?“ ზემო სილეზია, ტუნისი, ალჟირი და კონგო უკვე დავიწყებოდა.

კონფერენციის ბოლო სხდომა დასრულდა ოთხშაბათს, 5 აპრილს, ღამის თორმეტს თხუთმეტი წუთი რომ აკლდა. ფრიდრიხ ადლერმა შეკრებილებს აუწყა, რომ სამი ინტერნაციონალი შეთანხმდა განცხადებაზე, რომელიც მან ხმამაღლა წაიკითხა. მოკლე განცხადება, რომელზეც სამი ინტერნაციონალი შეთანხმდა, მოიცავდა შემდეგ აბზაცს:

> კონფერენცია აცხადებს, რომ სამივე მხარის წარმომადგენელმა გამოთქვა მზადყოფნა, შეაგროვოს და გამოიკვლიოს მასალები საქართველოს საკითხზე, რომლებიც სხვადასხვა განყოფილების მიერ უნდა იყოს გადმოცემული. კონფერენცია უფლებამოსილებას ანიჭებს ორგანიზაციის კომიტეტს, დასკვნები გამოიტანოს ამ მოკვლევიდან და ანგარიში წარუდგინოს სამივე მხარის წარმომადგენლებს შემდგომ კონფერენციაზე.[127]

მაგრამ თვით ამ ძალიან მოკრძალებულმა გადაწყვეტილებამაც კი ვერაფერი გადაჭრა: ბერლინის შეხვედრიდან მოკლე ხანში სამმა ინტერნაციონალმა შეწყვიტა ყველანაირი თანამშრომლობა და აღარასოდეს შეკრებილან.

რუსეთის წითელი არმიის მიერ საქართველოზე თავდასხმამ და მისმა ოკუპაციამ განსაზღვრა 1922 წელს, რომ სხვადასხვა სოციალისტურ და კომუნისტურ პარტიებს შორის ერთიანობა არ გამოვიდოდა. ბერლინის კონფერენცია მარცხით დასრულდა.

მაგრამ მემარცხენე პარტიების „ერთიანობის“ კუბოში ბოლო ლურსმანი ორი წლის მერე ჩაიჭედა, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოში მორიგი სისხლიანი სამხედრო ოპერაციის ჩატარების შემდეგ.

ქართული სოციალ-დემოკრატიის დასასრული

საქართველოში საბჭოთა რუსეთის შეჭრიდან ორ წელიწადზე მეტი დრო იყო გასული და ტფილისის ახალი რეჟიმი სულ უფრო მზარდ პრობლემებს აწყდებოდა. იმის მიუხედავად, რომ ჩეკა ყველანაირად ცდილობდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის განადგურებას, ის ჯიუტად არა და არ ქრებოდა. პარტია არა მხოლოდ შენარჩუნდა, არამედ იზრდებოდა კიდევაც. როგორც ტროცკი წერდა, „საქართველოში ნაადრევმა გასაბჭოებამ გარკვეული პერიოდით მენშევიკები გააძლიერა“.[128]

სოციალ-დემოკრატთა ეს გაძლიერება ხდებოდა კომუნისტების ხარჯზე, რომლებიც სულ უფრო ნაკლებად პოპულარული იყვნენ და ამას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. ამ მიზეზებს შორის იყო პოლიტიკური ოპოზიციის აკრძალვა, დამოუკიდებელი პროფკავშირების განადგურება და ეკლესიასთან ბრძოლა. სტალინისა და ორჯონიკიძის უხეშმა გადაწყვეტილებამ, საქართველო მისი ნების წინააღმდეგ გაეერთიანებინა ახალ ამიერკავკასიის ფედერაციაში, რამაც საქართველოს კომუნისტური პარტიის მთელი ცენტრალური კომიტეტის გადადგომა გამოიწვია, ტფილისის ახალი კომუნისტური რეჟიმი უფრო მისაღები და სასურველი სრულებითაც ვერ გახადა.

საქართველოში საბჭოთა წყობილების უსაფრთხოებისთვის აუცილებელი იყო, ერთხელ და სამუდამოდ მოესპოთ პარტია, რომელმაც სულ რაღაც სამი წლის განმავლობაში მართა ქვეყანა — სოციალ-დემოკრატიული პარტია. ეს ბევრად უფრო რთული ამოცანა აღმოჩნდა, ვიდრე თავიდან ეგონათ. საბოლოოდ ქართველმა ბოლშევიკებმა მიაგნეს გამოსავალს — რომელიც გაჭრის არა მხოლოდ საქართველოში, არამედ სხვაგანაც, ყველგან. ჩვენ ვნახავთ, რომ მომდევნო წლებში ის იქცა ნიმუშად მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის კომუნისტი მთავრობებისთვის, რომლებიც შემდგომ წლებში შეეჩეხნენ

ჯიუტი და სახალხო დემოკრატიული სოციალისტური ოპოზიციის პრობლემას.

გლეხობაში და სხვა კლასებში ქართველი სოციალ-დემოკრატების პოპულარობა ახალ საბჭოთა რეჟიმს საქართველოში ნამდვილ პრობლემას უქმნიდა. თავიდან სოციალ-დემოკრატებს დევნიდნენ, თუმცა მათი პარტია მთლად უკანონოდ არ გამოუცხადებიათ. წითელი არმიის შემოჭრიდან ორწლინახევრის განმავლობაში სოციალ-დემოკრატები და სხვა ოპოზიციური პარტიები ჩრდილოვანი, ნახევრად კანონიერი არსებობის უფლებით სარგებლობდნენ.

ამას ნაწილობრივ განაპირობებდა, რომ თავად ლენინი მოუწოდებდა ადგილობრივ ბოლშევიკებს, ფრთხილად ემოქმედათ, რაკი იცოდა, რამდენად პოპულარული იყო ხალხში ყოფილი მმართველი პარტია, რომლის ბევრმა ლიდერმა 1921 წელს ქვეყანა დატოვა, თუმცა უმრავლესობა დარჩა. როგორც ერთმა საბჭოთა ისტორიკოსმა გამოთქვა, „ლენინმა საქართველოსა და ზოგადად კავკასიელ კომუნისტებს მოუწოდა, არ მიესადაგებინათ რუსული შაბლონი და შეემუშავებინათ ‘მოქნილი, ორიგინალური, წვრილბურჟუაზიულ ელემენტებისთვის მეტ დათმობაზე დაფუძნებული ტაქტიკა’“.[129]

ლენინს ქართული სოციალ-დემოკრატიის განსაკუთრებული ხასიათი ესმოდა და ამან გადააწყვეტინა, დაჰპირისპირებოდა სტალინისა და ორჯონიკიძის რეპრესიულ მმართველობას ამ ქვეყანაში. ლენინი და ტროცკი ადგილობრივი ქართველი კომუნისტი ლიდერების მხარეს იყვნენ მეტი ავტონომიისთვის ბრძოლაში, სწორედ იმიტომ, რომ იცოდნენ, მოსკოვიდან მართულ ბოლშევიკებს ამ ქვეყანაში ფესვები კარგად არ ჰქონდათ გადგმული. ახალ მმართველებს გარკვეული სიფრთხილით უნდა ემოქმედათ, რათა ფეხი საიმედოდ მოეკიდათ.

მაგრამ ტფილისის ახალი რეჟიმი დიდხანს ვერ შეეგუებოდა დამოუკიდებელი პოლიტიკური ძალების არსებობას, განსა-

კუთრებით, სოციალ-დემოკრატებს, რომელიც მათ მუშათა და გლეხთა მხარდაჭერას ეცილებოდნენ. სხვა სადარდელთა გარდა, შეიარაღებული აჯანყების საშიშროებაც სულ უფრო რეალური ხდებოდა. და ეს ყველაზე უკეთ ესმოდა სტალინს, რომელმაც, 1921 წელს ტფილისში იმ ავად მოსაგონარი სტუმრობის მერე „ბრძანა, საქართველოს მენშევიკური პარტიის ყველანაირი ნაშთი გაენადგურებინათ“.[130]

ამ ბრძანებას ისეთი შედეგი არ გამოუღია, როგორსაც სტალინი იმედოვნებდა. სოციალ-დემოკრატები ღია საკომუნიკაციო არხებს ინარჩუნებდნენ საქართველოში დარჩენილ თავისიანებთან და უცხოეთიდან განაგრძობდნენ მუშაობას. დევნილობაში მყოფი სოციალ-დემოკრატიული პარტია აპროტესტებდა და ასაჯაროებდა მიმდინარე რეპრესიებს, იმდენად მძაფრად, რომ ბოლშევიკებზე აცხადებდა, ფაშისტებივით მოქმედებენო. „ჩვენს პარტიას კვლავ ძველებური მონდომებით დევნიან“, წერდნენ ისინი მსოფლიოს ყველა სხვა სოციალ-დემოკრატებისთვის განკუთვნილ ანგარიშში, „პოლიტიკურ პატიმრებთან ფიზიკური ანგარიშსწორება და ჩვენი ამხანაგების წამება ჩეკას ბნელ და ღრმა დილეგებში არ წყდება. კომუნისტური პარტია და ჩეკა ჩვენი პარტიის წევრების წინააღმდეგ ფაშისტურ მეთოდებს იყენებს და მათ ზურგში ესვრის ტყვიას. (მაგალითი: ქუთაისში ამხანაგ ალფაიძისა და ამხანაგ ფხაკაძის მკვლელობა)“.[131]

ორ წელიწადში მას მერე, რაც ორჯონიკიძე ლენინთან იკვეხნიდა, ტფილისის თავზე წითელი დროშა ფრიალებს და დამოუკიდებელი საქართველო დამთავრდაო, სოციალ-დემოკრატები და მისი მოკავშირეები ძალაუფლებაში დაბრუნებას გეგმავდნენ.

კომუნისტებმა გადაწყვიტეს, სოციალ-დემოკრატების დასრულების ახალი ტაქტიკა მოესინჯათ. თავიდან ისინი ხალხს აქეზებდნენ, პარტიიდან გამოსულიყვნენ. ამან გარკვეული შეზღუდული წარმატება მოუტანა. როგორც რონალდ სუნი წერს

„პარიზიდან საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის დევნილმა ცენტრალურმა კომიტეტმა გაავრცელა განცხადება, რომელშიც დაგმო მენშევიკების გადადგომა, რაც, მათი თქმით, ჩეკას იძულებისა და დევნა-შევიწროების შედეგი იყო“.[132]

პარტიის ზოგი გაბედული წევრი წინ აღუდგა პარტიიდან გამოსვლის იძულების კამპანიას. ტფილისში ერთ კრებაზე პარტიის წევრმა თარგამაძემ დაგმო კომუნისტების მხრიდან [სოციალ-დემოკრატიული] პარტიის დაშლის მცდელობა და თქვა, რომ ამ კამპანიის დროს „მუშებს სამუშაოს დაკარგვით, პატიმრობით, ‘ჩეკას სარდაფებით’ და გადასახლებით ემუქრებოდნენ“.[133]

თარგამაძის თქმით, სოციალ-დემოკრატიულ პარტიას 1921 წელს საქართველოში წითელი არმიის შემოჭრამდე 50 000 წევრი* ჰყავდა და ასობით ათასი ადამიანი უჭერდა მხარს. „საქართველოს გასაბჭოების შემდეგ კომუნისტების მიმართ მხოლოდ მენშევიკები კი არა, მთელი ხალხი მტრულად განეწყო და, ღიად ვიტყვი, მზად იყვნენ მათ წინააღმდეგ საბრძოლველად... პროლეტარიატის დიქტატურის ნაცვლად, [მივიღეთ] ადამიანთა ერთ დაჯგუფების დიქტატურა პროლეტარიატზე“, განაგრძობდა ის.[134]

როგორც რონალდ სუნი აჯამებს ამ შეხვედრას, „სხვა მომხსენებლები უარყოფდნენ, რომ მათ მენშევიზმის დაგმობას აიძულებდნენ, მაგრამ აშკარად ჩანდა: ბოლშევიზმის ორი წელიწადი საქართველოში და იმის დიდი ალბათობა, რომ რუსეთის მხარდაჭერა ახალ მთავრობას ხელისუფლებას შეუნარჩუნებდა, გაცილებით ახლოს იდგა რეალობასთან, ვიდრე მენშევიკური დროშის ფრიალი“.[135]

კომუნისტები ქართველ სოციალ-დემოკრატ ლიდერებს უწოდებდნენ „მხდალებს“, რომლებიც ქვეყნიდან გაიქცნენ, იმის

* სხვადასხვა მონაცემებით, პარტიის წევრთა რაოდენობა 1920 წლის მიწურულს 80 000 ადამიანს აღემატებოდა (რედ. შენიშვნა).

ნაცვლად, რომ ებრძოლათ. ამას ათეულობით წლების მერეც გაიგონებთ თბილისში იმის შემდეგაც, რაც საქართველომ ხელახლა მოიპოვა დამოუკიდებლობა. მაგრამ მაშინ, 1920-იანების პირველ წლებში, დევნილ სოციალ-დემოკრატ ლიდერებს საქართველოში პოპულარობა დაკარგული არ ჰქონდათ. როგორც სუნი წერს, ყრილობათა ანგარიშები მოწმობს, რომ „სიმპათია ძველი სოციალ-დემოკრატი ლიდერების მიმართ უცვლელი დარჩენილიყო. ჟორდანიას სახელის ხსენება აპლოდისმენტებს იწვევდა“.[136]

ამ დროს ახალმა საბჭოთა რეჟიმმა დადგა პიესა, რომელიც ქვეყნიდან წასული სოციალ-დემოკრატების მიმართ მტრულ დამოკიდებულებას აღძრავდა, და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გაატანინა. პიესას „მენშევიკები პარიზში“ ერქვა. მან მიზანს ვერ მიაღწია, ყველამ აძაგა მთავრობის ყოფილი თავმჯდომარის, ნოე ჟორდანიას გაშავების მცდელობისთვის. მეტიც, აუცილებელი გახდა ყრილობებზე მიღებული იმ დადგენილებების შეცვლაც, რომლებიც სოციალ-დემოკრატებს კონტრრევოლუციონერობას სწამებდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და მისი ხელმძღვანელები ადამიანების მეხსიერებაში ჯერაც ძლიერ ცოცხალი იყო.

თუ ზოგი სოციალ-დემოკრატი წნეხს ნებდებოდა და პარტიას ტოვებდა, სხვები მისი ერთგულები რჩებოდნენ. კომუნისტებმა წამოაყენეს ახალი და რადიკალური იდეა, როგორ გადაეჭრათ ეს პრობლემა. 1923 წლის აგვისტოში საქართველოს კომუნისტმა მთავრობამ სოციალ-დემოკრატები აიძულა, *თავად* გაეუქმებინათ თავიანთი პარტია.

ორი თვით ადრე მოსკოვში ჩატარდა ყრილობა, რომელსაც სხვადასხვა ეროვნული განაპირა რეგიონების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ამის შემდეგ საქართველოში წამოწყებული იქნა კამპანია სოციალ-დემოკრატთა დარჩენილი ჯგუფების გასანადგურებლად. ჩატარდა ადგილობრივი ყრილობები ყოფილ

სოციალ-დემოკრატთა მონაწილეობით, რომელთა შორის იყო გამოჩენილი რუსი ყოფილი მენშევიკი ალექსანდრ მარტინოვი.*

პარტია, რომელიც ტფილისში 1923 წლის აგვისტოში ყრილობას ატარებდა, ნომინალურად აღარ არსებობდა. ის აიკრძალა და გაუქმდა 1921 წელს. და მაინც, მას მთელ საქართველოში დაახლოებით 11 000 წევრი ჰყავდა. საბჭოთა ხელისუფლებას აღარ შეეძლო, თავი ისე დაეჭირა, თითქოს პარტია არ არსებობდა. მას ყრილობის ჩატარების ნება დართეს, ოღონდ ერთი კონკრეტული მიზნით: პარტიას თავი უნდა გაეუქმებინა.

იმ გამომსვლელთა შორის, ბოლშევიკებმა რომ გაგზავნეს, რათა ყრილობის დელეგატებისთვის სიტყვით მიემართათ, იყო ქართული მარქსიზმის ერთ-ერთი ლეგენდარული ფიგურა, ფილიპე მახარაძე. იმჟამად 55 წლის მახარაძე ნოე ჟორდანიას თანატოლი იყო და, ისიც, სოციალ-დემოკრატი ლიდერის მსგავსად, წარმოშობით მეამბოხე გურიიდან გახლდათ. სტალინისა და მრავალი სხვა რევოლუციონერის არ იყოს, ისიც ტფილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ისტორიას შიგნიდან იცნობდა. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის გაყოფისას ის ლენინისა და ბოლშევიკების მხარეს დადგა, რაც ქართველი სოციალ-დემოკრატისთვის უჩვეულო საქციელი იყო.

ბოლშევიკი მახარაძე არ მალავდა, როგორი იყო მისი პარტიის მდგომარეობა საქართველოში. როგორც ქართველი ისტორიკოსები და მეარქივეები გვატყობინებენ, „საიდუმლო ანგარიშში, რომელიც შემდგომში პრესაში გამოქვეყნდა, ის ბოლშევიკების არაპოპულარულობაზე ლაპარაკობდა“.[137] მახა-

* ალექსანდრე მარტინოვი (Александр Мартынов) (1865-1935) — რუსი რევოლუციონერი, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის „მენშევიკური“ ფრაქციის ერთ-ერთი ლიდერი. 1923 წლიდან იყო ბოლშევიკური პარტიის წევრი. ემხრობოდა ლენინისეულ ახალ ეკონომიკურ პოლიტიკას (რედ. შენიშვნა).

რაძე სოციალ-დემოკრატებს საინტერესო გზავნილით წარუდგა. იმის მაგივრად, რომ მათთვის ბრიტანული და ფრანგული იმპერიალიზმის აგენტები ან დამარცხებული თეთრი არმიებისა და მათი რეაქციული გეგმების მოკავშირეები ეძახა, მახარაძემ პირმოთნეობა სცადა. მან შეაქო სოციალ-დემოკრატთა საქმეები ადრეულ წლებში, განსაკუთრებით, 1905 წლის რევოლუციისას. თქვა, რომ სოციალ-დემოკრატებზე აქამდე ბევრი აუგი ეთქვათ (მის პარტიას, ბოლშევიკებს) და ახლა დამდგარიყო დრო, ეღიარებინათ მათი წარსული სასიკეთო საქმეები. თუმცა, დაურთო — ვალდებული იყო, ასე ექნა — რომ სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ „უდავოდ მცდარი გზა აირჩია მსოფლიო ომის და თებერვლის რევოლუციის დროს და კონტრრევოლუციის ბანაკში აღმოჩნდა“.[138]

დელეგატებს მარტინოვმაც მიმართა. 58 წლის იყო, მახარაძეზე უფროსიც კი, და პოლიტიკური კარიერა დაწყებული ჰქონდა 1880-იან წლებში, ხალხოსნურ პარტიაში „ნაროდნაია ვოლია“. სანამ სოციალ-დემოკრატი გახდებოდა, ათი წელი ციმბირში გადასახლებაში გაატარა. მახარაძისგან განსხვავებით, რუსეთის პარტიის გაყოფისას მან მენშევიკების მხარე დაიჭირა და მჭიდროდ დაუკავშირდა იული მარტოვს, „ინტერნაციონალისტური“ ფრაქციის ლიდერს, რომელიც პირველი მსოფლიო ომის მოწინააღმდეგე იყო. ბოლშევიკებისკენ სამოქალაქო ომის პერიოდში გადმოვიდა, ხოლო რუსეთის კომუნისტური პარტიის სრული წევრი 1923 წელს გახდა.

მარტინოვმა სცადა, სოციალ-დემოკრატი დელეგატებისთვის აეხსნა, თუ რატომ მიატოვა თავისი ძველი ამხანაგები და შეუერთდა ბოლშევიკებს — და ისინიც ასე რატომ უნდა მოქცეულიყვნენ. „ოქტომბრის დღეებში ისტორიამ დაგვისვა შეკითხვა: პროლეტარიატის დიქტატურას ვემხრობით თუ დემოკრატიას?“ უთხრა დამსწრეებს. მრავალი წლის მერე კომუნისტები ასე პირდაპირ აღარ ისაუბრებენ ამ საკითხებზე. ისინი 1936

წლის სტალინურ კონსტიტუციას „მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიულად“ გამოაცხადებენ, ხოლო საბჭოთა კავშირის მიერ მხარდაჭერილ აღმოსავლეთ ევროპის დიქტატურებს „სახალხო დემოკრატიებს“ დაარქმევენ. მაგრამ 1923 წელს ისინი ჯერ კიდევ დაუფარავად ლაპარაკობდნენ, რომ დიქტატურა დემოკრატიას სჯობდა.

მენშევიკებისგან თავისი წამოსვლის გასამართლებლად მან მარტოვი ახსენა. „იცით, ამხანაგებო, ჩემი წამოსვლა მენშევიკების პარტიიდან სრულიად ლოგიკური შედეგია იმ ბრძოლისა, რომელსაც მე და მარტოვი მრავალი წლის განმავლობაში ვაწარმოებდით ამ პარტიის შიგნით, ვუპირისპირდებოდით რა მის ოპორტუნიზმს“. აქ იგულისხმებოდა, რომ საბოლოოდ მარტოვიც კომუნისტებისკენ გადავიდოდა. მარტოვი ოთხი თვის გარდაცვლილი იყო ვერაფერს უპასუხებდა. მარტინოვმა განაგრძო: „ერთადერთი, რაც პარტიიდან წამოსვლაში მაფერხებდა, იყო ჩემი მცდარი რწმენა, რომ სოციალიზმის გამარჯვებისკენ გზა დემოკრატიაზე გადის და არა დიქტატურაზე“.

მაგრამ დემოკრატიის მიმართ ეს ერთგულება სწრაფად მისუსტდებოდაო, თქვა ყოფილმა მენშევიკმა ლიდერმა. „უკრაინაში რომ აღმოვჩნდი — ფრონტის ხაზზე, სწორედ კონტრრევოლუციის ქვაბში, სადაც ერთმანეთს რევოლუციური და კონტრრევოლუციური ელემენტები დაუპირისპირდნენ, ჩემთვის სრულიად ნათელი გახდა, რომ რევოლუციას მხოლოდ რკინის ნებისყოფისა და დაუნდობელი დიქტატურის მეშვეობით შეეძლო გამარჯვება. კომუნისტური პარტიისგან ჩემი მაშორებელი უკანასკნელი დაბრკოლებაც მაშინ გადაილახა“.[139]

ქართველი მახარაძის დამაჯერებელი არგუმენტები იყო მიზეზი, ყოფილი მენშევიკ მარტინოვის სიტყვები თუ ჩეკას მუქარა — დელეგატებმა ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტიის დაშლას მისცეს ხმა. კომუნისტების ამ სტრატეგიამ გაჭრა და მას მომავალშიც გამოიყენებდნენ სხვა ქვეყნებში.

ოცდაორი წლის მერე, მეორე მსოფლიო ომის ბოლოსკენ, გერმანელი კომუნისტები იმავე პრობლემას შეეჯახნენ. ავსტრიაში 1945 წლის ნოემბრის არჩევნები კომუნისტებისთვის საშინელი შედეგებით დასრულდა. გერმანიის კომუნისტური პარტია (კპდ) მიხვდა, რომ შესაძლებელი იყო, მათაც იგივე დამართოდა. ამიტომ სოციალ-დემოკრატებს (სპდ) მიმართეს და შესთავაზეს, ეს ორი პარტია კვლავ გაერთიანებულიყო.

გაერთიანების მცდელობა თავიდან წარმატებული არ იყო. სპდ-მ 1946 წლის დასაწყისში ბერლინის დასავლეთის მიერ კონტროლირებულ ნაწილში კენჭი უყარა ამ წინადადებას და 82% კომუნისტებთან გაერთიანების წინააღმდეგ გამოვიდა. გერმანელი სტალინისტები მიხვდნენ, რომ რაღაც მსგავსი შეიძლებოდა მომხდარიყო ბერლინის საბჭოეთის მიერ კონტროლირებულ ნაწილშიც, და მათ 1923 წლის ქართული გამოცდილებიდან აიღეს მაგალითი.

„1946 წლის 21 აპრილს ჩატარდა ერთობლივი ყრილობა, რომელზეც სპდ-ს წევრები საბჭოთა ზონიდან და დასავლეთ ბერლინიდან შეიკრნენ ახლად ჩამოყალიბებულ გერმანულ სოციალისტურ ერთიან პარტიად (სედ)“, წერს იულიუს ბრაუნთალი.[140]

ის განაგრძობს: „ხსენებული გადაწყვეტილებით საბჭოთა ზონის ხუთ ოლქში სოციალ-დემოკრატიის ბედი საბოლოოდ გადაწყდა. ამ რეგიონებში სპდ-ს 619 000 წევრი ჰყავდა, რომელთაგან მრავალი ათასი, უეჭველია, ეწინააღმდეგებოდა მათი ორგანიზაციის კომუნისტურ პარტიასთან გაერთიანებას. მაგრამ ახლა უკვე ვეღარ შეძლებდნენ, კვლავ გამოყოფილიყვნენ სედ-იდან და ხელახლა ჩამოყალიბებულიყვნენ სპდ-დ, რადგან საბჭოთა ოკუპაციური ხელისუფლებისგან აუცილებელ აღიარებაზე უარს მიიღებდნენ“.[141]

1989 წლამდე და ბერლინის კედლის დაცემამდე გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას აღმოსავლეთ გერმანიის ყო-

ფილ საბჭოთა ზონაში არჩევნებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა არ ჰქონდა.

საქართველოში 1923 წელს სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავსმოხვეული თვითდაშლის, მრავალი წევრის მიერ მისი რიგების იძულებით დატოვების, დაპატიმრებების, წამების, მკვლელობების მიუხედავად, პარტია მაინც გადარჩა. პარტიის ფორმალური დათხოვნის შედეგად ორგანიზაცია კიდევ უფრო ღრმად ჩაიმალა იატაკქვეშ, სადაც განაგრძობდნენ აკრძალული გაზეთების გამოცემას, კავშირი ჰქონდათ უცხოეთში მყოფ ლიდერებთან და ამზადებდნენ შეიარაღებულ აჯანყებას საძულველი საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ.

საქართველოში ჩეკას ლიდერები, მათ შორის ლავრენტი ბერია, ნელ-ნელა აცნობიერებდნენ, რომ ქართული სოციალ-დემოკრატია, ბრძოლის მრავალწლიანი ისტორიითა და საქართველოს მოსახლეობაში ღრმად გადგმული ფესვებით, იოლი ამოსაძირკვი არ იქნებოდა.

საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ ეროვნულ აჯანყებამდე ერთი წელი რჩებოდა.

ნაწილი II.
აჯანყება და ჩახშობა

წინააღმდეგობა

სტალინი ლენინს არწმუნებდა, 1921 წელს ტფილისში ბოლშევიკური აჯანყება მოხდაო. როგორც დეივიდ ლენგი წერს, „სტალინსა და ადგილზე მოქმედ მის თანამზრახველ ორჯონიკიძეს თუ დაუჯერებდი, მენშევიკები ფაქტობრივად უკვე დამხობილი ჰყავდა თვითონ ქართველ მოსახლეობას და წითელი არმიის გამოჩენა უბრალოდ განამტკიცებდა უკვე მოპოვებულ გამარჯვებას“.[1]

მაგრამ თანდათან სიმართლე გაირკვა: სტალინი და ორჯონიკიძე უტიფრად ატყუებდნენ სხვა საბჭოთა ლიდერებს. ლენგი წერდა, რომ ლენინს და ტროცკის აღელვებდათ უცხოელი სოციალისტების მოსალოდნელი მწვავე რეაქცია, როდესაც ისინი გაიგებდნენ, რომ „რუსი კომუნისტები ახლა ჯარის გამოყენებით ამხობდნენ სხვა, დამოუკიდებელ სოციალისტურ რეჟიმებს“.[2] როგორც ვნახეთ, მომდევნო წელს ბერლინის შეხვედრაზე სწორედ ასეთი მწვავე რეაქცია მიიღეს.

სტალინი საქართველოს დაპყრობას იქადნებოდა თვეებით ადრე, ვიდრე ეს მართლაც მოხდებოდა. 1920 წლის ნოემბერში მან თქვა: „საქართველო, რომელიც ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტური მოქმედებების მთავარ ბაზად გადაიქცა და ამიტომ მტრული ურთიერთობები გაუჩნდა საბჭოთა რუსეთთან, ეს საქართველო თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ითვლის“.[3]

ლენინი შიშობდა, რომ წითელი არმიის შეჭრა უპასუხოდ არ დარჩებოდა, ის გამოიწვევდა წინააღმდეგობას, და მართლაც ასე მოხდა. რამდენიმე ხნით ადრე მან ორჯონიკიძეს მისწერა: „გთხოვთ, გახსოვდეთ, საქართველოს შიდა და საერთაშორისო მდგომარეობა მოითხოვს ქართველმა კომუნისტებმა მას რუსული შაბლონი კი არ მიუსადაგონ, არამედ ... მოქნილი, ორიგინალური, წვრილბურჟუაზიული ელემენტისათვის მეტ დათმობაზე დაფუძნებული ტაქტიკა შეიმუშაონ“.[4] მაგრამ ორჯონიკიძე მას ყურს არ უგდებდა.

ქართველების უმრავლესობას საბჭოთა დამპყრობლები არ ეჭაშნიკებოდა. წინააღმდეგობა მყისიერად დაიწყო, ამათგან ზოგი მშვიდობიანი იყო. მაგალითად, დამოუკიდებელი საქართველოს დამფუძნებელი კრების მცირერიცხოვან ქალ წევრთაგან ერთ-ერთმა, ქრისტინე შარაშიძემ*, მოაწყო საპროტესტო გაფიცვა 1922 წლის 25 თებერვალს, როდესაც ახალი კომუნისტი მმართველები გასაბჭოების წლისთავს აღნიშნავდნენ. შარაშიძე მაშინ ტფილისის მეათე პედაგოგიურ ტექნიკუმში ასწავლიდა და პროტესტს მისი ზოგი მოსწავლეც შეუერთდა. იგი დააპატიმრეს, მაგრამ შემდეგ გაათავისუფლეს.

შეიარაღებული ბრძოლაც თითქმის თავიდანვე მიმდინარეობდა. წინააღმდეგობა თავდაპირველად სპორადული, არაორგანიზებული და უშედეგო იყო. ეს თანდათან შეიცვალა, რადგან წინააღმდეგობამ თავის შეცდომებზე ისწავლა და დაიწყო კოალიციების შეკვრა, სტრატეგიისა და ტაქტიკის დაგეგმვა და

* ქრისტინე შარაშიძე (1889-1973) — პოლიტიკოსი, მეცნიერი, პედაგოგი, სახალხო უნივერსიტეტის ლექტორი, სოციალ-დემოკრატი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის წევრი. 1921 წლის ოკუპაციის შემდეგ ჩართული იყო ანტისაბჭოთა მოძრაობაში. 1930-იანი წლებიდან ეწეოდა სამეცნიერო საქმიანობას ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (რედ. შენიშვნა).

კავშირის დამყარება დევნილობაში მყოფ საქართველოს მთავრობასთან, იმჟამად საფრანგეთში რომ იყო დაფუძნებული.

როგორც უკვე ვნახეთ, ქართველებს ბევრი მიზეზი ჰქონდათ, საბჭოთა წყობილების უკმაყოფილო ყოფილიყვნენ. ამ მიზეზებს შორის იყო დემოკრატიის ხელყოფა, პოლიტიკური პარტიების აკრძალვა, თავისუფალი პრესის დევნა, დამოუკიდებელი პროფკავშირების მოსპობა, კოოპერატივების ბოლშევიზაცია და ეკლესიასთან ბრძოლა. ქვეყანას მოდებულმა შიმშილმა და ქოლერამ ასევე თავისი წვლილი შეიტანა ახალი რეჟიმით უკმაყოფილების ზრდაში.

1921 წელს სოციალ-დემოკრატიული მთავრობის განდევნიდან სულ რაღაც ერთ თვეში რუსთაველის გამზირზე, ტფილისის დიდებულ ოპერის თეატრში* მასობრივი კრება ჩატარდა. მასში მუშათა ორგანიზაციების დაახლოებით 3000-მა წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა. ეს ხალხი წესით ყველაზე მეტად უნდა ყოფილიყო გახსნილი ახალ საბჭოთა რეჟიმთან თანამშრომლობისთვის, რომელიც ახლა მათი სახელით მართავდა ქვეყანას. საბჭოთა პროპაგანდა ირწმუნებოდა, რომ საქართველოს მუშათა კლასი „გათავისუფლებული“ იქნა საძულველი სოციალ-დემოკრატებისა და მათ იმპერიალისტ მფარველთა ბატონობისგან. მაგრამ შეკრება ბოლშევიკური სცენარით არ წარიმართა.

„კრებაზე მიღებული იქნა დადგენილებები, რომლითაც რევკომს [ბოლშევიკური მთავრობა საქართველოში] მოუწოდებდნენ,

---

* სოციალ-დემოკრატთა კონფერენცია 1921 წლის 10 აპრილს გაიმართა თბილისში, ჩეკას კონტროლის ქვეშ. კონფერენციას სახალხო გვარდიის ერთ-ერთი მეთაური ვლადიმერ ჯიბლაძე თავმჯდომარეობდა. კონფერენციამ გამოსცა დადგენილება პარტიას ლეგალურად გაეგრძელებინა საქმიანობა, მონაწილეობა მიეღოთ არჩევნებში და ებრძოლათ დემოკრატიული წყობილების დაბრუნებისათვის. ეს მიუღებელი აღმოჩნდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის, რის შედეგადაც კონფერენციის მონაწილეთა შევიწროება დაიწყო (რედ. შენიშვნა).

დაეცვა საქართველოს თვითგამორკვევისა და დამოუკიდებლობის უფლება“, წერდა დეივიდ ლენგი. ამას გარდა, მუშები ახალ მთავრობას სთხოვდნენ: „დაჩქარდეს საქართველოს ეროვნული წითელი არმიის შექმნა; უზრუნველყოფილი იქნეს საქართველოს მშრომელთა მასების უფლება, თავისუფალი არჩევნებით აირჩიონ თავიანთი წარმომადგენლები; უზრუნველყოფილი იქნეს, რომ ახალი საბჭოთა წყობა საქართველოში ამ ხალხის ადათების პატივისცემის შენარჩუნებით დაინერგოს; და კანონიერად დაიშვას ყველა სოციალისტური ორგანიზაციის არსებობა, რომელთა საქმიანობაც არ არის რეჟიმის წინააღმდეგ მიმართული“.[5]

ლენგი წერს, რომ ეს მოთხოვნები „ადგილობრივი ქართველი ბოლშევიკებისთვის ძირითადად მისაღები იყო“, რაც აჩვენებს, საქართველოს საბჭოთა ხელმძღვანელობა რამდენად „დასნებოვნებული“ იყო ნაციონალისტური იდეებით, თუნდაც ამ სულ ადრეულ ეტაპზე. მომდევნო წლებში ერთმანეთს რადიკალურად დაშორდებიან ის ქართველი ბოლშევიკები*, რომლებიც ქვეყნისთვის მეტ თვითგამორკვევასა და ავტონომიას ემხრობოდნენ, და ისინი, ვინც, სტალინისა და ორჯონიკიძის მსგავსად, საკუთარ ყოფილ სამშობლოს რუსეთის მიერ დაპყრობილ პროვინციასავით ეპყრობოდნენ.

---

* 1921 წელსვე საბჭოთა საქართველოს პოლიტიკურ ელიტაში განხეთქილების პირველი ნიშნები გამოჩნდა. ეს დაპირისპირება განსაკუთრებით გამწვავდა 1922 წლის დასაწყისიდან, როდესაც განიხილებოდა საბჭოთა კავშირის შექმნა. საქართველოს რევკომის თავმჯდომარე ბუდუ მდივანი და სხვა ქართველი ბოლშევიკები წინააღმდეგი წავიდნენ, საქართველოს სსრ საბჭოთა კავშირში შესულიყო, როგორც ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური ფედერალისტური რესპუბლიკის ნაწილი. ისინი მოითხოვდნენ, საქართველოს სსრ უშუალოდ, დამოუკიდებელი სუბიექტის სტატუსით შესულიყო საბჭოთა კავშირში. მდივანს და მის თანამოაზრეებს საბჭოთა სისტემაში მოიხსენიებდნენ „ნაციონალ-უკლონისტებად“. შემდგომ წლებში მათ ფაქტობრივად დაატოვებინეს მაღალი თანამდებობები, საბოლოოდ კი, 1937-1938 წლებში — დახვრიტეს (რედ. შენიშვნა).

ამ კრებაზე მიღებული დადგენილებები „არ შეესაბამებოდა სტალინისა და მისი უშუალო გარემოცვის პოლიტიკას“, აღნიშნავს ლენგი. „სტალინმა არათუ არ დაუშვა საქართველოს წითელი არმიის შექმნა, არამედ იზრუნა, რომ ყველა სამხედრო რაზმი დაშლილიყო და სტრატეგიულ ადგილებში რუსული გარნიზონები ჩააყენა“. ის არ აპირებდა, ახალი საბჭოთა საქართველოს უსაფრთხოება ქართველებისთვის მიენდო.

ახალი რეჟიმი აშკარად არ სარგებლობდა ხალხის მხარდაჭერით. იმის მიუხედავად, რომ მმართველი კომუნისტური პარტიის წევრობა რიგ პრივილეგიებს იძლეოდა, ქართველები მის რიგებს სულაც არ მიაწყდნენ. კომუნისტებმა ალბათ 10 000 წევრი შეიძინეს — რაც მრავალჯერ აღემატებოდა მათი პარტიის ზომას წითელი არმიის შემოსვლამდე, მაგრამ ვერ შეედრებოდა სოციალ-დემოკრატების რაოდენობას.

1922 წლის 26 მაისს, სოციალ-დემოკრატების მიერ დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის დაარსების მეოთხე წლისთავზე საბჭოთა მმართველობის პერიოდში პირველად ჩატარდა საპროტესტო დემონსტრაციები. საბჭოთა რეჟიმმა ამის თავიდან ასარიდებლად ზომები მიიღო — სკოლები დაკეტა და დედაქალაქის ქუჩებში წითელი არმიის შენაერთები ჩააყენა — მაგრამ ამან არ გაჭრა. ზუსტად წლისთავის წინ გაფიცვები დაიწყო. გორში ტფილისელმა რკინიგზის მუშებმა საყოველთაო გაფიცვისკენ მოუწოდეს ხალხს. დონალდ რეიფილდი წერს:

> რეკავდა ეკლესიის ზარები; ქუჩაში გასული მოსახლეობა დამოუკიდებელი საქართველოს სახალხო ჰიმნს — *დიდებას* მღეროდა. ჩეკისტებმა ცეცხლი გახსნეს. ერთი-ორგან, მაგალითად სოხუმში, რუსმა ჯარისკაცებმა სროლაზე უარი განაცხადეს. თუმცა დემონსტრაციებზე გასვლა იმდენად სახიფათო იყო, რომ მომდევნო წელს იატაკქვეშა დამოუკიდებლობის კომიტეტმა ხალხს სახლებში დარჩენა სთხოვა.[6]

საბჭოთა რეჟიმის მხრიდან რეპრესიების გაძლიერება უზრუნველყოფდა, რომ მომდევნო წლისთავებზე ასეთი რამ აღარ განმეორდებოდა. მომდევნო წლებში საბჭოთა ისტორიკოსები ქართველ სოციალ-დემოკრატებს ფარისევლობას აბრალებდნენ და ამბობდნენ, ისინი საჯაროდ უარყოფდნენ შეიარაღებულ ბრძოლას, მაგრამ საიდუმლოდ მთელი ეს ხანი დიდი ეროვნული აჯანყებისთვის ემზადებოდნენო. აღწერილი მოვლენებიდან ნახევარი საუკუნის მერე ი. ტრიფონოვი ამტკიცებდა, რომ სოციალ-დემოკრატებმა იმთავითვე „შეინარჩუნეს იატაკქვეშა ორგანიზაციები“ და „ცდილობდნენ ძირგამომთხრელი სამუშაო ჩაეტარებინათ“. სოციალ-დემოკრატები, მისი თქმით, იატაკქვეშა პოლიტიკური პარტიებიდან ყველაზე აქტიურები იყვნენ.

სამართლიანობა მოითხოვს, ითქვას, რომ სოციალ-დემოკრატებმა თავიანთი იატაკქვეშა ორგანიზაციები იმიტომ შეინარჩუნეს, რომ ბოლშევიკები მათ და ყველა სხვა არაკომუნისტური პარტიის მიმართ სულ უფრო შეუწყნარებლები ხდებოდნენ. ისინი რუსეთის მენშევიკთა გამოცდილებიდან ხედავდნენ, რომ მათ პარტიას სულ ცოტა ხანს აცლიდნენ ღიად მუშაობას საბოლოო განადგურებამდე. ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ თავად ბოლშევიკებიც არა მხოლოდ ცარისტული წყობილების დროს ინარჩუნებდნენ იატაკქვეშა ორგანიზაციებს, არამედ, საქართველოში სოციალ-დემოკრატების მმართველობის წლებშიც. სოციალ-დემოკრატები არ ცდებოდნენ, როცა შეიარაღებულ ბრძოლას ერთ-ერთ ვარიანტად განიხილავდნენ.

ახალი საბჭოთა რეჟიმის ოპონენტები „სიტყვიერად თავს აფარებდნენ დევიზს: ‘დემოკრატიის გზით სოციალიზმისკენ’“, წერდა ტრიფონოვი*. და ბედავდნენ, მოეთხოვათ, „თავისუფა-

* ივან ტრიფონოვი (Иван Трифонов) (1918-?) — რუსი ისტორიკოსი, ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, 1920-იანი წლების საბჭოთა ისტორიის მკვლევარი (რედ. შენიშვნა).

ლი არჩევნების“ ჩატარება (ბრჭყალები სტატიის ავტორისეულია), რომელიც უნდა გაეკონტროლებინა „სამი ინტერნაციონალის შერეულ კომისიას“ – რაც შეთავაზებული იყო კიდეც 1922 წლის ბერლინის კონფერენციაზე. ეს ცხადყოფდა, რომ რაიხსტაგში შეკრებას მთლად ფუჭად არ ჩაევლო, რაკი ის ქართველი სოციალ-დემოკრატების შემაგულიანებელი გამოდგა.

სოციალ-დემოკრატები და მათი მოკავშირეები არა მხოლოდ დემოკრატიასა და თავისუფალ არჩევნებს ითხოვდნენ, არამედ იმასაც ბედავდნენ, რომ „საქართველოში წითელი არმიის განმათავისუფლებელი მარშისთვის ეწოდებინათ ‘უცხოური ჯარის თავდასხმა’“ – რაც, რა თქმა უნდა, სიმართლე იყო. ეს უკანასკნელი შემთხვევა როდი იქნება, როდესაც რუსი ლიდერები რუსული ჯარის შესვლას სხვა ქვეყანაში „განმათავისუფლებელ მარშს“ დაარქმევენ, მიუხედავად იმისა, თუ რას ფიქრობდა ამაზე ადგილობრივი მოსახლეობა. ტრიფონოვის თქმით, 1922 წლის ზაფხულში და შემოდგომაზე სოციალ-დემოკრატებმა „თავიანთი ანტისაბჭოთა საქმიანობა გააძლიერეს“.

ამ წლის ოქტომბერში სოციალ-დემოკრატებმა „საქართველოს რევკომს მიმართეს პეტიციით, რომელშიც ითხოვდნენ სხვადასხვა სახის ‘თავისუფლებებსა’ და დაპატიმრებული კონტრრევოლუციონერების ციხიდან გამოშვებას“. ამ პეტიციის გარდა, სოციალ-დემოკრატებმა „მალე გაფიცვა მოაწყვეს ტფილისის სარკინიგზო კვანძზე“. ეს ნამდვილად არ იყო კარგის ნიშანი, რადგან საბჭოთა საქართველოს „მუშათა და გლეხთა მთავრობას“ ქალაქელი მშრომელთა კლასი თავის მხარეს უნდა ჰყოლოდა, სულ ცოტა, ტფილისში მაინც, ბოლშევიკების მიერ ქვეყანაში ძალაუფლების მიტაცებიდან თვრამეტი თვის მერე.

ტრიფონოვი წერდა, რომ ეს პეტიცია იყო მცდელობა, გადაეფარათ გეგმა, რომელიც სოციალ-დემოკრატებს იმთავითვე ჰქონდათ: შეიარაღებული აჯანყების გეგმა. ამ საბჭოთა ისტო-

რიკოსს თუ ვერწმუნებით, სოციალ-დემოკრატებმა გაიმეორეს ვალიკო ჯუღელის უშიშარი რეიდი ტფილისის არსენალზე 1917 წელს და ამგვარად განახორციელეს შეტევა. „მათ არსენალიდან სამხედრო აღჭურვილობის გატაცება შეძლეს და ამით დააჩქარეს რევოლუციისთვის მზადება“, ასკვნის ის.[7]

ბოლშევიკების მმართველობასთან შეიარაღებული წინააღმდეგობის პირველი მაგალითები მალევე გამოჩნდა. სულ უფრო გამკაცრებული ავტორიტარული რეჟიმის პირობებში ქართველებს პროტესტის გამოხატვის სულ უფრო ცოტა კანონიერი და მშვიდობიანი გზა რჩებოდათ. უკვე 1921 წელს ზოგი დამარცხებული ქართული შენაერთი მთებში გაიხიზნა და მცირერიცხოვანი პარტიზანული ჯგუფები ჩამოაყალიბეს. მცირე ბრძოლები ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში რამდენიმე თვის განმავლობაში არ წყდებოდა.

ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანი ბრძოლა მოხდა სვანეთში. აქ გლეხთა აჯანყება დაიწყო 1921 წლის მაისში, რუსეთის გამარჯვებიდან სულ ორი თვის მერე. შეიარაღებულმა ჯგუფებმა, რომლებსაც მოსესტრო დადეშქელიანი, ნესტორ გარდაფხაძე* და ბიძინა პირველი** მეთაურობდნენ, წითელი არმიის რამდენიმე რაზმი განაიარაღეს, გაყარეს ადგილობრივი საბჭოთა მთავრობა და გზები ჩაკეტეს. ეს აჯანყება სამხრეთით, ლეჩხუმშიც გავრცელდა. აჯანყებულები წითელი არმიის გაყვანას და

---

* ნესტორ გარდაფხაძე (1867-1924) — სამხედრო პირი, მაიორი, ეროვნულ-დემოკრატი, სვანეთის 1921-1922 წლების ანტისაბჭოთა აჯანყების ერთ-ერთი მეთაური. 1924 წლის ივლისში დააპატიმრა საბჭოთა ხელისუფლებამ, დახვრიტეს 1924 წლის სექტემბერში (რედ. შენიშვნა).

** ბიძინა პირველი (1902-1938) — პოლიტიკოსი, ეროვნულ-დემოკრატი, 1924 წლის აჯანყებას ხელმძღვანელობდა სვანეთში, 1925 წელს ჩაბარდა საბჭოთა ხელისუფლებას, 1928 წლიდან იყო კომუნისტური პარტიის წევრი. 1938 წელს დახვრიტეს ანტისაბჭოთა საქმიანობის ბრალდებით (რედ. შენიშვნა).

თავისუფალი არჩევნების ჩატარებას ითხოვდნენ. მათ დაიწყეს მზადება ქუთაისზე გასალაშქრებლად*.

ოქტომბრის დასაწყისში კომუნისტურმა მთავრობამ აჯანყებულები „პოლიტიკურ ბანდიტებად“ შერაცხა და აჯანყების ჩასახშობად სპეციალური საჯარისო შენაერთები შექმნა. საბჭოთა ანგარიშების მიხედვით, აჯანყებულთა რიცხვი 1 600 იყო და ისინი ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას უჭერდნენ მხარს, თუმცა თბილისში დაფუძნებულ სოციალ-დემოკრატებთანაც ჰქონდათ კავშირი. წითელი არმიის ძალებმა შეძლეს ამბოხის სვანეთში შეკავება და წლის ბოლოსთვის ჯანყი დასრულებული იყო.

ბევრად ადრე, ვიდრე საერთო ეროვნულ აჯანყებისთვის მზადება დაიწყებოდა, საბჭოთა დამპყრობლების წინააღმდეგ უფრო მცირემასშტაბიანი ამბოხებები ხდებოდა. ზოგ ამ ამბოხს მეთაურობდნენ ადამიანები, რომლებიც 1924 წლის აჯანყებაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებდნენ.

1922 წლის დასაწყისში საბჭოთა წყობის წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო ხევსურეთში. მისი გამომწვევი გახდა საბჭოელების ბრძოლა ეკლესიასთან. აჯანყებას სათავეში ედგა საქართველოს არმიის ოფიცერი, ეროვნულ-დემოკრატი ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი, რომელმაც საბჭოთა დაპყრობის მერე ქვეყანაში დარჩენა არჩია. მან პანკისის ხეობაში ჩამოაყალიბა „შეფიცულთა რაზმი“, რომელმაც ბოლშევიკებთან ბრძოლა განაგრძო.

როგორც 1955 წლის აშშ კონგრესისადმი წარდგენილ ანგარიშში ვკითხულობთ, „უდიდესი პარტიზანული ჯგუფი, რომელმაც მალე ეროვნული ჯარის სახე მიიღო“, ქაქუცას რაზმი იყო. „იგი და მისი მამაცი ‘შეფიცულები’ მალე ეროვნულ გმირებად იქცნენ“.[8]

ქაქუცას რაზმმა დაიკავა მანგლისი და თავს ესხმოდა ტფილისის შემოგარენს. საბჭოთა ხელისუფლებამ საპასუხოდ თვით-

* ამ იდეაზე თავად აჯანყებულებმა აიღეს ხელი (რედ. შენიშვნა).

მფრინავებითა და არტილერიით შეუტია და აჯანყება ჩაახშო. ქაქუცა ჩეჩნეთში გადავიდა და იქიდან აწყობდა შემოტევებს საქართველოზე. ქაქუცა თავიდან დამოუკიდებელ შეიარაღებულ რაზმს მეთაურობდა, მაგრამ შემდეგ დათანხმდა, დამკომისგან მიეღო ბრძანებები. ის 1924 წლის აჯანყებაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.

1923 წლის დასაწყისში გურიაში, რომელიც მუდამ სოციალ-დემოკრატთა საყრდენი იყო, სამი საბჭოთა საიდუმლო პოლიციის თანამშრომელი მოკლეს. საპასუხოდ საბჭოთა ძალებმა დახოცეს 92 ადამიანი და დაიმუქრეს, მეტს დავხოცავთ, თუ წინააღმდეგობა გაგრძელდებაო. როგორც ბერიას აცხადებდა, 1924 წლის მარტისთვის ქვეყანა „კრიმინალური და პოლიტიკური ბანდებით იყო გაძეძგილი [...] პირველი ვიოლინოს როლს კი მენშევიკები ასრულებდნენ“.[9]

თუმცა, ეს ადგილობრივი აჯანყებები მცირემასშტაბიანი იყო და საქართველოში საბჭოთა მმართველობას სერიოზულ საფრთხეს არ უქმნიდა. აქტიური პარტიზანული რაზმების უმრავლესობა 1923 წლისთვის ან დაიშალა ან საბჭოთა ხელისუფლებას დანებდა.

ამ დროს, სხვადასხვა ქართული პოლიტიკური პარტიის ხელმძღვანელები გაერთიანდნენ პარიზში გადასახლებულ სოციალ-დემოკრატიული მთავრობის გარშემო, რომელსაც სათავეში ნოე ჟორდანია ედგა. ეს მნიშვნელოვან ცვლილებას მოწმობდა, რადგან პატარა ოპოზიციური პარტიები, მათ შორის, ეროვნულ-დემოკრატები, ადრე უმრავლესობაში მყოფი სოციალ-დემოკრატების მიმართ ერთობ კრიტიკულად იყვნენ განწყობილნი. 1921 წლის საბჭოური დაპყრობა იყო ის ფაქტორი, რომელმაც ისინი შეკრა, რათა ერთად აღედგინათ საქართველოს დამოუკიდებლობა. თუმცა, აჯანყების დამარცხების მერე ოპოზიციურ პარტიებს შორის უთანხმოება განახლდა — ისინი დამარცხებაში ერთმანეთს ადანაშაულებდნენ.

სხვადასხვა ქართული პოლიტიკური ჯგუფის გაერთიანების გარდა, დევნილი მთავრობა დაუკავშირდა მეზობელი ქვეყნების წარმომადგენლებსაც, მათ შორის, სომხეთს, რომელთანაც საქართველოს 1918 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ხანმოკლე ომი ჰქონდა. ჟორდანია და მისი თანამებრძოლები ძალას არ იშურებდნენ, რომ შეექმნათ ერთიანი ფრონტი ყველა იმ ხალხთაგან, რომლებიც მცირე ხნის წინ დაიპყრო საბჭოეთმა და სათითაოდ ჩაცვივდნენ მოსკოვის რეჟიმის ხელში. ესეც, ისევე, როგორც ყველა არაბოლშევიკური პარტიის გადაწყვეტილება, ერთად ემუშავათ, იყო გაკვეთილი, საბჭოეთის მიერ ყოფილი დამოუკიდებელი კავკასიის რესპუბლიკების წარმატებით დაპყრობამ რომ ასწავლათ.

1922 წლის მაისში, საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარებიდან ერთი წლის თავზე, ქვეყნის ყველა არაბოლშევიკურმა პარტიამ ჩამოაყალიბა დამკომი — საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი. საქართველოს ოპოზიციამ 1921 წლის თებერვალში წითელი არმიის შემოჭრისა და სვანეთის აჯანყების დამარცხების გაკვეთილი ისწავლა. ახლა შეთანხმებული, სრულიად ეროვნული მოქმედების დრო იყო, მოსკოვის მმართველობის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყება რომ მოემზადებინათ.

სოციალ-დემოკრატების გარდა, რომლებიც დამკომის მთავარ ბირთვს შეადგენდნენ, მას შეუერთდნენ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია, სოციალ-რევოლუციონერები და „სხივი“ — სოციალ-დემოკრატთა ჯგუფი*, რომელსაც ყოფილი სამხედრო მინისტრი გრიგოლ

* „ახალი სხივი“ — სოციალ-დემოკრატიული პარტიის შიგნით 1920 წლის მაისში ჩამოყალიბებული შიდა ოპოზიციური ფრაქცია, რომელიც აკრიტიკებდა პარტიის ცენტრალურ ხაზს, პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნაკლებ დემოკრატიზმს და ა.შ. ჯგუფი გამოსცემდა გაზეთ „ახალ სხივს“. შიდა ფრაქციასა და პარტიის ცენტრალურ კომიტეტს შორის პოლემიკა

გიორგაძე ხელმძღვანელობდა. თითოეულ პარტიას მიეცა უფლება, ჰყოლოდა ერთი წევრი კომიტეტში, და ასე შეიქმნა „პარიტეტული კომიტეტი“.

ახლა ეროვნულ-დემოკრატები, სოციალ-დემოკრატები და სხვები ბოლშევიკთა წინააღმდეგ ერთიანდებოდნენ. სოციალ-დემოკრატებმა დამკომში დაუშვეს ის, რაც ქვეყნის მართვისას მათი პოლიტიკისგან* განსხვავდებოდა: ყველა არაბოლშევიკური პარტიის კოალიცია. წითელი არმიის შემოჭრამდე ასეთი კოალიციის საჭიროება არ არსებობდა, რადგან თავისუფალმა არჩევნებმა გამოავლინა, რომ სოციალ-დემოკრატებს სხვებზე ბევრად დიდი მხარდაჭერა ჰქონდათ. მაგრამ საბჭოთა ოკუპაციის საყოველთაო საგანგებო ვითარების გათვალისწინებით, სოციალ-დემოკრატები აღიარებდნენ მანამდე მტრულ ჯგუფებს შორის ალიანსის საჭიროებას.

1920 წლის ბოლოს გამწვავდა, რის გამოც 1921 წლის იანვარში „ახალსხიველები“ პარტიიდან გარიცხეს. 1921 წლის თებერვალში საქართველოს დამფუძნებელ კრებაში ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატთა ფრაქცია „ახალი სხივი“, რომლის ლიდერებიც გავლენიანი სოციალ-დემოკრატები მუხრან ხოჭოლავა და ყოფილი სამხედრო მინისტრი გრიგოლ გიორგაძე იყვნენ (რედ. შენიშვნა).

* 1919 წლის თებერვალში გამართულ საყოველთაო არჩევნებში სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ხმების 81% მოიპოვა, თუმცა ის ცდილობდა ძალაუფლებისა და პასუხისმგებლობის დანაწილებას და ცალკეულ ოპოზიციურად განწყობილ პოლიტიკოსებსა და გამოცდილ კადრებს მაღალ სახელმწიფო თანამდებობებზე ნიშნავდა. მაგალითად, რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლის აპარატის უფროსი იყო სოციალისტ-ფედერალისტი, პროფესორი ფილიპე გოგიჩაიშვილი, სახელმწიფო ბანკს ხელმძღვანელობდა ეროვნულ-დემოკრატი იასონ ლორთქიფანიძე, უმაღლეს სასამართლოში და სენატში არჩეული იყვნენ ეროვნულ-დემოკრატი და სოციალისტ-ფედერალისტი წევრები, ხოლო დიპლომატიური მისიების უმრავლესობას ოპოზიციონერი პოლიტიკოსები ხელმძღვანელობდნენ. დამფუძნებელ კრებაში, სადაც ოპოზიცია მანდატების მხოლოდ 20%-ს აკონტროლებდა, საკვანძო თანამდებობების მნიშვნელოვანი ნაწილი ოპოზიციონერი დეპუტატების ხელში იყო (რედ. შენიშვნა).

17. გოგიტა ფაღავა

18. ნიკოლოზ ქარცივაძე

19. კოტე აფხაზი

რაკი სოციალ-დემოკრატების პარტია ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო, დამკომის თავმჯდომარე მათი რიგებიდან ირჩეოდა. პირველი ასეთი გახლდათ გოგიტა ფაღავა*, რომელიც ნიკოლოზ ქარცივაძემ** შეცვალა. ქარცივაძე ჩეკამ დააპატიმრა 1923 წლის 16 მარტს და ის თავადმა კოტე ანდრონიკაშვილმა ჩაანაცვლა. დამკომის მდივანი იყო ეროვნულ-დემოკრატების ლიდერი იასონ ჯავახიშვილი***. დამკომი სტამბოლში მოქმედი ბიუროს საშუალებით ინტენსიურ კონტაქტს ინარჩუნებდა ნოე ჟორდანიასთან და დევნილი მთავრობის სხვა წევრებთან.

საქართველოში დამკომმა დააფუძნა სამხედრო ცენტრი, რომლის თავმჯდომარე იყო გადამდგარი გენერალი კოტე აფხაზი. აფხაზი პირველ მსოფლიო ომში რუსეთის არმიის არტილერიის გენერალ-მაიორის ჩინით მსახურობდა. ომის მერე ის საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი

---

* გოგიტა ფაღავა (1895-1924) — პოლიტიკოსი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი, სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრი. 1921 წლის თებერვალ-მარტში იბრძოდა საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის წინააღმდეგ. 1922 წელს იყო ანტისაბჭოთა წინააღმდეგობის მოძრაობის ცენტრის — საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის — ერთ-ერთი დამფუძნებელი და ლიდერი. დახვრიტეს 1924 წლის აგვისტოს ეროვნული აჯანყების შემდეგ (რედ. შენიშვნა).

** ნიკოლოზ ქარცივაძე (1884-1937) — პოლიტიკოსი, დიპლომატი, სოციალ-დემოკრატი, საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენელი აზერბაიჯანის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. საბჭოთა ოკუპაციის შემდგომ ჩაება ანტისაბჭოთა საქმიანობაში, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრი და თავმჯდომარე. საბჭოთა ჩეკას მიერ მრავალჯერ იყო დაპატიმრებული. დახვრიტეს 1937 წელს (რედ. შენიშვნა).

*** იასონ ჯავახიშვილი (1887-1937) — პოლიტიკოსი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრი. 1924 წლის აჯანყების შემდეგ დააპატიმრეს, 10 წლით გადაასახლეს ომსკის ოლქში, დახვრიტეს 1937 წელს (რედ. შენიშვნა).

დამფუძნებელი და თბილისის უნივერსიტეტის დაარსების ერთ-ერთი მხარდამჭერი იყო. ისიც, ქაქუცას მსგავსად, წითელი არმიის მიერ ქვეყნის დაპყრობის მერე საქართველოში დარჩა და დამკომის დავალებით, მისი სამხედრო ოპერაციების ხელმძღვანელობა იკისრა.

დამკომის ჩამოყალიბებიდან ცხრა თვეც არ იყო გასული, როდესაც მის სამხედრო ცენტრს ჩეკამ მძიმე დარტყმა მიაყენა. მათ შეძლეს ამ ორგანიზაციაში აგენტების ჩანერგვა*. ამას მოჰყვა მასობრივი დაპატიმრებები. კოტე აფხაზი, დამკომის სამხედრო ცენტრის 14 წევრთან ერთად, 1923 წლის თებერვალში დააპატიმრეს. ესენი იყვნენ: გენერალი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი**, გენერალი ვარდენ წულუკიძე***, გენერალი როსტომ მუსხელიშვილი****, პოლკოვნიკი ელიზბარ გულისაშვილი, პოლკოვნიკი ალექსანდრე მაჭავარიანი, პოლკოვნიკი გოგი ხიმშიაშვილი, პოლკოვნიკი დიმიტრი ჩრდილელი, პორუ-

---

* ერთ-ერთ აგენტი, რომელმაც აჯანყება გასცა, იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდული (სტუდენტური) ორგანიზაციის წევრი კალე მისაბიშვილი (რედ. შენიშვნა).

** ალექსანდრე ანდრონიკაშვილი (1871-1923) — გენერალი, რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარის გენერალური შტაბის უფროსი, რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს წევრი. 1921 წლის თებერვალში იყო თბილისის ფრონტის კოჯორ-ტაბახმელას ფრონტის ხელმძღვანელი, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის სამხედრო ცენტრის ერთ-ერთი ლიდერი (რედ. შენიშვნა).

*** ვარდენ წულუკიძე (1865-1923) — გენერალი, მსახურობდა რუსეთის იმპერიის არმიაში. იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ჯარების გენერალი. 1922 წლიდან იყო საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის სამხედრო ცენტრის წევრი (რედ. შენიშვნა).

**** როსტომ მუსხელიშვილი (1888-1923) — სამხედრო პირი, პოლკოვნიკი (სხვა ვერსიით გენერალი). მსახურობდა რუსეთის იმპერიის არმიაში შტაბს-კაპიტნის ჩინით. 1918 წლიდან იყო საქართველოს გენერალური შტაბის სამხედრო დაზვერვის უფროსი (პოლკოვნიკი). 1922 წლიდან იყო დამოუკიდებლობის კომიტეტის სამხედრო ცენტრის წევრი (რედ. შენიშვნა).

ჩიკი ლევან კლიმიაშვილი, როტმისტრი სიმონ ბაგრატიონ-მუხ-რანელი, კაპიტანი ივანე ყარანგოზიშვილი, პორუჩიკი ფარნაოზ ყარალაშვილი, იასონ კერესელიძე, სიმონ ჭიაბრიშვილი, ივანე ქუთათელაძე და ნიკოლოზ ზანდუკელი.[10]

კოტე აფხაზის ბოლო სიტყვები დახვრეტის წინ იყო: „მე ვკვდები სიხარულით, რადგან ღირსი გავხდი სამშობლოს სა-მსხვერპლოზე ზვარაკად მიტანისა. ჩვენი სიკვდილი გამარჯვე-ბას მოუტანს საქართველოს!“[11]

სვანეთისა და ხევსურეთის აჯანყებები ჩაახშეს. დამკომის სამხედრო ცენტრი განადგურებული იყო. ქაქუცა და მისი „შეფი-ცულთა რაზმი“ ჯერაც არსებობდა, თუმცა იძულებული იყვნენ, ქვეყნის საზღვრის გარედან მოეწყოთ რეიდები. უცხოეთიდან აჯანყების დახმარების არანაირი ნიშანი არ ჩანდა და მეზობელ ქვეყნებში ახალი საბჭოთა რეჟიმები არსად ქრებოდა. დამკომის ზოგი ლიდერის აზრით, ქართველი ხალხი მზად არ იყო, აჯანყე-ბას შეერთებოდა.

და მაინც, წინააღმდეგობის ლიდერებმა გადაწყვიტეს, გაეგ-რძელებინათ საქართველოს 1924 წლის აგვისტოს ეროვნული აჯანყებისთვის მზადება.

აჯანყება

ვიდრე დევნილობაში თუ იატაკქვეშ მყოფი სოციალ-დემოკ-რატები საბჭოთა რეჟიმის დამხობის გეგმებს აწყობდნენ, მათი მტრები თვალმოუხუჭავად მუშაობდნენ, რომ ეს არ დაეშვათ.

კონტრრევოლუციასთან და საბოტაჟთან ბრძოლის სრული-ად რუსეთის საგანგებო კომისია (ჩეკა) კომუნისტური წყობი-ლების მტრებს საქართველოში საბჭოთა მმართველობის დამ-ყარების პირველივე დღეებიდან ებრძოდა — ისევე, როგორც ამას რუსეთში სჩადიოდა უკვე 1917 წლიდან, როდესაც ლე-

ნინმა საიდუმლო პოლიციის შექმნის განკარგულება გასცა. ამ ორგანიზაციის მეთაურად ლენინმა ფელიქს ძერჟინსკი დაასახელა. ჩეკას დაეკისრა ის როლი, რომელიც მანამდე რუსეთის მეფის პოლიციის დეპარტამენტს ჰქონდა. (ამ დეპარტამენტს უსაფრთხოების სხვა სამსახურებთან ერთად საერთო სახელად „ოხრანკას“ უწოდებდნენ.) ჩეკას დასახელება რამდენჯერმე გამოიცვალა, თუმცა მისი ფუნქცია ძირითადად უცვლელი რჩებოდა — ის ბოლშევიკური რეჟიმის „ფარი და მახვილი“ იყო.

ისტორიის სხვადასხვა პერიოდში ჩეკას ხელთ არსებული იარაღები იცვლებოდა. ლენინისა და სტალინის დროს მას შეეძლო ადამიანები განუკითხავად დაესაჯა სიკვდილით და ასეც აკეთებდა, თანაც წარმოუდგენლად დიდი რაოდენობით. 1953 წელს სტალინის სიკვდილის მერე ეს ორგანიზაცია ცოტათი ნაკლებად სისხლიანი გახდა — თუმც აგრძელებდა განსხვავებული აზრის დათრგუნვას და ციხეებისა თუ შრომის ბანაკების დიდ ქსელსაც ინარჩუნებდა. 1995 წელს ის ფეესბეს სახელით ცნობილმა უსაფრთხოების ფედერალურმა სამსახურმა ჩაანაცვლა. ფეესბე და რუსეთის სხვა უსაფრთხოების სამსახურები შესამჩნევად ნაკლებად სისხლისმსმელია, ვიდრე თავდაპირველი ჩეკა იყო, თუმცა კვლავ რჩებიან შიშის მთესველ და გასაიდუმლოებულ ორგანიზაციებად, რომლებიც კანონგარეშე მოქმედებენ, იქნება ეს რუსეთის ფედერაციაში თუ მის საზღვრებს გარეთ. ჩეკა 1917 წლის 20 დეკემბერს შეიქმნა და მას მერე ეს დღე რუსეთში აღინიშნება, როგორც დღესასწაული. პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინს, რომელიც ამაყობს თავისი ჩეკისტური წარსულით (კაგებეს პერიოდში), წესად აქვს, ამ დღეს მადლობა გადაუხადოს უსაფრთხოების სამსახურის ყველა ყოფილ თუ მოქმედ თანამშრომელს.

1921 წლის თებერვალში საბჭოეთის შემოჭრის შემდეგ რეჟიმის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საქართველოს ჩეკა შეიქმნა. რაკი საქართველოს ოპოზიციური პარტიები დაირაზ-

მნენ 1924 წლის აგვისტოში სახალხო აჯანყების მოსაწყობად, ეს ნიშნავდა, რომ საფუძვლიანი გამოცდა ელოდა იმას, თუ რამდენად შეეძლო ჩეკას საბჭოთა რეჟიმისთვის საფრთხე აერიდებინა.

ჩეკას არსენალში ერთ-ერთი მთავარი იარაღი მათი ოხრანკელი წინამორბედებისგან ჰქონდათ წამოღებული — ეს იყო პროვოკაციის სტრატეგია. პროვოკაცია — ეს იყო ცარისტული რეჟიმის ნაცადი ხერხი, მეტწილად იატაკქვეშა პირობებში მომუშავე ოპოზიციასთან ბრძოლაში. იმის ნაცვლად, რომ უბრალოდ ეცადათ, გამოერკვიათ, ოპოზიციური ჯგუფები რის გაკეთებას აპირებდნენ, პოლიცია კოლაბორანტებს გადმოიბირებდა ხოლმე და ხელს უწყობდა, თავ-თავიანთ პარტიებში მაღალ პოზიციებზე დაწინაურებულიყვნენ.

ზოგჯერ — ასეთი შემთხვევებიდან ყველაზე ცნობილი გახლავთ სოციალისტ-რევოლუციონერთა ერთ-ერთი ლიდერის, ევნო აზეფის ამბავი — ეს აგენტები თავიანთ ორგანიზაციაში უმაღლეს პოზიციას აღწევდნენ. პოლიციასთან მათი მუშაობის ნაწილი იყო წარუმატებელი, ასევე, *წარმატებული* თავდასხმების მოწყობა, მათ შორის, იმპერატორის ოჯახის წევრებზე. აზეფი, პოლიციის მრავალწლიანი ანაზღაურებადი აგენტი, ესერების საბრძოლო ორგანიზაციის ლიდერობამდე დაწინაურდა და მონაწილეობდა პარტიის მრავალ ტერორისტულ ოპერაციაში — მისი პოლიციელი უფროსობის ინფორმირებულობითა და ხელშეწყობით. აზეფი რევოლუციურ სასამართლოს დაუსხლტა და ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა ბერლინში 1918 წელს.

პროვოკაციის სტრატეგიას ოხრანკა ბოლშევიკებთან ბრძოლაშიც წარმატებით იყენებდა. ერთ-ერთ ასეთ წარმატებად შეიძლება დავასახელოთ ოხრანკის აგენტი რომან მალინოვსკი, რომელიც 1912 წლის ნოემბრიდან 1914 წლის მაისამდე მსახურობდა და მეოთხე სახელმწიფო დუმაში ბოლშევიკური ფრაქციის ლიდერობამდე დაწინაურდა. მისი კოდური სახელი

იყო „პარტნოი“ (თერძი) და ოხრანკა მას დიდ გასამრჯელოს უხდიდა. როდესაც საბოლოოდ მალინოვსკი ამხილეს პოლიციის ჯაშუშობაში და ის იძულებული გახდა, პეტროგრადიდან გაქცეულიყო, ლენინი გაცხარებით უარყოფდა მის მიმართ წაყენებულ ბრალდებას, ვიდრე ამ პოზიციის არალოგიკურობა აშკარა არ გახდა. 1918 წელს ბოლშევიკების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების მერე, მალინოვსკი რუსეთში დაბრუნდა, სადაც დაიჭირეს და დახვრიტეს.

ცარისტული პოლიციის მსგავსად, ჩეკაც აგენტებსა და ინფორმატორებს ნერგავდა ყველა ოპოზიციურ ჯგუფში – საბჭოთა რუსეთში დარჩენილებშიც და საზღვარგარეთ წასულებშიც. ჩეკა სრულიად ყალბ ოპოზიციურ ჯგუფებსაც ქმნიდა, რომელთა დანიშნულებაც იყო რეჟიმისთვის სახიფათოდ მიჩნეული, ემიგრაციაში წასული ადამიანების უკან, საბჭოთა რუსეთში ჩამოტყუება. ამათგან ყველაზე ცნობილი იყო „ოპერაცია ტრესტი“, რომელიც თავს აცხადებდა ძლიერ ანტიბოლშევიკურ იატაკქვეშა ჯგუფად რუსეთის შიგნით. 1925 წელს „ოპერაცია ტრესტმა“ რუსეთში ჩამოიტყუა ბრიტანელი ჯაშუში სიდნი რეილი, სადაც ის დაიჭირეს და დახვრიტეს.

ჩეკა ცდილობდა, საქართველოში მზარდ წინააღმდეგობაზე მუდამ ერთი ნაბიჯით წინ ყოფილიყო, როგორც ამას რუსეთში ახერხებდა. მაგრამ, რადგან ქვეყანაში ერთგული კომუნისტები ცოტანი იყვნენ, ვერ გროვდებოდა იმდენი ადგილობრივი ხალხი, საიდუმლო პოლიციის ადგილობრივი ვერსიის შექმნას რომ ეყოფოდა. რუსებმა ჩამოიყვანეს გამოცდილი ადამიანები, როგორიც იყო ლავრენტი ბერია, მანამდე ბაქოში რომ მუშაობდა. რუსეთშიც ამ დროისთვის სამოქალაქო ომი დასრულებული იყო და გაჩნდა შესაძლებლობა, საქართველოში გადმოესროლათ გაწაფული დამკითხველები და გასამხედროებული რაზმები.

ჩეკამ არ დააყოვნა ახალი კომუნისტური რეჟიმისთვის საფრთხედ მიჩნეული ხალხის მასობრივი დაპატიმრებები და დახ-

ვრეტები. ადამიანებს სასამართლოს გარეშე ხვრეტდნენ და ამის ადგილი ხშირად იყო ვაკე, იმჟამად დაუსახლებელი ველი ტფილისის მახლობლად (დახვრეტების ადგილას მოგვიანებით პარკი გაშენდება).

თუმცა, საქმე ყოველთვის გაურთულებლად როდი მიდიოდა. ერთი პრობლემა ის იყო, რომ არსებობდა ორი ჩეკა — საქართველოსი და ამიერკავკასიის. ამიერკავკასიის ჩეკა ჩიოდა, რომ საქართველოს ჩეკა მის ინფორმატორებს იჭერდა. ზოგი ახალი ჩეკისტი ციხიდან ახლად გათავისუფლებული გამობრძმედილი კრიმინალი იყო. ისინი კომუნისტებსაც ისევე ხოცავდნენ და ძარცვავდნენ, როგორც არისტოკრატებს და ახალი რეჟიმის მტრებად შერაცხილ სხვა ადამიანებს. ერთი ანგარიშის მიხედვით, ჩეკამ თითქმის 700 „ბანდიტი“ მოკლა ან დააპატიმრა.[12]

ჩეკა საქართველოში სულ უფრო უჭერდა მარწუხებს. როგორც დეივიდ ლენგი წერდა, „რუსეთის საიდუმლო პოლიციამ თან მოიყოლა წამებისა და დაშინების ნაცადი მეთოდები და ზოგი ადგილობრივი ახალი წევრი ამაში ძალიან ნიჭიერი მოსწავლე აღმოჩნდა. მეტეხის ციხე, რომელიც რუსეთის მეფეებს პოლიტიკურ საპატიმროდ ჰქონდათ ქცეული, პატიმრებს ვეღარ იტევდა, თუმცა ყველაზე რთული საქმეები ‘მუშავდებოდა’ ქალაქში, საზარელ ჩეკას შენობაში*, სადაც ასობით საბრალო ტყვე წარმოუდგენელ სიბინძურეში იტანჯებოდა და კვდებოდა“.[13]

კიდევ ერთი ანგარიშის თანახმად, რკინიგზის მუშათა მიერ სტალინისთვის მოწყობილი შეხვედრის გამო ისინი ჩეკას ყურადღების არეში მოექცნენ, როგორც რეჟიმის პოტენციური მოწინააღმდეგენი. როგორც ტადეუშ ვაიტლინი წერდა ბერიას ბიოგრაფიაში, „რამდენიმე ადამიანი დააპატიმრეს და ამ მუშებს შორის გამეფებული მტრული განწყობა უეჭველი იყო. ტფილი-

* დღევანდელი მისამართი: თბილისი, პავლე ინგოროყვას #22 (რედ. შენიშვნა).

სის სარკინიგზო ქარხნებში ბერიას მცირე რაოდენობის ინფორმატორი ჰყავდა, რომლებიც მას ამცნობდნენ უკმაყოფილების გამოვლინებათა შესახებ, ატყობინებდნენ განსხვავებული შეხედულების მქონე ადამიანების სახელებს და მათ კრიტიკულ გამონათქვამებს".[14]

მაგრამ ჩეკაში მხოლოდ ტფილისიდან როდი შედიოდა შეტყობინებები განსხვავებული აზრისა და შფოთის შესახებ. „თავისი აგენტებისა და დამკითხველებისგან ბერიას მოსდიოდა ცნობები ბათუმის გარშემო პორტის მუშათა შორის ძლიერი ოპოზიციური მოძრაობის შესახებ", წერს ვაიტლინი. „იტყობინებოდნენ იმასაც, რომ ქუთაისსა და სოხუმში ჯერაც რჩებოდა ინტელიგენციის დაჯგუფებები, მენშევიკები და ყოფილი ქართული ჯარის ოფიცრები, და რომ ეს დამოუკიდებლობის მოძრაობა ძლიერ აქტიური იყო".[15]

საქართველოს დევნილმა მთავრობამ, რომელსაც ნოე ჟორდანია ედგა სათავეში, საბჭოთა წყობილების დასამხობად შეიარაღებული აჯანყების მოწყობა გადაწყვიტა. 1924 წლის 10 მარტს ჟორდანიამ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტს წერილი გაუგზავნა. მან მოხაზა ეროვნული აჯანყების გეგმა, თუმცა ამტკიცებდა, რომ მასში აუცილებლად უნდა ყოფილიყო ჩართული მთელი რეგიონი, და არა მხოლოდ საქართველო. ჯუღელისადმი ადრე, 1921 წლის დეკემბერში გაგზავნილ წერილში ჟორდანია ასაბუთებს, რომ მხოლოდ საქართველო ბოლშევიკების წინააღმდეგ ომს ვერ მოიგებდა.

ჟორდანია ცდილობდა, ეპოვა მეგობრები საქართველოს მეზობლებს შორის, რომლებიც ასევე საბჭოთა მმართველობის ქვეშ მოექცნენ 1921 წლის დასაწყისისთვის. ამავე წლის ივნისში გამოქვეყნდა დეკლარაცია, რომელიც აცხადებდა, რომ შეიქმნა კავშირი „სომხეთის, აზერბაიჯანის, ჩრდილო კავკასიის და საქართველოს რესპუბლიკების, კავკასიის ხალხების დამოუკი-

დებლობისა, დემოკრატიულ წესწყობილებისა და ეკონომიურ წარმატების განსამტკიცებლად, ამ რესპუბლიკათა შორის ყოველივე უთანხმოებათა მიზეზის მოსასპობათ, და მათ შორის სოლიდარობის მკვიდრ საფუძველზე დასამყარებლათ".[16]

ისინი უმაღლეს ფსონს ჩამოდიოდნენ და გადაწყვიტეს ზოგი საუკეთესო წევრის ინფილტრაცია საქართველოში. აჯანყების მოწყობა 1924 წლის აგვისტოსთვის დაიგეგმა და აგრარული რეფორმის შემოქმედი, ყოფილი მიწათმოქმედების მინისტრი ნოე ხომერიკი, აგრეთვე სახალხო გვარდიის ყოფილი მეთაური ვლადიმერ (ვალიკო) ჯუღელი ქვეყანაში შემოაპარეს. ეს შესაძლებელი იმის წყალობით გახდა, რომ საზღვრები შედარებით არასაიმედოდ იყო დაცული, ასევე, თურქეთთან დადებული იყო შეთანხმება, რომ საზღვართან უშუალო სიახლოვეს მცხოვრებ ადამიანებს დაუბრკოლებლად შეეძლოთ გადასვლა-გადმოსვლა *.

1924 წლისთვის 37 წლის ჯუღელს საქართველოში კარგად იცნობდნენ. ადრეული ახალგაზრდობიდანვე ჩართული იყო სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში და პარტიის გაყოფის მერე თავდაპირველად ლენინსა და ბოლშევიკებს მიემხრო, თუმცა, სტალინისა და ორჯონიკიძისგან განსხვავებით, ბოლშევიკთა ბანაკში დიდხანს არ დარჩენილა და საბოლოოდ ჟორდანიას და სოციალ-დემოკრატების მომხრე გახდა. ის 1921 წლამდე შეუპოვრად ებრძოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მტრებს.

---

* თურქული მხარე, განსაკუთრებით კი ართვინისა და ყარსის გუბერნატორები, პოლიტიკური შეთანხმების საფუძველზე და კარგი გასამრჯელოს სანაცვლოდ თითქმის მუდმივად ეხმარებოდნენ ქართველებს საზღვრის გადაკვეთაში. მსგავსი პოლიტიკური მიზნით, ბრიტანული და ფრანგული დაზვერვის ხელშეწყობით, 1950-იანი წლების დასაწყისში თურქეთის მხრიდან საქართველოში შემოვიდა სოციალ-დემოკრატი ემიგრანტი მამია ბერიშვილი. ეს ბოლო ასეთი შემოსვლა იყო (რედ. შენიშვნა).

20. ემიგრანტთა ჯგუფი აკროპოლისთან, საქართველოსკენ მგზავრობისას – 1924 წლის 19 თებერვალი. სხედან მარცხნიდან: გრიგოლ ცინცაბაძე, ვასილ ნოდია, ბენია ჩხიკვიშვილი. დგანან ვალიკო ჯუღელი და ვიქტორ ცენტერაძე

ადრე, 1917 წლის სექტემბერში, ბოლშევიკების მიერ პეტროგრადში ძალაუფლების ხელში ჩაგდებამდე და საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ტფილისში სოციალ-დემოკრატებმა ჩამოაყალიბეს გასამხედროებული რაზმი, რომელიც შეიარაღებული მუშებისგან შედგებოდა. თავიდან მას „მუშათა გვარდია“ ან „წითელი გვარდია“ ეწოდებოდა. ჯუღელი მათი მეთაური იყო. ისინი გულმხურვალედ უჭერდნენ მხარს სოციალ-დემოკრატებს და მომდევნო წელს შექმნილ ახალ ქართულ სახელმწიფოში მმართველი პარტიის დასაყრდენ სამხედრო ძალად იქცნენ.

მუშათა გვარდიას არჩეული ყრილობა მართავდა და მთავარ შტაბს ერთწლიანი ვადით ირჩევდნენ. როდესაც საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა, ეს გვარდია სოციალ-დემოკრატთა უმრავლესობით შედგენილი დამფუძნებელი კრებისა და მთავრობის პირდაპირ მითითებებს ემორჩილებოდა, და არა თავდაცვის მინისტრს. შემდგომ მას „სახალხო გვარდია“ ეწოდა.

ჯუღელის პირველი წარმატება 1917 წლის ბოლოს მართლაც რომ ლეგენდარულია. იმ დროს საქართველოში ჯერაც იმყოფებოდა რუსეთის ჯარი, ათასობით ჯარისკაცით, რომელთაგან ბევრი ბოლშევიკებს უჭერდა მხარს. არსებობდა საშიშროება, რომ ისინი სამხედრო გადატრიალების მოწყობას შეეცდებოდნენ. ამის თავიდან ასარიდებლად, ასევე იმისათვის, რომ საქართველოს დემოკრატიულ ძალებს საკუთარი კარგად აღჭურვილი სამხედრო ძალა ჰქონოდა, ჯუღელი და მისი ხალხი ტფილისის არსენალს დაეცნენ და იარაღი ჩაიგდეს ხელში.

ეს გაბედული რეიდი იმდენად წარმატებული იყო, რომ ამის მერე რამდენიმე წლის განმავლობაში 12 დეკემბერი აღინიშნებოდა, როგორც ეროვნული დღესასწაული („სახალხო გვარდიის დღე“), რომელიც მხოლოდ 26 მაისის დამოუკიდებლობის დღეს ჩამოუვარდებოდა მნიშვნელოვნებით. სწორედ არსენალის ამ რეიდმა განაპირობა, რომ საქართველო მყისვე არ

მოექცა საბჭოთა რუსეთის ბატონობის ქვეშ და რამდენიმე წლის განმავლობაში თავისუფალი დარჩა ბოლშევიკური მმართველობისგან.

ბერიას შვილმა სერგომ დაწერა მამის ბიოგრაფია, რომელშიც, როგორც მოსალოდნელიც იყო, მას დადებითი მხრიდან წარმოაჩენდა. მის ნაწერი, უკეთეს შემთხვევაში, დაუსაბუთებელ ამბებად უნდა მივიჩნიოთ. ის ამბობს, რომ ჩეკამ ბევრი რამ იცოდა მომავალი აჯანყების შესახებ. „მამაჩემს უნდოდა, თავიდან აეცილებინა შეჯახება, არ დაეშვა მასობრივი აჯანყება და რუსული ჯარის ჩარევა. მას ეშინოდა იმ გარდაუვალი რეპრესიების, რომელიც ამას მოჰყვებოდა“, წერდა ის.[17]

სერგო ბერიას თუ ვერწმუნებით, მამამისმა ანგარიში გაუგზავნა ორჯონიკიძეს, მთელი ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციის მაშინდელ ხელმძღვანელს, მან კი ყველაფერი სტალინს შეატყობინა. როგორც ავტორი წერს, „უეჭველია, მოსკოვის ხელდასხმით“, ბერიას მისცეს უფლებამოსილება, „დაკონტაქტებოდა მენშევიკებს, შეეტყობინებინა მათთვის, რომ მათი გეგმა აღმოაჩინეს, და დაერწმუნებინა, განზრახულზე ხელი აეღოთ. მენშევიკებამდე ამ გაფრთხილებამ მიაღწია, მაგრამ, ბრიტანელთა ზეწოლით, მათ გადაწყვიტეს, რომ ეს ‘პროვოკაცია’ იყო“.[18] ბრიტანელთა ამგვარ კონტექსტში ხსენება შეესაბამება საბჭოთა ნარატივს, რომ 1924 წლის აჯანყება დასავლური იმპერიული ძალების მოთხოვნით მოეწყო.

სერგო ბერიას თქმით, მამამისმა შესთავაზა ზემდგომებს, შეხვედროდა რომელიმე სოციალ-დემოკრატს საქართველოში. ბერია „დაუმტკიცებდა, რომ იცოდა, სად იყო განლაგებული მთელი მათი მარაგები და იარაღი. მასთან გამოგზავნეს საქართველოს მენშევიკური გვარდიის ყოფილი მეთაური ჯუღელი“.[19]

სერგო ბერია დარწმუნებულია, რომ ჯუღელი თბილისში ჩეკასთან შესახვედრად ჩამოვიდა და წესით [ამის შემდეგ] დასავლეთ საქართველოში უნდა გამგზავრებულიყო. მაგრამ ჯუღელ-

მა „საყვარელი იპოვა“, „ყოველგვარი სიფრთხილე დაკარგა“ და საქართველოს დედაქალაქში დარჩა. სერგო ბერიას ცნობით, ჯუღელი ერთ-ერთმა ყოფილმა საყვარელმა გასცა. ხოლო ბერიას უფროსი, კვანტალიანი — რომელსაც წიგნის ავტორი „სრულ იდიოტად“ მოიხსენიებდა, ტრაბახობდა, რომ მან ეროვნული გვარდიის ცნობილი მეთაური დაიჭირა.

ჯუღელი დარწმუნებული იყო, რომ მას უღალატეს და გასცეს. ის თბილისში შედარებით ახალი ჩამოსული იყო და მისი დაბრუნების შესახებ ძალიან ცოტამ იცოდა. მისი თქმით, ადამიანთა „მეტად განსაზღვრულ წრესთან“ ურთიერთობდა. „გამცა ვიღაც „ამხანაგმა“ და როგორც სჩანს ახლობელმა, რადგან მე კავშირი მქონდა მეტად განსაზღვრულ წრესთან*“.[20]

1924 წლის 7-8 აგვისტოს ჯუღელი ტფილისში ჩეკას საკანში გამოკეტეს. მან თავის მოკვლა სცადა — ვენები გადაიჭრა. მედილეგეებმა ამაში ხელი შეუშალეს და სიკვდილს გადაარჩინეს — დროებით. მისი სიკვდილ-სიცოცხლე მხოლოდ ჩეკას შეეძლო გადაეწყვიტა.

სერგო ბერიას უწერია, რომ, როდესაც მამამისმა ჯუღელის დაპატიმრების ამბავი გაიგო, მყისვე ორჯონიკიძესთან შესახვედრად გაეშურა. ძველმა ბოლშევიკმა — „ცხოვრებაში პირველად“ — იმედი გაუცრუა ახალგაზრდა ჩეკისტს. „მე გაგაფრთხილე, რომ, თუ ეს საქმე გახმაურდებოდა, თითსაც არ გავანძრევდი“, უთხრა ორჯონიკიძემ.[21] თუ რა მოხდა შემდეგ, ამის შესახებ სხვადასხვა ამბავს ჰყვებიან. როგორც ჩანს, ბერია წავიდა და ჩეკას ერთ-ერთ ციხეში ჯუღელი მოძებნა.

ბოლოდროინდელი რუსული წყაროების მიხედვით, „ყველანაირად ეცადნენ, რომ ვალიკოს თავი ტუსაღად კი არა, პარტნიორად ეგრძნო. მას ნებას რთავდნენ, ელაპარაკა სხვა დაპა-

* გაზეთი „კომუნისტი“ # 196 (1051). 1924 წ. 29 აგვისტო, პარასკევი (რედ. შენიშვნა).

21. ვალიანურ ჯარებიდან წერილები გზავნა *ალეკსანდრეში*. 1924 წლის 29 აგვისტო.

ტიმრებულ მენშევიკებთან, უხვ სუფრას უშლიდნენ და ღვინოსაც მიართმევდნენ“.[22] ბერიამ ჯუღელს უთხრა, რომ ჩეკამ მათი გეგმების შესახებ ყველაფერი იცოდა, და გააფრთხილა, რომ აჯანყება სავალალოდ დამთავრდებოდა. ჩეკას მეთაურებმა ჯუღელს შესთავაზეს ასეთი შეთანხმება: „მენშევიკები უარს ამბობენ აჯანყებაზე, აღიარებენ საბჭოთა ხელისუფლებას; ამის სამაგიეროდ გამოცხადდება ფართო პოლიტიკური ამნისტია და მენშევიკები მიიღებენ თანამდებობებს საქართველოს მთავრობაში“.[23]

12 აგვისტოს ჯუღელმა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და დამკომს წერილები მისწერა. იგი თანამებრძოლებს მოუწოდებდა, აღარ დაეწყოთ აჯანყება, რადგან მას საფრთხე ემუქრებოდა. ჩეკამ მის შესახებ უკვე ყველაფერი იცოდა. ჯუღელი თანამებრძოლებს უთვლიდა, რომ „აჯანყების საკითხის გადაჭრით მოხსნა გაანთავისუფლებს ქართველ ერს საშიშარ ილიუზიისაგან და მით საშვალებას მისცემს მას უფრო გაბედულათ და ენერგიულათ წავიდეს წინ ეროვნულ-კულტურულ აღორძინების გზით*“.

მაგრამ ციხის გარეთ მყოფ მის ამხანაგებს კარგად ესმოდათ, რომ ეს წერილები ჯუღელს იძულებით დააწერინეს. ჯუღელმა დაასკვნა, რომ ერთადერთი შესაძლებლობა, შეეჩერებინა აჯანყება, რომელიც დანამდვილებით სასტიკ სისხლისღვრად იქცეოდა, აჯანყების ლიდერებთან პირისპირ შეხვედრა იყო. მან ჩეკას სთხოვა, დროებით გაეთავისუფლებინათ. გარანტიად იმისა, რომ საპატიმროში დაბრუნდებოდა, ჩეკისტებს შესთავაზა, მისთვის ნელი მოქმედი საწამლავი მიეცათ. მაგრამ ამაოდ — ის არ გაუთავისუფლებიათ.

29 აგვისტოს ჯუღელის წერილები ქართულ და რუსულ ენებზე გამოქვეყნდა ადგილობრივ გაზეთებში. ამ წერილებმა მთელი ქვეყანა გააოგნა — აჯანყების ლიდერი მის გაუქმებას ითხოვდა.

---

* გაზეთი „კომუნისტი“ # 196 (1051). 1924 წ. 29 აგვისტო, პარასკევი (რედ. შენიშვნა).

ამავე პერიოდში გამოქვეყნდა ოპოზიციის სხვა ლიდერების წერილებიც, რომლებშიც ისინი უარს ამბობდნენ ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაზე. ერთ-ერთი იყო რუსი ყოფილი სოციალისტ-რევოლუციონერი ბორის სავინკოვი, რომელიც ფარულად დაბრუნდა რუსეთში ყალბ ორგანიზაციასთან შესახვედრად „ოპერაცია ტრესტის“ ფარგლებში. სავინკოვიც, ჯუღელის მსგავსად, 1924 წლის აგვისტოში დაიჭირეს და, ეტყობა, მანაც დაწერა წერილი, რომელშიც თავის ანტიბოლშევიკურ შეხედულებებს უარყოფდა.

ჩეკამ მიაგნო ეფექტიან სტრატეგიას, როგორ მოეშორებინა ანტიკომუნისტური მოძრაობის ლიდერები და ის ეფექტიანად გამოიყენა როგორც ჯუღელთან, ასევე სავინკოვთან.

ამასობაში ლავრენტი ბერიამ, როგორც ჩანს, ორჯონიკიძესა და ჩეკას უფროსს, ძერჟინსკის, გაუგზავნა წერილი, რომელშიც ამბობდა, რომ არასწორად მიაჩნდა ის, როგორ ეპყრობოდნენ ჯუღელს. ამასთან, ითხოვდა ნებართვას, დროებით წასულიყო და მოენახულებინა ფეხმძიმე ცოლი. ბოლოს, აგვისტოს მიწურულს, მას ნება დართეს, მოენახულებინა ცოლი აბასთუმანში, სადაც ის 21 აგვისტოს ჩავიდა.

ეროვნულ აჯანყებამდე ერთი კვირაღა რჩებოდა.

ჭიათურა

დამკომის სამხედრო ცენტრის წევრების დახვრეტის, საზღვარგარეთიდან ჩამოსული სოციალ-დემოკრატთა გამოჩენილი ლიდერების დაპატიმრების და ჩეკას მიერ აჯანყებულთა რიგებში შეღწევისა და მათი გეგმების ცოდნის მიუხედავად, 1924 წლის 28 აგვისტოს 04:00 საათზე დიდხანს ნამზადები აჯანყება მაინც დაიწყო.

სოციალ-დემოკრატებს მიაჩნდათ, რომ, ამ შეფერხებათა მიუხედავად, აჯანყება მაინც უნდა მომხდარიყო, და ამის რამდენიმე მიზეზი ჰქონდათ. ამათგან ერთი და, შესაძლოა. უმთავრესი გახლდათ, რომ რამდენიმე ევროპული ქვეყანა (ბრიტანეთის ჩათვლით) საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობათა „ნორმალიზების“ პროცესში იყო. ეს ნიშნავდა არა მხოლოდ დიპლომატიურ აღიარებას, არამედ სავაჭრო კავშირებსაც. თუ ქართველები ცოტას კიდევ დააყოვნებდნენ, მაშინ უცხოეთის დახმარების იმედი აღარ უნდა ჰქონოდათ. თუმცა, როგორც ვნახავთ, უკვე ისედაც გვიანი იყო.

შესაძლოა, მათ ჰქონდათ განცდა, რომ აჯანყება მაინც უნდა მომხდარიყო, თუნდაც რომ თავიდანვე დამარცხებისთვის ყოფილიყო განწირული. რაღაცით ის შეიძლება შევადაროთ 1916 წლის აღდგომის აჯანყებას ირლანდიაში. როგორც ტიმოთი ბლაუველტი წერს, საქართველოს 1924 წლის აჯანყება „გასაოცრად ჰგავს ‘დამარცხებით გამარჯვების’ იდეას, რომელიც ირლანდიის 1916 წლის აღდგომის აჯანყებას უკავშირდება, თუმცა საქართველოსთან დაკავშირებულ არცერთ წყაროში არ გვხვდება ნიშანი იმისა, რომ რომელიმე მოქმედ პირს იმ დროს ამგვარი შედარება გაეკეთებინოს“.[24] აჯანყებულები იმ დროს დაბეჯითებით გეტყოდნენ, რომ აჯანყებას წარმატების შანსი ჰქონდა და ისინი გამარჯვებას ესწრაფოდნენ — და არა მოწამეობას.

აჯანყება დაიწყო ჭიათურაში — ქართული მარგანეცის მოპოვების ცენტრში. ერთი საბჭოთა ისტორიკოსი მრავალი წლის შემდეგ მაშინდელ მოვლენებს ამგვარად აღწერდა: „აჯანყებულთა მცირერიცხოვანმა რაზმებმა ქალაქის მძინარე მოსახლეობას მოულოდნელად შეუტია“. ის ამტკიცებდა, რომ აჯანყებაში მხოლოდ ოცდაათიოდე ადამიანი მონაწილეობდა და ისინი ყველანი „მენშევიკები, თავადები და მეფის ოფიცრები“ იყვნენ. ოფიციალური საბჭოთა ინტერპრეტაციით, ამ აჯანყებუ-

ლებს ემატებოდა რამდენიმე დაუსაქმებელი მუშა, რომლებიც მოისყიდეს, რათა აჯანყებას შეერთებოდა“.[25]

მაგრამ, როგორც ჩანს, ეს რიცხვები მეტად შემცირებულია. მოსკოვში გაგზავნილ ანგარიშში ორჯონიკიძე წერდა, რომ „საერთო აჯანყების ნიშანი იყო შეიარაღებული რაზმების მიერ ჭიათურისა და საჩხერის სადგურების დაკავება, რაც 1924 წლის 28 აგვისტოს, დილის 4 საათზე მოხდა“.[26]

ისტორიული ცნობების უმრავლესობა გვაუწყებს, რომ ეს დაგეგმილ დროზე ერთი დღით ადრე მოხდა. ზუსტად არავინ იცის, ეს აჯანყება ამ დროს რატომ დაიწყო.

დონალდ რეიფილდი ორჯონიკიძის მიერ უფროსობისთვის გაგზავნილ ცნობებს გარკვეულ დეტალებს ამატებს. „28 აგვისტოს, დილის 4 საათზე, მაღაროელთა ქალაქ ჭიათურაში ერთი ტყვიამფრქვევით (რომელიც დროდადრო იჭედებოდა) შეიარაღებულმა 112-მა სოციალ-ფედერალისტმა რკინიგზის სადგური და ხიდები დაიკავა და კომუნისტები დახოცა ან დააპატიმრა. შემდეგ ათასამდე ამბოხებული, მათ შორის გლეხები და მასწავლებლები, ქუთაისის მახლობლად მდებარე სოფლებს თავს დაესხა“.[27]

საბჭოთა ისტორიკოსები ამტკიცებდნენ, რომ აჯანყებულებმა ჭიათურაში ჯერ დააპატიმრეს კომუნისტები, საბჭოთა სამთავრობო მოხელეები და პროფკავშირების მუშაკები, შემდეგ კი სასწრაფოდ შეადგინეს „დროებითი მთავრობა“ ვინმე თავად წერეთლის* მეთაურობით. ამ მთავრობამ გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა და გამოსცა მიმართვა მოსახლეობისადმი. „მიმართვა ცილს სწამებდა კომუნისტებს და ამტკიცებდა, რომ ‘მთელი საქართველო აღდგა, და მის კვალდაკვალ მთელი ამიერკავკასია, მთელი კავკასია და რუსეთის ყველა სხვა ნაწილიც აჯანყდება’“.[28]

---

* გიორგი წერეთელი — აჯანყების მეთაური ჭიათურაში. აჯანყების დამარცხების შემდეგ წავიდა საფრანგეთში ემიგრაციაში (რედ. შენიშვნა).

მთელი საქართველო არ იყო აღმდგარი და არც მერე აღდგებოდა. თუ აჯანყებულები მართლაც ასე ამბობდნენ, მაშ, ზედმეტად ოპტიმისტურად უყურებდნენ მოვლენებს.

თუ ამბოხებულები ცდილობდნენ, თავიანთი წამოწყებისთვის ფართო სახალხო მხარდაჭერა მოეპოვებინათ, საბჭოთა ისტორიკოსების ვერსიით, ამას ძალიან უცნაურად აკეთებდნენ. იმის ნაცვლად, რომ დაემალათ თავიანთი არაპოპულარული რეაქციონერული დღის წესრიგი, მათ დაუყოვნებლივ, დღისითმზისით დაიწყეს მისი განხორციელება. „მარგანეცის მაღაროების მფლობელები მყისვე დაბრუნდნენ ჭიათურაში მათთვის ჩამორთმეული მაღაროების დასაბრუნებლად“, წერს ტრიფონოვი, „სოფელ ჭალაში [წერეთლებმა] გლეხებს მიწები წაართვეს. სხვა სოფელში აზნაურები გლეხების ყანებში სიმინდის მოსავლის აღებას შეუდგნენ“.[29]

თუკი მართლაც ასე ხდებოდა, გასაგებია, რატომ ჩაიშალა აჯანყება ასე სწრაფად ქალაქში, სადაც ის პირველად დაიწყო. მაღაროების დასაკუთრება და გლეხებისთვის სიმინდის წართმევა აჯანყების მომხრეების მოზიდვის არცთუ კარგი ხერხი იყო.

„ბევრგან აჯანყებულები რამდენიმე საათში გაფანტეს მოხალისეთა რაზმებმა“, წერს ტრიფონოვი. „დაპატიმრებამდე, ჭიათურელმა კომუნისტებმა შეძლეს, ტელეგრაფით დაჰკავშირებოდნენ ქ. შორაპანს. 29 აგვისტოს დილის 8 საათზე აჭარიდან წამოსული კომუნართა მცირე რაზმი ჭიათურაში გასროლის გარეშე შევიდა. ქალაქის გათავისუფლებაში აქტიურად იყო ჩაბმული ორმოცდაათი შეიარაღებული კომუნისტი და რამდენიმე ჩეკისტი შორაპნიდან. ჭიათურის რაიონის გლეხები მტკიცედ ეწინააღმდეგებოდნენ ძალდატანებით მობილიზაციას და მხარს არ უბამდნენ აჯანყებულებს. თავად წერეთლის „დროებითი მთავრობა“, რომელმაც სულ ოცდაოთხი საათის განმავლობაში იარსება, გაურკვეველი მიმართულებით გაუჩინარდა, რათა ხალხის

რისხვისგან გადაერჩინა თავი. გლეხები თავად ატყვევებდნენ აჯანყებულებს და მათ მკაცრად დასჯას მოითხოვდნენ.“[30]

სტალინისთვის გაგზავნილ ანგარიშში ორჯონიკიძე ამ ამბავს ამგვარად აჯამებს: „მართალია, 30 აგვისტოს ხელისუფლებამ ისინი უკვე მოიგერია. აჯანყებულებმა დაიხიეს მთებში, სურამის მიმართულებით“.[31]

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩანს, ეს ცუდად დაგეგმილი და ცუდად აღსრულებული აჯანყება იყო – სრული მარცხი, თუმცა მთლად ისეთიც არა, როგორც ამას შემდგომში საბჭოთა ისტორიკოსები აღწერენ.

იმ პირველ დღეს ჭიათურაში მომხდარის აღწერები ერთმანეთისგან ძლიერ განსხვავდება. ბერიას არცთუ სარწმუნო ბიოგრაფიიდან ვიგებთ, რომ „ჭიათურაში ერთ-ერთი მაღარო დინამიტით ააფეთქეს. ეს დასავლეთ საქართველოში განმათავისუფლებელი ძალებისთვის საერთო აჯანყების დაწყების ნიშანი იყო. ასობით მაღაროელი და მუშა შეიარაღდა არა მხოლოდ ავტომატებით, თოფებითა და ხიშტებით, არამედ – ეროვნულ კავალერიაში გამოყენებული შუბებითა და ხმლებითაც, გრძელი ქართული ხანჯლებით ან უბრალოდ მძიმე ფიწლებით“.[32]

ჭიათურის მოვლენების უფრო ახალი აღწერა ეკუთვნის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ თანამედროვე ქართველ მწერალს, აკა მორჩილაძეს, და მისეული ვერსია ცოტათი განსხვავებულია. ისტორიკოსთა უმრავლესობა თანხმდება, რომ ჭიათურის აჯანყება დროზე ადრე დაიწყო, და სხვადასხვანაირად ხსნიან, თუ რატომ მოხდა ასე. მორჩილაძე წერს, რომ „... 24 საათით ადრე აჯანყება დაიწყო ჭიათურაში. ..... ეს არ იყო მარტო ის, რომ ქართველურად ვიღაცეებს აერიათ ..... ამ დღეს გაიტანეს ჭიათურის მარგანეცის სალარო. რამდენიმე ახალგაზრდა კაცმა ქნა ეგა. ..... ეს ახალგაზრდები თავის დასაცემ საქმეზე იყვნენ იქა, თუ თავიანთი საქმე განგებ ჩააბეს აჯანყებას, ვინ იცის. ასე იყო თუ ისე იყო, უცბად გავარდა ამბავი, რომ ჭიათურაში დაიწ-

ყო აჯანყება და შეიქმნა ისეთი ვითარება, რომ სადაც გაიგეს ეს ამბავი, მეორე დილითვე ყველგან დაიწყეს. ამ დროს კი უნდა მოეცადათ, რომ ერთ დროს, ერთ წუთსა და ერთ საათს დაწყებულიყო."[33]

ეს ნამდვილად ვერ იყო საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ ამდენხანს ნალოდინევი აჯანყების ბრწყინვალე დასაწყისი.

აჯანყება ფართოვდება

აჯანყება თითქმის დაწყებისთანავე დამთავრდა.

ის ჭიათურის ამბოხის ჩახშობით არ დასრულებულა. ორჯონიკიძე წერდა, რომ მეორე დღის დილით აჯანყებულებმა დაიწყეს რკინიგზის გასწვრივ გაჭიმული ტელეგრაფის ხაზების დაზიანება, ასევე, ბათუმამდე მთელ გზაზე რკინიგზის სადგურების დაკავება. ორჯონიკიძის წერილის მოსკოვში ჩასვლიდან ერთ დღეში *ნიუ-იორკ თაიმსმა* გამოაქვეყნა ცნობა, რომელიც, შესაძლოა, პირველი ინფორმაცია იყო მსოფლიოსთვის იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა საქართველოში. და ის პრაქტიკულად სიტყვასიტყვით იმეორებდა საბჭოთა სახელმწიფოს პროპაგანდას. სტატიის სათაური იყო „საბჭოეთი აჯანყებას ახშობს – საქართველოს რესპუბლიკის ამბოხმა მხოლოდ ერთ დღეს გასტანა", და მას *თაიმსის* მოსკოველი კორესპონდენტი აწერდა ხელს.

სტატია იწყებოდა საბჭოთა ინფორმაციის გამეორებით: „საქართველოს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს ოფიციალური განცხადება იუწყება, რომ ჩახშობილია კონტრრევოლუციური ამბოხის მცდელობა, რომელიც საქართველოში საბჭოთა რეჟიმის გადაგდებას ისახავდა მიზნად". გაზეთი იუწყებოდა, რომ „აჯანყებულთა რაზმებმა, რომლებიც ყოფილი ოფიცრების, მემამულეებისა და ვაჭრებისგან შედგებოდა, პარასკევს ადრიან

დილით აიღეს ქუთაისის მაზრის ქალაქი ჭიათურა და მოახერხეს მისი შენარჩუნება მთელი დღის განმავლობაში, თუმცა შემდეგ სამთავრობო ძალებმა ისინი ქალაქიდან გაყარეს მძიმე დანაკარგებით. სხვაგან, მცირე სოფლებში, აჯანყებულებმა კიდევ უფრო ნაკლებ წარმატებას მიაღწიეს. მათი ლიდერები დააპატიმრეს. ეს აჯანყება მიეწერება სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და ნაციონალისტების კომიტეტს თავად ანდრონიკოვის მეთაურობით".[34]

ამ მოკლე სტატიაში რამდენიმე საინტერესო რამ გვხვდება თვალში და ამათგან არცთუ უმნიშვნელოა ფაქტი, რომ მასში უკრიტიკოდ არის გამეორებული ოფიციალური საბჭოთა ვერსია. მასში ნათქვამია, რომ აჯანყებამ ერთ დღესაც ძლივს გასტანა, როდესაც ცნობილია, რომ ის, სულ ცოტა, კიდევ რამდენიმე დღის განმავლობაში გაგრძელდა და ქვეყნის სხვა ნაწილებსაც მოედო. და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, მასში აჯანყებულებზე ნათქვამია, რომ ისინი იყვნენ „ყოფილი ოფიცრები, მემამულეები და ვაჭრები" — სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბოლშევიკების ტრადიციული მტრები, ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის დროიდან მოყოლებული. აქ არ ჩანდნენ სხვა აღწერებში ნახსენები ფიწლებით შეიარაღებული მაღაროელები, მუშები, მეთევზეები და სკოლის მოსწავლეები.

აჯანყებულთა ამგვარ დახასიათებას საფუძველი არ გააჩნდა. დღემოკლე დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკის ერთ-ერთ უდიდეს მიღწევად სწორედ მიწის რეფორმის დასახელება შეიძლება. ეს რეფორმა იმდენად პოპულარული იყო, რომ მემამულეთა მხრიდან მას წინააღმდეგობა ფაქტობრივად არ შეხვედრია (რუსეთისგან განსხვავებით). მაშ, სოციალ-დემოკრატები რაღა მემამულეთა აჯანყებას მოაწყობდნენ?

ეს ბოლშევიკური წარმოდგენა, რომ აჯანყებულები მემამულეები, კაპიტალისტები, მღვდლები და სხვა რეაქციონერები იყვნენ, მომავალი ათასწლეულების განმავლობაშიც შენარჩუნ-

დება. გვიანდელი საბჭოთა ცნობები 1924 წლის აჯანყებას „მენშევიკურ-კულაკურ ჯანყს“ უწოდებს.

ქართველი კომუნისტი მოხელეების გაგზავნილი პირველი დაშიფრული წერილები მღელვარების გავრცელებისა და წარმატებული საწინააღმდეგო ზომების შესახებ სხვა ამბავს გვიყვება:

> ხელისუფლება ენერგიულად ამოქმედდა. ასე, მაგალითად, ბათუმში დააპატიმრეს ქართველ მენშევიკთა საბრძოლო რაზმი, რომელსაც სამხედრო ტროიკა მეთაურობდა. ამავე დროს თბილისიდან და ბათუმიდან, ჯავშანმატარებლის დაცვით, წითელი არმიის ჯარისკაცთა რაზმებმა და ტრანსპორტის ჩეკამ აჯანყებულები განდევნეს რკინიგზის ლიანდაგებიდან. 31 აგვისტოსთვის სამტრედია-ბათუმის ხაზი გაწმენდილი იყო, 1 სექტემბრისთვის კი გამოსწორდა რკინიგზისთვის მიყენებული დაზიანებები. აჯანყებულები განიდევნნენ სადგურ ქვალონიდან და ჩაშლილი იქნა მენშევიკთა მცდელობა, დაეკავებინათ ქალაქი ოზურგეთი.[35]

ნიუ-იორკ თაიმსის უწყებული „ერთდღიანი აჯანყება“ რაღაც უფრო სერიოზული, უფრო ფართომასშტაბიანი და კომუნისტური რეჟიმისთვის უფრო სახიფათო გამოდგა. თავდაპირველად ბრძოლები ძირითადად დასავლეთ საქართველოში მიმდინარეობდა. შიდა საბჭოთა ცნობების თანახმად:

> 1 სექტემბრის ღამეს აჯანყებულებმა საგარეჯო-ბადიაურის მონაკვეთზე ტელეგრაფის სადენების დაზიანება მოახერხეს. ამავე დროს, ჩაეშალათ იორის აღების მოკრძალებული მცდელობა. 30 აგვისტოს საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში აჯანყებულებმა ქალაქი ზუგდიდი აიღეს. ქალაქი მალევე გაათავისუფლა საბჭოთა შენაერთებმა, თუმცა უკანდახეული აჯანყებულები შეუერთდნენ რკინიგზიდან განდევნილ აჯანყებულებს და აფხაზეთის ქალაქ სუხუმ-კალეს დაემუქრნენ. ამავდროულად, 30 აგვისტოს, აჯანყება ზემო და ქვემო

> სვანეთს მოედო, საიდანაც აჯანყებულთა რაზმები ყოფილი პოლკოვნიკ დადეშქელიანის მეთაურობით ქუთაისისა და აფხაზეთისკენ დაიძრნენ. შედეგად, სოხუმიდან გაწყდა კავშირი ტფილისთან, თუმცა შენარჩუნდა დონის როსტოვთან.[36]

შეტაკება სულ უფრო მძაფრდებოდა და მასში საბჭოთა ფლოტის გემებიც კი ჩაერთო, რაკი სასტიკი ბრძოლები არ წყდებოდა:

> 2 სექტემბერს აჯანყებულებმა შეძლეს, უკან დაეხევინებინათ საბჭოთა რაზმებისთვის, რომლებმაც სოხუმი დატოვეს, და კვლავ ეჭირათ გზის მონაკვეთი, რომელიც მანამდე ჩაიგდეს ხელში. სევასტოპოლიდან სოხუმში სასწრაფოდ გაგზავნეს გამანადგურებელი ხელისუფლების დასახმარებლად.[37]

მაგრამ აფხაზეთიდან დახმარება მოემართებოდა — საქართველოს ეს მხარე ადრევე მოექცა რუსეთის გავლენის ქვეშ და ის დღესაც კი რუსეთის ჯარს აქვს ოკუპირებული. 1924 წელს აფხაზები გამაგრებული საბჭოთა ძალების დასახმარებლად მოვიდნენ. როგორც შემდგომ საბჭოთა ისტორიკოსი ტრიფონოვი წერდა:

> აფხაზეთის ყველა მაზრაში გლეხებმა, კომუნისტთა მეთაურობით, შექმნეს მოხალისეთა რაზმები და აჯანყებულთა წინააღმდეგ საბრძოლველად გაგზავნეს. ზოგი სოფლიდან 300 მოხალისეც კი მოგროვდა. აფხაზეთის რესპუბლიკის სახალხო კომისრების საბჭოს თავმჯდომარის, ნ. ლაკობას* მეთაურო-

---

* ნესტორ ლაკობა (1893-1936) — აფხაზი პოლიტიკოსი, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბოლშევიკური ფრაქციის წევრი. 1918-1921 წლებში იბრძოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. 1921 წლიდან იყო აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის (შემდგომში ავტონომიური რესპუბლიკის) სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე, აფხაზეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომი-

ბით აფხაზური რაზმები საბჭოთა ჯარებს ოზურგეთისა და ზუგდიდის მაზრებში აჯანყებულთა განადგურებაში დაეხმარნენ.[38]

მას მერე, რაც ბერიას საქართველოში კომუნისტთა მმართველობის შენარჩუნებაში დაეხმარა, ნესტორ ლაკობა მრავალი წლის განმავლობაში დარჩა აფხაზეთის უცვლელ ხელმძღვანელად. თუმცა, ზოგი ცნობის თანახმად, საბოლოოდ ისიც ბერიამ მოკლა — მოწამლა.[39]

სვანეთში, აჯანყება ვერ გაძლიერდა, თუმცა ეს მხარე წარსულში ანტისაბჭოთა პარტიზანული ბრძოლის კერა იყო. საბჭოთა ცნობების თანახმად:

> აჯანყებას მტრულად ეკიდებოდა მოსახლეობა, განსაკუთრებით კი სვანები, რომლებსაც თავიანთი საძოვრების დაკარგვის ეშინოდათ, ამიტომ ის თანდათან მიილია, აჯანყებულები კი მახლობელ რაიონებში გაიფანტნენ. ამ სიტუაციაში საბჭოთა საქართველოს ხელისუფლება დადგა იმ პრობლემის წინაშე, რომ აჯანყებულთა ცალკეული ჯგუფები სხვა რაიონებში აღწევდნენ, და მიიღო ზომები, რომ ისინი სვანეთში, ყარაჩაიში და ბალყარეთში არ შეეშვა.[40]

აჯანყებულებმა დასავლეთ საქართველოში გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს. როგორც ვაიტლინი წერდა:

> იმის მიუხედავად, რომ აჯანყების დაწყება გეგმის მიხედვით არ მომხდარა, ის იმდენად გავრცელდა, რომ საბჭოელი დამპყრობლები მას იოლად ვეღარ ახშობდნენ. საბრძოლო მოქმედებების პირველი კვირის განმავლობაში გამარჯვება თითქოს პატრიოტებს რჩებოდათ. მაგრამ აღჭურვილობა და მარაგები მალე შემოელიათ.[41]

ტეტის თავმჯდომარე. გარდაიცვალა 1936 წელს თბილისში საეჭვო ვითარებაში (რედ. შენიშვნა).

აჯანყება ქვეყნის მხოლოდ ზოგ ნაწილს მოედო:

> საქართველოს 18 მაზრიდან აჯანყებამ სრულად მოიცვა მხოლოდ ერთი, ხოლო ნაწილობრივ – ოთხი. ... ტფილისის მაზრის ხუთ სოფელში აჯანყებას დაახლოებით 30 ადამიანი შეუერთდა. ანტისაბჭოთა ბრძოლამ მნიშვნელოვანი მასშტაბები მხოლოდ გურიაში მიიღო, სადაც მასში კულაკები და შეძლებული გლეხობა ჩაება. თუმცა, აჯანყების ყველაზე მსხვილ კერებშიც კი შეთქმულების მხარეს 150-200 კაცზე მეტი არ გადადიოდა“.[42]

აშშ-ს კონგრესის ცივი ომის პერიოდის ანგარიშში ეს აჯანყებულები ძალიან დადებითად არიან წარმოჩენილი. „კომუნისტი მოხელეები დაიჭირეს და ციხეში ჩაყარეს“, ვკითხულობთ ანგარიშში. მაგრამ დამკომს გაცემული ჰქონდა „მკაცრი განკარგულებები, რომ არცერთი დატყვევებული კომუნისტი არ მოეკლათ. ისინი შემდგომ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თანახმად უნდა გასამართლებულიყვნენ“.[43] საბჭოთა ისტორიკოსები აჯანყებულთა ქცევის ამგვარ აღწერილობას არ ეთანხმებოდნენ. მაგრამ კარლ კაუცკიმ 1924 წელს დაადასტურა, რომ ეს ცნობა არსებითად სიმართლე იყო. იგი წერდა:

> რამხელა უფსკრული ყოფს ამ ხალხს [ბოლშევიკებს] ჩვენგან – [გავიხსენოთ] მხოლოდ ერთი მაგალითი უახლესი წარსულიდან. ამა წლის სექტემბერში, საქართველოში ბოლშევიკების უღლის წინააღმდეგ უკანასკნელი აჯანყებისას ამბოხებულებმა ბევრი გამოჩენილი კომუნისტი ჩაიგდეს ტყვედ. მიხეილ კახიანმა*, რომელიც საქართველოს ერთ-ერთი ხელ-

* მიხეილ კახიანი (1896-1937) – ბოლშევიკი, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი (1924-1930), კომუნისტური პარტიის ცენტრალური აზიის ბიუროს მეორე მდივანი. დახვრიტეს 1937 წელს (რედ. შენიშვნა).

> მძღვანელი კომუნისტია, ტფილისში საქართველოს კომუნისტური პარტიის ყრილობას მოახსენა მათი ბედის შესახებ.[44]

კაუცკი ციტირებს კახიანის განცხადებას, რომელიც კომუნისტური პარტიის ოფიციალურ გაზეთებში გამოქვეყნდა 11 სექტემბერს, აჯანყების ჩახშობიდან ცოტა ხანში:

> ჩვენ აქამდე არც პრესაში, არც ყრილობებზე არაფერი გამოგვიცხადებია [თუ რა ბედი ეწია ტყვეებს], რადგან ვიცოდით, რომ ისინი საღ-სალამათი დაბრუნდებოდნენ. დარწმუნებული ვიყავით, რომ ეს ხალხი (აჯანყებული მენშევიკები) ვერ გაბედავდა, მათთვის რამე დაეშავებინა. მართლაც, მენშევიკებმა დაამტკიცეს, რა სუსტები, მხდალები და გულჩვილები არიან ამ მხრივ.[45]

ბოლშევიკებს კი ვერასოდეს დასწამებენ, „სუსტები, მხდალები და გულჩვილები“ ხართო. როგორც კახიანი წერდა: ისინი არ ხოცავდნენ ჩვენს ამხანაგებს, თუმცა ჩვენ ასობით მათგანი დავხვრიტეთ, მათი ცენტრალური კომიტეტის წევრებიც კი.[46] როგორც კაუცკი აჯამებს, „თავის მოწინააღმდეგეთა სულგრძელ ჰუმანურობას ის მხოლოდ ზიზღით უყურებდა“.[47]

უფრო გვიანდელი საბჭოთა აღწერები გვამცნობს, რომ აჯანყების მარცხი გამოიწვია სოციალ-დემოკრატთა კონტრპროდუქტიულმა და რეაქციონერულმა პოლიტიკამ. ტრიფონოვის აღწერის თანახმად:

> დაკავებულ ქალაქებსა და სოფლებში აჯანყებულებმა აღადგინეს ერობები, გამოაცხადეს ნაციონალიზებული მიწების დაბრუნება მემამულეებისათვის, ხოლო შენობებისა — ვაჭრებისათვის, ჩაატარეს წირვები და გამოსცეს პროკლამაციებს ბაქია განცხადებებით. დააპატიმრეს კომუნისტები და მათი ოჯახებს.[48]

სამ დღეში აჯანყება უმეტესწილად დასრულდა:

> თვითმფრინავიდან პროკლამაციებს ყრიდნენ და აჯანყებულებს კაპიტულაციის სანაცვლოდ „შეწყალებას“ ჰპირდებოდნენ. მოსკოვში გაგზავნილი მენშევიკი მძევლები სადღაც როსტოვის მახლობლად დახვრიტეს. იმერელი ამბოხებულები გაძეძგილ ექვს ვაგონში შეყარეს და ზესტაფონის მახლობლად, საძმო საფლავისკენ წაიყვანეს: იქ ზოგი მაუზერით დახვრიტეს, ზოგი – ტყვიამფრქვევებით და გვამებს კირი დააყარეს. სოფელ რუისში მთელი ოჯახები დახვრიტეს (პატარა ბავშვების ჩათვლით), სენაკში კი – 500 მეგრელი ამბოხებული (გლეხები, თავად-აზნაურები და საბჭოთა მოსამსახურეებიც კი).[49]

ერთ-ერთი ადგილი, სადაც აჯანყება ვერ გაიშალა, იყო ქვეყნის დედაქალაქი, ტფილისი. საბჭოთა ცნობების მიხედვით, „თავად საქართველოს დედაქალაქში კვლავ დაძაბული ვითარება იყო, რადგან, ჩეკასთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის თანახმად, იგეგმებოდა, რომ აჯანყებულები 1 სექტემბრისთვის უნდა ამოქმედებულიყვნენ“.[50]

დაგეგმილი აჯანყება არ დაწყებულა. თუმცა, იყო მასთან დაკავშირებული შემთხვევები:

> ქართველ მენშევიკთა აჯანყების დაწყების მომენტიდან ტფილისის კავშირი ვლადიკავკაზთან, სოხუმთან და რესპუბლიკის სხვა ქალაქებთან ხშირად წყდებოდა. მოხდა მცირე შეიარაღებული შეტაკება ადგილობრივი საარტილერიო ბატალიონის სამეთაურო შემადგენლობასთან და [სოციალისტ] ფედერალისტ სტუდენტებთან, რომლებიც აჯანყებისთვის ემზადებოდნენ.[51]

საბჭოთა ძალების თავდაპირველი პასუხი გაქცევა იყო.

> ტფილისის გარეუბანში საბჭოთა ჯარები პატრიოტთა თავდასხმის მერე თავიანთი შტაბებიდან გაიქცნენ და ქალაქი და-

ტოვეს. პარტიზანებმა ბარიკადები ააშენეს და ნაღმსატყორცნებს, ავტომატებსა და მსუბუქ ზარბაზნებს ისროდნენ. ცალკეული სნაიპერები ხეების კენწეროებიდან ისროდნენ.[52]

ტფილისის გარშემო მთავარი როლი წითელ არმიაში მომსახურე ქართველ ჯარისკაცებს დაეკისრა. ტრიფონოვი აღნიშნავდა, რომ ქართული შენაერთების ჩამოყალიბება ლენინის აზრით უაღრესად მნიშვნელოვანი იყო და რომ საქართველოს დაპყრობიდან ერთი წლის მერე ლენინმა ორჯონიკიძეს გაუგზავნა წერილი, რომელშიც დაბეჯითებით ითხოვდა ამგვარი შენაერთების შექმნას.[53]

22. ქაქუცა ჩოლოყაშვილი

აღმოსავლეთ საქართველოში მოუთმენლად ელოდა შეტევაზე გადასვლას აჯანყებულთა რაზმი, რომელსაც ყოფილი არმიის ოფიცერი, ქარიზმატული ქაქუცა ჩოლოყაშვილი მეთაურობდა. ალექსანდრე სულხანიშვილი, ერთ-ერთი შეფიცული და ქაქუცას რაზმელი იხსენებს: „ოცდაცხრა აგვისტოს დილით ჩვენთან ერთი მოკავშირე მოვარდა და მოგვიტანა თავრეტდამსხმელი ამბავი: ჭიათურა გამოსულა ოცდარვა აგვისტოს ღამით, ესე იგი, ოცდაოთხი საათით ადრე! .... იმავე დილით, ესე იგი ოცდაცხრა აგვისტოს, ხელისუფლებამ ხელი მიჰყო შენიშნული პირების დაჭერას და ადგილზევე დახვრეტას მთელ აღმოსავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით კახეთში. ამისთანა უკუღმართობამ სრულიად დაამდაბლავა კახეთის საუკეთესოდ მოწყობილი ორგანიზაციები.“[54]

იმის გარდა, რომ ტფილისი წითელი არმიისა და ჩეკას სრული სამხედრო კონტროლის ქვეშ იყო, ქალაქის მცხოვრებლებიც, როგორც ჩანს, უნდობლად ეკიდებოდნენ აჯანყებულთა განცხადებებს, თითქოსდა ამბოხი მთელ ამიერკავკასიაში ხდებოდა და რომ საქართველოს ბრიტანეთის დახმარების იმედი უნდა ჰქონოდა.

შიდა საბჭოთა გზავნილები იუწყებოდა, რომ კომუნისტურ რეჟიმს, უკვე სამ წელიწადზე დიდხანს რომ მართავდა ქვეყანას, საყოველთაო მხარდაჭერა ჰქონდა. „დღეს ტფილისში მუშებმა მენშევიკების საწინააღმდეგო და საბჭოთა ხელისუფლების მხარდამჭერი დემონსტრაცია მოაწყვეს“, იუწყებოდა ერთი გზავნილი, „დემონსტრაცია შთამბეჭდავი იყო, მასში 25 ათასამდე მუშა მონაწილეობდა, ხოლო რკინიგზის საამქროებიდან უკლებლივ ყველა იყო აქ გამოსული“.[55]

ოფიციალური საბჭოთა ხაზი იყო, რომ კომუნისტურმა პარტიამ წარმატებით უწინამძღოლა აღშფოთებულ მასებს „მენშევიკი ბანდიტების“ წინააღმდეგ ბრძოლაში. საბჭოთა ისტორიკოსი ტრიფონოვი ამგვარად აღწერდა აჯანყების ჩახშობას:

> მენშევიკურმა ავანტიურამ განარისხა მუშათა კლასი, მშრომელი გლეხობა და ინტელიგენციის ძირითადი მასა. აჯანყებულები სრულ იდეოლოგიურ-პოლიტიკურ იზოლაციაში მოექცნენ. საქართველოს მოსახლეობა, მათ შორის, ყოფილ მენშევიკთა მნიშვნელოვანი ნაწილი, აქტიურად უჭერდა მხარს საბჭოთა ხელისუფლებას. აჯანყებულებთან საბრძოლველად ტფილისში, ქუთაისში და სხვა ქალაქებში მოხალისეთა რაზმები შედგა. აფხაზეთში, აჭარაში, ჭოროხისა და სხვა მაზრებში ჩამოყალიბდა გლეხების დიდი რაზმები. კომუნისტები და კომკავშირელები იყო ის დუღაბი, რომელიც ამ მოხალისეთა რაზმებს კრავდა. წითელი არმიის ქართულმა ნაწილებმა საუკეთესოდ გამოიჩინეს თავი მეამბოხეთა წინააღმდეგ ბრძოლებში. აჯანყების ჩახშობას უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ კომუნისტური პარტიის თვალსაჩინო მოღვაწეები: გ.კ. ორჯონიკიძე, მ.გ. ცხაკაია, ფ.ე. მახარაძე და მ. დ. ორახელაშვილი.[56]

უკვე 2 სექტემბერს ადგილობრივი კომუნისტური ხელმძღვანელობის მიერ სტალინისთვის გაგზავნილი შეტყობინება ცხადყოფს, საბჭოთა არმიას და ჩეკასთვის წინააღმდეგობის გაწევა ქაქუცას რაზმსაც კი არ შეეძლო. ის იუწყებოდა, რომ აჯანყებულთა „ბანდა“, რომელსაც „კვალში ვედექით 50 კაცი, დღეს ექვსის ნახევარზე დაეცა დუშეთს, მაგრამ ადგილობრივმა შეიარაღებულმა რაზმებმა ისინი სწრაფად მოიგერიეს. რვის ნახევარზე ისინი განდევნილი იქნენ და დუშეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით გაუჩინარდნენ. ბანდას ჩვენი კავალერია მისდევს“.[57]

აჯანყება დასრულდა მისი ლიდერების ტყვედ აყვანით შიომღვიმის მონასტერთან, მცხეთის ახლოს, თბილისის ჩრდილოეთით. დამკომის თავმჯდომარე კონსტანტინე (კოტე) ანდრონიკაშვილი 48 წლის იყო, სოციალ-დემოკრატი და დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების

წევრი. იასონ ჯავახიშვილი, ეროვნულ-დემოკრატი, დამკომის მდივანი იყო. დამკომის სხვა დაპატიმრებულ წევრებს შორის იყვნენ იშხნელი*, ჯინორია და ბოჭორიშვილი**.

დაპატიმრებათა ტალღის მერე ბერია დამკომის რამდენიმე წევრს შეხვდა და შესთავაზა ისეთი რამ, რაზეც მათ უარის თქმა არ შეეძლოთ. დავით შარაშიძის*** 1930 წელს გამოცემულ წიგნში, რომლითაც ის პასუხს სცემდა ანრი ბარბიუსს****, ვკითხულობთ, რომ ბერიამ დამარცხებულ ქართველ ლიდერებს ასეთი რამ უთხრა:

> თქვენ დამარცხდით, მაგრამ აქა-იქ ბრძოლები კიდევ მიდის, ცხადია, ჩვენ მაგ რაზმებსაც გავანადგურებთ, მაგრამ მოხდება ამაო სისხლისღვრა. თქვენ კომიტეტს შეუძლია შე-

---

* მიხეილ იშხნელი (1886-1938) — ექიმი, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან გამოყოფილი ნაციონალისტური (ეროვნული) პარტიის წევრი, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრი, დაპატიმრეს 1924 წლის აჯანყების შემდეგ, გადაასახლეს ციმბირში, დახვრიტეს 1938 წელს (რედ. შენიშვნა).

** მიხეილ ბოჭორიშვილი (1892-1937) — მწერალი, პედაგოგი, სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის წევრი. 1921 წლიდან ჩართული იყო ანტისაბჭოთა მოძრაობაში, როგორც დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრი სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიიდან, დააპატიმრეს 1924 წლის აგვისტოს აჯანყების შემდეგ და გადაასახლეს ციმბირში, დახვრიტეს 1937 წელს (რედ. შენიშვნა).

*** დავით შარაშიძე (1885-1935) — პუბლიცისტი, სოციალ-დემოკრატი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი. 1921 წელს მცირე ხნით დააპატიმრა საბჭოთა სპეცსამსახურებმა. 1921 წლის შემოდგომიდან საზღვარგარეთ მუშაობდა ანტისაბჭოთა მოძრაობის ორგანიზებისათვის. გარდაიცვალა პარიზში, დაკრძალულია ლევილის მამულში (რედ. შენიშვნა).

**** ანრი ბარბიუსი (Henri Barbusse) (1873-1935) — ფრანგი მწერალი, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის წევრი, საბჭოთა რუსეთისა და საბჭოთა კავშირის მხარდამჭერი და პროპაგანდისტი, გარდაიცვალა მოსკოვში (რედ. შენიშვნა).

> აჩეროს შეიარაღებული რაზმები, გააკეთეთ განცხადება და სთხოვეთ ცალკეულ რაზმებს იარაღი ჩაგვაბარონ. ჩვენგან კი ხელშეუხებლობის გარანტიას მიიღებენ და *მასობრივ დახვრეტებსაც შევაჩერებთ**.[58]

პატიმრებმა შეთავაზება მიიღეს ერთი პირობით: ბერიას სიკვდილით დასჯის შეწყვეტის ბრძანება უნდა გაეცა. შარაშიძე წერს, რომ ჩეკისტმა ასეთი პასუხი გასცა: „თუ კომიტეტი თანახმაა ახლავე გამოვაქვეყნოთ მათი დეკლარაცია, თქვენი თანდასწრებით, მთავრობა გასცემს ბრძანებას, პირდაპირი ხაზით დახვრეტების შეწყვეტაზე"**.[59]

დამკომის წევრებმა ბერიას კითხეს, მისი შემოთავაზება საბჭოთა საქართველოს მთავრობისგან დადასტურებას თუ მოითხოვდა. მან მიუგო: „ის, რაც ამ კაბინეტში გადაწყდება მთავრობის გადაწყვეტილებაც იქნება". დამკომის ლიდერები იძულებული გახდნენ, ხელი მოეწერათ განცხადებისთვის, რაც მეტი იყო, ვიდრე უბრალოდ აჯანყებულებისთვის იარაღის დაყრის მოწოდება. ამ დეკლარაციით თავად აჯანყება ცხადდებოდა „ერის მაღალი ფენების მოწყობილ ავანტიურად", რაც, როგორც ვნახეთ, ასე არ იყო.[60]

დონალდ რეიფილდი ამატებს, რომ „კოტე ანდრონიკაშვილს კი უფლებაც მისცეს ფრანგული დელეგაციისათვის განეცხადებინა: [....] მორალური გამარჯვება ჩვენ დაგვრჩა".[61] როგორც ვნახავთ, ქართველები უკანასკნელად როდი ახსენებენ „მორალურ გამარჯვებას", რომელიც 1924 წელს მოიპოვეს. ნოე ჟორდანია დაუბრუნდება ამ აზრს, როდესაც დაწერს ანალიზს, თუ რა მოხდა მაშინ. როგორც ემი ნაითი წერს:

---

* დ. შარაშიძე, ა. ბარბიუსი, „საბჭოები და საქართველო", ნოე ჟორდანიას ინსტიტუტი, თბილისი, 2022. მთარგმნელები სიბილა გელაძე, ხათუნა ქართველიშვილი. გვ. 133 (რედ. შენიშვნა).

** იქვე, გვ. 133 (რედ. შენიშვნა).

> კომიტეტის ლიდერებისთვის ამ მამხილებელი საბუთის გამოძალვისთანავე ჩეკას ოფიციოზმა ის გამოაქვეყნა როგორც შიდა, ასევე უცხოურ პრესაში. ამის შემდეგ მათ განაგრძეს მასობრივი დაპატიმრება და დახვრეტა, რაც ბერიას მიერ აჯანყების ლიდერებთან დადებული პირობის უხეში დარღვევა იყო. ბოლშევიკები თავიანთ ოპონენტებზე განსაკუთრებული სისასტიკით იძიებდნენ შურს. არმიისა და ჩეკას შეიარაღებული რაზმები სოფლებში შედიოდნენ და მთელ ოჯახებს ხოცავდნენ.[62]

პარიტეტული კომიტეტის საბრალდებო დასკვნაში, მას ბრალად ედებოდა კავშირი „მენშევიკებთან და სხვა კონტრრევოლუციურ პარტიებთან, თეთრ ემიგრანტებთან და მეორე ინტერნაციონალთან, ასევე, პოლიტიკური ბანდიტიზმსა და აჯანყების მომზადებაში“.[63]

ჩეკას მიერ წამოწყებული სრულმასშტაბიანი რეპრესიების მიუხედავად, ბრძოლები კანტი-კუნტად შუა სექტემბრამდე გრძელდებოდა.

პანიკა მოსკოვში

ტფილისში სოციალ-დემოკრატიული მთავრობის წარმატებით დამხობიდან სამწლინახევრის მერე სერგო ორჯონიკიძე, კაცი, რომელიც მოსკოვთან იკვეხნიდა, საქართველოს დედაქალაქის თავზე წითელი დროშა ფრიალებსო, შიშმა შეიპყრო.

ჭიათურაში აჯანყების დაწყებიდან ორი დღის მერე ორჯონიკიძემ მოსკოვში დაშიფრული წერილი გაგზავნა სტალინის სახელზე, ასევე, მისი ასლები გაუგზავნა მიხაილ ფრუნზეს, წითელი არმიის სახელოვან სარდალს სამოქალაქო ომის დროს, და ვიაჩესლავ მენჟინსკის, ჩეკას ერთ-ერთ ხელმძღვანელს (რომელიც

შემდგომში ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი გახდა, 1926 წელს მისი დამაარსებლის, ფელიქს ძერჟინსკის სიკვდილის მერე).

ამ დროისთვის ჭიათურაში აჯანყებულები უკვე უკუქცეული იყვნენ. არსაიდან ისმოდა ცნობები აჯანყებულთა დასახმარებლად უცხოურ სამხედრო ჩარევაზე. და მაინც, ორჯონიკიძე მათ ატყობინებდა, აჯანყებამ *მთელი ქვეყანა* მოიცვაო.

„გუშინ განთიადისას რამდენიმე ათეული ადამიანისგან შემდგარი ჯგუფი თავს დაესხა ჭიათურას, ჩვენი ხალხი განაიარაღა და ქალაქი აიღო“, წერდა ის, „ამ დილით ეს ჯგუფი ქალაქიდან განდევნილ იქნა“. ამ დაუხანებელი წარმატების მიუხედავად, აჯანყება ფართოვდებოდა. „დღეს თითქმის მთელ საქართველოში მოქმედებენ ყოფილი სახალხო გვარდიისა და მენშევიკების ცალკეული დაჯგუფებები და გამალებით ემზადებიან ტფილისზე შეტევისთვის“.

ამ წერილის კილოში არცთუ მსუბუქი შიში ისმოდა. მაგრამ თან რაღაც აკლდა: მასში არ იყო ნახსენები კულაკები (შეძლებული გლეხები), არისტოკრატები თუ სხვა რეაქციონერი ელემენტები. არ ჩანდნენ თეთრი არმიის ოფიცრები, არც ფრანგი და ბრიტანელი იმპერიალისტები. ეს კი თანდათან გამოსწორდებოდა, მაგრამ აჯანყების დასაწყისში ორჯონიკიძემ სწორად გაიშვირა თითი პირდაპირ ყოფილი სოციალ-დემოკრატიული მთავრობის მხარდამჭერებისკენ, რომელთა შორის იყო სახალხო გვარდიაც, ვალიკო ჯუღელმა რომ დააარსა და თავადვე ედგა თავში.

მოსკოვში გაგზავნილი ეს ანგარიში პირველწყაროდან მიღებული ინფორმაცია იყო. ორჯონიკიძე მონაწილეობდა ბოლშევიკთა მაღალი დონის დელეგაციაში სენაკში, ზუგდიდში, ქუთაისსა და ოზურგეთში. მას ახლდნენ საქართველოს [კომუნისტური] პარტიის პირველი მდივანი მიხეილ კახიანი და საქართველოს პრეზიდიუმის წევრები მიხა ცხაკაია, ფილიპე მახარაძე და მამია ორახელაშვილი.[64]

იმის მიუხედავად, რომ ორჯონიკიძის თქმით, აჯანყება „ლამის მთელ საქართველოს“ იყო მოდებული, ის სტალინს ატყობინებდა, სადარდებელი არაფერიაო. „აღმოფხვრის ზომები მივიღეთ“, უთვლიდა ის თავის უფროსს, „უფრო დაწვრილებით ხვალ მოგახსენებთ“.[65] მაგრამ სტალინს სინამდვილეში ჰქონდა სადარდებელი. „რეალურად, აჯანყებას უფრო მასშტაბური სახე ჰქონდა, ვიდრე ეს საბჭოთა გაზეთებიდან ჩანს. აჯანყება მოედო დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა რეგიონს“, წერს გიორგი ჭკადუა. ჭიათურაში „აჯანყებულებმა მოახერხეს იარაღის საწყობის ხელში ჩაგდება, რის შედეგადაც მათ ხელში 200-მდე შაშხანა და ბომბები აღმოჩნდა... მხოლოდ ამ ორ მაზრაში ათი ათასზე მეტი ადამიანი იბრძოდა“. „აჯანყების სიმწვავეს ამტკიცებს რეპრესიების სიმძლავრეც“, ასკვნიდა ის.[66]

1955 წლით დათარიღებული სხვა ცნობით, რომელიც ნაწილობრივ თვითმხილველის ჩვენებას ეყრდნობა, „აჯანყება თავიდან წარმატებული იყო. დიდი ქალაქების გარდა, კომუნისტების წინააღმდეგობა ყველგან მოსალოდნელზე ბევრად სუსტი აღმოჩნდა“.[67]

მერე და მერე საბჭოთა ისტორიკოსებმა ეს ცნობები უმართებულოდ გამოაცხადეს. ისინი ამტკიცებდნენ, რომ აგვისტოს აჯანყებაში ძალიან ცოტა ადამიანი მონაწილეობდა. ერთ-ერთი საბჭოთა წყაროს თანახმად, „საქართველოს 18 მაზრიდან აჯანყებამ სრულად მოიცვა მხოლოდ ერთი, ხოლო ნაწილობრივ — ოთხი“. „ჭიათურაზე შეტევაში დაახლოებით 30 ადამიანი მონაწილეობდა — მენშევიკები, თავადაზნაურობა და მეფის ოფიცრები. მათ მოსყიდვით შეიმატეს 50-იოდე უმუშევარი. ტფილისის მაზრის ხუთ სოფელში აჯანყებას სულ 30-იოდე კაცი მიემხრო“.[68] როგორც ერთ-ერთი საბჭოთა ისტორიკოსი წერდა, „3 სექტემბრისთვის აჯანყება ფაქტობრივად ჩახშობილი იყო“.[69]

არ ყოფილა არავითარი აჯანყება „თითქმის მთელ საქართველოში“. არავინ იყო, ვინც „ემზადებოდა გამალებით თბი-

ლისზე შეტევისთვის“; მაგრამ ორჯონიკიძე შიშს არ მალავდა, რომელიც, ჩანს, გადამდები აღმოჩნდა. თვეების მერე სტალინი და სხვა კომუნისტი ლიდერები კვლავ ისე ლაპარაკობდნენ 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაზე, თითქოს ეს იყო საფრთხე, საბჭოთა რეჟიმის არსებობას რომ ემუქრებოდა. ტროცკიმ კი მას „ფართო მასათა აჯანყება“ უწოდა.[70]

არა მხოლოდ საბჭოთა კავშირის კომუნისტი ლიდერები მოიხსენიებდნენ ასე 1924 წლის გვიან ზაფხულის მოვლენებს. გერმანიის კომუნისტური პარტიის (კპდ) ერთ-ერთი ლიდერი რუთ ფიშერი წერდა: „გლეხთა მრავალრიცხოვანი აჯანყებები, [რომელთა] მწვერვალიც იყო 1924-ის საქართველოს აჯანყება... უფრო ახლოს იდგა სამოქალაქო ომთან, ვიდრე ჰამბურგის წარუმატებელი ჯანყი ერთი წლით ადრე“.[71] ჰამბურგის ჯანყი კპდ-ის მოწყობილი იყო.

სიტყვაში, რომელიც სტალინმა აჯანყების ჩახშობიდან რამდენიმე კვირის მერე, 1924 წლის 22 ოქტომბერს წარმოთქვა, ჯერაც მოისმოდა მომხდარით გამოწვეული ელდის ნიშნები. „რაც საქართველოში მოხდა, ის შეიძლება მთელ რუსეთში განმეორდეს“, აფრთხილებდა ის შეკრებილებს.[72]

როგორც ჩანს, სტალინმა სანდოდ მიიჩნია ორჯონიკიძის თავდაპირველი ცნობები, რომ აჯანყება მთელ ქვეყანას იყო მოდებული და საბჭოთა რეჟიმის არსებობას საფრთხეს უქმნიდა. იმის ნაცვლად, რომ აჯანყება თავის კონტექსტში განეხილა და აღენიშნა, რა სწრაფად იქნა ის ჩახშობილი და რა მცირე საზოგადოებრივი მხარდაჭერა მოიპოვა (წინა თვეებში ჩეკას მუშაობის წყალობით), სტალინმა მომხდარში უფრო ღრმა მნიშვნელობა დაინახა. მას მიაჩნდა, რომ მომხდარი გაკვეთილი უნდა ყოფილიყო არა მხოლოდ საქართველოს საბჭოთა ხელმძღვანელობისთვის, არამედ მთელი საბჭოთა სახელმწიფოსთვისაც.

სტალინის თქმით, ადგილობრივი ბოლშევიკები თვითკმაყოფილებას მიეცნენ. „ჩვენს გაზეთებში წერენ, რომ საქართვე-

ლოში გამოსვლები ბუტაფორიული იყო. ეს მართალია, რადგან საქართველოში აჯანყება ხელოვნური იყო და არა სახალხო. თუმცა, ხალხის მასებთან კომპარტიის ცუდი კავშირის გამოისობით მენშევიკებმა ზოგან შეძლეს აჯანყებაში გლეხობის ნაწილის ჩართვა“, აღიარებდა ის. „გლეხობის ნაწილის“ ხსენება საინტერესოა, რადგან შემდგომ საბჭოთა ისტორიკოსები მუდამ ხაზს გაუსვამენ ამ აჯანყებაში კულაკების, თავადაზნაურობისა და სხვა ელემენტების მონაწილეობას და უარყოფენ, რომ *ნამდვილი* მუშები ან გლეხები იყვნენ მასში ჩართული.

მერე სტალინმა გამაოგნებელი რამ განაცხადა. როდესაც ლაპარაკობდა ადგილებზე, სადაც აჯანყებამ უფრო მეტად მოიკრიბა ძალა, მან თქვა: „საგულისხმოა, რომ ეს ადგილები ყველაზე მეტად არიან გაჯერებული კომუნისტური ძალებით ... და აი, სწორედ ამ ადგილებში გამორჩათ, ვერ შეამჩნიეს, გამოეპარათ, რომ გლეხობაში მღელვარებაა, რომ ისინი რაღაცისთვის ემზადებიან, რომ უკმაყოფილონი არიან, რომ ეს უკმაყოფილება დღითიდღე გროვდებოდა, პარტიამ კი ამის შესახებ არაფერი არ იცოდა. ადგილები, სადაც კომუნისტები ყველაზე მეტი იყვნენ, ყველაზე მეტად აღმოჩნდნენ უპარტიო გლეხობის განწყობას, აზრებსა და მისწრაფებებს მოწყვეტილი“.

ერთი სიტყვითაც არაა ნახსენები კულაკები, თავადაზნაურობა ან კაპიტალისტები, არც უცხოეთის ჩარევის ჩვეული ბრალდება. მისთვის პრობლემა ის იყო, რომ საქართველოში ადგილობრივი კომუნისტები, „მუშათა და გლეხთა“ მთავრობის ლიდერები, „მოწყვეტილი“ იყვნენ ნამდვილი მუშებისა და გლეხებისგან.

„ამაშია საკითხის არსი“, თქვა სტალინმა. და თუმც საქართველოში აჯანყება დამარცხდა, ეს პრობლემა მხოლოდ საბჭოთა კავშირის სამხრეთ განაპირას მდებარე ამ პატარა ქვეყნით არ შემოიფარგლებოდა. „საქართველოს მოვლენებს უნდა შევხედოთ, როგორც რაღაცის მაჩვენებელს“, თქვა სტალინმა. მაგრამ რის მაჩვენებელს?

„რაც საქართველოში მოხდა, შეიძლება, მთელ რუსეთში განმეორდეს, თუ ძირეულად არ შევცვლით თავად მიდგომას გლეხობასთან, თუ არ შევქმნით სრული ნდობის ატმოსფეროს პარტიასა და უპარტიოებს შორის, თუ ყურს არ დავუგდებთ უპარტიოთა ხმას, და ბოლოს, თუ არ გამოვაცოცხლებთ საბჭოებს იმისათვის, რომ კალაპოტი მივცეთ მშრომელი გლეხობის მასათა პოლიტიკურ აქტივობას“, თქვა მან.

საბჭოების „გამოცოცხლების“ ხსენება სრული თვალთმაქცობაა. რუსეთის რევოლუციის ადრეულ პერიოდში, 1917 წელს, საბჭოებს ქმნიდნენ მუშები, ჯარისკაცები, მეზღვაურები და გლეხები. ბევრ შემთხვევაში ესენი პირდაპირი დემოკრატიის თვალსაჩინო მაგალითი იყო, მათში მონაწილეობას იღებდა ყველა მემარცხენე პარტია და არა მხოლოდ ბოლშევიკები. მაგრამ მას მერე, რაც იმავე წლის ნოემბერში ძალაუფლება ბოლშევიკებმა ჩაიგდეს ხელში, საბჭოების როლის დაკნინებაც დაიწყო. მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში, სანამ საბჭოების თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები ტარდებოდა, ოპოზიციური პარტიები, მათ შორის მენშევიკებიც, მშვენიერ შედეგებს აღწევდნენ. ამიტომ, არჩევნების ჩატარება შეწყვიტეს და საბჭოებსაც ძალა და მნიშვნელობა დაეკარგა. სტალინი მოითხოვდა მათ „გაცოცხლებას“, სულ ცოტა, საქართველოში მაინც, თუმცა სხვა რამეს გულისხმობდა, და ჩვენ ამაში დავრწმუნდებით.

სტალინმა სიტყვა დაასრულა გაფრთხილებით, რომლითაც არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი სახელმწიფოს კომუნისტებს მიმართავდა: „ორიდან ერთი უნდა ავირჩიოთ: ან შევძლებთ, დავამყაროთ სწორი ლენინური მიდგომა უპარტიო გლეხებთან, რათა გლეხობის მზარდი პოლიტიკური აქტივობა საბჭოთა აღმშენებლობის კალაპოტში მივმართოთ და ასე უზრუნველვყოთ მუშათა მიერ გლეხების წინამძღოლობა; ან ამას ვერ შევძლებთ და მაშინ მასათა პოლიტიკური აქტივობა იდენს საბჭოების გვერდის ავლით, საბჭოების თავზე გადავლით და

გამოვლინდება ბანდიტურ გამოსვლებად – საქართველოში მომხდარი აჯანყების არ იყოს“.

ამგვარად ჩამოყალიბებული ახსნა დასაფიქრებელია, რადგან მომავალში საბჭოთა ისტორიკოსები საქართველოს 1924 წლის აჯანყებას ასე აღარ დაახასიათებენ. „მასათა პოლიტიკური აქტივობა ... გამოვლინდება ბანდიტურ გამოსვლებად“, ასე თქვა სტალინმა, ანუ, იგულისხმება, რომ ამ აჯანყებას აწყობდა არა მხოლოდ უცხოელი იმპერიალისტების მართული მენშევიკების უმნიშვნელო რაოდენობა, როგორც ამას შემდგომში ამტკიცებდნენ, არამედ ერთგვარი „მასათა პოლიტიკური აქტივობა“ გახლდათ. სტალინი შემდეგ იმასაც წერდა, რომ, თუ კომუნისტები ამ გაკვეთილს არ ისწავლიდნენ, „სულაც არ არის გამორიცხული, ახალი ტამბოვი ან ახალი კრონშტადტი მოხდეს“ საქართველოს აჯანყების კვალდაკვალ.[73]

სტალინი არ ყოფილა ერთადერთი ბოლშევიკი ლიდერი, რომელიც კრონშტადტთან და ტამბოვთან შედარებას აკეთებდა. გრიგორი ზინოვიევი, რომელიც შემდგომ სტალინის ერთ-ერთ მთავარ მეტოქედ იქცა, 1924 წელს კომუნისტური ინტერნაციონალის ხელმძღვანელი იყო. როგორც ლენინის ერთი მუჭა სანდო მოადგილეთაგან ერთ-ერთი, ის კომუნისტური პარტიის მძლავრ ლენინგრადის ორგანიზაციასაც ედგა თავში. საქართველოს აჯანყება 1925 წელს მანაც კრონშტადტისა და ტამბოვის ამბოხებს შეადარა.[74]

კრონშტადტისა და ტამბოვის აჯანყებების მეხსიერება რუსეთის კომუნისტური პარტიის ლიდერებს ჯერაც არ გამკრთალებოდათ. როდესაც სტალინმა და ზინოვიევმა ეს აჯანყებები ახსენეს, ყველამ კარგად გაიგო, რას გულისხმობდნენ. ეს იყო მკაფიო გზავნილი, რომ 1924 წლის აგვისტოს აჯანყებამ, იმის მიუხედავად, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ის სწრაფად ჩაახშო, რეჟიმის არსებობას საფრთხე შეუქმნა. კრონშტადტის აჯანყება 1921 წლის მარტში მოხდა, იმ დროს, როცა წითელი არმია

საქართველოს დაპყრობას ამთავრებდა. რუსეთის სამოქალაქო ომი ფაქტობრივად დასრულებული იყო, თეთრი არმიები, რომლებიც ოდესღაც მოსკოვსაც ემუქრებოდა, ახლა სრულიად დამარცხებული ჰყავდათ. თუმცა პეტროგრადში, ქალაქში, საიდანაც ოთხი წლით ადრე დაიწყო რევოლუცია, უკმაყოფილება მატულობდა და ოპოზიციური პარტიები სულ უფრო მეტ მხარდაჭერას იხვეჭდნენ. ბზარები ჩნდებოდა მმართველ კომუნისტურ პარტიაშიც — რომელიც იმხანად განსხვავებული შეხედულების არსებობას ჯერ კიდევ შემწყნარებლურად ეკიდებოდა.

პეტროგრადის სანაპიროს მახლობლად კუნძულზე აგებულ საზღვაო სიმაგრე კრონშტადტში მეზღვაურები აჯანყდნენ. მართალია, მერე საბჭოთა პროპაგანდა ამას თავად-აზნაურთა, უცხოელ იმპერიალისტთა და მსგავსთა მიერ მართულ „თეთრი გვარდიის“ ამბოხად მონათლავს, ისევე, როგორც საქართველოს აჯანყებას სამი წლის შემდგომ, ბოლშევიკმა ლიდერებმა მშვენივრად იცოდნენ, რომ ეს ასე არ იყო. „წითელმა კრონშტადტმა“ უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ლენინის 1917 წლის ნოემბრის სახელმწიფო გადატრიალების წარმატებით დასრულებაში. მეზღვაურები ძველი რეჟიმის ყველაზე შეურიგებელ მოწინააღმდეგნი და ახლის ყველაზე ერთგული მხარდამჭერნი გამოდგნენ. თუმცა, 1921 წლისთვის მათ ყელში ამოუვიდათ ბოლშევიკთა ფუჭი დაპირებები და მართლა ისეთი საზოგადოება მოისურვეს, როგორსაც ლენინი და მისი ამხანაგები აღუთქვამდნენ. მათ მოითხოვეს „საბჭოების დემოკრატიის“ აღდგენა და, ფაქტობრივად, წამოაყენეს პირობა „საბჭოები კომუნისტების გარეშე“.

მოთხოვნათა თავდაპირველ ჩამონათვალში პირველივე სამი მიგვახვედრებს, რა უნდოდათ ამბოხებულ კრონშტადტელ მეზღვაურებს: ახალი არჩევნები საბჭოებში (რომლებიც, მათი თქმით, „არ გამოხატავენ მუშათა და გლეხთა ნებას“); სიტყვის თავისუფლება მუშებისა და გლეხებისთვის — მათ შორის, ანარ-

ქისტებისა და მემარცხენე სოციალისტური პარტიებისთვის; და ბოლოს, „პროფკავშირებისა და გლეხთა ორგანიზაციების შეკრების თავისუფლება“. ამ მოთხოვნებს ფართო გამოხმაურება მოჰყვა საზღვაო სიმაგრის გარეთაც. მას მერე, რაც საბჭოთა ოფიციოზმა ვერ შეძლო, ამ კრიზისიდან მოლაპარაკებით გამოსულიყო, ბოლშევიკებმა ძალის გამოყენება გადაწყვიტეს.

კრონშტადტის ამბოხის ჩახშობას ათასობით სიცოცხლე შეეწირა და, თუმცა კი კომუნისტების გამარჯვება სრული იყო, უეჭველია, ამ საზღვაო სიმაგრეში მომხდარმა ამბებმა სტალინსა და სხვა ბოლშევიკ ლიდერებს ძილი გაუფრთხო.

1920 წლის აგვისტოში, კრონშტადტში ამბოხების დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე ქალაქ ტამბოვის მახლობელ სოფელში, მოსკოვიდან 350 კმ მანძილზე, არეულობა მოხდა. რიჩარდ პაიპსს თუ დავეყრდნობით, ამ სოფელმა „უარი განაცხადა, რეკვიზიციის ჯგუფისთვის ხორბლის ჩაბარებაზე, მისი რამდენიმე წევრი დახოცა და მაშველი რაზმი მოიგერია“.[75]

ეს იმდროინდელ საბჭოთა რუსეთში მეტ-ნაკლებად ჩვეულებრივი მოვლენა იყო. „ომის კომუნიზმის“ ლენინისეული პოლიტიკა გულისხმობდა, რომ გლეხობისგან დაუნდობლად უნდა გამოეწურათ სურსათი ქალაქის მშრომელი კლასის გამოსაკვებად, ამიტომ სოფლებში მუშების შეიარაღებულ რაზმებს აგზავნიდნენ ხორბლისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის წასართმევად. დამოუკიდებელი საქართველო სხვა გეზით წავიდა, მან საყოველთაო აგრარული რეფორმა გაატარა, რითაც გლეხები მთავრობის ერთგულ მხარდამჭერებად აქცია და მთელ ქვეყანაში უწყვეტი სასურსათო მომარაგება უზრუნველყო.

„1918-1920 წლებში ტამბოვმა სრულად იწვნია სურსათის ძალდატანებით ჩამორთმევის პოლიტიკა“, განმარტავს პაიპსი.[76] ბოლშევიკური არმიის მეთაური ვლადიმირ ანტონოვ-ოვსეენკო ტამბოვში „ბანდიტიზმის“ აფეთქების მიზეზებს ასახე-

ლებს: „1920-1921 წლებისთვის განსაზღვრული ბეგარა ერთობ გადაჭარბებული აღმოჩნდა, თუმცა კი ორჯერ იქნა შემცირებული წინა წლის მოთხოვნასთან შედარებით“, წერდა ის, „იმის გამო, რომ უზარმაზარი ტერიტორიები დაუმუშავებელი დარჩა და უკიდურესად ცუდი მოსავალი მოვიდა, ამ რეგიონში მოსახლეობის დიდ ნაწილს საკუთარი თავის გამოსაკვები პურიც კი არ გააჩნდა. ... ნახევარი გლეხობა შიმშილობდა“.[77]

„დამსჯელი რაზმის მოლოდინში სოფლელებმა ის იარაღი აიღეს ხელში, რაც მოეპოვებოდათ: ზოგს თოფები ჰქონდა, თუმცა უმეტესობა ფიწლებით და კეტებით იყო შეიარაღებული“, წერს პაიპსი, „მათ ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებლებიც შეუერთდნენ. აჯანყებულები წითელ არმიასთან შეტაკებიდან გამარჯვებულები გამოვიდნენ. ამ წარმატებით გათამამებული გლეხები ტამბოვისკენ დაიძრნენ, გზადაგზა მათი რაოდენობა მატულობდა“.[78]

თუ კრონშტადტის აჯანყების მიზეზი გახდა არასაკმარისი თავისუფლება და განცდა, რომ რევოლუციას უღალატეს, ტამბოვში აჯანყებულებს უფრო მარტივი მოტივი ჰქონდათ: მათ შიოდათ.

ბოლშევიკებმა დამხმარე ჯარები შემოიყვანეს და სექტემბერში აჯანყებულებს შეუტიეს, გადაწვეს მათი სოფლები და დატყვევებული პარტიზანები სიკვდილით დასაჯეს“, წერს პაიპსი.[79]

ეს სტრატეგია ქმედითი გამოდგა საქართველოშიც და სხვა ადგილებშიც, მაგრამ არა ტამბოვში. ტამბოველ აჯანყებულებს ჰყავდათ ქარიზმატული და ბრწყინვალე ლიდერი — ალექსანდრ ანტონოვი. ანტონოვი იყო სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის წევრი, ამ პარტიას კი 1918 წლამდე გლეხებს შორის უდიდესი მხარდაჭერა ჰქონდა. 1917 წელს დამფუძნებელი კრების არჩევნებში სოციალისტ-რევოლუციონერებმა გაიმარჯვეს და რუსეთის მთავრობას ისინი დააკომპლექტებდნენ, 1918 წლის დასაწყისში ბოლშევიკებს ძალადობრივად რომ არ დაეშალათ კრება მის პირველივე სხდომაზე.

ანტონოვის ცხოვრების გზა რაღაცით ჩამოჰგავდა სტალინისას. ორივენი 1905 წლის რევოლუციის მერე ეწეოდნენ „ექსპროპრიაციის“ საქმიანობას (არსობრივად, ძარცვას) — თავ-თავიანთი პარტიებისთვის ფულს აგროვებდნენ. ამის მერე ორივემ რამდენიმე წელი გაატარა ციმბირში და რუსეთის ევროპულ ნაწილში მხოლოდ 1917 წელს დაბრუნდნენ. პარტიის გაყოფისას ანტონოვმა მემარცხენე სოციალისტ-რევოლუციონერების მხარე დაიჭირა და ამგვარად ბოლშევიკებთან აღმოჩნდა შეკრული (დროებით). ეს კავშირი რომ დაიშალა, ანტონოვი თავის წინანდელ საქმიანობას დაუბრუნდა — ტერორიზმს, ოღონდ ამჯერად მეფის მოხელეების ნაცვლად მისი სამიზნე ბოლშევიკი ლიდერები იყვნენ. როგორც საქართველოში ქაქუცამ, მან მცირერიცხოვანი ჯგუფი შემოიკრიბა და ბევრის თვალში სახალხო გმირად იქცა.

როდესაც ანტონოვი 1920 წელს ტამბოვში ჩავიდა, აჯანყებული გლეხები დამარცხების პირას იყვნენ. მან შეკრა პარტიზანული ჯგუფი, რომელიც კოლმეურნეობებს და რკინიგზის სადგურებს ესხმოდა თავს. მათ ზოგჯერ წითელი არმიის ფორმა ეცვათ. ყოველი ოპერაციის მერე ანტონოვის ხალხი შინ ბრუნდებოდა და გლეხობის მასაში ითქვიფებოდა. კომუნისტები აჯანყების ჩახშობას ვერ ახერხებდნენ. წლის ბოლოს ანტონოვს 8 000 შეიარაღებული კაცი მოუგროვდა. მათი უმრავლესობა ცხენოსანი იყო და საკავალერიო თავდასხმებში მონაწილეობა შეეძლო. ანტონოვმა გაწვევის მეშვეობით აჯანყებულთა ლაშქარი 20 000-მდე, შემდეგ კი 50 000-მდე გაზარდა. ისინი კლასიკურ პარტიზანულ ბრძოლაში ჩაებნენ, წითელ არმიასთან შეტაკებას თავს არიდებდნენ. თანაც, ანტონოვს არც ამბიცია აკლდა. მან რუს ხალხს მოუწოდა, მის რაზმს შეერთებოდნენ და მოსკოვზე გაელაშქრათ.

მთელი ეს დრო საბჭოთა ლიდერები აჯანყებულებს, ისევე როგორც მოგვიანებით ქართველებს, დაჟინებით უწოდებდნენ „ბანდიტებს“. თუმცა ძალიან კარგად ესმოდათ, რომ აჯანყების

მიზეზი გლეხებისთვის ხორბლის წასართმევად გაგზავნილი სარეკვიზიციო ჯგუფები იყო.

ტამბოვში აჯანყების ჩასახშობად ანტონოვ-ოვსეენკო გაგზავნეს და ეს მხოლოდ 1921 წლის თებერვლის ბოლოს მოხდა — სწორედ მაშინ, როდესაც წითელი არმია საქართველოში შემოიჭრა. თავიდან მას არაფერი გამოუვიდა, მაგრამ შემდეგ გადამჭრელ ზომებს მიმართა — საკონცენტრაციო ბანაკების დაარსება, მძევლების დახოცვა და ათასობით ადამიანის გადასახლება დაიწყო. საბოლოოდ კომუნისტებმა უპირატესობა მოიპოვეს და ტამბოვის აჯანყება ჩაახშეს.

კრონშტადტის, ტამბოვისა და საქართველოს აჯანყებები ზოგი რამით ჰგავდა ერთმანეთს. სამივე მოხდა სამოქალაქო ომის დასრულების მერე, როცა თითქმის მთელ ყოფილ ცარისტულ იმპერიაზე საბჭოთა წყობილება იყო გაბატონებული. სამივე შემთხვევაში ეს იყო მუშათა და გლეხთა აჯანყებები, რომლებსაც სხვადასხვა ტიპის მემარცხენე ძალები ედგა თავში, მათ შორის — ანარქისტები, სოციალისტ-რევოლუციონერები და სოციალ-დემოკრატები. მათ არ ხელმძღვანელობდნენ მონარქისტები, დიდგვაროვნები, მღვდლები, კულაკები თუ კაპიტალისტები, როგორც შემდეგ კომუნისტები აცხადებდნენ. და არცერთ ამ აჯანყებაში არ ჩარეულა უცხოეთი, რომელმაც კრონშტადტელი, ტამბოველი და ქართველი აჯანყებულები შეატოვა წითელ არმიას.

ტამბოვის აჯანყება ფართოდ გავრცელდა და ის შიშის ზარს სცემდა საბჭოთა ლიდერებს. კრონშტადტი კიდევ უარესი იყო — მეზღვაურთა ეს აჯანყება ზედ პეტროგრადთან, საბჭოეთის დედაქალაქის ყურისძირში ხდებოდა, თანაც აჯანყდა იგივე ხალხი, რომელმაც 1917 წელს ბოლშევიკების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებაში ცენტრალური როლი შეასრულა.

ამ მოვლენებისა და საქართველოს 1924 წლის აგვისტოს აჯანყების შედარება დღეს საკმაოდ ხელოვნური ჩანს. სტალინი, ზინოვიევი და ორჯონიკიძე 1924 წლის ზაფხულის ბოლოს

დარწმუნებული იყვნენ, რომ საქართველოში საბჭოთა რეჟიმის არსებობას საფრთხე ემუქრებოდა. ეს უნდა გვესმოდეს, რომ შევძლოთ იმის ახსნა, რაც მერე მოხდა.

სასაკლაო

პაოლო იაშვილი დიდი ქართველი პოეტი იყო, რომელიც 1930-იანების სტალინურ წმენდებს შეეწირა. 1924 წლის აჯანყებისას ბოლშევიკებმა მისი უმცროსი ძმა დახვრიტეს. შემდეგ რა მოხდა, ამას ლაშა ბაქრაძე გვიამბობს:

> პაოლომ დედას დაუმალა ეს საზარელი ამბავი. მან თავს იდო დედის დარწმუნება, რომ მისი ძმა ცოცხალი იყო. წლების განმავლობაში ის თავისი გარდაცვლილი ძმის სახელით წერდა წერილებს, რომლებშიც ჰყვებოდა, თითქოს გაქცევა მოახერხა და ირანში ცხოვრობდა. ალბათ, რა სევდა იპყრობდა, როდესაც მკვდარი ძმის ხელწერას ჰბაძავდა წერილში.[80]

ბერიას ბიოგრაფიაში ემი ნაითი ასეთ ამბავს ჰყვება:

> ოპოზიციური ლიდერის პატარა ასულს ციცნა ჩოლოყაშვილს რამდენიმე წლის განმავლობაში დედასთან და უმცროს დასთან ერთად დროდადრო სვამდნენ ჩეკას ციხეში, საიდანაც რაღაც ხნის მერე უშვებდნენ. ისინი ჩეკისტებისგან იტანდნენ ცემას, შიმშილს, დაკითხვებს. ჩოლოყაშვილი 1924 წელს თელავის ციხეში მომხდარ ერთ შემთხვევას აღწერს: ახალგაზრდა ჩეკისტი მოულოდნელად გადააწყდა საკუთარ მამას, რომელსაც მთელ ჯგუფთან ერთად სიკვდილი ჰქონდა მისჯილი და ყველა ერთ ღამეში უნდა დაეხვრიტათ. როდესაც ახალგაზრდა კაცს უბრძანეს, საკუთარი მამისთვის ესროლა, მან ამის ნაცვლად თავისი ორი უფროსი მოკლა. ამას მოჰყვა „სისხლიანი ორგია“, რომლის დროსაც ასობით პატიმარი და-

ხოცეს, „ქუჩები სისხლით წითლად შეიღება“, იხსენებდა ჩოლოყაშვილი.[81]

საქართველოში 1924 წლის აჯანყებაზე ბოლშევიკთა სისხლიანი პასუხი, უპირველესად, ადამიანური ტრაგედიაა.

თუმცა აჯანყებაში შედარებით ცოტა ადამიანი მონაწილეობდა და მთელმა აჯანყებამ ერთ კვირასაც ძლივს გასტანა, საბჭოთა ხელმძღვანელობამ მას ძლიერი და დაუნდობელი პასუხი გასცა. მათი მოწყობილი სასაკლაოს ამბები სწრაფად ვრცელდებოდა — მათ შორის, უცხოეთის საინფორმაციო სამსახურებში. უკვე 10 სექტემბერს *ნიუ-იორკ თაიმსმა* დაბეჭდა სტატია სათაურით „საქართველოში აჯანყების გამო 24 ადამიანი სიკვდილით დასაჯეს“. ინფორმაციის წყარო იყო არა საქართველოს დევნილი მთავრობა ან რომელიმე ოპოზიციური ჯგუფი, არამედ — თავად საქართველოს კომუნისტური მთავრობა. *თაიმსი* იუწყებოდა:

> საქართველოს მთავრობის ოფიციალური განცხადებით, საქართველოში აჯანყების ოცდაოთხი მოთავის სასიკვდილო განაჩენი სისრულეშია მოყვანილი. განცხადებაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ დახვრეტილთა შორის იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის რვა უმნიშვნელოვანესი წევრი, მათ შორის, საქართველოს ეროვნული გვარდიის ყოფილი სარდალი გენერალი ჯუღელი; ანტიბოლშევიკური პარტიების გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ხომერიკი; ბათუმურ ჯგუფთა კომიტეტის თავმჯდომარე რ. ჩხეიძე.[82]

ერთი სიტყვითაც არ იყო ნახსენები ფაქტი, რომ ჯუღელი და ხომერიკი პატიმრობაში იმყოფებოდნენ ჯერ კიდევ აჯანყების დაწყებამდე და მასში მონაწილეობა არ მიუღიათ. ისინი ჩეკას მიერ მხეცურად დახოცილი უმწეო მძევლები იყვნენ. *თაიმსი* იმასაც იუწყებოდა, რომ კომუნისტურმა მთავრობამ გამოსცა მოწოდება, რომლითაც ჰპირდებოდა „შეწყალებას და პირადი თა-

ვისუფლების გარანტიას მათ, ვინც კავშირს გაწყვეტს სოციალ-დემოკრატებთან და განაცხადებს მზადყოფნას, ხალხს საბჭოთა რეჟიმის პირობებში ემსახუროს“.[83]

როგორც დონალდ რეიფილდი წერს:

> 1924 წლის 1-ლ სექტემბერს, პარტიული მუშაკებისა და ჩეკისტებისაგან შემდგარი ტროიკების მიერ გამოტანილი განაჩენის თანახმად, სულ მცირე, 980 ადამიანი დახვრიტეს: მათი უმრავლესობა გამოჩენილი არისტოკრატი ან ინტელიგენტი გახლდათ (ჯალათებად თათრები და აზერბაიჯანელები მუშაობდნენ). მსხვერპლთა შორის უამრავი იყო ამბოხებულთა სრულიად უდანაშაულო ნათესავი ან მეგობარი, რომლებიც ჩეკისტების ხელში შემთხვევით აღმოჩნდნენ. კიდევ მრავალ ადამიანს (მათ შორის, ჯერ ინტერნირებიდან, შემდეგ კი გერმანიაში საქართველოს საელჩოდან დაბრუნებულ მწერალ კონსტანტინე გამსახურდიასაც*) თავი არქტიკულ ბანაკებში უკრეს. მცირერიცხოვან შეწყალებულთა შორის გახლდათ პროზაიკოსი მიხეილ ჯავახიშვილი — მას შუამდგომლობა მწერალთა კავშირმა გაუწია.[84]

როდესაც, მრავალი წლის მერე, ვაკის პარკის შენებას შეუდგნენ იმ ადგილას, სადაც დახვრეტათა უმრავლესობა ხდებოდა, მუშები ორმოებში ჩაყრილ უამრავ ჩონჩხს წააწყდნენ.

ათწლეულების მერე ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩაწერილი თვითმხილველთა ნაამბობები დაახლოებით გვახვედრებს, კომუნისტური რეჟიმი რა სასტიკ ძალადობრივ მეთოდებს იყენებდა. არჩილ კეკელიას ცნობით, „მარტო ჩვენს პატარა

---

* კონსტანტინე გამსახურდია საქართველოში 1923 წელს დაბრუნდა. 1924 წელს იგი მცირე ხნით დააკავეს, 1926 წელს კი შპიონაჟის ბრალდებით დააკავეს და 10 წლიანი გადასახლება მიუსაჯეს, თუმცა 1 წლის შემდგომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო გაათავისუფლეს (რედ. შენიშვნა).

სოფელში კომუნისტებმა 18 ადამიანი დახვრიტეს აჯანყებიდან პირველ კვირაში. მათ შორის იყო 15 წლის გოგონა და ორი ბიჭი, ერთი 16 წლის, მეორე კი – 17 წლისა“.[85] ალექსანდრე ცომაიას ჩვენება მთლიანად ციტირებას იმსახურებს:

> აჯანყების ჩახშობისთანავე კომუნისტები უამრავი ადამიანის დევნას შეუდგნენ, მიუხედავად იმისა, მონაწილეობდნენ თუ არა ისინი გამოსვლაში. მართალია, ძნელია ზუსტი რიცხვის დასახელება, მაგრამ, სავარაუდოდ, ჩახშობიდან სამი დღის განმავლობაში სიკვდილით დასაჯეს 7 000-დან 10 000-მდე კაცი და ქალი, 20 000 კი ციმბირში გადაასახლეს.
>
> კიდევ ერთი რამ მინდა დავამატო ნათქვამს. თან მაქვს სია, რომელიც ნათლად წარმოაჩენს, თუ როგორ არაადამიანურად ექცეოდნენ კომუნისტები ქართველ ხალხს. მინდა გიჩვენოთ სია, რომელიც მაშინ კომუნისტებმა ოფიციალურად გამოაქვეყნეს ქართულ პრესაში – მათ ეს არც დაუმალავთ. მასში აღწერილია სასჯელი, რომელიც ერთ ქართულ სოფელში თავს დაატეხეს ფანიაშვილის გვარის ყველა ოჯახს და ამოხოცეს კაცების, ქალების და მცირეწლოვანი ბავშვების ჩათვლით.
>
> ეს არ არის ერთადერთი შემთხვევა. პირიქით, ეს არის კომუნისტების მიერ ჩადენილი სისასტიკის ტიპური მაგალითი. კაცები და ქალები საავადმყოფოს საწოლებიდან მიჰყავდათ დასახვრეტად. ასევე ექცეოდნენ სკოლის მოსწავლეებს, სტუდენტებს, მღვდლებს, რომელთაც საერთო არაფერი ჰქონდათ აჯანყებასთან. სასამართლოს, დაკითხვის, განაჩენის გარეშე ათასობით უიარაღო ქართველი გაჰყავდათ და შეუბრალებლად კლავდნენ. საქართველოში არ დარჩენილა ოჯახი, რომელიც გადაურჩა და რომლის თუნდაც ერთი წევრი არ დასაჯეს სიკვდილით.[86]

ეს იყო საქართველოში მოწყობილი პირველი დიდი სასაკლაო, მაგრამ, რასაკვირველია, არა უკანასკნელი. მომდევ-

ნო წლებში დახოცილთა რიცხვი ათობით ათასებს მიაღწევდა, ხოლო გადასახლებულების — ასობით ათასებს.

მაგრამ ბოლშევიკებმა ყველა ზომას გადააჭარბეს და ბოლოს და ბოლოს გაიცა ბრძანებები, ეს ხოცვა-ჟლეტა შეწყვეტილიყო.

> ცენტრალური კომიტეტი, მოითხოვს რა გადამჭრელ ზომებს აჯანყების ჩასახშობად, კატეგორიულად უარყოფს დაპატიმრებულთა მასობრივი სიკვდილით დასჯის პოლიტიკას. ცენტრალური კომიტეტი მოითხოვს, დაუყოვნებლივ შეჩერდეს დახვრეტები ზაკჩეკას [ამიერკავკასიის ჩეკა] გადაწყვეტილებათა საფუძველზე.[87]

მაგრამ ცენტრალური კომიტეტის ამ მოთხოვნას ყური არ ათხოვეს და რეპრესიები ამის მერეც მრავალ თვეს არ შეწყვეტილა. ემი ნაითი წერს: „რეპრესიები გაგრძელდა, საბაბად ქართველ სოციალ-დემოკრატებისგან მომავალი საფრთხე ჰქონდათ, თუმცა კი ეს პარტია აღარ არსებობდა. მომდევნო, 1925-1926 წლებში სულ ცოტა, 500 ქართველი სოციალ-დემოკრატი დახვრიტეს სასამართლოს გარეშე“.[88]

მსხვერპლთა უმრავლესობა არ იყო ბრძოლაში მოკლული ამბოხებულები. მეტწილად ისინი სიკვდილით დასჯილი უიარაღო, უმწეო მოქალაქეები იყვნენ. მათ თავდაცვის კი არა, შურისძიების მიზნით ხოცავდნენ. დახოცილთა რაოდენობა არ შეედრებოდა რუსეთის სამოქალაქო ომის მსხვერპლთა მასშტაბებს, მაგრამ საქართველოსთვის ეს კატასტროფულად ბევრი იყო და ამ რეპრესიებმა ათასობით უდანაშაულო სიცოცხლე შეიწირა. ათასობით დახოცილთა გარდა, ათობით ათასები გადაასახლეს ციმბირსა და ცენტრალურ აზიაში. საქართველო მოიცვა ტერორმა, რომელიც ათწლეულების განმავლობაში ვერ იქნებოდა დავიწყებული.

ამ მოვლენებს მოულოდნელი გამოძახილი ექნება საერთაშორისო მემარცხენე მოძრაობაში. სოციალისტურ და კომუნის-

ტურ მოძრაობებს შორის არსებული ნაპრალი თავად აჯანყებაზე მეტად მისმა ჩახშობამ გახადა გადაულახავი და სამუდამო.

ზამთარი ტფილისში

1924 წლის აჯანყების დამარცხებას მოყოლილი სასაკლაო პირდაპირ გადაიზარდა იმ ადამიანების ხოცვა-ჟლეტაში, რომლებიც არსებული რეჟიმის მოწინააღმდეგეებად მიიჩნეოდნენ — იმის მიუხედავად, მონაწილეობდნენ ისინი ბრძოლებში თუ არა.

როგორც თბილისში რეპრესირებული მწერლების მუზეუმი გვამცნობს:

> აჯანყების დღეებში მასობრივ დახვრეტას ემსხვერპლნენ მეტეხის ციხეში მსხდომი მწერლები, რომელთაც საიდუმლო ორგანიზაცია ჰქონდათ ჩამოყალიბებული. დამკომის მოწოდების საპასუხოდ რეჟიმის მიერ მასობრივი დახვრეტების შეჩერებამ გადაარჩინა სხვა დაპატიმრებული მწერლების სიცოცხლე, რომელთა ნაწილი [იმ წლის] ნოემბერში ამნისტიით გათავისუფლდა, ნაწილი კი ბანაკებში გაგზავნეს.

ჩვენთვის ცნობილია რამდენიმე პოეტისა და მწერლის სახელი, რომლებიც საბჭოთა რეჟიმმა 1924 წლის 28 აგვისტოს მოკლა — იმავე დღეს, ჭიათურაში აჯანყება რომ დაიწყო. მათ შორის იყო დანიელ ფიფია — პოეტი, ფოლკლორისტი და ენათმეცნიერი. სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი ფიფია ჩეკამ 1922 წლის მარტში დააპატიმრა. ორწლინახევრის მერე ის ტფილისში დახვრიტეს.

ჩეკას მსხვერპლი გახდა პოეტი ამბროსი ჭელიძეც. ის საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდული განყოფილების, „ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის“ წევრი იყო. ჩეკამ 1923 წლის დეკემბერში დააპატიმრა და რვა-

თვიანი ტყვეობის მერე დახვრიტა.

მესამე მოკლული პოეტი იყო ფოკა კეკელიძე, ფსევდონიმით „ფოთოლი“. კეკელიძეც „ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის“ წევრი იყო, იგი ჩეკამ 1923 წლის სექტემბერში დააპატიმრა და თითქმის 1 წლის პატიმრობის მერე დახვრიტა.

დავით ქარცივაძე, ასევე პოეტი და ცარისტული რეჟიმის ყოფილი პოლიტპატიმარი, სოციალ-დემოკრატი იყო. იგი ჩეკამ 1924 წლის მაისში დააპატიმრა და სამ თვეში დახვრიტა.

ნიკოლოზ კვერნაძე, სოციალ-დემოკრატი მწერალი და დრამატურგი, ჩეკამ 1924 წლის იანვარში აიყვანა და შვიდ თვეში დახვრიტა.

ჩეკას დახოცილი ყველა ქართველი მწერალი სოციალ-დემოკრატი არ ყოფილა. მაგალითად, მწერალი და პუბლიცისტი გიორგი (გიგლა) გარსიაშვილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდული ფრთის ლიდერი იყო. 1924 წლის თებერვალში ის ჩეკამ მეორედ დააპატიმრა და ტფილისში დახვრიტა.

მიხეილ ბოჭორიშვილი ჩვენთვის ცნობილი ერთადერთი მწერალია, რომელიც აჯანყების *განმავლობაში* დააპატიმრეს. სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ლიდერი ბოჭორიშვილი თავიდან არ მოუკლავთ, არამედ ათწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. თუმცა, მაინც ვერ გადაურჩა ჩეკას ეგრეთ წოდებულ „სასჯელის საგანგებო ზომებს“ — 1937 წლის სექტემბერში დახვრიტეს ტომსკის ოლქის ქალაქ კოლპაშევოში, სადაც გადასახლებული იყო.

ამ მწერალთაგან თითქმის ყველა აჯანყების მომზადების პერიოდში ციხეში იჯდა და ცხადია, მასში მონაწილეობას ვერ მიიღებდა. ამას ბერიასთვის და მისი ხალხისთვის არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ისინი დამნაშავენი იყვნენ, რადგან მხარს უჭერდნენ სოციალ-დემოკრატებს, ეროვნულ დემოკრატებს, სოციალისტ-რევოლუციონერებს.

როგორც ლაშა ბაქრაძე წერს სტატიაში ცისფერყანწელთა შესახებ:

> ტფილისში კომუნისტ ხელისუფალთა შედარებით ლიბერალური დამოკიდებულება ხელოვანთა მიმართ 1924 წლის წარუმატებელი ანტისაბჭოთა აჯანყების მერე ერთბაშად შეიცვალა. პარტია ამიერიდან მოითხოვდა, მწერლები კომუნისტური იდეებისა და პარტიის პოლიტიკის ერთგული მხარდამჭერები ყოფილიყვნენ. ე.წ. „თანამგზავრები“ მათ აღარაფერში სჭირდებოდათ. ცისფერყანწელები შეეცადნენ, საბჭოთა აღმშენებლობის სამსახურში ჩამდგარიყვნენ და მორგებოდნენ მზარდ პოლიტიკურ ზეწოლას.[89]

ამან ქართულ კულტურაზე უზარმაზარი ზეგავლენა მოახდინა. ჰაერში სუსხი ტრიალებდა — როგორც მთელ საბჭოთა კავშირში. და მომდევნო ათწლეული კიდევ უარესს მოიტანდა — ბევრად უარესს.

ჩეკას გამარჯვება

1924 წლის აგვისტოში აჯანყების დაწყებამდე ბევრად ადრე ჩეკამ უკვე იცოდა, რომ ის მზადდებოდა. მათ დაპატიმრებულ სოციალ-დემოკრატთა ლიდერებს, მათ შორის, ჯუღელს, უთხრეს, რომ *ყველაფერი* იცოდნენ და მათი წინააღმდეგობა ამაო იყო. ჩანს, ჯუღელმა მათ დაუჯერა და აჯანყებულებს მოუწოდა, უარი ეთქვათ დაგეგმილ გამოსვლაზე. ჩანს-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ არსებობს სხვადასხვა შეხედულება, თუ რას გულისხმობდა ჯუღელი ამხანაგებისთვის გაგზავნილ წერილში. ზოგ ისტორიკოსს მიაჩნია, რომ ის მათ აჯანყებაზე უარის თქმას კი არა, გეგმების ასრულების გაგრძელებას ურჩევდა.

ჩვენ არ ვიცით, ჩეკამ როგორ შეიტყო აჯანყების შესახებ, რომელიც 28 აგვისტოს ჭიათურაში დაიწყო. შეიძლება, ზოგი რამ ვივარაუდოთ, გარდა ამისა, გვაქვს თავად ბერიას უჩვეულო „ჩვენება“. მოდით, განვიხილოთ ყველა ეს ვარიანტი.

საბჭოთა საიდუმლო პოლიციას, მისი ცარისტული წინამორბედის (ოხრანკა) მსგავსად, სურდა, ყველას ერწმუნა, რომ ის ყოვლისმცოდნე და ყოვლისმჭვრეტელი იყო. ჩეკისტებს უნდოდათ, რომ საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებს მათი რწმენა, მათი ნდობა და, თუ საჭიროა, მათი შიშიც ჰქონოდათ. და უნდოდათ, ეს შიში აღეძრათ საბჭოთა რეჟიმის მოწინააღმდეგეებშიც. თუმცა, შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ბევრი რამ, რაც 1924 წლის აჯანყების წინა პერიოდში ხდებოდა, ჩეკისტებმა სულაც არ იცოდნენ.

საქართველოში მყოფმა ოპოზიციონერებმა საგულდაგულოდ დაგეგმეს აჯანყება. ჟორდანიამ და საფრანგეთში დევნილმა საქართველოს მთავრობამ, რომელსაც ის ხელმძღვანელობდა, აჯანყების ფართო სტრატეგიული მონახაზი შეიმუშავეს. საქართველოსთან კომუნიკაცია ძირითადად სოციალ-დემოკრატთა სტამბოლში მყოფი წარმომადგენლების მეშვეობით ხდებოდა. ჩეკამ აქედან ზოგი რამ შეიტყო, თუმცა არა ყველაფერი. 1920-იანების პირველ წლებში ჩეკას საფრანგეთში ქართველი ემიგრანტების შორის კარგი კონტაქტები არ მოეპოვებოდა — თუმცა შემდგომში ამას გამოასწორებენ.

მთელი 1920-იანები ქართველ დევნილებში პიროვნებებსა თუ პოლიტიკურ პარტიებს შორის უნდობლობა სულ უფრო იზრდებოდა. ეს ზოგჯერ ძალადობრივ დაპირისპირებამდეც კი მიდიოდა. ჩეკა ამას ხელს უწყობდა. ამ კონტექსტში ჩვენთვის გასაგები ხდება ბერიას საიდუმლო სიტყვა, 1930-ში, აჯანყებიდან ექვსი წლის შემდეგ რომ წარმოთქვა.

„ცნობილია შემთხვევები, როდესაც ანტისაბჭოთა ორგანიზაციის მმართველი ჯგუფის ერთი წევრი მეორის შესახებ ინფორმაციას გვაწვდიდა მეტოქის ჩამოცილებისა და მისი ადგილის დაჭერის მიზნით“, უთხრა ბერიამ კომუნისტური პარტიის ერთგული მომხრეებისგან შემდგარ აუდიტორიას.[90]

„ჩვენ ვიღებდით წერილობით ინფორმაციას, რომელიც გვატყობინებდა, სად მუშაობდნენ ესა თუ ის პიროვნებები და რომელ ორგანიზაციებს მიეკუთვნებოდნენ“, თქვა ბერიამ, „ჩვენ მიზანს მივაღწიეთ. შედეგად, სხვადასხვა პარტიიდან ბევრი გავლენიანი პიროვნება დავაკავეთ“.

თავიდან ბერია უბრალოდ აღიარებდა, რომ შესაძლო იყო, ერთი პარტიის წევრებს მეტოქე პარტიის შესახებ ინფორმაცია მიეწოდებინათ. მაგრამ მერე ბევრად უფრო დააკონკრეტა: „ასევე, გვქონდა ბევრი შემთხვევა, როდესაც ერთი პარტია, მაგალითად, ეროვნული დემოკრატები, გვაწვდიდნენ ინფორმაციას სხვა პარტიის წევრებზე, მათი თავიდან მოცილების მიზნით“, თქვა მან.

ექვსი წლის წინანდელ, ანუ 1924 წლის ეროვნული აჯანყების დროინდელი მოვლენების თაობაზე მან განმარტა: „ყველას კარგად გახსოვთ, რომ აჯანყების დროს ეროვნულ დემოკრატებს სურდათ, მოძრაობის სათავეში მდგომებად გამოჩენილიყვნენ და ამგვარად პოლიტიკური უპირატესობა მოეპოვებინათ. ამიტომ ებრძოდნენ ისინი მენშევიკებს ზემოხსენებული მეთოდებით“.

ბერიამ კიდევ უფრო კონკრეტული დეტალებიც გაამხილა. „თავიდან ჩვენ მათგან [ეროვნული დემოკრატებისგან] მივიღეთ ინფორმაცია მათი კომიტეტის წევრ წინამძღვრიშვილზე*, რომელიც მენშევიკებთან ერთობლივი მუშაობის საჭიროებას ქადაგებდა“, გაიხსენა მან. სავარაუდოდ, ჩეკა ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით მოქმედებდა, როდესაც დააპატიმრა სხვა ზომიერი ეროვნული დემოკრატები, რომლებიც სოციალ-დემოკრა-

* გიორგი წინამძღვრიშვილი — საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრი. დააპატიმრეს 1924 წლის აჯანყების შემდეგ. მრავალჯერ იყო რეპრესირებული (დაზუსტებული ბიოგრაფიული მონაცემები არ მოგვეპოვება) (რედ. შენიშვნა).

ტებთან ერთობლივ ქმედებებს ემხრობოდნენ. ბერიას თქმით, ეროვნული დემოკრატები სოციალ-დემოკრატთა სამხედრო ორგანიზაციების განადგურებასაც შეუდგნენ. მათ ჩეკას შეატყობინეს დეტალური ცნობები ვასილ ნოდიაზე*, დამფუძნებელი კრების სოციალ-დემოკრატ წევრზე, რომელიც დახვრიტეს 1924 წლის აჯანყების დროს, 31 აგვისტოს. ბერიას თქმით, თავად ჯუღელის დაპატიმრებაზეც ეროვნული დემოკრატები იყვნენ პასუხისმგებელნი. „მათი დახმარებით ჩვენ შევძელით ჯუღელის დაკავება“, განაცხადა მან, „და სწორედ მათ გამოგვიგზავნეს ფოსტით შეთქმულების გეგმა, რომლის მეშვეობითაც ვაიძულეთ ჯუღელი, ყველაფერი ეღიარებინა“.

ბერიამ ილაპარაკა აჯანყების თავდაპირველ გეგმაზე, რომლის მთავარი მიზანი დედაქალაქ ტფილისის აღება იყო. აჯანყებულებს ჩანაფიქრი რომ გამოსვლოდათ, ბერიას თქმით, „ერთობ ძნელ ვითარებაში აღმოვჩნდებოდით, რადგან მენშევიკების მთელი შეიარაღებული ძალები აქ იყო მოგროვებული“. გეგმის მიხედვით, პირველად დედაქალაქში ჩეკას შენობისთვის უნდა შეეტიათ. ასევე, თავს უნდა დასხმოდნენ ფოსტას და ჯავშანმატარებელს. ეს მრავალმხრივი გეგმა იყო, აჯანყებულებმა ხელმძღვანელ ბოლშევიკთა, მათ შორის, ორჯონიკიძის, საცხოვრებელი ადგილების მისამართებიც კი იცოდნენ. ზოგ შემთხვევაში ამ სახლების გასაღებების ასლებიც კი ჰქონდათ.

---

* ვასილ (ვასო) ნოდია (1891-1924) — სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი, სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრი, პროფკავშირული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი. 1921 წლის თებერვალში იბრძოდა წითელი არმიის წინააღმდეგ, ტყვედ ჩავარდნილმა თავს გაქცევით უშველა. 1922 წელს საბჭოთა სპეცსამსახურებმა ქვეყნიდან გააძევეს. ამავე წელს ფარულად დაბრუნდა საქართველოში. 1924 წელს მიავლინეს საფრანგეთში აჯანყების სამზადისთან დაკავშირებით. საქართველოში დაბრუნდა აჯანყების ლიდერებთან ერთად. დახვრიტეს 1924 წელს (რედ. შენიშვნა).

აჯანყება სტამბოლიდან დაიგეგმა, ჯუღელისა და სხვების მიერ, და საქართველოში დამკომმა გეგმა მოიწონა. სავარაუდოდ, ჩეკამ გეგმის შესახებ სტამბოლშივე შეიტყო, თავისი იქაური წყაროებიდან.

ბერიას თუ ვერწმუნებით, ეროვნულ დემოკრატებს უნდოდათ, აჯანყება სხვა გეგმის მიხედვით წარემართათ და დაჰყრდნობოდნენ ქაქუცა ჩოლოყაშვილს, რომელიც ამ დროს მათ უფრო უჭერდა მხარს, ვიდრე სოციალ-დემოკრატებს. მოკავშირე ოპოზიციურ პარტიებს შორის არსებულმა ამ მეტოქეობამ ათქმევინა ბერიას: „აჯანყების ჩახშობა გაგვიადვილდა“. ბერიას თქმით, „ამ ორ ანტისაბჭოთა პარტიას შორის უთანხმოებამ“ ჩინებული სამსახური გაუწია ჩეკას. „ამ ინფორმაციას ეროვნული დემოკრატებისგან ვიღებდით“, აღნიშნა მან.

სარწმუნოა თუ არა ბერიას ნათქვამი? შესაძლებელია, რომ აჯანყების საიდუმლო ეროვნულ დემოკრატებს გაეცათ?

ადრინდელი აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, 1924 წელს სოციალ-დემოკრატები და ეროვნული დემოკრატები ერთად მუშაობდნენ დამკომსა და დევნილობაში აჯანყების გეგმის შედგენაზე. მაგრამ არსებობს მტკიცებულება, რომ ეროვნულ დემოკრატებს ისევ ძველებურად სძულდათ ჟორდანია და მისი პარტია და ისინი ლამის ბოლშევიკების თანაბრად ჰყავდათ ათვალწუნებული. ეროვნულ-დემოკრატებს ბოლშევიკების შემოჭრამდე საკუთარი იატაკქვეშა ორგანიზაცია ჰქონდათ 1921 წელს და დადიოდა ხმები, რომ რამდენიმე მათი გენერალი შეთქმულებას აწყობდა, რომ 1922 წლის მაისისათვის სოციალ-დემოკრატიული მთავრობა გადაეგდოთ.[91]

ბერია, უდავოდ, არ არის ინფორმაციის სანდო წყარო. ჩეკა საქართველოში, ისევე როგორც ყველგან, „დაყავი და იბატონეს“ ტაქტიკას ხმარობდა. ამ მხრივ საგულისხმოა გენერალ გიორგი მაზნიაშვილის შემთხვევა. მაზნიაშვილი 1921 წელს საბჭოთა თავდასხმის დროს საქართველოს ცალკეულ საჯარისო

ნაწილებს მეთაურობდა. ამის მიუხედავად, მას საქართველოდან დევნილი სოციალ-დემოკრატები არ ენდობოდნენ, რაკი მიაჩნდათ, შესაძლოა, იგი ბოლშევიკებთან თანამშრომლობდა, სანამ ქვეყანას დატოვებდაო. ერთი ანგარიშის თანახმად, მაზნიაშვილმა ვერ შეძლო შეესრულებინა რაღაც, რის გაკეთებაც ორჯონიკიძემ უბრძანა. ჩეკამ, უწყოდა რა მისი „უდიდესი ავტორიტეტი როგორც საქართველოში, ისე მის გარეთ“, გადაწყვიტა, მისთვის ჩირქი მოეცხო. ერთ-ერთი ქართველი ისტორიკოსის თანახმად, „მას ჯერ დასწამეს, რომ საგანგებო კომისიას [ჩეკა] 1924 წლის აჯანყების გეგმები გაუმხილა, მერე ფინანსურ სკანდალში მონაწილეობა თუ რაღაც სასიყვარულო კავშირები დააბრალეს“.[92]

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩეკა გაწაფული იყო ქართველებისთვის ინფორმატორობის დაბრალებასა და ამგვარად მათ მიმართ ნდობის შერყევაში. შეიძლება, ბერიას გამოსვლასაც ეს მიზანი ჰქონდა, როდესაც მან ეროვნული დემოკრატები დაასახელა ჩეკას წყაროდ 1924 წლის აჯანყების დეტალების გამოძიებისას. შესაძლოა, 1930 წლის გამოსვლაში ბერია წყლის ამღვრევას და პარტიების ერთმანეთზე გადამტერებას ცდილობდა.

ასეა თუ ისე, სოციალ-დემოკრატებმა კარგად იცოდნენ ზოგი ეროვნული დემოკრატის მტრული განწყობა მათ მიმართ და ის ჭორებიც სმენოდათ, თითქოს მათი მეტოქე პარტია ჩეკას ინფორმაციას აწვდიდა. მაგრამ მათ გადაწყვიტეს, ეს ამბები არ გაესაჯაროებინათ.

რაც გინდ ყოფილიყო ჩეკას წყარო, უეჭველია, რომ ინფორმატორები არსებობდნენ. მათგან ბერიასთვის და მისი კოლეგებისთვის მიწოდებულმა ინფორმაციამ საბჭოთა რეჟიმს შეაძლებინა, წინასწარ მომზადებულიყო, დაეპატიმრებინა ჯუღელის მსგავსი მნიშვნელოვანი ლიდერები და აჯანყების დამარცხება უზრუნველეყო. სულერთია, ვინ იყო მიმწოდებელი — რომ არა ეს ინფორმაცია, აჯანყება შესაძლოა სულ სხვანაირად წარმართულიყო.

ინტელექტუალთა ღალატი

ჟიულიენ ბენდას მომცრო წიგნმა „ინტელექტუალთა ღალატი“ (La Trahison des Clercs) 1927 წელს პირველი გამოცემისას დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. ბენდას არ უხსენებია საქართველოში სამი წლის წინ მომხდარი აჯანყება, თუმცა მის წიგნში ძალიან დეტალურად იყო აღწერილი, როგორც თავად უწოდებს, „წიგნიერთა“ უცნაური ფენომენი – კერძოდ, ინტელექტუალები, რომლებიც სიხარულითა და მზადყოფნით ტყუიან ძლიერი ავტორიტარული რეჟიმების სასარგებლოდ. ბენდას წიგნი მისი პირველი გამოცემის მერე განუწყვეტლივ ხელახლა იბეჭდება.

ბენდას აზრით, ამ „ინტელექტუალთა“ თვისებებს შორისაა „სისასტიკის კულტი“, ასევე – „წარმატების კულტი“, რომელსაც ასე განმარტავს: „სწავლება, რომელიც ამბობს, რომ თუ ნება წარმატებულია, თავად ეს ფაქტი სძენს მას მორალურ ღირებულებას, ხოლო დამარცხებული ნება ზიზღს იმსახურებს თავად დამარცხების გამო“.[93]

1920-იან წლებში ბევრი ევროპელი ინტელექტუალისთვის ბოლშევიკების წარმატება – და უტიფარი სისასტიკე – მათ აღტაცების ობიექტად აქცევდა. ბოლშევიკების დამარცხებულ მოწინააღმდეგეებს, მათ შორის, რუს მენშევიკებსა და ქართველ სოციალ-დემოკრატებს, ზიზღით აქცევდნენ ზურგს. ზოგი ამ ინტელექტუალისთვის საქართველოს 1924 წლის აჯანყების ჩახშობა იქცა შესაძლებლობად, ერთგულება გამოეცხადებინათ გამარჯვებული (და უზომოდ სასტიკი) საბჭოთა რეჟიმისთვის.

კლარა ცეტკინი საერთაშორისო მემარცხენე მოძრაობის ლეგენდა იყო. 1924 წელს 67 წლის ცეტკინს მთელი მსოფლიო იცნობდა, როგორც ქალთა სოციალისტური ორგანიზაციების დამაარსებელსა და ქალთა საერთაშორისო დღის დამწესებელს. თავის დროზე ის აქტიურად საქმიანობდა გერმანიის სო-

ციალ-დემოკრატიული პარტიის მემარცხენე ფრთაზე და როზა ლუქსემბურგის ახლო მოკავშირე და მეგობარი იყო. 1917 წელს ბოლშევიკური გადატრიალების მერე მან ლუქსემბურგთან ერთად ურთიერთობა გაწყვიტა სოციალ-დემოკრატებთან და გერმანიის ახალ კომუნისტურ პარტიას შეუერთდა. ამ საქმიანობამ ის მოსკოვში ჩაიყვანა, სადაც კომუნისტური ინტერნაციონალისგან თანამდებობა მიიღო და დაევალა ქალთა შორის კომუნისტური საქმიანობის ხელშეწყობა მთელ მსოფლიოში.

1924 წელს საქართველოს ხანმოკლე აჯანყების მერე მსოფლიოში სწრაფად გავრცელდა ხმა ჩეკას მოწყობილი ხოცვა-ჟლეტის მასშტაბებზე. ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა ჩეკას მიერ დახოცილი ხალხის სიები მსოფლიოს გააცნეს და მხარდაჭერა ითხოვეს.

კომინტერნის ხელმძღვანელობის რეპუტაციისთვის ეს მძიმე დარტყმა იყო. მათ სასწრაფოდ სჭირდებოდათ საქართველოს მოვლენების ალტერნატიული აღწერა. ცეტკინი ამ მიზნით ტფილისში მიავლინეს.[94]

საქართველოში ჩასული ცეტკინი იძულებული გახდა, თვალი გაესწორებინა რეალობისთვის — ცოტა ხნის წინ საბჭოთა რეჟიმმა მასობრივად დახოცა უდანაშაულო კაცები და ქალები, რომელთაგან ბევრი აჯანყებასთან საერთოდ არაფერ შუაში იყო. ცეტკინის საქართველოში ყოფნისას წითელი ტერორის მსხვერპლთა ცოლები შეხვდნენ მას და დაუპირისპირდნენ. როდესაც ცეტკინი ამტკიცებდა, აჯანყება მდიდრებმა, დიდებულებმა და ეკლესიამ მოაწყვესო, ერთ-ერთი აჯანყებულის, დავით დვალის ქვრივმა მას ქმრის ტანსაცმელი ესროლა, რომ დაემტკიცებინა, ის ჩვეულებრივი მუშა კაცი იყოო.

საქართველოში ადგილობრივი კომუნისტური ხელმძღვანელობა ცდილობდა, რაც შეიძლება, შემცირებულად წარმოეჩინა აჯანყების მასშტაბები და ცეტკინსაც უთხრეს, მხოლოდ 320-მდე ადამიანი გარდაიცვალაო.[95] დღევანდელი მკვლევრები გაცი-

ლებით დიდ რიცხვს ასახელებენ, ზოგი აცხადებს, კომუნისტებმა 12 500-ზე მეტი ადამიანი დახვრიტესო.[96] ცეტკინი შემცირებულ რიცხვს დასთანხმდა.

ცეტკინის ანგარიში 1926 წელს გამოქვეყნდა წიგნში სათაურით „გათავისუფლებულ კავკასიაში“ (Im befreiten Kaukasus). მასში ის ბოლომდე პირს სწმენდს დამნაშავეებს: საქართველოს კომუნისტ მმართველებსა და მათ მოკავშირეებს.

როგორც ამერიკელი ტროცკისტი მაქს შეხტმანი წერდა ცეტკინის ნეკროლოგში 1933 წელს, „სტალინიზმის გასაოცარი ტრიუმფი ... მისთვის, როგორც ყველა რევოლუციონერისთვის, ვინც ალტერნატივად ღია ბრძოლის არჩევა ვერ შეძლო, იყო პირში ჩაჩრილი ჩვარი, ნების დაძაბუნება, საშინელი სულიერი დეგრადაცია“.[97]

ეს სულიერი დეგრადაცია არსად ისე თვალსაჩინოდ არ ჩანს, როგორც ცეტკინის ქცევაში 1924 წლის საქართველოს აჯანყებასთან დაკავშირებით. ცეტკინის შეფასება გაიმეორეს არა მხოლოდ კომუნისტებმა, რაც მოსალოდნელიც იყო, არამედ გამოჩენილმა ინტელექტუალებმაც, რომლებიც სტალინისტურ რეჟიმს თანაუგრძნობდნენ. ისინიც, თავის მხრივ, ლამობდნენ, როგორმე გაეუფასურებინათ საქართველოში ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევების მნიშვნელოვნება.

ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ სახელოვანი ფრანგი მწერალი ანრი ბარბიუსი. მის სახელს დღესაც კი უაღრესად მოწიწებით ახსენებენ. ერთ-ერთი ბოლოდროინდელი შეფასება მისი ცხოვრების შეჯამებისას გვამცნობს: „პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ანრი ბარბიუსი საფრანგეთის კომუნისტურ პარტიაში შევიდა და პაციფისტური და სოციალისტური ნაწარმოებების შექმნა განაგრძო. ბარბიუსის — პაციფიზმისა და რადიკალური სოციალური რეფორმების მხარდამჭერის — შემოქმედება ნაცისტებმა შავ სიაში შეიტანეს და მის წიგნებს წვავდნენ, მისი მემარცხენე იდეოლოგიის გამო.[98]

ბარბიუსი ახსოვთ, როგორც პაციფისტი, სოციალური რეფორმატორი და სოციალისტი. როგორც იდეალისტს, ბუნებრივად იზიდავდა ესპერანტოს გავრცელების მოძრაობა, ხედვა, რომ საყოველთაო ენა მსოფლიო მშვიდობის დამყარების საშუალებად გამოდგებოდა. იგი იყო *სენაციეცა ასოციო ტუტმონდას* (SAT) სახელით ცნობილი ესპერანტისტთა მემარცხენე ჯგუფის პირველი კონგრესის საპატიო პრეზიდენტი – ეს ჯგუფი თავიდან საბჭოთა რუსეთის გულშემატკივრობით გამოირჩეოდა. ბარბიუსი SAT-ის აქტიურ წევრად დიდხანს არ დარჩენილა, რადგან ეს ორგანიზაცია ფიცხი ეჟენ ლანტის ხელმძღვანელობით კომუნისტური რეჟიმის მიმართ თანდათან საკმაოდ კრიტიკული გახდა. ბარბიუსის ესპერანტოზე მოლაპარაკე ამხანაგები საბჭოთა კავშირში სტალინური ტერორის მსხვერპლებად იქცნენ, როცა კომუნისტებმა მათთვისაც მოიცალეს.

ბარბიუსი მხარს უჭერდა და ხელმძღვანელობდა ბევრ სხვადასხვანაირ კომუნისტურ ორგანიზაციას, რომლებიც მშვიდობისა და სოციალური სამართლიანობისთვის იბრძოდნენ. ის საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ერთგული და მოწესრიგებული წევრი იყო, აღიარებდა მის ავტორიტეტს და, კლარა ცეტკინის მსგავსად, მოსკოვის კომინტერნის ბრძანებებს ემორჩილებოდა.

ბარბიუსს საბჭოთა რეჟიმმა სთხოვა, გამოეყენებინა თავისი მნიშვნელოვანი გავლენა და მორალური ავტორიტეტი იმისათვის, რომ განემარტა, როგორ მუშაობდნენ კომუნისტები საქართველოში. მან ეს თხოვნა შეასრულა და 1929 წელს გამოსცა წიგნი „აი, რა უყვეს საქართველოს*“ (Voici ce qu’on a fait de la Géorgie).

1927 წელს, საქართველოში ჩასვლის წინ, ბარბიუსი სტალინს შეხვდა. შესაძლოა, ის პირველი ევროპელი მწერალი

---

* ამ სათაურით წიგნი ქართულად გამოქვეყნდა 1930 წელს (მთარგმნელი არისტო ჭუმბაძე, სახელგამი) (რედ. შენიშვნა).

23. ანრი ბარბიუსი და კლარა ცეტკინი

იყო, ვინც ახალმა საბჭოთა ლიდერმა მიიღო. ბარბიუსი სტალინთან კონკრეტული პრობლემით მივიდა. მას „სჭირდებოდა, განესხვავებინა საბჭოთა პოლიტიკური ძალადობა, მათ შორის, 1920 წელს დამოუკიდებელი საქართველოს მიერთება, ფაშისტური ძალადობისგან, რომლის წინააღმდეგაც ის ევროპაში ინტელექტუალებს რაზმავდა“.[99]

„როგორ უნდა აეხსნა მას ევროპელებისთვის განსხვავება ფაშისტურ (თეთრ) და წითელ ტერორებს შორის?“ კარგი კითხვა იყო. სტალინმა მასზე პასუხს თავი აარიდა, განაცხადა რა, რომ 1918 წლის მერე „წითელი ტერორი აღარ არსებობდა“.[100]

სტალინმა შეთხზა ისტორიული ზღაპარი, რომელიც ბარბიუსმა ენთუზიაზმით დაიჯერა. 1918 წლის მასშტაბის დახვრეტები აღარ განმეორებულაო, დაარწმუნა სტალინმა ფრანგი მწერა-

ლი. „მეტიც: რომ არა კაპიტალიზმის ულმობლობა და სიძლიერე, საბჭოთა კავშირი შეძლებდა, სიკვდილით დასჯა საერთოდ გაეუქმებინა“, დასძინა სტალინმა. „რა თქმა უნდა, სიკვდილით დასჯა არასასიამოვნო რამაა. ვის სიამოვნებს ხალხის ხოცვა?“ ბარბიუსმა სტალინს პასუხად მიუგო: „სრული ჭეშმარიტებაა. არსებულ ვითარებაში სიკვდილით დასჯის გაუქმება საბჭოთა ხელისუფლებისთვის თვითმკვლელობის ტოლფასი იქნება“.[101]

ბარბიუსის წიგნი საქართველოზე იყო „ნაწილობრივ ეგზოტიკურ ადგილებში მოგზაურობის აღწერა, ნაწილობრივ — ნახევრად შეთხზული ინტერვიუები ადგილობრივ მცხოვრებლებთან და ნაწილობრივ — პოლიტიკური ტრაქტატი“.[102] ის უარყოფდა ბრალდებას, თითქოს 1921 საბჭოელების შეჭრა საქართველოში „წითელი იმპერიალიზმის“ გამოვლინება იყო. და გახლდათ გენერალური რეპეტიცია საბჭოთა ლიდერის ჰაგიოგრაფიული ბიოგრაფიისა, რომელიც ბარბიუსმა 1935 წელს გამოაქვეყნა.

ბარბიუსი წუხდა, რომ მსოფლიო საქართველოს 1924 წლის აჯანყების მოვლენების თაობაზე არასწორ ფაქტებს იღებდა. დღევანდელი გადმოსახედიდან „მეინსტრიმული მედიის“ შესახებ ამბობდა, მათ მიერ გამოქვეყნებული *“fausses nouvelles“** რომ შეგვეკრიბა, უზარმაზარი ტომი შეიკვრებოდაო. ათწლეულებით ადრე, სანამ ტერმინი „fake news (ფეიკ-ნიუსი)“ ფართოდ დამკვიდრდებოდა, ბარბიუსმა ზუსტად ეს გამოთქმა გამოიყენა იმის აღსაწერად, თუ როგორ „ტყუოდნენ“ არაკომუნისტი მწერლები საქართველოში 1924 წელს მომხდარი ამბების შესახებ. მისი წიგნის მიზანი სწორი ინფორმაციის მიწოდება იყო.

მისი ცნობით, აგვისტოს აჯანყებას წინ უსწრებდა „ყოფილი ოფიცრების მიერ მოწყობილი აჯანყებები“ — და არა მუშების ან გლეხების — რომლებიც, როგორც კი რომელიმე სოფელს ჩაიგ-

* fausses nouvelles (ფრანგ.) — არასწორი ინფორმაცია (რედ. შენიშვნა).

დებდნენ ხელში, მიწებს მაშინვე თავადებს უბრუნებდნენ. როგორც ჩანს, ბარბიუსმა არ იცოდა, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ დამოუკიდებლობის პერიოდში მიწა გლეხებს გადასცა ძალიან წარმატებული აგრარული რეფორმით.

ის წერდა, რომ ქართველი აჯანყებულები ყველანაირად ცდილობდნენ დახმარების მოპოვებას უცხოეთისგან, განსაკუთრებით, საფრანგეთისგან. აცხადებდა, რომ ისინი უშუალოდ გენერალ მაქსიმ ვეიგანთან, ამ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფრანგ მხედართმთავართან, აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს. ვეიგანი უკვე დახმარებოდა პოლონელებს ბოლშევიკებთან ბრძოლაში. ბარბიუსი ამტკიცებდა, რომ საქართველოს დევნილობაში მყოფი მთავრობა ფინანსურ დახმარებას ითხოვდა [საფრანგეთის] მთავრობისგანაც, რომელსაც ყოფილი სოციალისტი, არისტიდ ბრიანი ხელმძღვანელობდა. ის არ აზუსტებდა, რით დაეხმარნენ ვეიგანი ან ბრიანი საქართველოს, თუმცა ნამდვილად იცოდა, რომ საქართველოს 1924 წელს არანაირი უცხოური დახმარება არ მიუღია.

ბარბიუსს სწამდა, რომ ანტისაბჭოთა ქართველებმა 1924 წლის აჯანყების ჩახშობა საკუთარი პროპაგანდისტული მიზნებით გამოიყენეს და რომ მათთვის ის უფრო მნიშვნელოვანიც კი იყო, ვიდრე წითელი არმიის შემოჭრა 1921 წელს — რაც შეიძლება სიმართლეც ყოფილიყო. მას სჯეროდა, რომ დახოცილთა რაოდენობა გაზვიადებული იყო, და ეს ბრაზს ჰგვრიდა.

„არტილერიის მიერ განადგურებული სოფლები; მასობრივი დაპატიმრებები, სიკვდილით დასჯა... წამება, ისეთი გამორჩეული სისასტიკე, რომელიც ტოლს არ უდებს ფაშიზმისა და თეთრი ტერორის პოლიციისა თუ მთავრობის გამოყენებულ მეთოდებს“ — ეს ყველაფერი ანტისაბჭოთა ძალების გავრცელებული სიცრუეაო, წერდა ბარბიუსი. ეს ცნობები, მისი ხედვით, პირუთვნელად არ ასახავდა პატარა აჯანყებას, რომელიც

იოლად ჩაახშეს ძალიან მცირე მსხვერპლით. გული სტკიოდა, კომუნისტების ქცევას იტალიაში ფაშისტების ჩადენილ ამბებს რომ ადარებდნენ.

ბარბიუსმა საქართველოში იმოგზაურა და დაასკვნა, რომ მთელი ეს ლაპარაკი მკვლელობებსა და კომუნისტების მხეცობაზე რეჟიმის ოპონენტების მიერ ერთობ გაბუქული იყო. „მაგალითად, რაც შეეხება არტილერიის განადგურებულ სოფლებს... მე მქონდა შესაძლებლობა, მივსულიყავი და მენახა ისინი, და დავრწმუნებულიყავი, რომ არავითარი არტილერია გამოყენებული არ ყოფილა“, წერდა ის. გავიხსენოთ, რომ ის საქართველოში 1924 წლის აჯანყებიდან რამდენიმე წელიწადში ჩავიდა.

ბარბიუსი უარყოფდა ცნობებს, რომ „ქუჩაში ისე ვერ გაივლიდი, თავდასხმის, დაპატიმრების და სიკვდილის შიში რომ არ გქონოდა... მე ველაპარაკე ბევრ ადამიანს, რომლებიც საქართველოში აჯანყების ჩახშობისთანავე ჩავიდნენ, და ყველანი გადაჭრით უარყოფდნენ ამას“. ბარბიუსმა თავისი ქართველი მეგობრებისგან იცოდა, რომ „იმ დროს თავისუფლად და უსაფრთხოდ შეიძლებოდა სიარული საქართველოს ნებისმიერ ნაწილში“.

ის უარყოფდა, რომ ზოგი დაპატიმრებული სოციალ-დემოკრატი ჩეკას მხრიდან წამების მსხვერპლი იყო. „მე არასოდეს გამიგონია ჩივილი ცუდი მოპყრობისა, წამებისა თუ გაჭირვების შესახებ“, წერდა ის. რაც შეეხება ბევრი გამოჩენილი სოციალ-დემოკრატის სიკვდილით დასჯას, რომელთაგან ბევრი აჯანყების დაწყებამდე უკვე ჩეკას ციხეებში იჯდა და მასში მონაწილეობა არ მიუღია, ბარბიუსი ამტკიცებდა, რომ მათთვის „მძევლები“ არ უნდა ეწოდებინათ — თუმცა, რა თქმა უნდა, ისინი სწორედ მძევლები იყვნენ.

„ეს პატიმრები ყველანი მკვლელები და ბანდიტები იყვნენ, მათ უამრავი დანაშაული ედებოდათ ბრალად“, წერდა იგი. და მათი დანაშაულები არ იყო მხოლოდ ის, რაც 1924 წელს მოიმოქმედეს — როცა, სავარაუდოდ, უცხოელ იმპერიალისტებს,

24. კონსტანტინე კანდელაკი



25. დავით შარაშიძე

მღვდლებსა და მეფის ოფიცრებს შეეკრნენ ახალი საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ. მათი მოკვლა გამართლებული იყო იმით, რასაც ისინი თუნდაც საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში ჩადიოდნენ. სახალხო გვარდიის ყოფილი მეთაური ჯუღელი ნამდვილი „ურჩხული“ იყოო, წერდა იგი.

1953 წელს გამოცემულ წიგნში „ქართული საკითხი თავისუფალი სამყაროს წინაშე“ კონსტანტინე კანდელაკი* ბარბი-

* კონსტანტინე კანდელაკი (1883-1958) – ეკონომისტი, კოოპერატორი, პოლიტიკოსი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი, ევროპაში გაგზავნილი საქართველოს ეკონომიკური მისიის (1920) ხელმძღვანელი. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ წავიდა ემიგრაციაში, სადაც აგრძელებდა პოლიტიკურ და სამეცნიერო საქმიანობას. ორ ტომად გამოსცა საფუძვლიანი კვლევა „საქართველოს ეროვნული მეურნეობა“, რომელიც დღესაც მნიშვნელოვანი ნაშრომია. გარდაიცვალა ლოზანაში, დაკრძალულია ლევილში (რედ. შენიშვნა).

უსის შესახებ წერდა: „გამოჩენილმა ფრანგმა მწერალმა თავისი სამწერლობო ნიჭი და ლიტერატურული დიდება ბოლშევიკური პროპაგანდის სამსახურში ჩააყენა და შეეცადა გაემართლებინა ის, რაც საბჭოელებმა საქართველოში ჩაიდინეს. მან საქართველოზე წიგნი დაწერა, რომელშიც ბრმად გადაიტანა ყველაფერი ის, რაც მას რუსმა და ქართველმა კომუნისტებმა უთხრეს“.[103]

კანდელაკი ამბობს, რომ ბარბიუსის წიგნი უპასუხოდ არ დარჩენილა. ქართველმა ემიგრანტმა დავით შარაშიძემ დაწერა წიგნი სათაურით „ბარბიუსი, საბჭოები და საქართველო“ (Barbusse, les Soviets et la Géorgie), რომელიც 1930 წელს გამოიცა*. კარლ კაუცკიმ, რომელიც საქართველოში ყოფნიდან ათი წლის მერეც კი ძალას არ იშურებდა ქართველი სოციალ-დემოკრატების დასახმარებლად, შარაშიძის წიგნს წინასიტყვაობა დაუწერა. „ბარბიუსის წიგნმა ზემორე ავტორებს მცდარი და გაყალბებული დებულებებით გაჯერებული მონათხრობის ნაბიჯ-ნაბიჯ უარყოფის შესაძლებლობა მისცა. ამასთან ერთად, დ. შარაშიძემ გამოიყენა შესაძლებლობა და საქართველოს ისტორიის წარსულისა და აწმყოს უტყუარი ფურცლები უცხოელ მკითხველს კიდევ ერთხელ გააცნო“. შარაშიძემო, წერდა კანდელაკი, „მშვენივრად გაართვა თავი ამოცანას“.[104]

წინასიტყვაობაში კაუცკი შარაშიძეს აქებს და ამბობს, რომ იგი არა მხოლოდ ბარბიუსს „ამხელს ... არამედ .... წარმოაჩენს კრემლის მათრახის ქვეშ მყოფ საქართველოში არსებულ ვითარებას... ამგვარად, ბოლშევიკების მცდელობა, გაენეიტრალებინათ ის თანაგრძნობა, რასაც თავისუფალი სამყარო ქართული საკითხის მიმართ იჩენდა, თავად ბოლშევიკებს ცუდად შეუბრუნდათ“.[105]

---

* 1930 წელს წიგნი პარიზში გამოსცა გამომცემლობა „პასკალმა“ (რედ. შენიშვნა).

კანდელაკი დარწმუნებული იყო, რომ ცეტკინისა და ბარბიუსის წიგნები პროპაგანდისტული თვალსაზრისით სრულიად უშედეგო გამოდგა. „საქართველოსთან დაკავშირებული ბოლშევიკური პროპაგანდა კარგად ინფორმირებულ ადამიანებზე გავლენას ვერ ახდენდა“, წერდა ის, „პროპაგანდისტული ტყუილები სხვადასხვა ქვეყნის მხოლოდ კომუნისტური პრესის ფურცლებზე იბეჭდებოდა და ეს გამოცემები კომუნისტი მებრძოლებისა და მათი გულშემატკივრების წრეებს მიღმა არ გადიოდა“.[106]

ეს შეიძლება დიდწილად სიმართლე იყო საქართველოს გარე ქვეყნებისთვის, მაგრამ საქართველოს *შიგნით* სულ სხვანაირად ხდებოდა. საბჭოთა მითები 1924 წლის აჯანყების შესახებ სკოლის მოსწავლეების მთელ თაობებს ასწავლეს და ისტორიის წიგნებშიც ჩაწერეს. ვიდრე საქართველომ 1991 წელს დამოუკიდებლობა არ აღიდგინა, ქართველ ხალხს არ შეეძლო საკუთარი ქვეყნის ნამდვილი ისტორიის შეტყობა.

იქნებ ბარბიუსისა და ცეტკინის წიგნებმა მართლაც ვერ შეძლეს ბევრი ადამიანის დარწმუნება საბჭოთა კავშირის გარეთ, მაგრამ შხამიანი ტყუილები საქართველოს შესახებ მხოლოდ კომუნისტური პროპაგანდით არ ამოიწურებოდა. როგორც მომდევნო თავში ვნახავთ, თავად სოციალ-დემოკრატებიც კი, რომლებსაც წესით ეს არ უნდა შეშლოდათ, ვერ იყვნენ სოლიდარულნი თავიანთი ქართველი ამხანაგების მიმართ და ზოგჯერ ბარბიუსსა და ცეტკინზე არანაკლებ ურცხვად ცრუობდნენ.

სად იყვნენ საქართველოს მოკავშირეები?

როდესაც კლარა ცეტკინმა თავის წიგნში დაიცვა საბჭოეთის რეაქცია აჯანყებაზე, ის გამართლება მაინც ჰქონდა, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან წამოსული იყო და კომუნის-

ტთა რიგებში ჩაეწერა. მას და ბარბიუსს რომც სცოდნოდათ, რომ ოფიციალური ვერსია სიმართლეს არ შეესაბამებოდა, მის გამეორებას პარტიული დისციპლინა აიძულებდა.

მაგრამ, როგორც შევიტყობთ, ზოგ სოციალ-დემოკრატ და ლეიბორისტ ლიდერს, რომლებმაც საქართველოს მხარდაჭერა შეწყვიტეს ან დააკნინეს საქართველოში მომხდარი მოვლენების მასშტაბები, ასეთი გამართლებაც კი არ გააჩნდა.

1924 წლის აგვისტოში აჯანყებული ქართველები მოელოდნენ, რომ მათ ექნებოდათ მხარდაჭერა ქვეყნის შიგნით, საქართველოს ზოგი მეზობელი ქვეყნის მხრიდან და მთელ მსოფლიოში. იმედი, რომ ბრიტანეთი და საფრანგეთი აჯანყებულებს დახმარებას გამოუგზავნიდნენ, დაიმსხვრა. საბოლოოდ ქართველები მარტო დარჩნენ რუსეთის პირისპირ.

მაგრამ, მეზობელი ქვეყნებისა და ევროპული სახელმწიფოების დახმარება სათუო რომც ყოფილიყო, ქართველები იმას მაინც მოელოდნენ, რომ საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობის მხარდაჭერას ნამდვილად მიიღებდნენ. ეს უპირველესად ნიშნავდა მხარდაჭერას ბრიტანეთის ლეიბორისტული პარტიისა და ფრანგი სოციალისტებისგან, რომელთა ლიდერებიც 1920 წელს საქართველოში ჩასული დელეგაციის წევრები იყვნენ.

ეს იმედი, რომელსაც იზიარებდა პარიზის მახლობლად დასახლებული დევნილი მთავრობაც და სამშობლოში დარჩენილი ქართველებიც, ზუსტად შეესაბამებოდა იმდროინდელ თუ შემდგომ საბჭოთა პროპაგანდას. საბჭოთა რეჟიმის მტკიცებით, 1924 წლის აჯანყება უცხოური შეთქმულება იყო, ის ბრიტანული და ფრანგული იმპერიალიზმის წაქეზებით დაიგეგმა და მის უკან იდგნენ მეორე ინტერნაციონალის ლიდერები — მათ შორის, ბრიტანეთის ახლად არჩეული პრემიერ-მინისტრი და პირველი ლეიბორისტული მთავრობის ლიდერი რემზი მაკდონალდი.

საბჭოთა კავშირში (საქართველოს ჩათვლით) სწორედ ამ ინტერპრეტაციას ასწავლიდნენ სკოლებში და წერდნენ გაზეთებ-

ში აჯანყების მერე ლამის სამოცდაათი წლის განმავლობაში. და თუმცა ქართველ აჯანყებულებს მართლა ჰქონდათ იმედი, რომ ევროპის სახელმწიფოებისგან რაღაც დახმარებას მიიღებდნენ ან, სულ ცოტა, სოციალ-დემოკრატიული და ლეიბორისტული პარტიების მხარდაჭერა მაინც ექნებოდათ, ასე არ მოხდა.

დასავლელი მთავრობები საქართველოს არ მიშველებიან. ამჯერად არ ყოფილა ის მინიმალური დახმარებაც კი, ფრანგულმა სამხედრო გემებმა რომ გასწიეს 1921 წელს, საქართველოში წითელი არმიის შემოჭრისას. ცოტა ხნის წინ შექმნილი ერთა ლიგა უსარგებლო გამოდგა.

ალბათ, ქართველებისთვის ეს მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო. წინასწარ შეიძლებოდა განჭვრეტა, ბევრ სოციალ-დემოკრატსა და პროფკავშირს რა დამოკიდებულება ექნებოდა დღემოკლე აჯანყებისა და მისი სისხლიანი შედეგების მიმართ. საბჭოეთმა ეს ბრძოლა 1921 წელს მოიგო: საქართველოს არ ეწერა დამოუკიდებლობის მალევე დაბრუნება და ამიტომ პროტესტს დიდი აზრი არ ჰქონდა. ამის გარდა, ახალ საბჭოთა რუსულ რეჟიმთან სავაჭრო შეთანხმებები ჰქონდათ ხელმოსაწერი, ვაჭრობა იყო აღსადგენი, ფული იყო საკეთებელი.

ბრიტანეთის მიერ საქართველოს ღალატი ადრევე დაიწყო, 1921 წელს, ლეიბორისტული მთავრობის არჩევამდე ბევრად ადრე, როდესაც მაკდონალდი და მისი პარტია საქართველოს მხარდამჭერებად ითვლებოდნენ — წინა წელს აქ ვიზიტად ჩამოსვლის შედეგად. როგორც დეივიდ ლენგი წერდა, 1921 წლის მარტში „ბრიტანეთის და საბჭოეთის მთავრობებმა ხელი მოაწერეს სავაჭრო შეთანხმებას, რომლის თანახმადაც [პრემიერ-მინისტრი] ლოიდ ჯორჯი, სხვა საკითხების გარდა, კისრულობდა, არ ეწარმოებინა ანტისაბჭოთა საქმიანობა არცერთ ტერიტორიაზე, რომელიც ყოფილი ცარისტული იმპერიის ნაწილი იყო. ეს ფაქტობრივად კრძალავდა ბრიტანეთის ყველანაირ ჩარევას ბოლშევიკების საწინააღმდეგო ქმედებებში საქართვე-

ლოში, რომელიც ბრიტანეთმა ორი თვით ადრე დამოუკიდებელ სუვერენულ სახელმწიფოდ აღიარა. რა გასაკვირია, რომ დამარცხებული ქართველი პატრიოტები ხმამაღლა ამხელდნენ პირის გამტეხ ალბიონს“.[107] დეივიდ ლენგი ასკვნიდა, რომ 1924 წლისთვის „არცერთმა დიდმა სახელმწიფომ, რომლებმაც სულ რაღაც სამი წლის წინ საქართველოს რესპუბლიკას სრული აღიარება მისცეს, თითიც არ გაანძრია იმისათვის, რომ ქართველ ხალხს მათ ბრძოლაში გვერდში დასდგომოდა“.[108]

აჯანყება რომ დაიწყო 1924 წლის აგვისტოში, როდესაც მკაფიოდ ჯერ არ ჩანდა, როგორ წაუვიდოდათ ქართველებს საბჭოელების წინააღმდეგ საქმე, ბევრმა გამოთქვა თანაგრძნობა — სიტყვიერი. ბრიტანეთის ლეიბორისტულმა მთავრობამ დაუყოვნებლივ აღძრა საქართველოს საკითხი ერთა ლიგაში. მაგრამ, რაკი საქართველოში საბჭოთა მმართველობა სწრაფად აღდგა, მათ გეზი შეიცვალეს.

თემთა პალატაში ლეიბორისტებს შეუტიეს იმის გამო, რომ მათ დაამცრეს თბილისში მოწყობილი სასაკლაოს მასშტაბები. 1924 წლის 2 ოქტომბერს, საქართველოს აჯანყებიდან სულ რაღაც ერთ თვეში საპარლამენტო დებატებისას კონსერვატორი პარლამენტარი ლორდი აპსლი (ალენ ბათერსტი) წამოდგა და პრემიერ-მინისტრს დაუსვა შეკითხვა: „აღიარებს თუ არა მისი უდიდებულესობის მთავრობა ან ერთა ლიგა საბჭოთა [სოციალისტური] რესპუბლიკების კავშირის მიერ საქართველოს ოკუპაციას? და იყო თუ არა ამ ქვეყნის ოკუპაციის უფლება მოპოვებული ხელშეკრულებით ან ერთა ლიგის ნებართვით?“[109]

შეკითხვა, რასაკვირველია, რიტორიკული იყო. აპსლიმ მშვენივრად იცოდა, რომ საბჭოთა მთავრობამ საქართველო დაიპყრო 1921 წელს ამ ქვეყანაში უკანონო შეჭრის შედეგად და არავითარი ერთა ლიგის ნებართვა არ არსებობდა.

მთავრობის პასუხი მას გასცა ლეიბორისტმა პარლამენტარმა ართურ პონსონბიმ, საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივნის

მოადგილემ, რომელმაც მთავრობის სახელით დაახლოებით რვა თვის წინ გაკეთებული განცხადება გაიმეორა. მან თქვა: ბრიტანეთის სახელმწიფო „აღიარებს, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მთავრობის ხელისუფლება საქართველოზე ვრცელდება“.[110] მან ასევე უფრო დეტალურადაც განმარტა: „ბუნებრივია, მე ვერ ვილაპარაკებ ერთა ლიგის მაგივრად, არც მისი უდიდებულესობის მთავრობას მიაჩნია, რომ აქვს რწმუნებულება, ამ უფლების [საბჭოთა მთავრობის ხელისუფლების გავრცელება საქართველოზე] საფუძველი დაასახელოს, მაგრამ საბჭოთა კავშირის მთავრობას, უეჭველია, ერთა ლიგისგან არანაირი ნებართვა არ ჰქონია“. მარტივ ენაზე რომ გადავთარგმნოთ, პონსონბი ამბობდა, რომ საბჭოელებს ერთა ლიგისგან არ ჰქონდათ საქართველოს დაპყრობის მანდატი. და მაინც, ბრიტანეთის მთავრობას „არ მიაჩნდა, რომ ჰქონდა რწმუნებულება“, გამოეთქვა აზრი, რა კანონიერი უფლებით მართავდნენ ამჟამად საბჭოელები საქართველოს.

რაკი ამ პასუხმა არ დააკმაყოფილა, სხვა კონსერვატორმა პარლამენტარმა, ვიცე-კოლონელმა ჩარლზ ჰოვარდ-ბერიმ დასვა კითხვა: „ცნობილია თუ არა მდივნის მოადგილისთვის, რომ უკვე არანაკლებ 9 000 ქართველი არის სიკვდილით დასჯილი?“ მაგრამ მას შეაწყვეტინეს წამოძახილებით „თქვენ საიდან იცით?“ — სავარაუდოდ, ლეიბორისტმა წევრებმა.

ჰოვარდ-ბერის მყისვე შეეკამათა ლეიბორისტი პარლამენტარი ჯონ ედმუნდ მილსი, რომელიც ჯოსაია ვეჯვუდის, მაშინდელი ლეიბორისტი პოლიტიკოსის (და ცნობილი კერამიკოს ჯოსაია ვეჯვუდის შთამომავლის) საპარლამენტო პირად მდივნად მსახურობდა. მილსი ჰოვარდ-ბერის მიუბრუნდა და უთხრა: „სანამ მდივნის მოადგილე გიპასუხებთ, თუ შეიძლება, მე ვკითხავ მას, თუ მიაქცია ყურადღება განცხადებას, რომელიც გააკეთა იტალიის კონსულმა ტფილისში: რომ ხსენებული აჯანყება ჩაახშო ადგილობრივმა მოსახლეობამ ჯარების დახმარების

გარეშე, რომ 1 სექტემბრიდან წესრიგი უკვე აღდგა, რომ *არანაირი სასაკლაო არ ყოფილა* და 9 000 მოკლული უბრალოდ ფანტაზიაა?“

ამით დებატები დამთავრდა.

ლეიბორისტული მთავრობა, რომელიც საქართველოში საბჭოთა რუსეთის აგრესიის გამო აღშფოთებას გამოთქვამდა, ერთა ლიგაში საქართველოს საკითხს აყენებდა და აცხადებდა, რომ თავზარდაცემული იყო ათასობით ქართველის გაჟლეტის გამო, სულ რაღაც ერთ თვეში გადავიდა იმაზე, რომ ნათქვამს „უსწორებდა“ პარლამენტში ოპოზიციის წევრებს, რომლებიც, მათი აზრით, აზვიადებდნენ მოკლულების რაოდენობას. „არანაირი სასაკლაო არ ყოფილა“ იქცა ლეიბორისტთა ოფიციალურ პოზიციად საქართველოს მოვლენებთან დაკავშირებით.

ფრანგმა სოციალისტებმაც ასევე სწრაფად დაივიწყეს თავიანთი სოლიდარობა ქართველების მიმართ. ეს გადაწყვეტილება მათ გაუიოლეს ლტოლვილმა რუსმა მენშევიკებმა, რომლებსაც საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის თაობაზე ერთმანეთისგან განსხვავებული შეხედულებები ჰქონდათ. ფრანგი სოციალისტები თავიდან დამოუკიდებელი საქართველოს ყველაზე მხურვალე მხარდამჭერთა შორის იყვნენ და მათი ლიდერები პიერ რენოდელი, ადრიენ მარკე და ალფრედ ინგელსი 1920 წელს საქართველოში იყვნენ ჩასულები, როგორც საერთაშორისო სოციალისტური დელეგაციის წევრები. 1921 წელს ფრანგმა სოციალისტებმა მოუწოდეს „საფრანგეთის მუშებს, პროტესტი განაცხადონ საქართველოს სოციალისტურ დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობის წინააღმდეგ, რომელიც ჩაიდინა რუსეთის ბოლშევიკურმა მთავრობამ“.[111]

მაგრამ 1924 წლისთვის ბევრი რამ შეიცვალა.

ანდრე ლიბიხი წერს: „საქართველოს 1924 წლის აჯანყების დროს [ფრანგმა სოციალისტებმა] [რუს] მენშევიკებს ჰკითხეს, უნდა დაეკავებინათ თუ არა ფრანგ სოციალისტ დეპუტატებს

მტკიცე პოზიცია და ერიოს მთავრობისთვის* ჩამოშლის საფრთხე შეექმნათ. მათ ზომიერი პოზიციის დაკავება ურჩიეს და ამით თავიანთ ფრანგ ამხანაგებს მისცეს შესაძლებლობა, დამშვიდებული სინდისით დარჩენილიყვნენ უმოქმედონი“.[112]

ბრიტანეთის ლეიბორისტული მთავრობის ქმედება გამომდინარეობდა მათი სურვილიდან, უკან მოეტოვებინათ საქართველოს აჯანყება და გაეგრძელებინათ ურთიერთობების — განსაკუთრებით, სავაჭრო ურთიერთობათა — დალაგება საბჭოთა რუსეთთან. თუმცა, ეს არაფერი იყო ბრიტანული პროფკავშირების ლიდერთა სკანდალურ საქციელთან შედარებით, რომლებიც იმავე წლის ბოლოს ჩავიდნენ ვიზიტით საქართველოში.

ბრიტანული პროფკავშირების დელეგაცია

1924 წლის 6 დეკემბერს, საქართველოს აჯანყების ჩახშობიდან სამიოდ თვეში, *დეილი ჰერალდში* ამგვარი სათაური გამოჩნდა: „ბპკ-ის დელეგატებისათვის ადგილზე მოკვლევა დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა“ (TUC Delegates Satisfied by Inquiry on Spot). *დეილი ჰერალდი* ლონდონში გამოიცემოდა და ბრიტანული პროფკავშირების კონგრესის (ბპკ) (Trades Union Congress; TUC) ოფიციალური გაზეთი იყო. სათაურში იგულისხმებოდა პროფკავშირელების ხელმძღვანელი ჯგუფი, რომლებიც საბჭოთა საქართველოში იყო ჩასული. პროფკავშირელები „დეტალურად და ყოველმხრივ იკვლევდნენ ცხოვრე-

* ედუარდ ერიო (Edouard Marie Herriot) (1872-1957) — ფრანგი რადიკალი სოციალისტი, პრემიერ-მინისტრი (1924-1925, 1926, 1932). ხელმძღვანელობდა მემარცხენე მთავრობას საფრანგეთში. საბჭოთა ხელისუფლება მას მოიხსენიებდა 1924 წლის აჯანყების მხარდამჭერად, თუმცა ერიოსაგან აჯანყებულ ქართველებს არც პირობა მიუღიათ და არც რაიმე სახის პოლიტიკური მხარდაჭერა (რედ. შენიშვნა).

ბას საქართველოს რესპუბლიკაში“. ეს რამდენადმე გაზვიადება იყო, რადგან ერთი მხარე – საქართველოს პროფკავშირული მოძრაობა – სრულიად უგულებელყოფილი იქნა.

დეილი ჰერალდი იუწყებოდა, რომ ბპკ-ის დელეგატებს „ჰქონდათ ხანგრძლივი საუბარი მენშევიკური პარტიის რამდენიმე ყოფილ წევრთან“. როგორც ვიცით, ერთი წლით ადრე საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას აიძულეს, თავი დაშლილად გამოეცხადებინა. ზოგი სოციალ-დემოკრატი კომუნისტების შეუერთდა და აგვისტოს აჯანყების მერე ამ რიცხვმა კიდევ უფრო იმატა. სოციალ-დემოკრატიული პარტიის „ყოფილ წევრებში“ *დეილი ჰერალდი* გულისხმობდა ადამიანებს, რომლებსაც აიძულეს, კომუნისტური რეჟიმის მხარდამჭერები გამხდარიყვნენ.

ბრიტანული დელეგაციის ერთ-ერთი წევრი იყო ბპკ-ის ვიცეპრეზიდენტი ა.ა. პერსელი. პერსელი მონაწილეობდა ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის დამფუძნებელ კრებაში, რამდენიმე წლით ადრე რომ გაიმართა, და ახლა მხარს უჭერდა კომუნისტების მიღებას ლეიბორისტულ პარტიაში – რასაც ლეიბორისტთა უმრავლესობა ეწინააღმდეგებოდა. იგი დანამდვილებით ბრიტანული ლეიბორისტული მოძრაობის პროსაბჭოთა მხარეს იდგა.

1924 წელს საქართველოში ყოფნის მერე პერსელის ნათქვამს შემდეგნაირად ციტირებენ: „მე ქართველ მუშებში გავერიე და მათ გარემოს გავეცანი. დარწმუნებული ვარ მათ ეკონომიკურ წარმატებაში და იმ ინფორმაციის სიყალბეში, რომელსაც საქართველოზე ვრცელდება ევროპაში“. ეს „ყალბი ინფორმაცია“ ძირითადად საქართველოს დევნილი მთავრობის მხარდამჭერთა მიერ ვრცელდებოდა. პროფკავშირების კონგრესის გენერალური საბჭოს მდივანი ფრედ ბრემლი* ამბობდა: „საბ-

* იმდროინდელ ქართულ პრესაში მოიხსენიება, როგორც ჯონ ბრომლეი (მთარგმნ. შენიშვნა).

ჭოთა საქართველო იმიტომ ცოცხლობს, რომ მას ხალხი უჭერს მხარს“.

ტრანსპორტის მუშათა კავშირის ლიდერმა ბენ ტილეტმა განაცხადა: „საბჭოეთი და ამიერკავკასია მშვიდობიანად თანაცხოვრობენ. ერის თვითგამორკვევა აქ იმგვარი ხარისხითაა განხორციელებული, რაზეც ევროპას შეუძლია მხოლოდ იოცნებოს“.

პერსელი, ბრემლი და ტილეტი ცნობილი იყვნენ, როგორც კომუნისტების მხარდამჭერები და რეგულარულად ხვდებოდნენ საბჭოთა ოფიციალურ პირებს. საქართველოში მათ და ბპკ-ის სხვა დელეგატებს სთხოვდნენ, სურათის გადასაღებად იმავე ადგილებში დამდგარიყვნენ, სადაც რემზი მაკდონალდსა და სხვა სოციალისტ ლიდერებს ჰქონდათ ფოტოები გადაღებული საქართველოში ოთხი წლის წინანდელი ვიზიტისას.

ბპკ-ის დელეგატების ცნობებს ცხარე გმობა და მხილება ერგო სხვა ქვეყნების ლეიბორისტული მოძრაობის ლიდერების მხრიდან. ერთი მათგანი იყო ავსტრიელი სოციალ-დემოკრატი ფრიდრიხ ადლერი, 1922 წელს ბერლინში სამი ინტერნაციონალის ყრილობის მომწყობი. 1924 წლისთვის, ნაწილობრივ იმ ყრილობაზე ხელის მოცარვის შედეგად, ადლერი და მისი მხარდამჭერები კვლავ მეორე ინტერნაციონალთან გაერთიანდნენ.

ბუკლეტში, რომელიც გამოიცა სათაურით „ინგლისურ-რუსული ანგარიში: რუსეთში ბრიტანეთის პროფკავშირების დელეგაციის ანგარიშის კრიტიკა საერთაშორისო სოციალიზმის თვალთახედვიდან“ ადლერმა გააცამტვერა ბრიტანული პროფკავშირების პრობოლშევიკური ანგარიში. ბპკ-ის ანგარიშში მან უცვლელად გადმოწერილი საბჭოთა პროპაგანდის ბევრი ნიმუში აღმოაჩინა. მაგალითად, დელეგატები წერდნენ „მუშათა და პროფკავშირების ოფიციალურ წარმომადგენელთა ენთუზიაზმით სავსე დემონსტრაციაზე,“ ტფილისში დელეგატებს რომ შეეგება. ბრიტანეთის პროფკავშირელებს თუ ვერწმუნებით, „ეტყობოდა, რომ ეს დემონსტრაცია გამოხატავდა ძლიერ, ერთსუ-

ლოვან მხარდაჭერას საქართველოს მთავრობის ამჟამინდელი სისტემის მიმართ“.[113] ადლერი წერს:

> რასაც თავად დელეგაცია მოგვითხრობს წინასიტყვაობაში, ძირითადად მისი მარშრუტისა და გაჩერების ადგილების უწყინარი აღწერა გახლავთ. დროდადრო ცოტა არ იყოს მიამიტურად გაეპარებათ ხოლმე პოლიტიკური მიკერძოებულობა, როგორც, ვთქვათ, რკინიგზის კონდუქტორებთან საუბარში „... რომლებიც თავისუფლად განიხილავდნენ საკუთარ ცხოვრების პირობებს და დაუფარავად აცხადებდნენ უკმაყოფილებას ზოგი იმ შეზღუდვის გამო, რომლის პირობებშიც უწევდათ მუშაობა“, საიდანაც კეთდება დასკვნა, რომ „ეს გარკვეულწილად აბათილებს აზრს, თითქოს საბჭოთა რუსეთში ამგვარი უკმაყოფილების გამოთქმა არ იყო უსაფრთხო და გონივრული საქციელი“.[114]

ადლერის მსგავს სოციალისტებს ბპკ-ის დელეგატთა ქცევამ და ანგარიშმა კი გაუცრუა იმედი, მაგრამ საბჭოთა მხარე აღტაცებული დარჩა. დელეგაციის ვიზიტიდან ორმოცდაათი წლის შემდეგაც კი იგრძნობა, რა ნაამები იყვნენ კომუნისტები თავიანთი პროპაგანდის წარმატებით. 1970-იანებში საბჭოთა ისტორიკოსი ტრიფონოვი წერდა, რომ „ინგლისის პროფკავშირების დელეგაციამ, რომელიც ამიერკავკასიას 1924 წლის შემოდგომაზე სტუმრობდა, გამოაქვეყნა ანგარიში, სადაც მტკიცედ უარყო კაპიტალისტური და რეფორმისტული პრესის ღვარძლიანი ცილისწამება საქართველოში არსებული სიტუაციის შესახებ“.[115]

მაგრამ 1924 წელს ქართული პროფკავშირების მრისხანებას საზღვარი არ ჰქონდა. ისინი ბრიტანეთის ბპკ-ის დელეგატებს მიესალმნენ მემორანდუმით, რომელიც ასე იწყებოდა:

> ამხანაგებო,
>
> საქართველოს მშრომელები სიხარულით შეხვდნენ ცნობას თქვენი ჩამოსვლის შესახებ: ისინი დარწმუნებული არიან,

> რომ თქვენ საქართველოში არსებულ განწყობებს გაეცნობით ობიექტურად და მიუკერძოებლად – საქმის გამოძიებისას ეს თვისებები ხომ საუკეთესოდ გამოარჩევს მუშათა ყველა შეგნებულ და ჭეშმარიტ ლიდერს.
>
> საქართველოში ბოლო წლების მოვლენების მიუკერძოებლად გაცნობით ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევთ ჩვენს ტანჯულ ქვეყანას, რომლის მუშათა კლასიც მუდამ თავდაუზოგავად ემსახურებოდა სამართლიანობასა და თავისუფლებას.
>
> ამ იმედით სავსენი, გესალმებით და გთხოვთ, გაეცნოთ ჩვენს ქვეყანას და შეისწავლოთ რეჟიმი, რომლის მმართველობის ქვეშაც საქართველოს მუშათა კლასი დღესდღეობით შრომობს.[116]

მაგრამ მომდევნო წელს გამოქვეყნებულ (და ინგლისურ ენაზე ხელმისაწვდომ) პამფლეტში ისინი წერდნენ:

> როდესაც ბრიტანეთის პროფკავშირების დელეგაცია პერსელის მეთაურობით გასული წლის დეკემბერში საქართველოში ჩამოვიდა, საქართველოს პროფკავშირების ძველმა, ამჟამად კანონგარეშედ გამოცხადებულმა, ხელმძღვანელობამ დელეგატებს გადასცა მემორანდუმი, რომელშიც მოკლედ იყო აღწერილი, როგორ იტანჯებიან ქართველი მუშები და მთელი ერი ოკუპაციური რეჟიმის პირობებში. მემორანდუმი სრულდებოდა შეთავაზებით:
>
> „თუ, ზემოთქმულის გათვალისწინებით, ჩვენთან შეხვედრის სურვილი გექნებათ, ჩვენ სიამოვნებით მოვაწყობთ ამას და სიტყვიერად შეგატყობინებთ მრავალ ფაქტს, რომლებიც ნათელს მოჰფენს ოკუპაციური რეჟიმს“.
>
> მაგრამ დელეგატებმა არც მემორანდუმი და არც ჩვენი ამხანაგების შეთავაზება ყურად არ იღეს. დელეგატებმა არც კი ისურვეს, ენახათ მემორანდუმის შემდგენლები და მათგან მოესმინათ მემორანდუმში ნახსენები ფაქტების შესახებ. მათ

> უბრალოდ რამდენიმე კითხვა დაუსვეს საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებს საქართველოში მათი მოქმედების შესახებ და ამ ცალმხრივი ინფორმაციის საფუძველზე დაწერეს ანგარიში, რომელშიც არაფერი შეიტანეს ჩვენს ქვეყანაში გაბატონებული ოკუპაციური რეჟიმის ქება-დიდების მეტი.[117]

ამის მერე აღწერდნენ, რა დაუნდობლად იდევნებოდა საქართველოს პროფკავშირები 1921 წელს საბჭოელთაგან დაპყრობის მერე. ამის გარდა, საქართველოს პროფკავშირები თავიანთ ბრიტანელ ამხანაგებს საყვედურობდნენ მათი განცხადების გამო, თითქოს ბოლშევიკური მმართველობის შედეგად ექსპორტმა ძლიერ იმატა. მათი მტკიცებით, ნამდვილი სტატისტიკა აჩვენებდა, რომ 1920 წლიდან „ვაჭრობა ფართოვდებოდა, ხოლო [საბჭოთა] ოკუპაციის პირობებში ის გაყინული რჩებოდა“. ბრიტანელი დელეგატები იმასაც ამბობდნენ, ინდუსტრიაში დასაქმებული მუშების რაოდენობა კომუნისტური რეჟიმის დროს გაორმაგდაო. ქართველები მიუთითებდნენ, რომ ეს ოფიციალური სტატისტიკითაც კი არ დასტურდებოდა. როგორც ქართული პროფკავშირები განმარტავდნენ, „ეს შედეგია იმისა, რომ ბოლშევიკები ორ სტატისტიკას აწარმოებენ: ერთს თავისთვის, მეორეს კი უცხოელებისთვის“. ბრიტანელი დელეგატები აღტაცებული იყვნენ, რომ უმუშევრობა თითქმის არ არსებობდა — მაგრამ ქართველები აღნიშნავდნენ: სოციალ-დემოკრატების მმართველობისას, როდესაც საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა იყო. „უმუშევართა რიცხვი რამდენიმე ასეულს არ აჭარბებდა“, და დასძენდნენ, „დელეგაცია შეძლებდა ამ საკითხზე ინფორმაციის მიღებას, ჩვენი პროფკავშირების კანონგარეშე [გამოცხადებული] ბიუროსთვის რომ ეკითხა“.

ბრიტანელმა ბპკ-ს დელეგატებმა უსიტყვოდ დაიჯერეს საბჭოთა ოფიციალური ცნობები 1924 წლის აჯანყების შემდეგ დახოცილი ადამიანების რაოდენობის შესახებ. ბრიტანულ ან-

გარიშში ეწერა, რომ „მსხვერპლთა რაოდენობა 3 000 იყო“, ასევე, თითქოს „ისინი პარტიზანულ ბრძოლებში დაიღუპნენ“ და არა ჩეკამ დახოცა აჯანყების დამარცხების მერე. როგორც ქართველებმა დაწერეს ბრიტანული ანგარიშის შეჯამებაში:

> სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, [გამოდის], ბოლშევიკებს არ დაუხოცავთ პოლიტიკური პატიმრები თუ მშვიდობიანი მოსახლეობა, არამედ პირიქით, დელეგაციის ანგარიშის თანახმად, მენშევიკებმა დახვრიტეს 18 ბოლშევიკი მძევალი.[118]

სოციალ-დემოკრატების მიერ დახვრეტილი მძევლების ამბავი სრული გამონაგონი იყო. როგორც ქართველი პროფკავშირელები წერდნენ, „თავად ბოლშევიკებსაც კი არასოდეს დაუბრალებიათ აჯანყებულებისთვის, თითქოს მათ მძევლები დახოცეს. სიმართლე ისაა, რომ ბოლშევიკები თავიანთ გაზეთებში იუწყებოდნენ, რომ მენშევიკებს არცერთი ბოლშევიკი პატიმარი არ მოუკლავთ, თუმცა თავად ასობით მენშევიკი დახვრიტეს“. ბრიტანელი პროფკავშირების დელეგატები 1924 წლის მოვლენებზე თავად ბოლშევიკებზე უფრო უტიფრადაც კი ტყუოდნენ.

თავიანთი სიმართლის დასამტკიცებლად ქართველმა პროფკავშირელებმა დაიმოწმეს დახვრეტილი პოლიტპატიმრების სიის ფოტო. სია თავად ბოლშევიკების მიერ იყო გამოქვეყნებული*. პატიმრები „დაჭერილი იყვნენ აჯანყებამდე კარგა ხნით ადრე“ და ზოგ შემთხვევაში ისინი დახვრიტეს რუსეთში, სადაც ისხდნენ ციხეში. ჩეკას დახვრეტილ მძევლებს შორის იყვნენ პროფკავშირის ლიდერებიც:

> სიკვდილით დასჯილთა შორის ბევრი იყო პროფკავშირულ მოძრაობაში საყოველთაოდ ცნობილი პიროვნება და ცენტრალური ორგანიზაციების წევრები — მაგალითად, შეიძლება დავასახელოთ ტრანსპორტის მუშა ვ. ნოდია, საქარ-

* გაზეთი კომუნისტი #198. 1924 წ. 31 აგვისტო (რედ. შენიშვნა).

> თველოს პროფკავშირების ცენტრალური საბჭოს წევრი, და ვ. ცენტერაძე*, ცენტრალური საბჭოს აღმასრულებელი [კომიტეტის] წევრი და რკინიგზელთა ცენტრალური კომიტეტის ვიცეპრეზიდენტი, და მრავალი სხვა.[119]

ბრიტანელი პროფკავშირელების ზოგი განაცხადი არა მხოლოდ ტყუილი, არამედ აბსურდულიც იყო. ასე მაგალითად, ისინი ამტკიცებდნენ, რომ ცნობილი 26 ბაქოელი კომისარი ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა დახვრიტეს 1918 წლის სექტემბერში. როგორც ქართველები წერდნენ, „ქართველებისთვის ასეთი ბრალდება ბოლშევიკებსაც კი არ წამოუყენებიათ. ისინი მუდამ ბრალს სდებდნენ ბრიტანელებს, რომლებიც ტრანსკასპიაში რუს თეთრებს ეხმარებოდნენ ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში“.

ქართველი პროფკავშირელები თავიანთ წერილს ამგვარად ასრულებდნენ: „ანგარიში სავსეა უზუსტობებითა და ამიტომ, თუ [ბპკ-ის] გენერალურ საბჭოს სურს, დეტალურად შეამოწმოს ეს ანგარიში და დარწმუნდეს, რამდენად განსხვავდება ის რეალობისგან, მიგვაჩნია, რომ მან უნდა დანიშნოს სპეციალური კომისია, რომელსაც ჩვენ წარვუდგენდით უტყუარ მონაცემებს საქართველოს რეალური ვითარების შესახებ“.

არანაირი სპეციალური კომისია არ დანიშნულა და საქართველოს პროფკავშირების თხოვნა უპასუხოდ დარჩა.

მართალია, ბპკ-ის დელეგაცია საქართველოში და მისეული ანგარიში მძიმე ღალატის ნიშანი იყო, მაგრამ ამ ანგარიშის მხი-

---

* ვიქტორ ცენტერაძე (1888-1924) — სოციალ-დემოკრატი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პროფკავშირული გაერთიანების ერთ-ერთი ლიდერი. საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ ჩართული იყო ანტისაბჭოთა მოძრაობაში. 1922 წელს საბჭოთა სპეცსამსახურებმა ქვეყნიდან გააძევეს. 1924 წელს ცენტერაძე ვალიკო ჯუღელთან ერთად დაბრუნდა საქართველოში აჯანყების მოსამზადებლად. ის მალევე დააპატიმრეს და აჯანყების ჩახშობის შემდეგ დახვრიტეს (რედ. შენიშვნა).



26. დახვრეტილთა სია, გაზეთი *კომუნისტი*, 1924 წლის 31 აგვისტო.

ლება ადლერის მიერ აჩვენებდა, რომ სოციალ-დემოკრატიულ პარტიებსა და ლეიბორისტულ მოძრაობაში ჯერაც ბევრი ადამიანი იყო ისეთი, რომლებიც გაოგნებული და გაბრაზებული იყვნენ ბოლშევიკების ქცევით საქართველოში.

ეს ბრაზი გახდება სოციალისტურ და კომუნისტურ მოძრაობებს შორის ურთიერთობათა გადასინჯვის მიზეზი, რაც შედეგად საბოლოო დაშორებას მოიტანს.

ნაწილი III.
სოციალიზმი და კომუნიზმი

წითელი ფაშიზმი

ოტო რიულე*, გერმანიის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი, იყო ერთი პირველთაგანი, ვინც ხმამაღლა გამოთქვა შეურიგებლობა რუსეთის საკითხთან დაკავშირებით. უკვე 1924 წელს, სანამ ქართველები თავიანთ ეროვნულ აჯანყებას ამზადებდნენ, რიულემ განმარტა, რატომ არ უნდა დაუჭიროს მხარი არცერთმა მარქსისტმა რუსეთის ახალ საბჭოთა რეჟიმს. „როცა რუსეთის მთავრობაში მყოფმა სოციალისტებმა ცარიზმზე გამარჯვების მერე ჩათვალეს, რომ შესაძლებელი იყო, გადახტომოდნენ ისტორიული განვითარების ფაზას და სოციალიზმი აეშენებინათ, მათ მარქსისტული სწავლების ანაბანა დაივიწყეს“, წერდა იგი.

რიულე მოკლედ გადმოსცემს მენშევიკურ შეხედულებას, რომელსაც ქართველი სოციალ-დემოკრატები იზიარებდნენ, და წერს, რომ სოციალიზმი „შეიძლება იყოს მხოლოდ ორგანული განვითარების შედეგი, მანამდე კაპიტალიზმი მისი სიმწიფის უკიდურეს ზღვრამდე უნდა იქნეს განვითარებული“.[1]

კომუნისტებთან განხეთქილების შემდეგ რიულემ ბევრი წიგნი და სტატია დაწერა, მათ შორის — კარლ მარქსის ბიოგ-

---

* ოტო რიულე (Otto Rühle) (1874-1943) — გერმანელი პოლიტიკოსი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, გერმანიის რაიხსტაგის წევრი, გერმანიის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი. ჰიტლერის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ წავიდა ემიგრაციაში მექსიკაში, იქვე გარდაიცვალა (რედ. შენიშვნა).

რაფიაც. 1939 წლისთვის საბჭოთა რუსეთის მისეული ანალიზი შეიცვალა. ის აღარ წერდა, თითქოს ეს იყო არასწორად განვითარებული სოციალიზმი ან გულწრფელი სოციალისტების ნაადრევი მცდელობა, ისტორიის ეტაპებს გადახტომოდნენ. მან გვერდზე გადადო თავისი ადრინდელი მოსაზრება, რომ ეს „ბურჟუაზიული რევოლუცია“ იყო. ამჟამად იგი ბოლშევიკური რევოლუციიდან აღმოცენებულ სტალინისტურ სისტემას განიხილავდა კლასობრივი საზოგადოების ახალ ფორმად, რომელსაც მან „ტოტალიტარული“ უწოდა.

„ახალ ტოტალიტარულ სახელმწიფოებს შორის პირველ ნომრად რუსეთი უნდა დასახელდეს“, წერდა ის, „მან პირველმა შეითვისა ეს ახალი სახელმწიფო პრინციპი. ამ პრინციპის გამოყენებაში ის ყველაზე შორს წავიდა. მან პირველმა დაამყარა კონსტიტუციური დიქტატურა და შექმნა პოლიტიკური და ადმინისტრაციული ტერორის სისტემა, რომელიც დიქტატურის

27. ოტო რიულე

განუყოფელი ნაწილია. მან მოირგო ტოტალიტარული სახელმწიფოს ყველა მახასიათებელი და ამგვარად იქცა მოდელად იმ სხვა ქვეყნებისთვის, რომლებიც აიძულეს, უარი ეთქვათ დემოკრატიულ სახელმწიფოებრივ სისტემაზე და დიქტატორულ მმართველობად გადაკეთებულიყვნენ". საბჭოთა საზოგადოების აღწერას ის ასრულებს ამ გამორჩეული ფრაზით: „რუსეთი მაგალითი იყო ფაშიზმისთვის".[2]

როდესაც ის საბჭოთა რუსეთს ფაშიზმის მაგალითად, ფაქტობრივად, ფაშისტური სახელმწიფოს *მოდელად* ასახელებდა, ის არ მიმართავდა გაზვიადებას შთაბეჭდილების მოხდენის მიზნით და არც უბრალოდ კომუნისტი ოპონენტების შეურაცხყოფას ცდილობდა. მას გულწრფელად მიაჩნდა, რომ მოსკოვის ახალი რეჟიმი ფაშისტური იყო, იტალიისა და გერმანიის მსგავსად. „მოსწონთ ეს პარტიულ 'კომუნისტებს' თუ არა, ფაქტი ფაქტად რჩება, რომ სახელმწიფოს მოწყობა და მმართველობა რუსეთში არაფრით განსხვავდება იტალიისა და გერმანიისგან" ასკვნის ის, „ფაქტობრივად, ისინი ერთნაირია. შეიძლება ვილაპარაკოთ წითელ, შავ ან ყავისფერ 'საბჭოთა სახელმწიფოზე', ისევე, როგორც წითელ, შავ ან ყავისფერ ფაშიზმზე".[3]

რიულე პირველი არ იყო, ვინც დაასკვნა, რომ სტალინის მართული რეჟიმი იტალიას და გერმანიას უფრო მოჰგავდა, ვიდრე რომელიმე სახის სოციალიზმს. ეს აზრი გაუჩნდა ასევე, ზოგ ანარქისტ მწერალს და ქართველ სოციალ-დემოკრატებს.

მაგალითად, იტალიელი ანარქისტი ლუიჯი ფაბრი* რუს კომუნისტებს „წითელ ფაშისტებად" მოიხსენიებდა ჯერ კიდევ 1922-ში, იმ წელს, როდესაც იტალიაში მუსოლინიმ მოიპოვა ძალაუფლება. ის წერდა: „წითელი ფაშისტები" „ცოტა ხნის წინ დაერქვა იმ ბოლშევიკ კომუნისტებს, რომლებიც ყველაზე

---

* ლუიჯი ფაბრი (Luigi Fabris) (1883-1952) – იტალიელი სკულპტორი და კერამიკოსი, ანარქისტი, საბჭოთა რეჟიმის კრიტიკოსი (რედ. შენიშვნა).

მეტად არიან განწყობილი, თავიანთი მოწინააღმდეგეების მიმართ ფაშისტური მეთოდები გამოიყენონ“.[4] ფაბრიმ ეს რიულეს წიგნის გამოქვეყნებამდე 17 წლით ადრე დაწერა.

გამოჩენილი რუსი ანარქისტი ვსევოლოდ ეიხენბაუმი*, რომელიც ცნობილია ფსევდონიმით ვოლინი, 1934 წელს წერდა, როგორ კითხულობდა ასევე ანარქისტი ალფონსო პეტრინისგან მიღებულ წერილს. პეტრინი სადღაც საბჭოთა კავშირის შიგნით ჰყავდათ გადასახლებული. ვოლინი პეტრინის წერილის სტრიქონებს ციტირებდა: „ისინი ყველას, სათითაოდ, ციხეებში გვამწყვდევენ. ნამდვილი რევოლუციონერები რუსეთში თავისუფლებას ვერ ეღირსებიან. პრესის თავისუფლება, სიტყვის თავისუფლება განადგურდა, ასე რომ, *სტალინსა და მუსოლინის შორის არანაირი განსხვავება არაა*“.

ვოლინი დასძენს, ეს ბოლო ფრაზა იმიტომ გამოვყავი, რომ „ზუსტად ასეაო“. აგრეთვე, დაურთავს: „ამ მოკლე ფრაზის სიზუსტისა და მთელი მისი საზარელი რეალიზმის დასაფასებლად არსებითია, რომ ჩვენ ფაშიზმის ღრმა და მკაფიო გაგება გვაქვს: იმაზე უფრო ღრმა და მკაფიო, ვიდრე, ჩვეულებრივ, მემარცხენე წრეებში გვხვდება“. ვოლინი დარწმუნებული იყო, რასაც პეტრინი წერდა იყო არა „რაღაც გაცვეთილი ფრაზა, არამედ ძალზე სამწუხარო ფაქტის ზუსტი გადმოცემა“.[5]

სულ თავიდანვე, ბევრად ადრე, ვიდრე რიულე შეადარებდა ერთმანეთს სტალინისტურ და ფაშისტურ რეჟიმებს, ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა ერთ-ერთმა პირველებმა შეამჩნიეს მათ შორის მსგავსება. კანონგარეშე გამოცხადებული სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ 1925 წელს საქართველოში ჩა-

---

* ვსევოლოდ ეიხენბაუმი (ვოლინი) (Всеволод Эйхенбаум/ Волин) (1882-1945) – რუსი ანარქისტი რევოლუციონერი, ბოლშევიკური რეჟიმის კრიტიკოსი, უკრაინაში 1917-1921 წლებში მოქმედი ანარქო-კომუნისტური მოძრაობის (ნესტორ მახნოს მეთაურობით) სამხედრო რევოლუციური საბჭოს ერთ-ერთი ლიდერი (რედ. შენიშვნა).

ტარებული „საიდუმლო კონფერენციის“ მიერ მიღებულ დადგენილებაში აღნიშნული იყო მსგავსებები კომუნისტებსა და ფაშისტებს შორის.

„ჩვენი პარტიის დევნა ისეთივე დაუნდობლობით გრძელდება“, წერდნენ ისინი და ახსენებდნენ ჩეკას „ბნელ და ღრმა დილეგებში“ გამოყენებულ წამების მეთოდებს. ქართველი სოციალ-დემოკრატების თქმით, ეს იყო „ფაშისტური მეთოდები ჩვენი პარტიის წევრების წინააღმდეგ, რომლებსაც ზურგში ახლიან ტყვიას“.[6]

ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა დაწერეს „წერილი გერმანიის მშრომელ კლასებს“, რომელშიც ისინი საბჭოთა მთავრობას ბრალს სდებდნენ, რომ მან *გადააჭარბა* ფაშისტებს პოლიტიკური ოპონენტების დევნაში: „იმის მიუხედავად, რომ მტერი ყოველ საშუალებას ხმარობს, *მათ შორის ისეთებს, რომლებიც ფაშისტებსა და ცარისტულ მთავრობასაც კი არასოდეს გამოუყენებია*, მათ ვერ მოახერხეს, გაეტეხათ ჩვენი პარტიის სულისკვეთება, ჩვენი ხალხის წინააღმდეგობა, ვერ გვაიძულეს ომის ველიდან გაქცევა“.[7] მათი განცხადება მთავრდება რამდენიმე ლოზუნგით, რომელთა შორისაცაა „ძირს წითელი ფაშიზმი!“

ქართველი სოციალ-დემოკრატები თითქმის დანამდვილებით იყვნენ პირველი სოციალისტები, ვინც საბჭოთა რეჟიმი მოიხსენია ტერმინით „წითელი ფაშიზმი“. მათ შეხედულებას, რომ კომუნისტურ და ფაშისტურ რეჟიმებს ბევრი რამ ჰქონდათ საერთო, თანდათან საყოველთაოდ გაიზიარებენ, განსაკუთრებით, ცივი ომის პირველ წლებში. მაგრამ 1920-იანებში ის უჩვეულოდ ჟღერდა.

ეს შეხედულება მნიშვნელოვანი იყო არა მარტო იმიტომ, რომ ფრაზას „წითელი ფაშიზმის“ ემოციური გავლენა ჰქონდა, არამედ იმიტომაც, რომ, მრავალი თვალსაზრისით, ის ყველაზე ზუსტად ახასიათებდა ახალ საბჭოთა რეჟიმს.

ქართველ სოციალ-დემოკრატებს ზუსტად ესმოდათ, რასთან ჰქონდათ საქმე ახალი სოციალისტური რეჟიმის სახით, და ესმოდათ ეს ჩეკას „ბნელ და ღრმა დილეგებში“ მიღებული გამოცდილების გამოისობით. მათ დაინახეს, რომ ეს ახალი საზოგადოება ფაშიზმის ნაირსახეობა იყო.

ამ მოსაზრებას სოციალიზმისა და კომუნიზმის საბოლოო გაყოფის მიზეზებში ცენტრალური ადგილი უკავია. ხოლო ამ მოსაზრების წინა პლანზე წამოსაწევად საქართველოს 1924 წლის აჯანყების ჩახშობა გახდა საჭირო.

დემოკრატიული სოციალიზმის დაბადება

1923 წელს მეორე ინტერნაციონალი და ე.წ. „ორნახევარი ინტერნაციონალი“ გაერთიანდა და „მუშათა სოციალისტური ინტერნაციონალი“ (მსი) შექმნა. ის მსოფლიოს არაკომუნისტური სოციალისტური და მუშათა პარტიების უმრავლესობას წარმოადგენდა. გაერთიანების გადაწყვეტილება მიღებული იქნა მას მერე, რაც ორმა სოციალისტურმა ჯგუფმა ვერ მოახერხა, საერთო ენა გამოენახა კომუნისტურ ინტერნაციონალთან 1922 წლის ბერლინის კონფერენციაზე. როგორც ვნახეთ, ამ მოლაპარაკებათა ჩაშლა ნაწილობრივ საქართველოს საკითხზე შეუთანხმებლობამ გამოიწვია.

1924 წლის სექტემბერში, საქართველოში აჯანყების მხეცური ჩახშობის მერე, მსი-ს აღმასრულებელმა კომიტეტმა იმსჯელა ინტერნაციონალის დამოკიდებულებაზე ბოლშევიკების მიმართ. დადგენილების მოსამზადებლად შეიქმნა კომისია, თუმცა მას დახმარება სჭირდებოდა.

ისე აეწყო, რომ კარლ კაუცკი 1924 წლის სექტემბერში ინტერნაციონალის მმართველი ორგანოს შეკრებაზე ავსტრიელ სოციალ-დემოკრატ ოტო ბაუერს ანაცვლებდა. კაუცკი და ბაუ-

ერი რუსეთის საკითხში ერთმანეთს გადაჭრით არ ეთანხმებოდნენ. ჯერ კიდევ 1917 წლის ნოემბერში კაუცკი უფრო კრიტიკული იყო ბოლშევიკების მიმართ, ვიდრე მისი უფრო ახალგაზრდა კოლეგა ბაუერი.

ამ დროისთვის კაუცკი უკვე აღარ იყო „მარქსიზმის პაპი“. ყველა ამჩნევდა, რომ მისი გავლენა კლებულობდა. მან წლები დაყო პოლიტიკურ გარიყულობაში მას მერე, რაც გადაწყვიტა, გამოსულიყო გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან და შეერთებოდა ცალკე გამოყოფილ, ომის მოწინააღმდეგე გერმანიის დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას (USPD). კაუცკი აღარ იყო *დი ნოიე ცაიტის* რედაქტორი — ჟურნალისა, რომელსაც ნებისმიერ სხვა გამოცემაზე მეტად უკავშირდება მარქსისტული მსოფლმხედველობის შექმნა.

კაუცკის შეხედულება ბოლშევიკებზე ბევრად უსწრებდა მის დროს. თავისი პირველი კრიტიკული წერილები ლენინისა და მისი ამხანაგებზე ბოლშევიკების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებიდან სულ რამდენიმე დღეში დაწერა. პირველი სრული წიგნი, რომელშიც საბჭოთა რეჟიმს უპირისპირდებოდა, „პროლეტარიატის დიქტატურა“, მაშინ გამოიცა, როდესაც ბოლშევიკებს ჯერ რუსეთის მართვის ერთი წლისთავიც კი არ ეზეიმათ. ბოლშევიკებზე კაუცკის შეურიგებელი თავდასხმის გამო მათი ლიდერები — ლენინი, ტროცკი და რადეკი — იძულებული გახდნენ, თითო წიგნი დაეწერათ მისთვის პასუხის გასაცემად. ბოლშევიკებისთვის კაუცკი სულაც არ იყო სუსტი და მოხუცი მოწინააღმდეგე. მათ იგი ჯერაც შიშის ზარს სცემდა და პატივისცემას თუ არა, ყურადღებას მაინც იმსახურებდა.

მსი-ს აღმასრულებელ კომიტეტში ყოფნისას კაუცკიმ დაიკისრა, შეედგინა დადგენილება, რომელიც გამოხატავდა ინტერნაციონალის შეხედულებას ბოლშევიზმზე. დადგენილების დაწერის გარდა, კაუცკიმ „ასევე დაწერა ვრცელი მემორანდუმი თავისი შედგენილი დადგენილების გასამყარებლად და გან-

სამარტად, რაკი თავად სავარაუდოდ არ იქნებოდა მომდევნო ყრილობაზე და შესაბამისად, ვერ შეძლებდა საკუთარი მოსაზრებების დაცვას“.[8]

როგორც ვ.ჰ. რუბოლი წერდა, „თუმცა კი შემდგომ გაირკვა, რომ რუსი მენშევიკები სრულიად არ ეთანხმებოდნენ ამ დადგენილების შინაარსს, მაშინ კაუცკის ეგონა, რომ ნაპოვნი ჰქონდა სწორი ფორმულა, რომლითაც გამოხატავდა როგორც რუსი, ასევე ქართველი მენშევიკების შეხედულებებს. ის შეცდომაში შეიყვანა რუსეთის დელეგაციის ზომიერად პოზიტიურმა რეაქციამ ზემოთ ნახსენებ აღმასრულებელი კომიტეტის შეხვედრაზე. საბოლოოდ კაუცკის მემორანდუმი შეცვლილი ფორმით გამოქვეყნდა“.[9]

რუსეთში ბოლშევიკების გამარჯვებამ და მენშევიკების განადგურებამ მენშევიკების პარტიაში აზრთა სხვადასხვაობა აღძრა. ზოგი ემხრობოდა მოსაზრებას, რომ უნდა მორგებოდნენ ცხოვრებას ბოლშევიკების მმართველობის პირობებში და ამაში სამოქალაქო ომში საბჭოთა რეჟიმის მხარდაჭერასაც გულისხმობდნენ. სხვები ლენინისა და მისი პარტიის მიმართ უფრო მტრულად იყვნენ განწყობილი. ქართველები მეტწილად მენშევიკური მოძრაობის უფრო შეურიგებელ ანტიკომუნისტურ ფრთას ემხრობოდნენ.

კაუცკის დადგენილება და პატარა წიგნი, რომელიც მის განმარტებად დაწერა, საერთაშორისო მემარცხენე მოძრაობაში მიმდინარე უდიდესი ცვლილებების ნაწილი იყო. როგორც უკვე ვნახეთ, საბჭოელთა კრიტიკოსებისგან სულ უფრო ხშირად გაისმოდა, რომ მოსკოვის რეჟიმი არსობრივად არ განსხვავდებოდა ფაშიზმისგან.

როგორც რუბოლს უწერია, კაუცკი „სრულიად უარყოფდა ბოლშევიზმს და ცარიზმთან მის მსგავსებაზე მიუთითებდა. ბოლშევიკებთან ბრძოლა მას ისევე მნიშვნელოვნად მიაჩნდა, როგორც მუსოლინის ფაშიზმთან ბრძოლა“.[10]

ბერლინის ყრილობის მერე გასულ ორ წელიწადში ურთიერთობა სოციალისტურ და კომუნისტურ მოძრაობათა შორის სრულიად შეცვლილი იყო. ახლა, საქართველოში 1924 წლის აგვისტოს აჯანყების მომდევნო დღეებში, სოციალისტები მზად იყვნენ, მათ შორის ყველაზე ანტიკომუნისტისთვის, კარლ კაუცკისთვის, ეთხოვათ ისტორიული დადგენილების დაწერა — იმის გათვალისწინებით, რომ იცოდნენ კაუცკის შეურიგებელი განწყობა. კაუცკის დაწერილმა დადგენილებამ და მოკლე წიგნმა, რომელიც მის შეხედულებას უფრო დეტალურად განმარტავს, განსაზღვრა მიმართულება, თუ რა დამოკიდებულება ექნებოდათ სოციალისტებს საბჭოთა კომუნიზმთან მომდევნო ათწლეულების განმავლობაში.

1925 წელს გამოცემულ წიგნში „ინტერნაციონალი და საბჭოთა რუსეთი“ (Die Internationale und Sowjetrussland) კაუცკი აჯამებდა თავის შეხედულებებს საქართველოს წინა წლის წარუმატებელი აჯანყების შემდგომ. თუმცა კი ეს წიგნი საბჭოთა რუსეთის ზოგადი განხილვაა, მასში მრავალგან არის ნახსენები საქართველო, განსაკუთრებით, დასკვნით ნაწილში. 1924 წლის აჯანყება და მისი სისხლიანი ჩახშობა გარდამტეხი მომენტი იყო კაუცკის შეხედულებებში, განსაკუთრებით იმ საკითხში, საერთაშორისო სოციალისტურ მოძრაობას რა პოზიცია უნდა დაეჭირა ამგვარი შეიარაღებული აჯანყებების მიმართ. ბოლშევიზმი „რევოლუციის ხელშემწყობიდან მის მესაფლავედ გადაიქცა“, წერდა იგი, „და დღეს მხოლოდ კონტრრევოლუციურ ფუნქციას ასრულებს“. საბჭოთა რეჟიმს პოზიტიური, რევოლუციური როლი აღარ გააჩნდა.[11]

ამიტომ ინტერნაციონალის, სოციალ-დემოკრატიული პარტიებისა და მთლიანობაში მუშათა მოძრაობის ამოცანაა „გამოიყენონ ყოველი გამოჩენილი შესაძლებლობა იმისათვის, რომ ზოგადად რუს ხალხს და განსაკუთრებით რუსეთის პროლეტარიატს დაეხმარონ თავისუფლებისთვის ბრძოლაში“. კაუცკი,

უეჭველია, საქართველოს ბოლოდროინდელ აჯანყებაზე ფიქრობდა, როცა წერდა: „გათვალისწინებული უნდა იქნეს ალბათობა, რომ რუსეთში ბოლშევიზმის მოწინააღმდეგენი მის დასამხობად შეიარაღებულ აჯანყებებს ამზადებენ“. ალბათობის გათვალისწინება მის წაქეზებას არ ნიშნავს. პირიქით, კაუცკი აღნიშნავდა, რომ ახლად ჩამოყალიბებული მუშათა სოციალისტური ინტერნაციონალი მის პირველ ყრილობაზე „უარყოფდა წინასწარ მომზადებულ აჯანყებას, როგორც რუსეთში დემოკრატიის დამყარების საშუალებას“. თვლიდა, რომ ეს მართებული მიდგომა იყო და არ უნდა შეცვლილიყო.

ქართველი სოციალ-დემოკრატების გამოცდილებაზე დაყრდნობით, კაუცკი ამტკიცებდა, რომ ასეთი დაგეგმილი აჯანყებები, საბჭოთა სახელმწიფოსთან „ძალთა ბალანსის გათვალისწინებით, უიმედოა“. ასეთი აჯანყებები „ოპოზიციის საუკეთესო ადამიანებს ჩეკას“ უგდებდა ხელში. საქართველოში ნამდვილად ასე მოხდა, ყველაზე უნარიანი და გამოჩენილი სოციალ-დემოკრატები — მათ შორის, აგრარული რეფორმის შემოქმედი ხომერიკი და სახალხო გვარდიის მეთაური ჯუღელი — ხელში ჩაუცვივდნენ ჩეკას, რომელმაც დახოცა ისინი.

„არცერთი შეთქმულება არ რჩება დაფარული“ ჩეკასგანო, დასძენდა კაუცკი და, როგორც ჩანდა, 1924 წელს საქართველოშიც სწორედ ასე მოხდა. ჩეკამ ყოველთვის ყველაფერი არ იცოდა, მაგრამ, როგორც ვნახეთ, თავადვე საგულდაგულოდ ქმნიდა წარმოდგენას თავის ყოვლისმცოდნეობაზე, რაშიც, სხვა მრავალთა გარდა, კაუცკიც დააჯერა.

თუმცა, იმის გარდა, რასაც კაუცკი „მომზადებულ აჯანყებას“ ეძახდა — უეჭველია, საქართველოში სწორედ ეს მოხდა 1924 წელს — შეიძლებოდა მომხდარიყო „მუშათა კლასის სპონტანური აჯანყებები“ კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ. კაუცკის აზრით, ასეთ აჯანყებას „წინასწარგანზრახულად ვერც გამოიწვევ და ვერც შეაჩერებ“ და, თუ ის საკმარისად ფართო იქნა,

„შეიძლება, დიდი პოლიტიკური შედეგი მოიტანოს“. შესაძლებელი იყო ასეთი აჯანყებების მოხდენა საბჭოთა რუსეთში? კაუცკის მიაჩნდა, რომ კი.

„საბჭოთა რუსეთში ვითარება ისეთი საშინელია, ხოლო მთავრობის პოლიტიკა — ისეთი ავანტიურისტული, რომ ასეთი აჯანყებების შესაძლებლობა უნდა დავუშვათ“. როგორ უნდა მოქცეულიყვნენ სოციალ-დემოკრატები ასეთ შემთხვევებში? წინადადება, რომელიც კაუცკიმ ამას მოაყოლა, შესაძლოა, მთელი ამ პატარა წიგნიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ფრაზაა, თუმცა კი სულ ბოლო გვერდზე წერია. ის მონიშნავდა გარდამტეხ მომენტს კომუნიზმის შესახებ სოციალისტთა შეხედულებაში.

„ინტერნაციონალი ვერ დაგმობს ამგვარ საერთო აჯანყებებში მონაწილეობას“, წერდა ის.

„ვერ დაგმობს“ არ ნიშნავს იმავეს, რაც „დაეხმარება“, თუმცა, ეს არის ალბათ წამყვანი ევროპელი სოციალისტისგან წამოსული პირველი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც აჩვენებს, რამდენად დაშორდა ერთმანეთს ეს ორი მოძრაობა, რომლებიც სულ რაღაც ათი წლით ადრე ერთ ინტერნაციონალში იყო გაერთიანებული.

კაუცკი ამტკიცებდა, ინტერნაციონალმა რომც დაგმოს ამგვარი აჯანყებები, ეს მათ ვერ აგვარიდებსო. თანაც, ამგვარი დაგმობა „[რუსეთის] განრისხებულ მასებს უბიძგებს, მთლიანად მიენდონ რეაქციონერთა წინამძღოლობას, რომლებიც ჩვენსავით ებრძვიან ბოლშევიკებს, თუმცა მათ ამისთვის სულ სხვა მიზეზები აქვთ“.

ესეც ცხადყოფდა სოციალისტურ აზროვნებაში მომხდარ მნიშვნელოვან ცვლილებას. აღიარება, რომ არსებობდნენ სხვებიც, ვინც „ჩვენსავით“ ებრძვიან საბჭოთა რეჟიმს, აჩენდა შესაძლებლობას (ერთობ ბუნდოვანს 1925 წლის გადმოსახედიდან), რომ სოციალისტებს ამ ბრძოლაში მოკავშირეები ჰყავდათ. ეს ბევრად უფრო აშკარა გახდებოდა მომდევნო წლებში,

განსაკუთრებით, ორი ათეული წლის მერე ცივი ომის დაწყების ფონზე.

კაუცკი მკაფიოდ აცხადებდა, რომ საშიშროება, კომუნისტების წინააღმდეგ მომხდარი შეიარაღებული აჯანყებით რეაქციონერებს ესარგებლათ, შეიძლებოდა პრობლემა ყოფილიყო საბჭოთა კავშირის ბევრ ნაწილში, ოღონდ არა საქართველოში. საქართველო გამონაკლისი იყო.

იგი წერდა: „მხოლოდ საქართველოშია ასე, რომ არასოდეს ყოფილა საშიშროება, აჯანყებით, თუ ის წარმატებული გამოდგებოდა, რეაქციონერებს ესარგებლათ. აქ ყველა აჯანყება აუცილებლად იქნებოდა გამიზნული რუსული რეჟიმისგან ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებისთვის“ და რომ „აჯანყება იმთავითვე მიმართული იქნებოდა როგორც ცარიზმის, ასევე მოსკოვური ბოლშევიზმის წინააღმდეგ“. სწორედ ეს ხდებოდა საქართველოს 1924 წლის აჯანყებისას.

საბჭოთა ისტორიკოსების გვიანდელ მტკიცებათა მიუხედავად, თითქოს 1924 წელს აჯანყებულები მემამულე თავადაზნაურობის აღდგენას განიზრახავდნენ, კაუცკი აღწერდა საქართველოს ნამდვილ ვითარებას, რომელიც მან პირადად ნახა 1920-21 წლებში ერთთვიანი ვიზიტის გამოისობით. „საქართველოში გამორიცხულია მოხდეს აჯანყება მსხვილი მიწათმფლობელობის აღსადგენად“, წერდა ის, „ქართველი მიწათმფლობელი აზნაურების უმრავლესობა, გაღარიბებული და ვალებში ჩაფლული, ჯერ კიდევ რევოლუციამდე იძულებული იყო, საკუთარი შრომით მოეპოვებინა სარჩო, და არ ცხოვრობდა თავისი მამულების შემოსავლით“.

მაშასადამე, მემამულე აზნაურობა არც მაშინ ქმნიდა პრობლემას და არც შემდგომ შექმნიდა. „ისინი ძველი მდგომარეობის დაბრუნებიდან საიმედოს არაფერს გამოელიან, სამაგიეროდ, დიდ იმედს ამყარებენ ქვეყნის ეკონომიკურ აყვავებაზე, რაც მხოლოდ დემოკრატიის პირობებშია შესაძლებელი“. რაც

შეეხება სოფლის მშრომელ კლასს, კაუცკი წერდა, რომ „საქართველოში გლეხობის უმეტესი ნაწილი, ჯამაგირზე მომუშავე მშრომელთა მსგავსად, მენშევიკთა ბანაკშია“.

რუსეთის სამოქალაქო ომის დროს ქართველებს ისევე საფრთხედ მიაჩნდათ „კოლჩაკის, დენიკინისა [და] ვრანგელის“ აჯანყებები, როგორც ბოლშევიკებსო, წერდა კაუცკი. ასევე არ იჩენდნენ დიდ ენთუზიაზმს ბრიტანელ და ფრანგ იმპერიალისტებთან ჩასახუტებლად, რომლებიც კაუცკის რუსული თეთრი გვარდიების მხარდამჭერებად და საქართველოს დამოუკიდებლობისთვის საფრთხის შემქმნელებად მიაჩნდა.

1921 წლის თებერვლამდე მოსკოვის ბოლშევიკურ მთავრობასა და დამოუკიდებელ საქართველოს შორის ურთიერთობა, კაუცკის აღწერით, იყო „სავსებით დამაკმაყოფილებელი, ზოგჯერ მეგობრულიც კი“ — იმის მიუხედავად, რომ ბოლშევიკებსა და ქართველ სოციალ-დემოკრატებს შორის აზრთა უდიდესი სხვადასხვაობა არსებობდა. მაგრამ, როგორც კი რუსეთის სამოქალაქო ომი დასრულდა, საბჭოელები „მაშინვე ყელში ეცნენ პატარა საქართველოს, რომ დაბლა დაეცათ იგი და გაეგუდათ“, წერდა კაუცკი.

კაუცკი ხაზს უსვამდა, რომ საქართველოში მომხდარის მსგავსი აჯანყებები ის არ იყო, რაც სოციალისტებს სურდათ. დანამდვილებით ვერ იტყოდი, ასეთ აჯანყებას შედეგად რა მოჰყვებოდა. „გაპარტახება და ტანჯვა“ „განუზომელი“ იქნებოდა. სოციალისტებს, უეჭველია, ერჩივნათ, სამოქალაქო ომი არ დაეშვათ. მაგრამ მიზანი უცვლელი რჩებოდა: მიეღწიათ, რომ ბოლშევიკებს „უარი ეთქვათ თავიანთ რეპრესიულ მეთოდებზე ან, სულ ცოტა, შეემსუბუქებინათ ისინი“.

კაუცკის წიგნი ოპტიმისტური კილოთი სრულდება. „რუსეთის პროლეტარიატი არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიეცეს სასოწარკვეთილებას“, წერდა ის; მისი აზრით, პრობლემა სწორედ ამდენი რუსი მუშის „აპათია და უიმედობა“ იყო. ეს ნამდვილად

სწორად აღწერდა საქართველოში 1924 წლის აჯანყების ჩახშობის შემდგომ ვითარებას. „თუ შევძლებთ, იმედი და ინტერესი ჩავუნერგოთ“ ამ პროლეტარიატს, „ბოლშევიკური ტირანია ნაკერებში დაირღვევა“, ასკვნიდა კაუცკი.

როგორც მოგეხსენებათ, ასე არ მოხდა. „აპათიამ და უიმედობამ“ რუსეთსა და მის კოლონიებში მხოლოდ იმატა. ბოლშევიკური ტირანია ბევრად უფრო ძალადობრივი და დაუნდობელი გახდა და მოახერხა, მომდევნო სამოცდაათი წლის განმავლობაში შენარჩუნებულიყო.

ოღონდ, ერთი რამ შეიცვალა: ეს იყო სოციალისტთა დამოკიდებულება საბჭოთა რეჟიმის მიმართ. კომუნისტები შემცდარ ამხანაგებად აღარ მიაჩნდათ. ის აღარ იყო მოძრაობა, რომელთანაც სოციალისტები საერთო ენის გამონახვას უნდა ცდილიყვნენ. ფრიდრიხ ადლერის მიერ ბერლინის 1922 წლის ყრილობაზე გამოღვიძებული იმედები შორეულ მოგონებადღა ქცეულიყო — ისეთი რამის მოგონებად, რაც ვერასოდეს განხორციელდა.

ძველი სოციალისტური მოძრაობა დასრულებულიყო. ახალი მოძრაობა იბადებოდა.

შეჯამება

საქართველოს 1924 წლის აგვისტოს ეროვნულმა აჯანყებამ ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა დატოვა. ამ თავში შევეცდები, ზოგ მათგანს ვუპასუხო. აჯანყება მრავალმხრივი მოვლენა იყო, ბევრი სხვადასხვა ინტერპრეტაციით, რომელთა შორის არის ქართველი სოციალ-დემოკრატების ლიდერის, ნოე ჟორდანიას გასაოცრად პირუთვნელი შეფასება, რომელსაც აქ განვიხილავთ. და ბოლოს, ეს აჯანყება, ერთი მხრივ, დასასრული იყო, ხოლო მეორე მხრივ, დასაწყისი — და ავხსნი, თუ რას ვგულისხმობ.

მოდით, ზოგი უპასუხოდ დარჩენილი კითხვით დავიწყოთ.

რატომ მოახერხა ჩეკამ ასე წარმატებულად აგენტების ჩანერგვა ქვეყნის იატაკქვეშა ოპოზიციაში?

საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას ჰყავდა საკუთარი კონტრდაზვერვის სამსახური, რომელიც წარმატებით ებრძოდა ადგილობრივ ბოლშევიკებს.

მაგრამ 1921 წელს წითელი არმიის გამარჯვებით შემოსვლამ, საქართველოს მთავრობის ქვეყნიდან წასვლამ და ადრეული შეიარაღებული აჯანყებების დამარცხებამ ყველაფერი შეცვალა. ჩეკას ახლა შეეძლო, გამოეყენებინა საბჭოთა სახელმწიფოს ყველანაირი შესაძლებლობა, რათა გადაეხადა ინფორმატორებისთვის, დაეპატიმრებინა მერყეობაში ეჭვმიტანილნი და

ასე შემდეგ. ამაში უეჭველად ეხმარებოდათ საბჭოთა რუსეთში ოპოზიციის განადგურების გამოცდილება.

აჯანყებულები თავისი ფეხით შედიოდნენ დაგებულ ხაფანგში, რაკი მათი გეგმების შესახებ უკვე ბევრი რამ იყო ცნობილი. როგორც ემი ნაითი წერს, „თითქოს ბერია და მისი უფროსი კვანტალიანი აქეზებდნენ აჯანყებას, რათა პოლიტიკური ოპოზიციის სრულად განადგურების საბაბი ჰქონოდათ“.[1]

აჯანყებასთან ბრძოლის საბჭოთა სტრატეგიას ძირითადად წარმართავდა დაზვერვა, რომელსაც რესპუბლიკის ჩეკას უფროსის ახლად დანიშნული მოადგილე ლავრენტი ბერია მეთაურობდა. ბერია თანდათან დაწინაურდა და გახდა ჯერ საქართველოს ჩეკას უფროსი, მერე რესპუბლიკის კომპარტიის პირველი მდივანი, მერე კი სტალინმა იგი მოსკოვში წაიყვანა და მთელი სსრკ-ს ენკავედეს უფროსობა ჩააბარა. მაგრამ საქართველოს 1924 წლის აჯანყება იყო მოვლენა, როდესაც ბერიამ თავისი უნარები გამოავლინა.

რატომ მოხდა აჯანყება?

საბჭოთა ისტორიკოსები ბოლომდე მტყუანნი როდი იყვნენ, როდესაც ამბობდნენ, ქართველები რაღაც პერიოდის განმავლობაში ამზადებდნენ შეიარაღებულ აჯანყებასო. ბოლშევიკებთან დაპირისპირების მრავალი მშვიდობიანი თუ ძალადობრივი გზა არსებობდა და შეიარაღებული წინააღმდეგობა გარდაუვალად იქნებოდა დიქტატურასთან ბრძოლის ერთ-ერთი ხერხი.

აჯანყებისთვის მზადების ნაწილი იყო დამკომისა და მისი სამხედრო ცენტრის შექმნა. 1923 წელს სამხედრო ცენტრის დაპატიმრებამ და მისი წევრების სიკვდილით დასჯამ აშკარა გახადა, რომ ჩეკას წინააღმდეგობის მოძრაობის შიგნით ინ-

ფორმატორები ჰყავდა. ამან, მართალია, დააყოვნა დაგეგმილი აჯანყების დაწყება, მაგრამ არ გაუუქმებია.

არასოდეს იყო განზრახული, რომ ეს ძალადობის სპონტანური აფეთქება იქნებოდა. 1917 წელს პეტროგრადში ბოლშევიკების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების მსგავსად, ეს უნდა ყოფილიყო დაგეგმილი და კოორდინირებული შეტევა კომუნისტურ მთავრობაზე, რის შედეგადაც ის, სულ ცოტა, დროებით მაინც დაკარგავდა ქვეყნის მართვის სადავეებს. ქართველი აჯანყებულები იმედოვნებდნენ, რომ ამასობაში მეზობელი ქვეყნებიც აჯანყდებოდნენ და, შესაძლოა, უცხოური სამხედრო ინტერვენციაც წამოსწეოდათ. იყო იმედი, რომ ბრიტანეთის ახალი ლეიბორისტული მთავრობა, რომელსაც თავში საქართველოს მეგობარი რემზი მაკდონალდი ედგა, რაღაც სამხედრო დახმარებას გაუწევდათ. დამკომის ლიდერები ბოლომდე ვერ განჭვრეტდნენ საერთაშორისო სიტუაციას — მაგრამ დევნილ მთავრობას ეს სიტუაცია კარგად ესმოდა.

1921 წლიდან ქართველები და, გამორჩეულად, დევნილი მთავრობის წევრები, სულ შიშობდნენ, რომ საბჭოთა ქვეყნის აღიარება და მათთან სავაჭრო გარიგებები გარდაუვალი იყო, განსაკუთრებით, ბრიტანეთის მხრიდან. ამ სახის აჯანყებისთვის შესაძლებლობის ფანჯარა სწრაფად იხურებოდა და სულ მალე გარე მსოფლიოსგან რაიმე სახის დახმარების იმედი ფუჭი იქნებოდა.

წინააღმდეგობის მოძრაობისთვის პრობლემას ქმნიდა ის, რომ 1924 წლის აგვისტოსთვის აშკარა იყო, აჯანყების გეგმების შესახებ ჩეკამ უამრავი რამ იცოდა — ყველაფერი არა, მაგრამ ბევრი. 1923-ში დამკომის სამხედრო ცენტრის დაჭერით წინააღმდეგობას მძიმე დარტყმა მიადგა, კიდევ უფრო მძიმე იყო მომდევნო წელს ხომერიკისა და ჯუღელის დაპატიმრება. ანტისაბჭოთა ძალებმა მოულოდნელობის უპირატესობა სრუ-

ლიად დაკარგეს. და, როგორც დავრწმუნდით, ისინი ასევე კარგავდნენ მთელი ქვეყნის მასშტაბით შეთანხმებული მოქმედების უნარს.

ისე ჩანდა, თითქოს ჩეკას *უნდოდა, ეს მომხდარიყო*, რათა აჯანყებული მებრძოლები სამალავიდან გამოეყვანათ და გაენადგურებინათ — და ასეც მოხდა. საფუძველს მოკლებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ აჯანყება ბერიასა და ჩეკას მიერ დაგებული მახე იყო, რომელიც ქართველი სოციალ-დემოკრატებისა და მის მოკავშირეთა განადგურებას ისახავდა მიზნად.

რატომ დაიწყო ჭიათურაში აჯანყება ნაადრევად, დაგეგმილზე ერთი დღით ადრე?

ამან სრულიად გაანულა ყოველგვარი მოულოდნელობის ეფექტი და საბჭოთა რეჟიმს შესაძლებლობა მისცა, სწრაფად ჩაეხშო აჯანყება ქვეყნის ამ ნაწილში. ერთი ახსნა, რომელიც ჩვენამდე მოვიდა, გახლავთ, თითქოს ჭიათურელმა შეთქმულებმა სროლის ხმა გაიგონეს, ეგონათ, აჯანყება დაიწყოო, და თავადაც დაიწყეს სროლა.

სხვები განმარტავენ, რომ ჭიათურელი მებრძოლები სინამდვილეში ნაადრევად არ გამოსულან, არამედ აჯანყდნენ დაგეგმილ დროს, რომელიც ისე იყო დანიშნული, რომ რელიგიური დღესასწაულს დამთხვეოდა. ისინი ვარაუდობდნენ, რომ საბჭოთა სამხედროები მთვრალები და იოლად დასამარცხებლები იქნებოდნენ. მაგრამ, ეს თუ მართალია, რატომ მოხდა, რომ მათი ამხანაგები ქვეყნის სხვა ნაწილებში მხოლოდ მეორე დღეს შეუერთდნენ მათ?

მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ კომუნიკაცია აჯანყებულთა სხვადასხვა ჯგუფს შორის შეზღუდული იყო და ყველანა-

ირი დაგეგმვა და შეთანხმება საიდუმლოდ უნდა ეწარმოებინათ. შეიძლება, ვერასოდეს შევიტყოთ, ეს აჯანყება რატომ დაიწყო მაშინ, როცა დაიწყო.

ვინ გასცა აჯანყებულები?

დაპატიმრების მერე ჯუღელი დარწმუნდა, რომ ჩეკამ დაგეგმილ აჯანყებაზე ყველაფერი იცოდა, მათ შორის ისიც, რომელ დღეს უნდა დაწყებულიყო. ჩეკას ოპოზიციის შიგნით შესაძლოა ინფორმაციის რამდენიმე წყარო ჰყოლოდა, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთაც. დაუსაბუთებელ განცხადებას, თითქოს ეს ეროვნულ-დემოკრატებმა ჩაიდინეს სოციალ-დემოკრატების სიძულვილის გამო, თითქოს ზურგს უმაგრებს ბერიას „აღიარება“ 1930 წელს, ინფორმაციას მათგან ვიღებდითო. მაგრამ, რასაკვირველია, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბერიას ხელს აძლევდა განხეთქილების გამოწვევა სხვადასხვა არაკომუნისტურ პარტიას შორის, რომლებიც უკვე ისედაც არ ენდობოდნენ ერთმანეთს.

ჩვენ უკვე განვიხილეთ, რა პანიკური რეაქცია ჰქონდათ საბჭოთა ლიდერებს, მათ შორის, ორჯონიკიძესა და სტალინს, აჯანყებაზე, რომელიც, დღევანდელი გადასახედიდან, საქართველოში საბჭოთა რეჟიმს მცირე საფრთხეს თუ უქმნიდა. შეუსაბამოდ სისხლისმღვრელი პასუხი აჯანყებაზე თუ სტალინისგან მისი შედარება კრონშტადტისა თუ ტამბოვის აჯანყებებთან გვარწმუნებს, რომ ეს შიში მოჩვენებითი არ ყოფილა.

შესაძლოა, კომუნისტებს ესმოდათ, ქვეყანაში როგორი არაპოპულარული იყო მათი პოლიტიკა — პოლიტიკური პარტიების აკრძალვა, პროფკავშირებისა და კოოპერატივების სახელმწიფო კონტროლის ქვეშ მოქცევა, პოლიტიკური ოპონენტების დაპატიმრება, წამება და სიკვდილით დასჯა, გლეხებისთვის

ცხოვრების გართულება, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის მოსპობა და ეკლესიისთვის ომის გამოცხადება. და იგივე ხდებოდა ახლად შექმნილი საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში.

და ბოლოს, სინამდვილეში რამდენი ხალხი დაიხოცა აჯანყებაში და მის შემდეგ?

ამ კითხვაზე მოკლე პასუხია „არ ვიცით და შეიძლება, ვერც ვერასოდეს გავიგოთ“. საბჭოელები ძალიან მცირე რაოდენობას ასახელებდნენ და კლარა ცეტკინს ათქმევინეს, თითქოს აჯანყებას „მხოლოდ“ 320 ადამიანი შეეწირა. ზოგი საბჭოთა შეფასების თანახმად, დახოცილთა რაოდენობა 800 იყო.

სხვა შეფასებათა უმრავლესობა ამ რიცხვებს ბევრად აღემატება. ბრიტანეთის პროფკავშირების დელეგაციაც კი, რომელიც საბჭოელების ყველანაირი განმარტების მიღებაზე ყაბულს იყო, მიიჩნევდა, რომ 3 000 ადამიანი დაიხოცა, მაგრამ სჯეროდათ, რომ ამათი უმრავლესობა ბრძოლების მერე კი არ დახვრიტეს, არამედ ბრძოლის ველზე დაეცა.

1924 წელს ბრიტანეთის საპარლამენტო დებატებში დაღუპულების რაოდენობად დასახელებული იქნა 9 000, მაგრამ ლეიბორისტულმა პარტიამ, რომელიც იმჟამად ქვეყანას მართავდა, ეს რიცხვი უარყო, როგორც გაზვიადებული. ემი ნაითი ბერიას მისეულ ბიოგრაფიაში მოკლულების შესაძლო რაოდენობად კიდევ უფრო მაღალ რიცხვს, 10 000-ს ასახელებს. და ბოლოს, გვაქვს საკმაოდ ზუსტი რიცხვი, რომ 1924 წლის 29 აგვისტოსა და 5 სექტემბერს შორის 12 578 ადამიანი იქნა დახვრეტილი.[2]

1924 წლის აჯანყებიდან თითქმის სამოცდაათი წელი საქართველოში მომხდარის ერთადერთი ოფიციალური აღწერა

საბჭოთა ისტორიკოსების მიერ შემოთავაზებული ვერსია იყო. უმეტესწილად ისინი უბრალოდ უგულებელყოფდნენ აჯანყებას, მხოლოდ გაკვრით ახსენებდნენ, რა მოხდა და სტალინის, ორჯონიკიძისა და ზინოვიევის მიერ მაშინ გამოთქმული შიშის მიუხედავად, მუდამ აკნინებდნენ საფრთხის მასშტაბებს.

ეს აჯანყებაო, ირწმუნებოდნენ ისინი, მცირე იყო, ფაქტობრივად, მასში მონაწილეობდნენ მხოლოდ ბანდიტთა ჯგუფები, რომელთა უკანაც უცხოელი იმპერიალისტები და სოციალ-დემოკრატები იდგნენ; მათ ხალხის მხრიდან მხარდაჭერა არ ჰქონიათ და მათი დამარცხება არავითარი სიძნელე არ გახლდათო.

მაგრამ არსებობს აჯანყების განსხვავებული შეფასება — ქართველ სოციალ-დემოკრატთა და, კონკრეტულად, მათი ლიდერის, ჟორდანიას, მოსაზრება. ჟორდანია ისტორიკოსის როლს ირგებს და 1925 წელს პარიზში გამოცემულ მცირე ბუკლეტში, რომლის სათაურია „რა მოხდა?“ წინა წელს საქართველოში მომხდარ აჯანყებას განიხილავს.[3]

საქართველოს ლიდერი იწყებს განმარტებით, რომ ყველა აჯანყებას აქვს ორი მხარე: ორგანიზაციული და სამხედრო, და 1924 წლის აჯანყებაც არ იყო ამ მხრივ განსხვავებული. მაგრამ ის გამოყოფს თავისებურებას, რაც, მისი აზრით, საქართველოს აჯანყების განსაკუთრებული მახასიათებელია: ის, საიდუმლო ორგანიზების მეშვეობით, ერთდროულად ბევრ სხვადასხვა ადგილას დაიწყო და თავიდანვე ბევრი ადამიანი მოიცვა. „ეს არის ერთ და იმავე დროს აჯანყებაც და რევოლუციაც. აქ შეერთდა პოლიტიკური ორგანიზაცია და ერის სტიქია“, წერდა ის.[4]

მისი განმარტებით, ხალხი ამგვარი ერთსულოვნებით ბოლშევიკთა სისასტიკის გამო შეიკრა — ჟორდანია ბოლშევიკებს ცარიზმის დროინდელ ჟანდარმებს ადარებს. ნიკოლოზ მეფის ჟანდარმებს ხალხთან მეტი კავშირი ჰქონდათო, ამბობს იგი. შედეგად „გაბატონებულთათვის სრულიად მოულოდნელათ ხალ-

ხი ადგა ერთ ღამეს, დაატყვევა კომუნისტები და გამოაცხადა თავის ხელისუფლება!“ წერს იგი.[5]

ჟორდანიას აზრით, ხალხსა და კომუნისტურ წყობილებას შორის „ხიდი სავსებით ჩატეხილია“ და მის ამ თვალსაზრისს ნაწილობრივ ადასტურებს ის, რაც სტალინს რამდენიმე თვით ადრე ჰქონდა ნათქვამი. ჟორდანია დაპყრობილი საქართველოს კომუნისტ მმართველთა თვითკმაყოფილებაზე წერს. აჯანყებამდე რამდენიმე თვით ადრე, 1924 წლის მაისში, ის გაეცნო ოფიციალურ ანგარიშს, რომელიც აცხადებდა: „ჩვენ მოწინააღმდეგეთა ბანაკიდან სავსებით ან თითქმის სავსებით გაქრნენ ისეთი ძალები, როგორიცაა პარტია მენშევიკებისა, ნაციონალ-დემოკრატების და ორგანიზაცია ახალგაზრდა მარქსისტებისა“.[6]

ცნობები ოპოზიციური პარტიების დაშლის შესახებ, ცოტა არ იყოს, გაზვიადებული აღმოჩნდა.

ჟორდანიას მიაჩნდა, რომ კომუნისტებს ქართველ ხალხში თითქმის არავითარი მხარდაჭერა არ გააჩნდათ. ხალხს სჯეროდა იმ პარტიების, რომლებიც საბჭოთა წყობილებამ განდევნა და კანონგარეშე გამოაცხადა. „ქართველ ხალხს სურს, იყოს თავის თავის მმართველი“, წერდა ის; ხალხმა „სწორედ ეს ნაციონალური და დემოკრატიული დროშა ააფრიალა, დროშა, რომელიც საქართველოს მწვერვალზე სამ წელიწადს ფრიალებდა და იქიდან მურტალმა ხელმა ჩამოგლიჯა. ახლა ის შენახულია ხალხის გულში და მისი ამოგლეჯა შეუძლებელია.[7]

ჟორდანიამ, მისივე ტერმინი რომ ვიხმაროთ, „აჯანყების დადებითი მხარეების“ შეჯამებაში თქვა, რომ ქართველმა ერმა „საჯაროთ დასვა საქართველოს საკითხი და მისკენ მიაპყრო ქვეყნის ყურადღება... მტერი და მოყვარე დარწმუნებული უნდა იყოს ჩვენს განთავისუფლების სურვილში“.[8] მისი აზრით, აჯანყებამ წარმატებით „დასვა ჩვენი საკითხი პრაქტიკული პოლიტიკის დღის წესრიგში“, ამიტომ ბოლშევიკები ყველაფერს აკე-

თებდნენ მისი მნიშვნელოვნების შესამცირებლად და მას „ავანტიურათ“ ნათლავდნენ.

მაგრამ ჟორდანიას ესმოდა, რომ აჯანყების დამარცხების მერე ბევრი ქართველი მის წინააღმდეგ განეწყო. ქართველი ლიდერის აზრით, დამარცხება არ არის საკმარისი მიზეზი იმისათვის, რომ აჯანყება დაიგმოს. ის ჩამოთვლის დამარცხებულ აჯანყებებს, რომლებიც ქების ღირსია. მათ შორის, ასახელებს პარიზის მუშათა აჯანყებებს 1848 და 1871 წლებში, 1905 წლის დეკემბრის აჯანყებას მოსკოვში და კრონშტადტის 1921 წლის ამბოხს.

ჟორდანიას აზრით, მნიშვნელოვანია არა ის, აჯანყება წარმატებულია თუ არა, არამედ — მისი განზრახვა და იდეოლოგია. 1871 წლის პარიზის კომუნას „გმობენ ბურჟუები და აქებენ სოციალისტები, ხოლო 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალებას აქებენ ბოლშევიკები, გმობენ სოციალისტები“. მნიშვნელოვანია აჯანყების მიზანი — რისი მიღწევა აქვს მას განზრახული. თუმცა, აცნობიერებს, რომ საჭიროა, ამ მიზნების მიღწევისას მსხვერპლის შემცირებაზე ვიზრუნოთ. „ეს კი ანგარიშის საქმეა და არა პრინციპის, ხოლო ანგარიში ყოველთვის არ მართლდება“, წერს იგი.[9]

აჯანყებები, ომის არ იყოს, შესაძლოა, ცუდად დასრულდეს. ჟორდანია წერს, რასაკვირველია, სჯობს აჯანყების რაც შეიძლება ხელსაყრელ პირობებში დაგეგმვაო. მაგრამ ზოგჯერ მტრის მწვავე უღელი ხალხს „უკარგავს მოთმინებასო“, შენიშნავს იგი. „რაც უფრო ის აუტანელია, მით უფრო ჩქარის ხალხი ის გადააგდოს. ამიტომ ამბობს მარქსი: აჯანყებას აკეთებს არა ხალხი, არამედ მის კისერზე მჯდომნი მტარვალნიო“.[10]

1924 წლის აგვისტოს სამნახევარი წელი გახდა, „რაც ქართველმა ხალხმა ითმინა ბოლშევიკური მტარვალობა“ და მეტის ატანა აღარ შეეძლოო, წერს ჟორდანია. „ვის შეუძლია ამისთვის

მას [ქართველ ერს] ქვა ესროლოს? მხოლოდ საქართველოს მტერთ, მხოლოდ ბოლშევიკებს“.[11]

ამის მერე ჟორდანია განიხილავს 1924 წლის აჯანყების ზოგ ძირითად სისუსტეს. მისი აზრით, უპირველესი ის იყო, რომ აჯანყების „სიმძიმის ცენტრი შეიარაღებული გამოსვლებიდან გადავიდა უიარაღოთა გამოსვლებში, რევოლუციურ მოძრაობაში. აჯანყება დაფარა რევოლუციამ და მით ის დაასუსტა. ეს ორი აქტი სრულიად სხვა და სხვა მოვლენაა, ემორჩილება სხვა და სხვა კანონს და მიდის თავ-თავისი გზით“.[12]

„[ამ აჯანყებაში] „ხალხის რევოლუციური გამოსვლა სავსებით ფარავს სამხედრო მოქმედებას, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში“, წერდა ის, „მოძრაობას მეთაურობს უიარაღო ხალხი, შეიარაღებულნი გამონაკლისია. აღმოსავლეთში მოქმედებენ უმთავრესათ შეიარაღებული რაზმები... მაგრამ მცირე რიცხოვნობის გამო მოწინააღმდეგეთ ვერ უმაგრდებიან“.[13]

„სვანეთს მაგ. სრულიად არ სწამს უიარაღო გამოსვლა... აქ იბრძვიან მართლა სამხედრო რაზმები... სექტემბერშიაც სვანეთი უკანასკნელათ დანებდა მტერს“, წერდა ჟორდანია.

ჟორდანია აღნიშნავდა, რომ აჯანყების კიდევ ერთი სისუსტე ის იყო, რომ არ მოხდა „მტრის მთავარ ბანაკზე თავდასხმა“ — კონკრეტულად, თბილისსა და ბათუმზე, რომლებიც, მისი თქმით, „უდიდესი სტრატეგიული პუნკტები“ იყო.

ჟორდანიას მიაჩნდა, რომ „აჯანყება უნდა დაწყებულიყო თფილისის აღებით, რაც უცებ შექმნიდა რევოლუციურ მდგომარეობას და გამოიწვევდა მთელი საქართველოს ადგომას, შეიძლება ადერბეიჯანისა და მთისაც“. ეს არ მოხდა: არავითარი მთელ ამიერკავკასიას მოდებული რევოლუცია არ ყოფილა.

აჯანყების აშკარა სამხედრო დამარცხების მიუხედავად, ჟორდანია მაინც პოულობს რაღაც სანუგეშოს: მორალური გამარჯვება ამბოხებულებს დარჩათ. ამ აჯანყებისთვის შეიძლება

„პუტჩი“ გვეწოდებინაო, წერდა იგი, და მას რეველში [ტალინი] 1924 წლის დეკემბრის წარუმატებელ კომუნისტურ ამბოხსაც კი ადარებს. მაგრამ, ქართველი ლიდერის თქმით, სოციალ-დემოკრატებმა შეძლეს ხალხთა მასების გაერთიანება აჯანყების მხარდასაჭერად, რამაც მას „სახალხო ხასიათი“ მისცა. ჟორდანია განმარტავდა, რომ „სამხედრო თვალსაზრისით ეს უარყოფითი მოვლენა შექმნილ პირობებში გახდა დადებით მოვლენათ და ერის მორალური გამარჯვება უზრუნველყოფილათ“.[14]

მისი თქმით, შედეგად ბოლშევიკური პროპაგანდა არაეფექტიანი აღმოჩნდა და „ევროპაში მათი აღარავის სჯეროდა“. ჟორდანიასეული დასკვნითი შეფასება აჯანყებისთვის იყო: „ფიზიკური დამარცხება, მორალური გამარჯვება“[15]

მომავლისკენ რომ იყურებოდა, ჟორდანია იმაზე წუხდა, ზოგი ქართველი სოციალ-დემოკრატი შეგუებას იწყებს, რომ საბჭოთა მმართველობა გრძელვადიანი იქნებაო. მისი აზრით, თუმც აჯანყების სამხედრო მომზადება სათანადო არ იყო, პოლიტიკურად ის სრულიად სწორად იყო წარმართული. მისი ოპონენტების მოსაზრებას, რომელთაც მიაჩნდათ: „აჯანყება დამარცხდა, მაშასადამე... ვიცნოთ მოსკოვის ბატონობა“, ის „სიბრიყვეს“ უწოდებდა. „ერის განმათავისუფლებელი საშუალება მრავალნაირია და თუ ერთი უვარგისი გამოდგა, საჭიროა მეორის და მესამისათვის ჩაჭიდება“, წერდა იგი.[16]

თუმცა კი 28 აგვისტოს დაწყებულ აჯანყებას გამეორება აღარასდროს ეწერა, ჟორდანია მომავალში შეიარაღებული აჯანყებას არ გამორიცხავდა. ის ხაზს უსვამდა, რამდენად მნიშვნელოვანი იყო საბჭოთა რეჟიმის იზოლირება მსოფლიო სცენაზე. საქართველო მარტო არ იყოო, წერდა იგი. „კომუნისტური რეჟიმის „დაცემაში დაინტერესებულია... თვით რუსის ხალხი“, წერდა იგი და მიაჩნდა, რომ „ბოლშევიკური რეჟიმის სტაბილიზაცია არ მომხდარა, ვერ მოხდება ... საბჭოთა წყობილება კრიტიკულ პერიოდში იქნება სიკვდილამდე“.[17]

საქართველოს ამ აჯანყების დამარცხება ლამის 70 წლით დამოუკიდებლობის დაკარგვის ფასად დაუჯდა. საქართველოსა და ქართველებისთვის 1924 წლის აჯანყება – 1921 წელს საბჭოეთის შემოჭრაზე მეტადაც კი – მომდევნო შვიდი ათწლეულით დამოუკიდებლობის დაკარგვას ნიშნავდა. ასეთი მასშტაბის აჯანყება აღარასოდეს აღარ მომხდარა.

მაგრამ, როგორც ვნახეთ, ამით მემარცხენე მოძრაობაში დაიწყო დიდი განხეთქილება დემოკრატ სოციალისტებსა და კომუნისტებს შორის და საბოლოოდ კარლ კაუცკის – ლენინისა და მისი რეჟიმის ამ პირველი დიდი სოციალისტი კრიტიკოსის – იდეების გამარჯვებით დასრულდა.

ეს ერთდროულად დასასრულიც იყო და დასაწყისიც.

ეპილოგი: ფრანკფურტი, 1951 წელი

1951 წელს ოდესღაც მშვენიერი ევროპული ქალაქის, ფრანკფურტის ნანგრევებში მსოფლიოს სოციალ-დემოკრატიული და მუშათა პარტიების დელეგატები შეიკრიბნენ მეორე ინტერნაციონალის ხელახლა დაარსების მისიით. ეს ინტერნაციონალი, რომელიც თავდაპირველად პარიზში დაარსდა 1889 წელს (საფრანგეთის რევოლუციის მე-100 წლისთავზე), პირველი მსოფლიო ომის დროს დაიშალა, [აღდგენის შემდეგ] მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში კი უმოქმედო რჩებოდა.

1945 წელს ომის დასრულების მერე დაიწყო მუშაობა, რომ მორიგ ჯერზე ეცადათ, შექმნილიყო იმ პარტიათა გაერთიანება, რომლებიც ერთსა და იმავე მიზანს ესწრაფოდნენ, მიზანს, რომელსაც ახლა ახალი სახელი ჰქონდა — *დემოკრატიული* სოციალიზმი.

1949 წლის დეკემბერში პარიზში გამართულ კონფერენციაზე ფრანგმა სოციალისტებმა წამოაყენეს წინადადება, რომ მომზადებულიყო მანიფესტი, რომელიც ახალ თაობას განუმარტავდა ამ პარტიათა საერთო შეხედულებებს. იულიუს ბრაუნთალი*, რომელიც ახალი ორგანიზაციის გენერალური მდივანი გახდება, წერდა, რომ ეს იყო „ყველა წევრი პარტიის ერთობლივი ნამუშე-

* იულიუს ბრაუნთალი (Julius Braunthal) (1891-1972) — ავსტრიელი ისტორიკოსი, საერთაშორისო მემარცხენე ინტერნაციონალური მოძრაობის მკვლევარი, სოციალისტი, სოციალისტური ინტერნაციონალის გენერალური მდივანი (1951-1956) (რედ. შენიშვნა).

28. სოციალისტური ინტერნაციონალის შეხვედრა ფრანკფურტში, 1951

ვარი. ... ინტერნაციონალის ისტორიაში არ შექმნილა არცერთი დოკუმენტი, რომელიც ცალკეული პარტიების ესოდენ ინტენსიური ერთობლივი მუშაობის ნაყოფი იქნებოდა. აქამდე არცერთი დადგენილება თუ მანიფესტი არ გადასცემია პარტიებს წინასწარი განხილვისთვის". ამ განხილვამ წელიწადნახევარს გასტანა და ოთხი წინასწარი პროექტი შეიქმნა.[1]

მთელი ეს პროცესი რადიკალურად განსხვავდებოდა ყველაფრისგან, რაც მანამდე ხდებოდა ხოლმე. თანამედროვე სოციალისტურ მოძრაობას ფუძემდებლურ დოკუმენტად ჰქონდა საუკუნის წინ კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის დაწერილი წიგნი „კომუნისტური პარტიის მანიფესტი". ამ წიგნში მათ ერთი პატარა, უცნობი ორგანიზაციის – კომუნისტთა ლიგის – პროგრამა ჩამოაყალიბეს. ამის მიუხედავად, „მანიფესტი" მრავალ ენაზე ითარგმნა, მილიონობით ეგზემპლარად გამოიცა და დღესაც კი იბეჭდება.

ეს ორი მანიფესტი ერთმანეთისგან მართლაც თვალშისაცემად განსხვავდებოდა: პირველი შეთხზული იყო ორი ბრწყინვალე გონების ადამიანის მიერ, რომელთა იდეები ბევრად უსწრებდა დროს და ხატავდა მუშათა მსოფლიო მოძრაობას, ჯერაც მხოლოდ მომავალში რომ უნდა დაბადებულიყო. მეორე მანიფესტი გახლდათ ამ მოძრაობის საერთო ხედვა საუკუნოვანი ბრძოლის, გამარჯვებებისა და იმედგაცრუებათა მერე.

1951 წლამდე არცერთ ინტერნაციონალს „არ გამოუცხადებია ძირითადი იდეები, რომლებსაც ეყრდნობოდნენ, და მიზნები, რომელთა მიღწევასაც ცდილობდნენ“, წერდა ბრაუნთალი. ეს უეჭველად სამართლიანი ნათქვამი იყო მეორე ინტერნაციონალის ყველა სხვადასხვა განსხეულების მიმართ.[2]

1951 წლის ფრანკფურტის კონგრესი სოციალ-დემოკრატიული და ლეიბორისტული პარტიებისთვის ახალი ცხოვრების დასაწყისს ნიშნავდა. ამ პარტიებმა ერთობლივად გადაწყვიტეს, განესაზღვრათ, რა იდეას ემსახურებოდნენ — იმ დროს, როდესაც ცნება „სოციალიზმი“ მრავალ ადამიანს გონებაში საბჭოთა კავშირის სურათებს უხატავდა.

მთელი ევროპის, მათ შორის, იმჟამად კომუნისტთა მმართველობის ქვეშ მოქცეული ქვეყნებიდან დევნილი სოციალ-დემოკრატიული პარტიების გარდა აქ იყვნენ პარტიები ინდოეთიდან, იაპონიიდან და ურუგვაიდან. კანადას წარმოადგენდა თანამეგობრობის გაერთიანებული ფედერაცია (Cooperative Commonwealth Federation), დღევანდელი ახალი დემოკრატიული პარტიის (New Democratic Party) წინამორბედი. ასევე, იყვნენ დელეგატები ამერიკის სოციალისტური პარტიიდან, უფრო სწორად, მისი მონარჩენიდან — ეს ორგანიზაცია უკანასკნელ დღეებს ითვლიდა.

კომუნისტებმა ფრანკფურტის კონგრესი დაგმეს. მათი თქმით, ეს იყო „შეკრება უოლ-სტრიტის გამობრძმედილი აგენტების, ... მოღალატეებისა და ომის გამჩაღებელთა თანამზრახ-

ველებისა, რომლებსაც მჭიდრო კავშირი აქვთ კაპიტალისტურ ქვეყანათა გენერალურ შტაბებთან, დაზვერვის სამსახურებთან და მმართველ წრეებთან“.[3]

ცივი ომის დასაწყისისას შექმნილი ახალი ინტერნაციონალის სიძულვილისა და შიშის მიზეზი მათ მართლაც ჰქონდათ. კომუნისტები შიშობდნენ — და მართებულადაც — რომ ახალი ინტერნაციონალი მათ სოციალიზმის ახალი ხედვით დაუპირისპირდებოდა და უარყოფდა საბჭოელების პრეტენზიას, თითქოს მათ შექმნეს მსოფლიოში პირველი „მუშათა სახელმწიფო“.

„დემოკრატიული სოციალიზმის“ იდეის განვითარების სათავეებთან მდგარი ადამიანთაგან ბევრი უკვე დიდი ხანია, ამქვეყნად აღარ იყო — მათ შორის, კარლ კაუცკი, რომელიც 1938 წელს გარდაიცვალა.

ფრანკფურტში ინტერნაციონალის ხელახლა დასაფუძნებლად და მისი მიზნების განსასაზღვრად ახალი თაობა შეიკრიბა. მათ მიღებული დეკლარაციის სათაური იყო „*დემოკრატიული* სოციალიზმის მიზნები და ამოცანები“ და მსაზღვრელი „დემოკრატიული“ სრულიად წინასწარგანზრახულად იყო გამოყენებული. ის აჩვენებდა, სოციალ-დემოკრატიულმა და მუშათა პარტიებმა რამდენად დიდი ნაბიჯი გადადგეს ბოლო სამი ათეული წლის განმავლობაში.[4]

ახალ დეკლარაციაში სიტყვასიტყვით იყო გამეორებული კაუცკის მიერ ჩამოყალიბებული ბევრი შეხედულება. მასში კომუნიზმის საკითხის მიმართ ძალიან მტკიცე პოზიცია ჩანდა. ბრაუნთალის თქმით, „სწორედ იმ პარტიებმა, რომლებმაც მემორანდუმში და დებატებისას თავიანთი მსოფლმხედველობის საფუძვლად მარქსისტული ტრადიცია აღიარეს, მოითხოვეს, რომ დეკლარაციაში დაგმობილი ყოფილიყო კომუნიზმი და მისი პრეტენზია, თითქოს მორალურ საყრდენად მარქსიზმი ჰქონდა“.[5]

ბრაუნთალის განმარტებით, 1951 წელს ფრანკფურტში სოციალ-დემოკრატიულმა და ლეიბორისტულმა პარტიებმა „თა-

ვიანთი ბოლო სიტყვა თქვეს იმ კითხვასთან დაკავშირებით, რომელიც სოციალისტურ მოძრაობას მოსვენებას არ აძლევდა რუსეთში ბოლშევიკური რევოლუციის დროიდან მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე: შეიძლებოდა საზოგადოების სოციალისტური გადაწყობა მხოლოდ დემოკრატიის საფუძველზე თუ სოციალიზმის დასამყარებლად დიქტატორული სისტემა იყო აუცილებელი?“[6]

დეკლარაციის პასუხი სრულიად ერთმნიშვნელოვანი იყო. მასში ვკითხულობთ: „უმართებულოა კომუნიზმის პრეტენზია, თითქოს ის სოციალისტურ ტრადიციას ეკუთვნოდეს. რეალურად მან ეს ტრადიცია ისე დაამახინჯა, რომ მთლად დაუკარგა პირვანდელი სახე. მან შექმნა ხისტი თეოლოგია, რომელიც შეუთავსებელია მარქსიზმის კრიტიკულ სულისკვეთებასთან“.

„საერთაშორისო კომუნიზმი ახალი იმპერიალიზმის იარაღია“, გრძელდება დეკლარაციაში, „სადაც კი მან ძალაუფლება მოიპოვა, ყველგან მოსპო თავისუფლება ან თავისუფლების მოპოვების შესაძლებლობა. მისი საყრდენი მილიტარისტული ბიუროკრატია და ტერორისტული პოლიციაა. სიმდიდრისა და პრივილეგიების უზარმაზარი კონტრასტების შექმნით მან ახალი კლასობრივი საზოგადოება ჩამოაყალიბა. მის ეკონომიკურ მოწყობაში დიდი ადგილი უკავია იძულებით შრომას“.

დეკლარაციის ერთ აბზაცში, რომელიც ძალიან ჰგავდა კაუცკის ოცდაათი წლის წინანდელ ნაწერებს, ვკითხულობთ: „თავისუფლების გარეშე სოციალიზმი ვერ იარსებებს. სოციალიზმი მხოლოდ დემოკრატიის მეშვეობით მიიღწევა, დემოკრატია სრულად მხოლოდ სოციალიზმით შეიძლება განხორციელდეს“.

ეს სამი მოკლე წინადადება გადმოსცემს დემოკრატიული სოციალიზმის არსს.

რა უნდა მოემოქმედებინათ სოციალისტებს მსოფლიოში, რომელშიც მილიონობით ადამიანი ცხოვრობდა კომუნისტური წყობილების პირობებში? დეკლარაციის თანახმად, „სოციალის-

ტები სოლიდარულნი არიან ყველა ადამიანის მიმართ, რომელნიც იტანჯებიან დიქტატორული წყობილებით — იქნება ეს ფაშისტური თუ კომუნისტური დიქტატურა — და მხარს უჭერენ მათ თავისუფლების მოპოვებისთვის ბრძოლაში“.

„იქნება ეს ფაშისტური თუ კომუნისტური დიქტატურა“ — ამ ფრაზის ფესვები, რომელიც ერთმანეთს უტოლებს ტოტალიტარულ საზოგადოებათა სხვადასხვა ტიპს, უკვე ადრეულ 1920-იანებში ჩანს. იმ დროს ზოგმა სოციალისტმა (ქართველების ჩათვლით) დაიწყო ლაპარაკი იმაზე, რომ საბჭოთა კომუნიზმი სხვა არაფერი იყო, თუ არა „წითელი ფაშიზმი“. ის იმეორებს კარლ კაუცკის მიერ 1924 წელს გამოთქმულ აზრს, რომ სოციალისტები ისევე უნდა მიემხრონ იტალიაში ფაშისტური მმართველობის წინააღმდეგ აჯანყებას, როგორც საბჭოთა კავშირში — ავტორიტარული მმართველობის ოპოზიციას.

ფრანკფურტის დეკლარაციამ მკაფიოდ გამოაცხადა, რომ სოციალისტები „ეწინააღმდეგებიან *ნებისმიერი ფორმით გამოვლინებულ* ტოტალიტარიზმს, რადგან ის ბღალავს ადამიანის ღირსებას“. სიტყვა „ტოტალიტარიზმი“ 1951 წელს კი იყო შედარებით ახალი, მაგრამ მის უკან მდგარი იდეები, ისევე, როგორც იდეები ტერმინ „დემოკრატიული სოციალიზმის“ უკან, კომუნისტებისა და სოციალისტების გაყოფის პირველივე წლებში გაჩნდა.

ფრანკფურტის დეკლარაცია მიღებიდან მალევე გამოიცადა საქმეში.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან სულ რაღაც რვა წელიწადში, როდესაც ბერლინის დიდი ნაწილი ჯერაც დანგრეული იყო, საბჭოთა ზონის მუშები კომუნისტური წყობილების წინააღმდეგ გამოვიდნენ. ბიძგად იქცა მმართველი კომუნისტური პარტიის მოთხოვნა წარმოების გაზრდაზე. თავიდან ის დაიწყო, როგორც წარმოების საკითხებთან დაკავშირებული უკმაყოფილება, რაც თავისთავადაც უჩვეულო იყო ტოტალიტარულ

სახელმწიფოში, მაგრამ სწრაფად გადაიზარდა რევოლუციაში მთავრობის გადადგომის, პოლიტპატიმრების გათავისუფლების, თავისუფალი არჩევნების ჩატარებისა და საბჭოთა ჯარების გაყვანის მოთხოვნებით. აღმოსავლეთ ბერლინში მშენებლობის მუშების გაფიცვით დაწყებული გამოსვლა მალე მთელ აღმოსავლეთ გერმანიას მოედო.

აჯანყება თავიდან წარმატებით მიმდინარეობდა. შეშინებული კომუნისტი ოფიციალური პირები გაიქცნენ თავიანთი კაბინეტებიდან, რომლებსაც განრისხებული პროტესტანტები არბევდნენ, ციხეებიც გააღეს და პატიმრები გამოუშვეს. მაგრამ აჯანყება ერთ დღეს ძლივს გაგრძელდა. რაც ადგილობრივმა კომუნისტებმა საკუთარი ძალებით ვერ შეძლეს, ის საბჭოელების დახმარებით მოახერხეს. საბჭოთა ჯარები და ტანკები, რომლებმაც სულ ცოტა ხნის წინ გერმანია ნაცისტების ბატონობის კოშმარისგან იხსნეს, ახლა გამოყენებული იქნა ახალი ტოტალიტარული რეჟიმის დასამყარებლად, რომელიც მომდევნო 36 წლის განმავლობაში შენარჩუნდა.

აღმოსავლეთ გერმანიის აჯანყება სწრაფად ჩაახშეს — ისევე, როგორც საქართველოში 30 წლის წინ. ერთი თვის შემდეგ სტოკჰოლმში გაიხსნა სოციალისტური ინტერნაციონალის ყრილობა და მასზე აღმოსავლეთგერმანელ მუშებზე ასეთი რამ ითქვა: „მათ გაბედეს, წინ აღსდგომოდნენ ტოტალიტარულ რეჟიმს. მათ მთელ მსოფლიოს დაანახეს, რომ თავისუფლებისკენ სწრაფვის ჩახშობა შეუძლებელია. მათ დიდებული მაგალითი მისცეს ყველა ქვეყნის ყველა ხალხს, რომლებიც დესპოტური წყობილების ბატონობის პირობებში ცხოვრობენ“.[7]

ბევრი რამ იყო შეცვლილი 1924 წლის მერე, როდესაც ფრანგმა სოციალისტებმა და ბრიტანეთის ლეიბორისტულმა პარტიამ ვერ შეძლეს საქართველოს მხარში დგომა და ის საბჭოთა წყობილებას შეატოვეს. 1953 წლისთვის სოციალ-დემოკრატთა და მუშათა პარტიებს არჩეული ჰქონდათ, ცივ ომში ვის

გვერდით იდგებოდნენ. ისინი ეწინააღმდეგებოდნენ ტოტალიტარიზმს და მხარს უჭერდნენ დემოკრატიას.

აღარავის მოუვიდოდა აზრად, ცდილიყო ახლად სახელდებული „დემოკრატი სოციალისტების“ შერიგებას ვრცელი საბჭოთა იმპერიის მმართველებთან. ბერლინის 1922 წლის ყრილობის მსგავსი შეკრება წარმოუდგენელი გახდა.

პრაქტიკული თვალსაზრისით ეს ნიშნავდა, რომ მთელი სოციალისტური ინტერნაციონალი მხარს უჭერდა ერთობლივ უსაფრთხოებას, მათ შორის, ნატოს მსგავს ინსტიტუციებს, რომელიც ბრიტანეთის ლეიბორისტული პარტიისა და მთელი ევროპის სხვა სოციალ-დემოკრატიული პარტიების სრული მხარდაჭერით დაარსდა. ეს მხარდაჭერა დღემდე გრძელდება. მეტიც, ნატოს გენერალური მდივანი რუსეთის მიერ უკრაინაში დაწყებული ომის პერიოდში, იენს სტოლტენბერგი, ფრანკფურტში სოციალისტური ინტერნაციონალის დამაარსებელი ერთ-ერთი პარტიის — ნორვეგიის ლეიბორისტული პარტიის — ყოფილი ლიდერია.

1951 წელს გაყოფა სოციალისტურ და კომუნისტურ მოძრაობებს შორის საბოლოოდ დასრულდა — და ამაში არცთუ მცირე წვლილი მიუძღოდა დიდი ხნის წინ დავიწყებულ 1924 წლის აჯანყებას საქართველოში.

ქრონოლოგია

1783: საქართველო ხელს აწერს ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც ის რუსეთის პროტექტორატი ხდება.

1801: რუსეთი იწყებს საქართველოს ანექსიას.

1892: ფუძნდება საქართველოს პირველი მარქსისტული ორგანიზაცია.

1903: რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია ბოლშევიკების და მენშევიკების ფრაქციებად იყოფა. ქართველების აბსოლუტური უმრავლესობა მხარს უჭერს მენშევიკებს.*

1902-1905: გურიის გლეხთა აჯანყება.

1905: იმპერიაში ხდება რევოლუცია, რომელიც საქართველოშიც ვრცელდება.

1906: გურია ისევ რუსეთის დაქვემდებარებაში ექცევა. ტარდება პირველი სახელმწიფო სათათბიროს (დუმას) არჩევნები. საქართველოში დიდი უპირატესობით იმარჯვებენ სოციალ-დემოკრატები.

1917: რუსეთის რევოლუცია. მეფე ტახტზე უარს ამბობს, საქართველოში კი მისი ნაცვალი გადადგება და მმართველობას სოციალ-დემოკრატიულ პარტიას გადასცემს. ნოემბრის გადატრიალების შემდეგ რუსეთში ძალაუფლებას ბოლშევიკები იგ-

---

* ქართველთა შორის მენშევიზმის ტრიუმფის მთავარ მიზეზად მკვლევრები ხშირად ასახელებენ ქართველ სოციალ-დემოკრატთა აღიარებული ლიდერის ნოე ჟორდანიას გადაწყვეტილებას, მიმხრობოდა მენშევიკურ ფრაქციას. მისი პიროვნების გავლენით, საქართველოში მოქმედი პოლიტიკური ორგანიზაციების აბსოლუტური უმრავლესობაც მენშევიკებს მიემხრო (რედ. შენიშვნა).

დებენ ხელში. მთელ იმპერიაში, მათ შორის, საქართველოში, ტარდება რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნები. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია აღიდგენს დამოუკიდებლობას რუსეთის ეკლესიისგან.

1918: ბოლშევიკებმა გარეკეს რუსეთის დამფუძნებელი კრება და დაამყარეს თავიანთი დიქტატურა. საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი რუსეთს გამოეყოფა და მცირე ხნით ფედერაციას ქმნიან. 26 მაისს, ფედერაციის დაშლის მერე, საქართველო აცხადებს დამოუკიდებლობას სოციალ-დემოკრატი ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობით. საქართველოში შემოდის გერმანიის ჯარი და საქართველო და ოსმალეთი ხელს აწერენ სამშვიდობო ხელშეკრულებას. საქართველოსა და სომხეთს შორის ხანმოკლე ომი იმართება. კარლ კაუცკი აქვეყნებს წიგნს „პროლეტარიატის დიქტატურა“, რომელიც მთლიანად ეძღვნება ბოლშევიკურ რეჟიმის კრიტიკას მარქსისტული თვალსაზრისიდან. საპასუხოდ ლენინი წერს წიგნს „პროლეტარული რევოლუცია და რენეგატი კაუცკი“. იწყება რუსეთის სამოქალაქო ომი, რომელშიც დამოუკიდებელი საქართველო ნეიტრალიტეტს ინარჩუნებს. პირველი მსოფლიო ომის დასრულების მერე გერმანიის ჯარი საქართველოდან გადის და მას ბრიტანეთის ჯარი ანაცვლებს.

1919: ტარდება საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები, რომელშიც რამდენიმე პარტია მონაწილეობს. სოციალ-დემოკრატები ხმათა დიდი უმრავლესობით იმარჯვებენ. გენერალ დენიკინის მოხალისეთა არმია ქართველებთან სასაზღვრო შეტაკებებში ებმება. ეს აჩენს დაძაბულობას ქართველებსა და ბრიტანელებს შორის, რომლებიც დენიკინს უჭერდნენ მხარს. 7 ნოემბერს ქართველი კომუნისტები ცდილობენ სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას. ეს მცდელობა — პირველი რამდენიმეთაგან — წარუმატებლად დასრულდა*.

* საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ბოლშევიკების მიერ ორგანიზებული საყოველთაო აჯანყების დაწყება 1919 წლის 7 ნოემბრისთვის

1920: რუსეთი და საქართველო ხელს აწერენ სამშვიდობო ხელშეკრულებას. რუსეთისგან მისი დამოუკიდებლობის ცნობის სანაცვლოდ საქართველო ახდენს კომუნისტური პარტიის ლეგალიზებას. ბრიტანეთის ჯარი მთლიანად გადის საქართველოდან. ამიერკავკასიის ორ დანარჩენ რესპუბლიკაში, სომხეთსა და აზერბაიჯანში, საბჭოთა წყობილება მყარდება. სექტემბერში საქართველოში ჩამოდის მეორე ინტერნაციონალის დელეგაცია, მათ შორის — კარლ კაუცკი და რემზი მაკდონალდი.

1921: თებერვალში საქართველოს თავს ესხმის რუსეთის ჯარი და, რამდენიმეკვირიანი ბრძოლების მერე, ამყარებს საბჭოთა წყობილებას, რის გამოც საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა დევნილობაში მიდის. მათი ბოლო დადგენილება საქართველოს კონსტიტუციის მიღება და გამოქვეყნებაა. ეწყობა ცალკეული აჯანყებები საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ, რომელთაგან გამოირჩევა სვანეთის აჯანყება. ივლისში ტფილისში ჩამოდის სტალინი — პირველად მრავალი წლის მერე — და მას აქ არაკეთილგანწყობით ხვდებიან. მთავრდება რუსეთის სამოქალაქო ომი. პეტროგრადის სანაპიროს სიახლოვეს კრონშტადტის ციხე-სიმაგრეში მეზღვაურები აწყობენ აჯანყებას საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ, რომელსაც სწრაფად და სასტიკად ახშობენ. საბჭოთა რუსეთში იღებენ უფრო ლიბერალურ ახალ ეკონომიკურ პოლიტიკას (ე.წ. ნეპს).

1922: ბერლინში იკრიბებიან სამი ინტერნაციონალის ლიდერები სხვადასხვა ქვეყნის მემარცხენე მოძრაობათა ხელახლა გაერთიანების მიზნით. განზრახვა მარცხით სრულდება, რაშიც საქართველოს საკითხი გასაკვირად მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

იყო დაგეგმილი. თუმცა ქართული სპეცსამსახურების, განსაკუთრებით კი — კონტრდაზვერვის ეფექტიანი მოქმედებების შედეგად აჯანყებამდე 2 დღით ადრე ბოლშევიკების შტაბი გამოააშკარავეს და დააპატიმრეს. აჯანყება ჩავარდა (რედ. შენიშვნა).

1923: მას მერე, რაც კომუნისტებთან საერთო ენის გამონახვა არ გამოვიდა, ორი სოციალისტური ინტერნაციონალი ერთდება და ქმნის ლეიბორისტთა და სოციალისტთა ინტერნაციონალს (ლსი). საქართველოში სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც აქამდე ნახევრად ლეგალურად არსებობდა*, იძულებულია, დაიშალოს. ის იატაკქვეშ განაგრძობს ბრძოლას. საქართველოში აპატიმრებენ და ხვრეტენ იატაკქვეშა სამხედრო ხელმძღვანელობას — დამოუკიდებლობის კომიტეტს.

1924: ლენინი კვდება. 28 აგვისტოს ჭიათურაში იწყება სახალხო აჯანყება, რომელსაც სწრაფად ახშობენ. გამარჯვებული კომუნისტური რეჟიმი ათასობით ადამიანს კლავს (თუმცა რაოდენობის შეფასება განსხვავებულია). ბრიტანეთის ლეიბორისტული პარტია და ფრანგი სოციალისტები, მოლოდინის მიუხედავად, ვერ ეხმარებიან საქართველოს. საქართველოში მოწყობილი სასაკლაოს შემდეგ ლსი-ს ხელმძღვანელი კომიტეტი სთხოვს კარლ კაუცკის, დაწეროს რეზოლუცია. ქართველი სოციალ-დემოკრატები ერთ-ერთი პირველები იყენებენ ტერმინს „წითელი ფაშისტები“ მათ ქვეყანაში დამყარებული ახალი რეჟიმის აღსაწერად.

1925: ნოე ჟორდანია აქვეყნებს მომცრო წიგნს („რა მოხდა?“), რომელშიც 1924 წლის წარუმატებელი აჯანყების შედეგებს აანალიზებს.

---

* მრავალთვიანი დაკითხვების, ჩეკაში წამებისა და დაშინების შედეგად საბჭოთა ხელისუფლებამ მოახერხა სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და საქართველოს დამფუძნებელი კრების ყოფილ წევრთა ნაწილის გადაბირება, რომლებსაც დაავალეს პარტიის კონფერენციის მოწვევა (არალეგიტიმურად). ამ კონფერენციაზე მათ უნდა დაეგმოთ სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთული ბიუროს (შეიქმნა 1921 წელს ემიგრაციაში წასვლის შემდეგ) საქმიანობა, დაშლილად გამოეცხადებინათ საქართველოში მოქმედი სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, შერიგებოდნენ დამარცხებას და ეცნოთ საბჭოთა ხელისუფლება (რედ. შენიშვნა).

1951: მიღებულია ფრანკფურტის დეკლარაცია – „დემოკრატიული სოციალიზმის მიზნები და ამოცანები“ – როგორც ახლად ჩამოყალიბებული სოციალისტური ინტერნაციონალის მთავარი დოკუმენტი. მასში გამეორებულია კარლ კაუცკისეული ბევრი ფორმულირება, ათწლეულებით ადრე რომ იყო ჩამოყალიბებული.

1991: 9 აპრილს საქართველო აცხადებს დამოუკიდებლობას, აღადგენს საქართველოს პირველი რესპუბლიკის დროშასა და ჰიმნს. 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის 73-ე წლისთავზე, ტარდება საპრეზიდენტო არჩევნები.

მადლობის გადახდა

მსურს, მადლობა გადავუხადო ბევრ ადამიანს, რომელთა გარეშე ეს წიგნი ვერ დაიწერებოდა. ესენი არიან: ნატალია ალხაზიშვილი, გიო ახვლედიანი, ტიმოთი ბლაუველტი, როჯერ დარლინგტონი, სტივ დეივისი, ადრიან კარატნიკი, ბექა კობახიძე, ოთარ კობახიძე, ჯორჯ კურტინი, მარტინ ლი, ტრისტან მასატი, ჯონ მედჰარსტი, ლიამ მაკნალტი, პიტერ ნეისმითი, როი ნიტზბერგი, მარსელ რიოთიგი, სარა სლაი, დათო ტურაშვილი, ერიკ ჩენოვეთი, ხათუნა ცხადაძე, ირაკლი ხვადაგიანი, ბრენდან ჯეკსონი, ლევან ჯიქია, სტივენ ჯონსი.

2022 წელს ერთი თვის განმავლობაში ვიცხოვრე თბილისში, მწერალთა სახლში, მწერლების სარეზიდენციო პროგრამის ფარგლებში. ეს ფანტასტიკური შესაძლებლობა გახლდათ და მსურს, განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო მხარდაჭერისთვის მწერალთა სახლის დირექტორს ნატაშა ლომოურს, რომელმაც, სხვათა შორის, გამაცნო ამავე შენობაში განთავსებული რეპრესირებულ მწერალთა ახლად გახსნილი მუზეუმის მასალები.

ჩემი სხვა წიგნების მსგავსად, ამ წიგნის უდიდესი ნაწილიც დავწერე დიდებულ ლონდონის ბიბლიოთეკაში. საწერად ამაზე უკეთესი ადგილი მთელ ლონდონში არ მეგულება.

მინდა, მადლობა გადავუხადო გიორგი ჭკადუას, რომელიც თბილისში კვლევის ასისტენტად მუშაობდა ჩემთან და ძალიან დამეხმარა ქართული და რუსული ტექსტების მოძიებასა და თარგმნაში.

ყველაზე დიდ მადლობას ვუხდი სინდი ბერმანს, რომელიც 2010 წელს საქართველოში პირველი ჩასვლისას თან მახლდა და მას მერეც სულ ჩემ გვერდითაა. მისი რჩევების, დახმარების, მოთმინებისა და სიყვარულის გარეშე ვერც ეს და ვერც ჩემი წინა წიგნები ვერ დაიწერებოდა.

ბოლოსიტყვაობა რედაქტორისაგან

ერიკ ლის წიგნი „**1924 წლის აჯანყება – საქართველო და დემოკრატიული სოციალიზმის დაბადება ევროპაში“** მკითხველს აცნობს 1924 წლის ეროვნული აჯანყებისა და, განსაკუთრებით, მისი სასტიკად ჩახშობის გავლენას ევროპაში მემარცხენე მოძრაობაზე. ავტორი თავს უყრის საქართველოში ფართო მასებისათვის ნაკლებად ცნობილ მნიშვნელოვან პუბლიკაციებსა და წყაროებს.

სამეცნიერო-პოპულარული სტილის პუბლიკაცია 1924 წლის აჯანყების შესახებ დღემდე იშვიათობას წარმოადგენს. ერიკ ლის წიგნი თავს უყრის ამ მოვლენის შესახებ სხვადასხვა მოქმედი პირების, გარე დამკვირვებლების, აჯანყების ორგანიზატორებისა და აჯანყების ჩამხშობ საბჭოთა მოხელეების პოზიციებს. ხშირად პუბლიკაციაში დამოწმებული ავტორები მოვლენის შესახებ რადიკალურად განსხვავებულ ცნობებს გადმოსცემენ და შესაძლოა ეს მცირედით დამაბნეველი იყოს მკითხველისათვის, თუმცა ამ პროცესის თავიდან ასარიდებლად ერიკ ლი დამოწმებული ავტორების პოლიტიკური შეხედულებებსაც აზუსტებას.

1924 წლის აჯანყების თაობაზე ერთ-ერთ ყველაზე საკამათო საკითხად რჩება აჯანყების მიმდინარეობისას და ჩახშობის შემდგომ დახვრეტილთა რაოდენობა. ერიკ ლის მიერ მოყვანილი წყაროებში, მსხვერპლის ყველაზე მცირე რაოდენობა სახელდება საბჭოთა პროპაგანდის გავლენით კლარა ცეტკინის მიერ გავრცელებული ცნობა 320 ადამიანის დაღუპვის (დახვრეტის)

შესახებ. ამავდროულად, ცალკეული ავტორები მსხვერპლთა რაოდენობად 9 000, 10 000 და 12 500 ადამიანსაც ასახელებს (Wehner), რაც ჯერ-ჯერობით საარქივო წყაროებზე და მოგონებებზე დაყრდნობით არ დასტურდება.

წიგნში ხაზგასმულია, რომ 1924 წლის წლის აგვისტოს აჯანყების მიმდინარეობისას და აჯანყების ჩახშობის შემდგომ დახვრეტილთა რაოდენობა დაუდგენელია, რადგანაც 1930-იანი წლების რეპრესიებისგან განსხვავებით ამ პერიოდში საბჭოთა რეჟიმი არ ზრუნავდა რეპრესიების ე.წ. „ბიუროკრატიული სისტემის“ მოწესრიგებაზე, დახვრეტები ხშირად ქაოტურად მიმდინარეობდა. თავად საბჭოთა ჩეკა შემდგომ წლებში დახვრეტილთა რაოდენობას 800 ადამიანის ფარგლებში განსაზღვრავდა, თუმცა უკანასკნელი საარქივო ცნობების (ძირითადად ჩეკას არქივებზე და პოლიტიკური აქტივისტების მიერ ემიგრაციაში გაგზავნილი ცნობების საფუძველზე) შეჯამებით დახვრეტილთა რაოდენობა 1100 ადამიანს აჭარბებს (ჯიქია). ამ საკითხის დადგენა დამატებით კვლევა-ძიებას მოითხოვს.

ირაკლი ირემაძე

ბიბლიოგრაფია

დოკუმენტები და არქივები

Georgian National Archives: Central Historical Archive.

Communist Takeover and Occupation of Georgia. Special report no. 6 of the Select Committee on Communist Aggression, House of Representatives (Washington: Government Printing Office, 1955) [კომუნისტური გადატრიალება და საქართველოს ოკუპაცია, საგანგებო კომიტეტის მე-6 ანგარიში კომუნისტური აგრესიის შესახებ, აშშ წარმომადგენელთა პალატა].

Stalin, J.V., The Party's Immediate Tasks in the Countryside: Speech Delivered at a Conference of Secretaries of Rural Party Units, Called by the Central Committee of the R.C.P.(B.) – October 22, 1924. *Works,* Vol. 6, January-November 1924, pp. 315-326. Retrieved from https://www.marxists.org/reference/archive/stalin/works/1924/10/22.htm

The Second and Third Internationals and the Vienna Union: Official Report of the Conference between the Executives, held at the Reichstag, Berlin, on the 2nd April 1922 and following days. (London: The Labour Publishing Company, 1922).

წიგნები და სტატიები

Adler, Friedrich, *The Anglo-Russian Report. a Criticism of the Report of the British Trades Union Delegation to Russia* Etc. P.S. King & Son, 1925.

Avrich, Paul, *Kronstadt 1921*. Princeton: Princeton Univ Press, 2014.

Bakradze, Lasha. "The exuberant life and tragic death of the Blue Horns". https://civil.ge/archives/244366.

Barbusse, Henri, *Voici ce qu'on a fait de la Géorgie*. Paris: Ernest Flammarion, 1929. Downloaded from here: https://galica.bnf.fr/ark:/12148/bpt6k113324c/f133.item.r=1924#

Benda, Julien, *The Treason of the Intellectuals (La Trahison Des Clercs*). Translated by Richard Aldington. New York and London: W.W. Norton & Company, 1969.

Beevor, Antony, *Russia: Revolution and Civil War 1917 – 1921*. London: Weidenfeld & Nicolson, 2022.

Beria, Sergo, *Beria, My Father: Inside Stalin's Kremlin*. Edited by Françoise Thom. English translation by Brian Pearce. London: Duckworth, 2001.

Blauvelt, Timothy K., *Clientelism and Nationality in an Early Soviet Fiefdom: The Trials of Nestor Lakoba*. London: Routledge, 2021.

Brant, Stefan, *The East German Rising – 17th June 1953*. London: Thames and Hudson, 1955.

Braunthal, Julius, *History of the International*. London: Gollancz, 1967.

Buxton, Rev. Harold, *Transcaucasia*. London: The Faith Press, 1926.

Carr, Edward Hallett, *Socialism in One Country 1924-1926*. London: Macmillan & Co Ltd, 1958.

Chkadua, Giorgi. The August 1924 Uprising: Plan, Outcome and Interpretation (Georgian Foundation for Strategic and International Studies) – [ჭკადუა, გიორგი. 1924 წლის აჯანყება: გეგმა, შედეგი და ინტერპრეტაცია, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი. https://gfsis.org.ge/files/library/pdf/The-August-1924-Uprising:-Plan,-Outcome,-Interpretation-3198.pdf

Courtois, Stéphane, and Mark Kramer, *The black book of communism: crimes, terror, repression*. Cambridge, Mass: Harvard University Press, 2004.

David-Fox, Michael, *Showcasing the Great Experiment: Cultural Diplomacy and Western Visitors to the Soviet Union, 1921 – 1941*. Oxford: Oxford University Press, 2012.

Donald, Moira, *Marxism and Revolution: Karl Kautsky and the Russian Marxists 1900 – 1924*. New Haven: Yale University Press, 1993.

Goldman, Emma, *My Disillusionment in Russia*. New York: Doubleday, Page & Company, 1923. Retrieved from https://www.marxists.org/reference/archive/goldman/works/1920s/disillusionment/index.htm

Gompers, Samuel and William English Walling, *Out of Their Own Mouths: A Revelation and an Indictment of Sovietism*. New York: E.P. Dutton & Company, 1921.

Jones, Stephen. "The Establishment of Soviet Power in Transcaucasia: The Case of Georgia 1921-1928." *Soviet Studies* Vol. 40, No. 4 (Oct., 1988), pp. 616-639.

Jones, Stephen Francis, *Socialism in Georgian Colors: The European Road to Social Democracy, 1883-1917*. Cambridge, Mass.; London: Harvard University Press, 2005.

Jordania, Noe, *What happened*. Paris, 1925

Kandelaki, Constantin. *The Georgian Question before the Free World*: (acts, Documents, Evidence). Paris: [s.n.], 1953. [კ. კანდელაკი, *ქართული საკითხი თავისუფალი სამყაროს წინაშე*. ნოე ჟორდანიას ინსტიტუტი, 2019. მთარგმნელი ლადო მირიანაშვილი]

კ. კაუცკი, *საქართველო: გლეხთა სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკა.* სამენოვანი გამოცემა, თსუ 2018 Kautsky [1921]

Kautsky, Karl. *Die Internationale und Sowjetrussland (The International and Soviet Russia)*. Berlin: Verlag J.H.W. Dietz Nachfolger, 1925.

Kautsky, Karl. *The Dictatorship of the Proletariat*. I.L.P. Library. Manchester: National Labor Press, 1919.

Kautsky, Karl. 1921. *Georgia, a Social-Democratic Peasant Republic, Impressions and Observations by Karl Kautsky*. Translated by H. J. Stenning. London: International Bookshops.

Kautsky, Karl and John H Kautsky, *The Road to Power: Political Reflections on Growing into the Revolution*. Atlantic Highlands N.J.: Humanities Press 1996.

Knight, Amy, *Beria: Stalin's First Lieutenant*. Princeton: Princeton University Press, 1993.

Kolarz, Walter, *Religion in the Soviet Union*. London: Macmillan and & Co Ltd, 1961.

L'insurrection géorgienne de 1924 (L'Institut Noé Jordania) https://insurrectiongeorgienne1924.wordpress.com/

Lang, David Marshall, *A Modern History of Georgia.* London: Weidenfeld and Nicolson, 1962.

Lerner, Warren, *Karl Radek: The Last Internationalist.* Stanford: Stanford University Press, 1970.

Lewin, Moshe, *Lenin's Last Struggle*. Translated from the French by A.M. Sheridan Smith. London: Faber, 1969.

Liebich, André, *From the Other Shore: Russian Social Democracy after 1921*. Cambridge: Harvard University Press, 1997.

Mett, Ida and M. Bookchin, *The Kronstadt Uprising*. Norwich: Theory and Practice; 2017.

Radek, Karl, *Dictatorship and Communism*. Translated by Patrick Lavin. Detroit: The Marxian Educational Society, 1920.

Radkey, O H, *The Unknown Civil War in Soviet Russia: A Study of the Green Movement in the Tambov Region, 1920-1921*. Stanford: Hoover Institution Press, 1976.

Rayfield, Donald, *Edge of Empires: A History of Georgia*. London: Reak-

tion Books, 2012. [დონალდ რეიფილდი, *საქართველო იმპერიათა გზაჯვარედინი,* გამომცემლობა პალიტრა, 2022, მთარგმნელი ჯუანშერ ტიკარაძე.]

Roberts, Geoffrey, *Stalin's General: The Life of George Zhukov*. London: Icon Books, 2013.

Roobol, W.H, *Tsereteli: A democrat in the Russian revolution: A political biography*. Translated from the Dutch by Philip Hyams and Lynne Richards. The Hague: Martinus Nijhoff, 1976.

Smith, Edward Ellis, *The Young Stalin: The Early Years of an Elusive Revolutionary*. London: Cassell, 1968.

Solzhenitsyn, Aleksandr, *Apricot Jam and Other Stories*. Translated by Kenneth Lantz and Stephan Solzhenitsyn. Edinburgh: Canongate, 2011.

Souvarine, Boris, *Stalin: A Critical Survey of Bolshevism*. Translated by C.L.R. James. London: Secker and Warburg, 1939.

Spargo, John, *Marxian Socialism and Religion: A Study of the Relation of Marxian Theories to the Fundamental Principles of Religion*. New York: B.W. Huebsch, 1915.

Suladze, Gela, *Assassination of the First Prime-Minister of Georgia Noe Ramishvili: A bloody secret operation of the Soviet special services*. [გ. სულაძე, *საქართველოს პირველი პრემიერის ნოე რამიშვილის მკვლელობა*, წიგნი+ერი, თბილისი, 2018].

Sulkhanishvili, Aleksandre, *My Memories 1922 – 1924*. San Francisco, 1981. [ა.სულხანიშვილი, *მოგონებები შეფიცულთა რაზმზე*, არტანუჯი, 2007.]

Suny, Ronald Grigor, *The Making of the Georgian Nation*. Bloomington: Indiana University Press, 1994. [რონალდ გრიგორ სუნი, *ქართველი ერის ჩამოყალიბება,* გამომცემლობა „ზიარი “, 2022, მთარგმნელი ქეთი ქანთარია]

Suny, Ronald Grigor, *Stalin: Passage to Revolution*. Princeton: Princeton University Press, 2020.

Trotsky, Leon, *Stalin: An Appraisal of the Man and His Influence*. Edited and Translated from the Russian by Charles Malamuth. London: Hollis and Carter, 1947.

Tucker, Robert C, *Stalin as Revolutionary 1879-1929: A Study in History and Personality*. New York: W.W. Norton & Company, 1973.

Wehner, Markus, "Le soulévement géorgien de 1924 et la réaction des Bolsheviks," *Communisme*, nos. 42-44 (1995), 155-170.

Wittlin, Tadeusz, *Commissar: The Life and Death of Lavrenty Pavlovich Beria*. London: Angus and Robertson, 1973.

Zetkin, Clara, *Imefreiten Kaukasus [In the Liberated Caucasus*]. Berlin/ Wien: Verlag Für Literatur Und Politik, 1926.

მორჩილაძე, აკა. *ქართულის რვეულები. XIX საუკუნის სურათები.* სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2014

კრებული *ასწლეული ინტერიერში,* ფონდი "ტასო", 2011

Трифонов, И. Я. «Разгром меньшевитско-кулацкого мятежа в Грузии в 1924 г.» *Вопросы истории,* 1976, №7.

შენიშვნები

შესავალი

1. Rayfield, გვ. 345, [რეიფილდი, გვ. 507]

ნაწილი I

1. Martov, Iulii, *World Bolshevism*. (Edmonton: AU Press, 2022). გვ. 113.
2. ჟურნალიდან *The Class Struggle* (1919 წ. თებერვალი, ტ. III № 1). აღებულია გვერდიდან https://www.marxists.org/archive/debs/works/1919/daypeople.htm
3. Luxemburg, Rosa. *The Russian Revolution and Leninism or Marxism*. (Ann Arbor: The University of Michigan Press, 1961). გვ. 14.
4. იქვე, გვ. 102.
5. იქვე, გვ. 89.
6. იქვე, გვ. 85.
7. იქვე, გვ. 108.
8. იქვე, გვ. 33.
9. იქვე, გვ. 49.
10. იქვე, გვ. 62.
11. იქვე, გვ. 69.
12. Russell, Bertrand, *The Practice and Theory of Bolshevism* (1920) – 1949. (London: George Allen and Unwin Ltd.)
13. Russell, გვ. 114.
14. იქვე, გვ. 117-118.
15. იქვე, გვ. 92.
16. იქვე, გვ. 131.
17. Goldman (1920), ამერიკული გამოცემის პირველი ტომის წინასიტყვაობა; აღებულია გვერდიდან https://www.marxists.org/reference/archive/goldman/works/1920s/disillusionment/preface.htm
18. Gompers, გვ. vi.
19. იქვე, გვ. 239.

20. Karp, გვ. 9.
21. Marx, Karl. *A Contribution to the Critique of Political Economy*. (Moscow: Progress Publishers, 1977). წინასიტყვაობა. აღებულია გვერდიდან https://www.marxists.org/archive/marx/works/1859/critique-pol-economy/preface.htm.
22. Kautsky (1909), გვ. 4.
23. Donald, გვ. 247.
24. იქვე, გვ. 232.
25. იქვე, გვ. 235.
26. იქვე, გვ. 235.
27. Geary, გვ. 78.
28. Kautsky, [1996], გვ. xxxiii – xxxiv.
29. Donald, გვ. 235.
30. Kautsky, Karl. *Karl Kautsky: Selected Political Writings*, შემდგენელი და მთარგმნელი Patrick Goode. (London: The Macmillan Press Ltd, 1983). გვ. 97.
31. Donald, გვ. 237.
32. Kautsky [1918], გვ. xx.
33. იქვე, გვ. xxxv.
34. Donald, გვ. 237.
35. იქვე, გვ. 238.
36. იქვე, გვ. 240.
37. ციტირებულია წიგნში Donald, op. cit., გვ. 240-241.
38. იქვე
39. იქვე
40. Geary, გვ. 78.
41. წიგნის *Road to Power*, მე-3 გამოცემის წინასიტყვაობა, 1920, გვ. Lxi.
42. Kołakowski, Leszek, *What is Socialism?* http://savingcommunities.org/docs/Kołakowski.leszek/whatissocialism.html
43. MacDonald, Ramsay, A Socialist State in the Caucasus. The Nation, October 16, 1920, გვ. 64-66.
44. Mrs Philip Snowden, A Political Pilgrim in Europe, http://archive.org/stream/politicalpilgrim00snowuoft/politicalpilgrim00snowuoft_djvu.txt
45. MacDonald, Ramsay, A Socialist State in the Caucasus. The Nation, October 16, 1920, გვ. 64-66.
46. Snowden, Mrs Philip, A Political Pilgrim in Europe, http://archive.org/stream/politicalpilgrim00snowuoft/politicalpilgrim00snowuoft_djvu.txt
47. MacDonald, op. cit.
48. *The Times*, 14 October 1920, გვ. 7.

49. იქვე
50. “A promising Russian border state”, Manchester Guardian, October 12, 1920, გვ.
51. MacDonald, loc. cit.
52. კაუცკის წიგნი „საქართველო: გლეხთა სოციალ-დემოკრატიული რეს-პუბლიკა; შთაბეჭდილებანი და დაკვირვებანი“ ფრიდრიხ ებერტის ფონ-დის საქართველოს წარმომადგენლობამ ხელახლა გამოსცა საქართვე-ლოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავთან დაკავშირებით. გამოცემა სამენოვანია (ქართულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე). გვ. 311
53. Berecz, János. 1956 Counter-Revolution in Hungary – Words and Weapons. Budapest: Akadémiai Kiadó, 1986. გვ. 179.
54. Tucker, გვ. 236-237.
55. იქვე
56. იქვე
57. Lang, გვ. 238.
58. იქვე, გვ. 240.
59. იქვე
60. იქვე
61. Tucker, გვ. 237.
62. იქვე
63. Suny (2020), p 90.
64. Kennan, George F. “The Historiography of the Early Political Career of Stalin.” Proceedings of the American Philosophical Society 115, no. 3 (1971), გვ. 167.
65. The Second and Third Internationals and the Vienna Union. [1922], გვ. 68
66. Mendes, Philip, “The Rise and Fall of the Jewish Labor Bund,” *Jewish Currents*, Autumn 2013. https://jewishcurrents.org/rise-fall-jewish-labor-bund
67. Rayfield, გვ. 340.
68. სამოცდაათი წლის მერე გამსახურდიას შვილი ზვიადი გახდება კვლავ დამოუკიდებლობამოპოვებული საქართველოს პირველი პრეზიდენტი.
69. იქვე [რეიფილდი, 2022, გვ.499]
70. Lewin, გვ. 44-45.
71. იქვე
72. იქვე
73. იქვე, გვ. 48.
74. იქვე
75. იქვე, გვ. 56.

76. იქვე
77. იქვე, გვ. 58.
78. Lang, გვ. 242
79. იქვე
80. იქვე, გვ. 99
81. Rayfield, გვ. 329. [რეიფილდი, 2022, გვ.483]
82. Jones (1988), გვ. 622.
83. საქართველოს სდმპ-ის საბუთები, გვ. 30
84. იქვე, გვ. 8.
85. იქვე, გვ. 8-9.
86. გასულ ზაფხულს საქართველოში ჩატარებული „არალეგალური“ სდმპ-ის მესამე საიდუმლო ყრილობის დადგენილებები (1925), გვ. 8.
87. Spargo, გვ. 126.
88. იქვე, გვ. 128.
89. იქვე, გვ. 154.
90. Freud, Sigmund. *The Future of an Illusion*. London: Penguin, 2008. გვ. 62.
91. Lang, გვ. 240.
92. ამ ღია წერილის სრული [ინგლისური] ტექსტი იხ.: *The Canadian Journal of Orthodox Christianity* Volume III, No 3, შემოდგომა, 2008/67. Russia Annexes Georgia – Georgian Patriarch’s Letter to the 1922 Genoa Conference. თარგმანი და კომენტარი ლაშა ჭანტურიძისა. https://www.cjoc.ca/pdf/Vol-3-F-2%20Russia%20Annexes%20Georgia.pdf
93. Buxton, გვ. 46.
94. Lang, გვ. 241.
95. Rayfield, გვ. 341. [რეიფილდი, 2022, გვ.501]
96. Kolarz, გვ. 100.
97. იქვე
98. Lang, გვ. 241.
99. Kolarz, გვ. 100.
100. Jones (1988), გვ. 625.
101. გასულ ზაფხულს საქართველოში ჩატარებული „არალეგალური“ სდმპ-ის მესამე საიდუმლო ყრილობის დადგენილებები (1925) გვ. 8.
102. იქვე, გვ. 9.
103. რეპრესირებულ მწერალთა მუზეუმი, თბილისი.
104. იქვე
105. იქვე
106. იქვე

107. Jones (1988), გვ. 626.
108. იქვე, გვ. 627.
109. იქვე, გვ. 619.
110. დადგენილებები, გვ. 9-10.
111. Rayfield, გვ. 341. [რეიფილდი, 2022, გვ.500]
112. Kautsky [1921], გვ. 289. [კ.კაუცკი, 2018, გვ. 93-94]
113. J. Tsagareli, The Co-operative Movement in the Republic of Georgia. London: The Co-operative Printing Society, 1922.
114. Kautsky [1921], გვ. 289. [კ.კაუცკი, 2018, გვ. 94]
115. იქვე, გვ. 289. [კ.კაუცკი, 2018, გვ. 94]
116. Ph. I Rabinovich, "Soviet Regime in Georgia: a reply to Victor Serwy", International Co-operative Bulletin, November 1922.
117. იქვე
118. იქვე
119. იქვე
120. იქვე
121. იქვე
122. აქ ყველა ციტატა აღებულია წყაროდან: The Second and Third Internationals and the Vienna Union: Official Report of the Conference between the Executives, held at the Reichstag, Berlin, on the 2nd of April 1922 and following days. (London: The Labour Publishing Company, 1922).
123. იქვე, გვ. 25.
124. იქვე, გვ. 26.
125. იქვე
126. ჭკადუა გიორგი. *1924 წლის აგვისტოს აჯანყება: გეგმა, შედეგი და ინტერპრეტაცია* (საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი) – https://gfsis.org.ge/files/library/pdf/The-August-1924-Uprising:-Plan,-Outcome,-Interpretation-3198.pdf
127. The Second and Third Internationals and the Vienna Union. [1922], გვ. 84
128. Trotsky, *Stalin* (1947), გვ. 268
129. Trifonov, გვ.4.
130. Lang, გვ. 239.
131. საქართველოს სდმპ-ის საბუთები, გვ. 10.
132. Suny, გვ. 221. [სუნი, 2022, გვ. 352]
133. იქვე [სუნი, 2022, გვ. 352]
134. იქვე [სუნი, 2022, გვ. 352]

135. იქვე, გვ. 222. [სუნი, 2022, გვ. 352]
136. იქვე [სუნი, 2022, გვ. 353]
137. ბოლშევიკური პროპაგანდა ქართველ სოციალ-დემოკრატთა (მენშევიკები) წინააღმდეგ http://www.idfi.ge/archive/?cat=read_topic&lang=en&topic=152
138. Suny, p 222 [სუნი, 2022, გვ. 353]
139. იქვე, გვ. 221. [სუნი, 2022, გვ. 352]
140. Braunthal, გვ. 87.
141. იქვე, გვ. 88.

ნაწილი II

1. Lang, გვ. 236.
2. იქვე
3. იქვე, გვ. 237.
4. იქვე
5. Lang, გვ. 238.
6. Rayfield, გვ. 340. [რეიფილდი, 2022, გვ. 499]
7. Трифонов, გვ. 43.
8. კომუნისტური გადატრიალება და საქართველოს ოკუპაცია, გვ. 13.
9. Rayfield, pp. 342-343. [რეიფილდი, 2022, გვ. 503]
10. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო (2008 წ. აპრილი), საარქივო ბიულეტენი, გვ. 17. იხ. http://webarchive.nationalarchives.gov.uk/20090316054834/http%3A//archive.security.gov.ge/saarqivo_moambe.pdf
11. იქვე
12. Rayfield, გვ. 344. [რეიფილდი, 2022, გვ. 503]
13. Lang, გვ. 240.
14. Wittlin, pp. 110-111.
15. იქვე
16. შარაძე, გვ. 183. ციტირებულია: ჭკადუა, გვ. 2.
17. Beria, გვ. 8
18. იქვე
19. იქვე
20. Lev Lur'e, Leonid Mal͡iarov. Lavrentiĭ Ber͡ia. Krovavyĭ pragmatik. Peterburg: BkhV-Peterburg, 2015., გვ. 94.
21. Beria, იქვე
22. Lur'e i Mal͡iarov, იქვე
23. იქვე

24. Timothy Blauvelt, “Soviet Georgia in the 1920s”, წიგნის გამოუქვეყნებელი თავი.
25. Трифонов, გვ. 48.
26. დაშიფრული წერილები საქართველოში აჯანყების თაობაზე – ს. ორჯონიკიძე ი.ბ. სტალინს (ასლები მ.ვ. ფრუნზესა და ვ.რ. მენჟინსკის). 1924 წ. 30 აგვისტო.
27. Rayfield, გვ. 344. [რეიფილდი, 2022, გვ. 505]
28. Трифонов, გვ. 48.
29. იქვე
30. იქვე, გვ. 49.
31. იქვე
32. Wittlin, გვ. 112.
33. მორჩილაძე, გვ. 260-261.
34. The New York Times, September 1, 1924. იგულისხმება დამკომი და თავადი კოტე ანდრონიკაშვილი.
35. დაშიფრული წერილები. რუსეთის ფედერაციის ფეესბეს ცენტრალური არქივი. ფ.2. აღ. 2. ს. 682. ფ. 3-4 (https://istmat.org/node/53762)
36. იქვე
37. იქვე
38. Трифонов, გვ. 49
39. Blauvelt, გვ. 204
40. დაშიფრული წერილები.
41. Wittlin, გვ. 113.
42. Трифонов, გვ. 48.
43. კომუნისტური გადატრიალება და საქართველოს ოკუპაცია, გვ. 15.
44. Kautsky [1925].
45. იქვე
46. იქვე
47. იქვე
48. Трифонов, გვ. 48.
49. Rayfield, გვ. 345. [რეიფილდი, 2022, გვ. 505-506]
50. დაშიფრული წერილები.
51. იქვე
52. Wittlin, გვ. 112.
53. Трифонов, გვ. 50.
54. Sulkhanishvili, გვ.159. [ა.სულხანიშვილი, 2007, გვ. 234]
55. დაშიფრული წერილები.
56. Трифонов, გვ. 49
57. დაშიფრული წერილები საქართველოში აჯანყების თაობაზე. რკპ (ბ) ამიერკავკასიის რეგიონული კომიტეტის მდივანი ა.ფ. მიასნიკოვი ი.ბ.

სტალინს (ასლი ფ.ე. ძერჟინსკის). 1924 წ. 2 სექტემბერი. №. 170.

58. ციტატა წიგნიდან Knight, გვ. 33.
59. იქვე
60. იქვე
61. Rayfield, გვ. 345. [რეიფილდი, 2022, გვ. 506]
62. Knight, გვ. 33.
63. Трифонов, გვ. 42.
64. Blauvelt, “Soviet Georgia in the 1920s”.
65. დაშიფრული წერილები საქართველოში აჯანყების თაობაზე – ს.კ. ორჯონიკიძე ი.ბ. სტალინს (ასლები მ.ვ. ფრუნზესა და ვ.რ. მენჟინსკის). 1924 წ. 30 აგვისტო, გვ. 85.
66. ჭკადუა, op. cit., გვ. 6-7.
67. Communist Takeover and Occupation of Georgia Communist Takeover and Occupation of Georgia. Special report no. 6 of the Select Committee on Communist Aggression, House of Representatives (Washington: Government Printing Office, 1955
68. Трифонов, გვ. 48.
69. იქვე, გვ. 51.
70. Trotsky, *Stalin* (1947), გვ. 268.
71. Ruth Fischer, *Stalin and German Communism: A Study in the Origins of the State Party* (London: Geoffrey Cumberlege, Oxford University Press, 1948). გვ. 472.
72. პარტიის შემდგომი ამოცანები სოფლად – სიტყვა, წარმოთქმული სასოფლო უჯრედების მდივანთა თათბირზე, რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი, 22.10.1924. წყარო: https://www.marxists.org/reference/archive/stalin/works/1924/10/22.htm
73. Stalin, Sochineniya, vii, 22. ციტირებულია წიგნში Carr, ტ. I, გვ. 199.
74. G. Zinoviev, Litsom k Derevne (1925), pp. 65-66. ციტირებულია წიგნში Carr, Socialism in One Country, ტ. I, გვ. 199.
75. Pipes, გვ. 376.
76. იქვე, გვ. 375.
77. იქვე, გვ. 376.
78. იქვე
79. იქვე
80. ბაქრაძე, ლაშა: „ცისფერყანწელების ამაღელვებელი ცხოვრება და ტრაგიკული სიკვდილი“ – https://civil.ge/archives/244366
81. Knight, გვ. 33-34.
82. “24 ARE EXECUTED FOR GEORGIA REVOLT”, *The New York Times*, 10.09.1924.
83. იქვე

84. Rayfield, გვ. 345. [რეიფილდი, 2022, გვ. 507]
85. კომუნისტური გადატრიალება და საქართველოს ოკუპაცია, გვ.32.
86. იქვე
87. დაშიფრული წერილები საქართველოში აჯანყების თაობაზე – ი.ვ. სტალინი პარტიის ამიერკავკასიის რეგიონულ კომიტეტს. 1924 წ. 2 სექტემბერი.
88. Knight, გვ. 35.
89. ბაქრაძე, op.cit.
90. სულაძე, გვ 214. დედანი ინახება ეროვნულ არქივში, დ. 2117, აღ. 1, ფ 295.
91. ნიკო მაკალათია, ჩემი ცხოვრების გზაზე. კრებულში *ასწლეული ინტერიერში,* ფონდი "ტასო", 2011, გვ. 149
92. სულაძე, გვ. 194.
93. Benda, გვ. 145.
94. Трифонов, გვ. 42.
95. Jones, Stephen, "The Establishment of Soviet Power in Transcaucasia: The Case of Georgia 1921-1928." Soviet Studies Vol. 40, No. 4 (Oct, 1988), p. 45.
96. Markus Wehner, «Le soulévement géorgien de 1924 et la réaction des Bolsheviks,» Communisme, nos. 42-44 (1995), 155-170.
97. Shachtman, Max, "Clara Zetkin: Founder of International Women's Day", The Militant 22 July 1933. გადაბეჭდილია: Solidarity https://www.workersliberty.org/story/2023-03-14/clara-zetkin-founder-international-womens-day შახტმანის სტატია დაიბეჭდა ჩემს მიერ გამოქვეყნებული სტატიის პასუხად, რომელშიც მე ვაკრიტიკებდი ცეტკინს, როგორც საქართველოში ბოლშევიკების მიერ მოწყობილი სასაკლაოს აპოლოგეტს.
98. იხ. აშშ ჰოლოკოსტის მემორიალური მუზეუმის ბმული. https://encyclopedia.ushmm.org/content/en/article/henri-barbusse
99. David-Fox, p. 231.
100. იქვე
101. იქვე
102. იქვე
103. Kandelaki, გვ. 46. [კანდელაკი, 2019, გვ. 76]
104. იქვე [კანდელაკი, 2019, გვ. 77]
105. იქვე [კანდელაკი, 2019, გვ. 77-78]
106. იქვე, გვ. 47. [კანდელაკი, 2019, გვ. 78]
107. Lang, გვ. 236.
108. Lang, გვ. 244.

109. https://hansard.parliament.uk/Commons/1924-10-02/debates/cecd6f80-fe4d-4b86-b6b7-690b74985aa5/Georgia
110. იქვე
111. შარაძე გურამ, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ I, გვ. 181. ციტატა წიგნიდან ჭკადუა, გვ. 2.
112. Liebich, გვ. 176. მისი წყარო არის წერილი რუსეთის მენშევიკი ლიდერის პაველ აქსელროდის მიერ ქართველი სოციალ-დემოკრატის, ირაკლი წერეთლისთვის გაგზავნილი წერილი.
113. Adler, გვ. xxi.)
114. იქვე, გვ. 12.
115. Трифонов, გვ. 42.
116. საქართველოს უკანონოდ გამოცხადებული პროფკავშირების განცხადება, დანართებითურთ (იხ. https://cdm21047.contentdm.oclc.org/digital/collection/russian/id/3965) გვ. 7
117. იქვე, გვ. 2
118. იქვე, გვ.4
119. იქვე, გვ.5

ნაწილი III

1. Rühle, Otto. *From the Bourgeois to the Proletarian Revolution*, 1924. https://www.marxists.org/archive/ruhle/1924/revolution.htm
2. Otto Rühle, *The Struggle Against Fascism Begins with the Struggle Against Bolshevism*, Living Marxism (Vol. 4, No. 8, 1939). https://www.marxists.org/archive/ruhle/1939/ruhle01.htm
3. იქვე
4. Fabbri, Luigi *The Preventive Counter-revolution.* (1922) https://www.katesharpleylibrary.net/8pk1j9
5. Voline, *Red Fascism*, 1934 წ. ივლისი. (Ce qu'il faut dire, Brussels). https://theanarchistlibrary.org/library/voline-red-fascism
6. საქართველოს სდმპ-ის საბუთები, გვ. 10.
7. საქართველოს სდმპ-ის საბუთები – სსდმპ-ის ცენტრალური კომიტეტის წერილი გერმანელ მუშათა კლასს, გვ. 33
8. Roobol, გვ. 224.
9. იქვე, გვ. 224-225.
10. იქვე, გვ. 225.
11. Kautsky (1925).

შეჯამება

1. Knight, გვ. 32.
2. Markus Wehner, “Le soulévement géorgien de 1924 et la réaction des Bolsheviks,” *Communisme*, nos. 42-44 (1995), 155-170.
3. ჟორდანია ნოე. რა მოხდა? პარიზი, 1925.
4. იქვე
5. იქვე
6. იქვე
7. იქვე
8. იქვე
9. იქვე
10. იქვე
11. იქვე
12. იქვე
13. იქვე
14. იქვე
15. იქვე
16. იქვე
17. იქვე

ეპილოგი

1. Braunthal, Volume 3, გვ. 200.
2. იქვე, გვ. 199.
3. იქვე, გვ. 206.
4. დეკლარაცია იხ: https://www.socialistinternational.org/congresses/i-frankfurt/
5. Braunthal, Vol. 3, გვ. 202.
6. იქვე, გვ. 201.
7. იქვე, გვ. 395.

ილუსტრაციები

1. როზა ლუქსემბურგი – ღია წყაროები
2. კარლ კაუცკი – ფრიდრიხ ებერტის ფონდის კოლექცია, 6-FOTA007108.
3. მეორე ინტერნაციონალის დელეგაცია დუშეთში – საქართველოს ეროვნული არქივი
4. მეორე ინტერნაციონალის დელეგაციის შეხვედრა ნოე ჟორდანიას კაბინეტში – საქართველოს ეროვნული არქივი
5. ისიდორე რამიშვილი – საქართველოს ეროვნული არქივი
6. ალექსანდრე დგებუაძე – საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
7. კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაია – საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
8. ნოე ხომერიკი – საქართველოს ეროვნული არქივი
9. კონსტანტინე ანდრონიკაშვილი – საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის არქივი
10. ფრიდრიხ ადლერი – ფრიდრიხ ებერტის ფონდის კოლექცია, 6-FOTA003647.
11. ირაკლი წერეთელი – გ.ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის მუზეუმი
12. კარლ რადეკი – ფრიდრიხ ებერტის ფონდის კოლექცია, 6-FOTA099592
13. ემილ ვანდერველდე – ფრიდრიხ ებერტის ფონდის კოლექცია, 6-FOTA120986
14. რემზი მაკდონალდი – ფრიდრიხ ებერტის ფონდის კოლექცია, 6-FOTA039002
15. ვალიკო ჯუღელი – ემიგრაციის მუზეუმი, გურამ შარაძის კოლექცია
16. ოტო ბაუერი – ფრიდრიხ ებერტის ფონდის კოლექცია, 6-FOTA025152
17. გოგიტა ფაღავა – ემიგრაციის მუზეუმი, გურამ შარაძის კოლექცია
18. ნიკოლოზ ქარცივაძე – საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
19. კოტე აფხაზი – საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
20. ემიგრანტთა ჯგუფი აკროპოლისთან, საქართველოსკენ მგზავრობისას – 1924 წლის 19 თებერვალი. სხედან მარცხნიდან: გრიგოლ ცინცაბაძე, ვასილ ნოდია, ბენია ჩხიკვიშვილი. დგანან ვალიკო ჯუღელი და ვიქტორ ცენტერაძე – ემიგრაციის მუზეუმი, გურამ შარაძის კოლექცია.

21. ჯუღელის წერილი გაზეთ „კომუნისტში“ – 29 აგვისტო, 1924, # 196 – საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
22. ქაქუცა ჩოლოყაშვილი – საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
23. ანრი ბარბიუსი და კლარა ცეტკინი – ფრიდრიხ ებერტის ფონდის კოლექცია, 6-FOTA008207
24. კონსტანტინე კანდელაკი – ემიგრაციის მუზეუმი
25. დავით შარაშიძე – ემიგრაციის მუზეუმი
26. დახვრეტილთა სია, გაზეთი „კომუნისტი“ – 31 აგვისტო, 1924, # 198 – საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
27. ოტო რიულე – ფრიდრიხ ებერტის ფონდის კოლექცია, 6-FOTA103939
28. სოციალისტური ინტერნაციონალის შეხვედრა ფრანკფურტში, 1951 – ფრიდრიხ ებერტის ფონდის კოლექცია, 6-FOTA031038

პირთა საძიებელი

აბრამოვიჩი, რაფაელ 111, 114
ადლერი, ფრიდრიხ 109, 110, 111, 113, 114, 135, 235, 236, 241, 255
აზეფი, ევნო 163
აკოფიანი 99
აკსელროდი, პაველ 19
ალექსანდრე დგებუაძე 57
ალექსეევი, მიხეილ 132
ალფაიძე 138
ამბროსი, კათალიკოსი (ხელაია, ამბროსი) 87, 88, 89, 90
ამინი, ჰაფიზულა 53
ანდრონიკაშვილი, ალექსანდრე 160
ანდრონიკოვი (ანდრონიკაშვილი), კონსტანტინე 103, 180, 189, 191
ანტონოვი, ალექსანდრ 201, 202
ანტონოვ-ოვსეენკო, ვლადიმირ 200, 203
აფხაზი, კოტე 159, 160, 161

ბაგრატიონ-მუხრანელი, სიმონ 161
ბათერსტი, ალენ, ლორდ აპსლი 230
ბამატი, ჰაიდარ 50
ბარბიუსი, ანრი 190, 219, 220, 221, 222, 223, 224, 225, 226, 227, 228
ბაუერი, ოტო 29, 30, 111, 113, 125, 126, 127, 247
ბაქრაძე, ლაშა 204, 210
ბაქსტონი, ჰაროლდ 88
ბევინი, ერნესტ 112
ბენდა, ჟიულიენ 217
ბერია, ლავრენტი 145, 155, 164, 165, 166, 171, 174, 178, 183, 190, 191, 192, 204, 210, 211, 212, 213, 214, 215, 216, 257, 259, 260, 261
ბერია, სერგო 170, 171
ბლაუველტი, ტიმოთი 175, 281
ბლერი, ერიკ (ჯორჯ ორუელი) 25
ბოჭორიშვილი, მიხეილ 190, 210
ბრაუნთალი, იულიუს 144, 268, 270, 271
ბრემლი, ფრედ 234
ბრიანი, არისტიდ 223
ბრიუკერი, ლუი დე 41
ბუხარინი, ნიკოლაი 111, 113

გამსახურდია, კონსტანტინე 73, 74, 206
გარდაფხაძე, ნესტორ 153
გარსიაშვილი, გიორგი (გიგლა) 210
გეგეჭკორი, ევგენი 120, 132
გიორგაძე, გრიგოლ 156, 157
გოლდმანი, ემა 22, 24
გომპერსი, სემუელ 23, 24
გუგუშვილი, ანდრია 104
გულისაშვილი, ელიზბარ 160

დადეშქელიანი, მოსესტრო 153, 182
დანი, ფიოდორ 19
დებსი, იუჯინ ვ. 16

დენიკინი, ანტონ 254, 277
დვალი, დავით 218
დონალდი, მოირა 30, 31, 32, 33, 34, 35

ეიხენბაუმი, ვსევოლოდ (ვოლინი) 245
ელიავა, შალვა 91
ენგელსი, ფრიდრიხ 269
ერიო, ედუარდ 233
ერიომინი, ალექსანდრე 64, 65

ვაიტლინი, ტადეუშ 165, 183
ვანდერველდე, ემილ 41, 112, 114, 115, 116, 117, 120, 121, 123, 124, 134
ვანდერველდე, ლალა 41
ვეიგანი, მაქსიმ 223
ვეჯვუდი, ჯოსაია 231
ვრანგელი, პიოტრ 254
ვულფი, ბერტრამ 17

ზანდუკელი, ნიკოლოზ 161
ზინოვიევი, გრიგორი 198, 203, 262

თავართქილაძე (რემონიძე), სილიბისტრო 93
თაკერი, რობერტ 56, 57, 60
თარგამაძე 139

იაშვილი, პაოლო 204
ინგელსი, ალბერტ 41, 232
იშხნელი, მიხეილ 190

კანდელაკი, კონსტანტინე 225, 226, 227
კარპი, მაშა 25
კატაიამა, სენ 111
კაუცკი, კარლ 13, 17, 19, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 43, 46, 47, 61, 62, 85, 86, 100, 101, 113, 117, 124, 184, 185, 226, 247, 248, 249, 250, 251, 252, 253, 254, 255, 267, 271, 272, 273, 277, 278, 279, 280
კაუცკი, ჯონ 31, 32
კახიანი, მიხეილ 184, 185, 193
კეკელია, არჩილ 206
კეკელიძე, ფოკა 210
კენანი, ჯორჯ ფ. 65
კერენსკი, ალექსანდრ 112, 130
კერესელიძე, იასონ 161
კვანტალიანი, ეპიფანე 171, 257
კვერნაძე, ნიკოლოზ 210
კვინიტაძე, გიორგი 51
კლიმიაშვილი, ლევან 161
კოლაკოვსკი, ლეშეკ 37, 38
კოლარცი, ვალტერ 89, 90
კოლჩაკი, ალექსანდრ 254
კოპალი (კოპალეიშვილი), დავით 93
კოტე ანდრონიკაშვილ 159

ლაკობა, ნესტორ 182, 183
ლანტი, ეჟენ 24, 25, 220
ლეი, რობერტ 81
ლენგი, დეივიდ 57, 59, 77, 86, 88, 90, 146, 149, 150, 165, 229, 230
ლენინი, ვლადიმერ 10, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 27, 28, 29, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 47, 48, 49, 51, 55, 56, 59, 62, 66, 73, 74, 75, 76, 77, 78, 81, 97, 107, 109, 113, 117, 129, 130, 137, 138, 141, 146, 147, 161, 164, 167, 187, 198, 199, 248, 249, 267, 277, 279
ლიბიხი, ანდრე 232
ლივაინი, ისააკ დონ 65

ლივაინი, მოშე 75, 77
ლოიდ ჯორჯი, დეივიდ 229
ლუქსემბურგი, როზა 16, 17, 18, 19, 20, 24, 27, 33, 117, 218

მაზნიაშვილი, გიორგი 215, 216
მაკდონალდი, რემზი ჯეიმს 40, 43, 44, 45, 46, 112, 113, 115, 121, 123, 124, 129, 228, 229, 235, 258, 278
მალინოვსკი, რომან 163
მარკე, ადრიენ 41, 232
მარტინოვი, ალექსანდრე 141, 142, 143
მარტოვი, იული 15, 16, 24, 111, 114, 131, 142, 143
მარქსი, კარლ 25, 36, 43, 84, 242, 264, 269
მაჭავარიანი, ალექსანდრე 160
მახარაძე, ფილიპე 57, 58, 59, 75, 141, 142, 143, 189, 193
მდივანი, ბუდუ 60, 74, 76, 77, 117
მენჟინსკი, ვიაჩესლავ 192
მილსი, ჯონ ედმუნდ 231
მირიანაშვილი, რაჟდენ 99
მორჩილაძე, აკა 178
მუსოლინი, ბენიტო 13, 79, 244, 245, 249
მუსხელიშვილი, როსტომ 160
მჭედლიშვილი, იოსებ 93

ნაითი, ემი 191, 204, 208, 257, 261
ნოდია, ვასილ 214, 239
ნოვოსილცევი 99

ორახელაშვილი, მამია 189, 193
ორლოვი, ალექსანდრე 63
ორუელი, ჯორჯ (ერიკ ბლერი) 25
ორჯონიკიძე 74, 187
ორჯონიკიძე, სერგო 11, 48, 49, 51, 55, 56, 70, 74, 75, 76, 77, 78, 92, 93, 136, 137, 138, 146, 147, 149, 167, 170, 171, 174, 176, 178, 179, 189, 192, 193, 194, 195, 203, 214, 216, 260, 262
ოუენი, რობერტ 101

პაიპსი, რიჩარდ 200, 201
პერსელი, ა.ა. 234, 235, 237
პეტრინი, ალფონსო 245
პირველი, ბიძინა 153
პონსონბი, ართურ 230, 231
პუტინი, ვლადიმერ 10, 162

ჟორდანია, ნოე 47, 49, 55, 61, 62, 67, 116, 117, 120, 134, 140, 141, 155, 156, 159, 166, 167, 191, 212, 215, 256, 262, 263, 264, 265, 266, 277, 279
ჟორესი, ჟან 85

რაბინოვიჩი [ცენტრსოიუზი] 102, 103, 104, 105, 106, 107
რადეკი, კარლ 35, 66, 106, 111, 117, 118, 119, 120, 121, 126, 129, 130, 131, 132, 133, 134, 248
რამიშვილი, ისიდორე 57
რასელი, ბერტრან 21, 22, 24
რეილი, სიდნი 164
რეიფილდი, დონალდ 74, 79, 88, 98, 150, 176, 191, 206
რემონიძე (თავართქილაძე), სილიბისტრო 93
რენოდელი, პიერ 41, 232
რიულე, ოტო 242, 244, 245
როსმერი, ალფრედ 111
რუბოლი, ვ.ჰ. 249

სავინკოვი, ბორის 174
სარაჯიშვილი, დავით 91
სერატი, ჯაჩინტო მენოტი 112, 122, 123, 124, 125, 126
სერვი, ვიქტორ 104, 105
სმიტი, ედვარდ ელის 63
სნოუდენი, ეთელ 40, 43, 44
სპარგო, ჯონ 84, 85
სტალინი, იოსებ (სოსო ჯუღაშვილი) 11, 13, 28, 34, 48, 49, 55, 56, 57, 59, 60, 61, 62, 63, 64, 65, 66, 70, 74, 75, 76, 77, 78, 81, 86, 92, 97, 136, 137, 141, 146, 149, 150, 162, 165, 167, 170, 178, 189, 192, 194, 195, 196, 197, 198, 200, 202, 203, 204, 220, 221, 222, 244, 245, 257, 260, 262, 263, 278
სტოლტენბერგი, იენს 275
სულხანიშვილი, ალექსანდრე 188
სუნი, რონალდ გრიგორ 61, 138, 139, 140

ტილეტი, ბენ 235
ტრიფონოვი, ივანე 151, 152, 177, 182, 185, 187, 188, 236
ტროცკი, ლევ 15, 20, 27, 31, 34, 35, 37, 46, 48, 51, 55, 64, 65, 78, 81, 113, 117, 118, 120, 136, 137, 146, 195, 248

უოლინგ, უილიამ ინგლიშ 23, 24

ფაბრი, ლუიჯი 244, 245
ფაღავა, გოგიტა 159
ფიფია, დანიელ 209
ფიშერი, რუთ 195
ფროიდი, ზიგმუნდ 85, 86
ფრუნზე, მიხაილ 192
ფხაკაძე 138

ქარცივაძე, დავით 210
ქარცივაძე, ნიკოლოზ 159
ქუთათელაძე, ივანე 161

ყარალაშვილი, ფარნაოზ 161
ყარანგოზიშვილი, ივანე 161

შარაშიძე, დავით 190, 191, 226
შარაშიძე, ქრისტინე 147
შაუმიანი, სტეფან 63
შეხტმანი, მაქს 219
შოუ, ტომას 40, 41, 112, 114, 115
შტიურგკი, კარლ ფონ 110

ჩოლოყაშვილი, ქაიხოსრო (ქაქუცა) 154, 160, 188, 215
ჩოლოყაშვილი, ციცნა 204
ჩრდილელი, დიმიტრი 160
ჩხეიძე, რაფიელ 205

ცენტერაძე, ვიქტორ 240
ცეტკინი, კლარა 21, 111, 113, 114, 121, 217, 218, 219, 220, 227, 261, 283
ცომაია, ალექსანდრე 207
ცხაკაია, მიხა 189, 193

ძერჟინსკი, ფელიქს 74, 77, 78, 162, 174, 193

წერეთელი, გიორგი 176, 177
წერეთელი, ირაკლი 39, 113, 114, 116, 122, 130
წინამძღვრიშვილი, გიორგი 213
წულუკიძე, ვარდენ 160

ჭელიძე, ამბროსი 209

ჭიაბრიშვილი, სიმონ 161
ჭკადუა, გიორგი 194, 281

ხელაია, ამბროსი (კათალიკოსი). *იხ.* ამბროსი, კათალიკოსი (ხელაია, ამბროსი)
ხიმშიაშვილი, გოგი 160
ხომერიკი, ნოე 45, 96, 167, 205, 251, 258

ჯავახიშვილი, იასონ 159, 190
ჯავახიშვილი, მიხეილ 206
ჯინორია 190
ჯონსი, სტივენ 81, 91, 93, 94, 97, 281
ჯუღაშვილი, სოსო (იოსებ სტალინი). *იხ.* სტალინი, იოსებ (სოსო ჯუღაშვილი)
ჯუღელი, ვალიკო 118, 119, 153, 166, 167, 169, 170, 171, 173, 174, 193, 205, 211, 214, 215, 216, 225, 251, 258, 260

ჰიტლერი, ადოლფ 12, 13, 28
ჰიუსმანსი, კამილ 41, 112, 115
ჰიუსმანსი, მართა 41
ჰიუსმანსი, სარა 41, 44
ჰოვარდ-ბერი, ჩარლზ 231

ერიკ ლი (დ. 1955) არის ამერიკელი მწერალი, ჟურნალისტი და პროფკავშირული აქტივისტი. ერიკ ლიმ ოცდაათი წელი მიუძღვნა საქართველოს ისტორიის სხვადასხვა ასპექტების კვლევას. საქართველოში უკვე გამოცემულია მისი ორი წიგნი: *ექსპერიმენტი, საქართველოს მივიწყებული რევოლუცია 1918-1921* (2018) და *ქართული ამბოხი ტექსელზე: ბოლო ბრძოლა ევროპაში* (2020).

გამომცემლობა „ზიარი“ („პოეზია“ – 2015-2021)

წიგნები ისტორიის შესახებ

ფირუზ ქაზემზადე
ბრძოლა ამიერკავკასიისათვის 1917-1921 (2016)
თარგმანი: ქეთი ქანთარია

ერიკ ლი
ექსპერიმენტი საქართველოს მივიწყებული რევოლუცია 1918-1921 (2018)
თარგმანი: ქეთი ქანთარია

ტიმოთი სნაიდერი
ტირანია: მე-20 საუკუნის 20 გაკვეთილი (2019)
თარგმანი: მერი ფიფია

ერიკ ლი
ქართული ამბოხი ტექსელზე: ბოლო ბრძოლა ევროპაში (2020)
თარგმანი: ქეთი ქანთარია

დავით ჯიშკარიანი
ბუცები და ტყავის ჩექმა. თბილისის „დინამო“
ჩეკისტების კლუბიდან ეროვნულ სიმბოლომდე (2021)

ტიმოთი სნაიდერი
ერების რეკონსტრუქცია: პოლონეთი, უკრაინა, ლიეტუვა,
ბელარუსი 1569-1999 (2021)
თარგმანი: ქეთი ქანთარია

ვალიკო ჯუღელი
მძიმე ჯვარი (2022)
თარგმანი: ნინო შარვაშიძე

რონალდ გრიგორ სუნი
ქართველი ერის ჩამოყალიბება (2022)
თარგმანი: ქეთი ქანთარია

ტიმოთი ბლაუველტი
კლიენტელიზმი და ეროვნება ნესტორ ლაკობას საბჭოთა აფხაზეთში (2023)
თარგმანი: ქეთი ქანთარია

ქლერ კაიზერი
ქართველი და საბჭოელი: ტიტულირებული ერი და
სტალინის აჩრდილი კავკასიაში (2024)
თარგმანი: ნინო ბარძიმიშვილი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ფორმისა და შინაარსის ძიებაში
სტატიების კრებული, შემდგენელი და რედაქტორი
ლუკა ნახუცრიშვილი (2024)

სხვა წიგნები

Shota Rustaveli
The Knight in the Panther Skin (2015)
თარგმანი: ლინ კოფინი

ვეფხისტყაოსნის აფორიზმები (2017)
ქართულად და ინგლისურად

დათო ბარბაქაძე
ტბის სანაპიროს სიმღერები (2019)

დათო ბარბაქაძე
ტრფობა წამებულთა (2019)

ჯონათან სვიფტი
კასრის ამბავი და სხვა ესეები (2019)
თარგმანი: ქეთი ქანთარია

დათო ქარდავა
მეორადი ჰომეროსი. ინდმეწარმე და სხვა ლექსები (2022)

ყველანი აქ ვართ: უკრაინის გაკვეთილები
შემდგენელი: რუსიკო კობახიძე (2023)

რატი ამაღლობელი
წელიწადის დროები (2023)

ნიკოლოზ შურღაია, ირაკლი ლაითაძე
ჩვენ ვართ საქართველო (2024)